კვირის პალიტრა

გზა

N18 (256) 5/V.-11/V.2005. ფასი 60 თ.

900-გრამიანი მარიამი 4 თვით ადრე დაიბადა ანუ

რას უნდა ერიდონ მამაკაცები

1168
2005

თემა — ჩვენი ცხოვრების სამი დღე ანუ ბოლო მონაცემებით საქართველოში...

ქალი-ლეგენდა: მადმუაზელ სევდას ბოჰემური ცხოვრება

რატომ ჩანდეს ანი გიუნტერის ფოტო შავ ჩარჩოში: „ეს მე ტელევიზიით შევიტყვე...“

ჩინელები საქართველოში

შეყვარებული უცხოტომელი, განაწყენებული ბატონი და... ბუმბერაზი მსახიობების ნაჩუქარი პერანგი

№7(18), 6-19 მაისი, 2005

ფასი 80 თეთრი

ალიბეგი

მართლმადიდებლური ჟურნალი

ნომრის თემა:
ჩვენი შვილები

ეს გამოგრჩეთ!

მარტოკაცი ტაძარს როგორ ავაშენებო?!

შური ყველაზე მეტად იმ ადამიანს აზიანებს, ვინც ამ ვნებას ატარებს

შენ კი რით მადლობ უფალს – ამ დიდი განძის სანაცვლოზე გადაგდებით?!

ნაბიჯი ჯეშმარიტებისაკენ

№18 (256)
5 - 11 მაისი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„აბრე ტაბილად, უდარდელად, რამ დაგაძინაო“ ანუ პოლიტიკური რეკლამები ახალქართულად 3
ერთი კითხვა 4, 6
სახელმწიფო
„იმ შემთხვევისთვის, თუ თანხები საკმარისი არ აღმოჩნდება...“ 5
ეკრანი
„უკვე სასურველი სასიძო ვარ, დიპლომიანი და ვმუშაობ“ 7
სახე
რატომ ჩასვეს ანი გიუნტერის ფოტო შავ ჩარჩოში: „ეს მე ტელევიზიით შევიტყვე...“ 9
მწერალი
„პიკია ეს, პიკნიკი თუ „პიკოვიტი“? ანუ როგორ ატ...ებს გაგა ბურჭულაძე 10
პრობლემა
ორი თვე ინკუბატორში ანუ დღენაკლულთა გადარჩენის გზები 12
კრიმინალი
- „ყინულზე დავცურდი და ტყვიაც უნებლიეთ ვისროლე“ 13
- „დანაშაული არ ვაღიარე, რადგან ასე აღვოკატმა მირჩია“ 15

ქალი საჭესთან
დაუვიწყარი „ნივა“, ტაოტიანი ხელები და ძმის ქორწილში მოგებული „გონკები“ 16
ჩემი თაობა
როგორ კენწლავდნენ ჯემალ ჭკუასელს თანასოფლელები და რატომ იყვნენ კომუნისტები აბდლები 18
გზავნილები
„6 სნაიპერს ჰყავდა მიგანში ამოღებული გულცივი „უფლისწული“... 20
პერსონა
ვლადიმერ გუცაევი: „ფეხბურთის ფედერაციას არ გააჩნია იმის საშუალება, ქირეს ამხელა ხელფასი უხადოს...“ 24
გემოვნება
ეკა ჩხეიძემ საქმროს რომანტიკული საქციელი ვერაფრით ჩაადენინა 26
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 28
თემა
როგორ ნაწილდება ოჯახის ბიუჯეტი და რას ნიშნავს საშუალო ფენა 28
საკითხავი ქალებისთვის
- ყველაფერს ვხედავ, ყველაფერი მესმის, მაგრამ... მიყვარხარ! 31

როგორ ნაწილდება ოჯახის ბიუჯეტი და რას ნიშნავს საშუალო ფენა

გსურთ იცოდეთ, რას ფიქრობს სახელმწიფო ცალკეული ოჯახის ბიუჯეტის საკითხზე? გიფიქრიათ იმაზე, თუ რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნებით?.. თუ ეს კითხვები თქვენთვის აქტუალურია, გამომყევით გზაზე, რომელიც თქვენთვის უცნობი ოჯახებიდან იწყება, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში გრძელდება და ისევ მკაცრ რეალობაში ინაცვლებს...

28

რატომ ჩასვეს ანი გიუნტერის ფოტო შავ ჩარჩოში

კიდევ ერთი გაუმართლებელი პროექტი – სერიალი „დიდი სახლი“ დაისურა... რატომ ჩასვა შალვა რამიშვილმა, ერთ დროს მისთვის საამაყო გოგონების სურათები შავ ჩარჩოში, გახდება თუ არა ანი პროფესიონალი მსახიობი და რატომ უყვარს მას კომპლექსიანი მამაკაცი? – ყოველივე ამაზე თავად მოგიყვებათ.

9

ორი თვე ინკუბატორში ანუ დღენაკლულთა გადარჩენის გზები

პაგარა მარიამი ქვეყანას 21 აპრილს მოევლინა, დაახლოებით 4 თვით ადრე, ვიდრე მის დაბადებას მშობლები ელოდნენ. ჩვილი, რომელიც მხოლოდ 900 გრამს იწონის და საქართველოში დღეს ყველაზე მსუბუქი ახალშობილია, სპეციალურ პირობებში განაგრძობს ზრდას.

12

„უკვე სასურველი სასიძო ვარ, დიპლომიანი და ვმუშაობ“

მიშა ანდღულაძის „ბულკივით ქმარი“ – ვანო ჯავახიშვილი ცხოვრებაშიც ისეთივე წყნარი და მორიდებული აღმოჩნდა, როგორადაც სკეტჩებში, ქმრის როლში გვევლინება. ეს – ერთი შეხედვით, თორემ თურმე თავიდანვე ეტყობოდა, კოჭებში, რაც გამოვიდოდა...

7

- თეთრი თიხა, ნიორი და ლიმონი – თქვენი თმის სიჯანსაღისთვის 32

ჯანმრთელობა

- ვინ უფრო სწრაფია – ბიჭი თუ გოგონა? 33
- გატეხილი გულის სინდრომი 34
- ბრალი ედება ნაფთალინს 34

ტაქარი

რა მნიშვნელობა აქვს სახლის კურთხევას? 35

დღესასწაული

რატომ იხსენიება აღდგომის მომდევნო კვირა სხვადასხვა სახელით 35

შთამომავლობა

ჩინეთიდან გამოქცეულმა 15 წლის იუხუსძემ კაჭრეთში ჩაუშვა ღუზა 36

სპორტული მოზაიკა 38

ფალავანი

ორთაბრძოლა დაუმარცხებელ იამასიტასთან და გატეხილი ნეკნით მოპოვებული ჩემპიონობა 38

რომანი

მიხეილ იაშვილი. მაქცია (გაგრძელება) 42

ქალი-ლეგენდა

მადმუაზელ სევდას ბოჰემური ცხოვრება 46

ავტო 49

ბედი კაცისა

„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს!“ 50

ვარსკვლავი

პაიპერ პერაბო – პროვინციელი გოგონა, რომელმაც ჰოლივუდის დაპყრობა შეძლო 52

ბომონდი 54

მოდა

ერთი გრძელი, მეორე ვიწრო, მოდის მიდი... და სხვა 56

პირველი პაემანი

„თუ გიყვარს, უნდა დაუთმო“ – კაცს ყველაფერი ეპატიება? 57

ასტროლოგია

- გოდიაქო და პროფესია 59
- თუ გინდათ, რომ ფული არასოდეს გამოგელიოთ... 59

ჰოროსკოპი

კვირის (5-11 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

კონსერვატორი ხართ თუ რადიკალი? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ჩინეთიდან გამოქცეულმა 15 წლის იუხუსძემ კაჭრეთში ჩაუშვა ღუზა

მარია იუფა ეროვნებით ჩინელი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილია. მამამისი ყმაწვილი ყოფილა, როცა აქ ჩამოსულა. ჩინელი ქალბატონი თავისი წარმომავლობით ამაყობს.... ის ხშირად ლაპარაკობს მამაზე. იგი მისთვის ნამდვილი იდეალია. თურმე, ამ კაცის საქართველოში ჩამოსვლა, რაღაც საიდუმლოს უკავშირდებოდა...

36

„ფეხბურთის ფედერაციას არ გააჩნია იმის საშუალება, ქირმეს ამხელა ხელფასი უნადოს...“

როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში „ნაციონალური მოძრაობის“ სიით მოხვედრილი ბატონი ვოვა, პარლამენტში ჯდომასა და კანონების მიღებას, საფეხბურთო ჩინოვნიკის რანგში ყოფნას ამჯობინებს. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ კარიერის დასრულების შემდეგ, ის ქართულ ფეხბურთს არ მოშორებია...

24

მადმუაზელ სევდას ბოჰემური ცხოვრება

მას მადმუაზელ სევდას სახელით მოიხსენიებდნენ. მაგრამ ფრანსუაზა საგანის ცხოვრებაში ამ გრძნობას ადგილი არ ჰქონდა. ის სვამდა ვისკის, იპყრობდა მამაკაცთა გულებს, ამსხვრევდა მანქანებს, მეგობრობდა მეამბოხე სულის ადამიანებთან და წერდა ყველაზე ლამაზ რომანებს სიყვარულზე...

46

მაქცია

მიხეილ იაშვილი

– მიაგდეთ, ძმებო, ეს ჩათლახი კუთხეში და აქეთ მოდით, კიდევ რაღაც უნდა გითხრათ, – ბრძანება გასცა გოგიმ.

ერთ-ერთმა, გიგის ფეხში ჩაავლო ხელი და კართან მიათრია. სხოლკა განახლდა.

– დღესვე მოაწყვეთ პრაგონი და ყველას აცნობეთ ამის არაქურდობის ამბავი...

42

„აგრე ტკბილად, უდარდელად, რამ დაგაძინა"

ანუ პოლიტიკური რეკლამები ახალქართულად...

კარგი პოლიტიკოსი, უპირველეს ყოვლისა, კარგი იდეოლოგი უნდა იყოს. ეს კი, რაც მართალია – მართალია, ნამდვილად გენში მოგვდგამს ქართველებს: ჯერ კიდევ სამამულო ომის დროს დახატა ქართველმა მხატვარმა „Родина-мать зовёт" და ისე გადარია საბჭოთა ჯარისკაცები, რომ დაავლეს საზღვარს ხელი და ბრესტიდან ბერლინში ჩაიტანეს. აი, რა შეუძლია იდეოლოგიას!..

მერე მშვიდობამ დაისადგურა და „იავნანა" იქცა იდეოლოგიურ ლოზუნგად: დაიძინე, გენაცვალეო – გვიმღეროდა მთავრობა და ჩვენც გვეძინა, რომ არც საჭმელი მოგვეთხოვა და არც კაი ცხოვრება; ვხედავდით ფერად-ფერად სიზმრებს და თავი ბედნიერ ცხადში გვეგონა.

ახლა სხვა იდეოლოგიის საჭიროება დადგა. ჰოდა, ჩვენი პოლიტიკის ცაზეც გამოჩნდა მერცხალა პრეზიდენტი, „ფარული კამერის" მთავარი გამღვიძებელივით რომ დაგვადგა თავზე და „ანტიიავნანა" გვიმღერა – „აგრე ტკბილად, უდარდელად" რამ დაგაძინათ, თქვე უპატრონოებო, დაგენგრათ ქვეყანა თავზე და გაიღვიძეთო... ჩვენც წამოვცვივდით, ხელში ვარდები დავიჭირეთ და სულ „ჰაუ-ჰაუს" ძახილით გავაგდეთ ძველი მთავრობის ქორები და ჭილყვავები.

ხელისუფლების მოპოვება მშიერი ხალხით, იცოცხლე, იოლია, მაგრამ ამავე მშიერი ხალხის ხელში ამ ხელისუფლების შენარჩუნებას ეხუმრებით თქვენ?! ამიტომ ახალი იდეოლოგიური ლოზუნგები გახდა საჭირო – კომუნისტებმა რომ იცოდნენ, ისეთი! ჰოდა, ამის ცოდნაც გამოამჟღავნა ჩვენმა მამა-მარჩენალმა და დასცხო პროპაგანდისტული რეკლამები, მარა რა დასცხო!.. ტელევიზორს რომ ჩართავ, ენა როგორ მოგიბრუნდება მთავრობაზე აუგის სათქმელად?! ისე, მართლა კარგია: „ასლან, შენ არა ხარ აჭარა!.." სხვებზეც ხომ შეიძლება, მაგალითად, „გილაურო, შენ არა ხარ 220 ვოლტი!" ან „მორჩილაძევ, შენ არა ხარ თბილგაზი" და ა.შ. მოკლედ, აღტყინებული უსმენ „თავისუფლება ლომთა ხვედრიას" და შენც ღრიალებ, ბდღვინავ ლომივით...

ახლა მეორე პროპაგანდისტული რეკლამაც ავიღოთ, ისე შეგვაყვარებს სამხედრო სამსახურს, რომ თავმოყვარე კაცი მიატოვებ ყველაფერს და უახლოეს ყაზარმაში „ცვითავ თავს". რატომაც არა?! საჭმელ-სასმელი და ჩასაცმელ-დასახური მუქთაა; სისუფთავე და კომფორტი – გაიხარე; სწავლა გინდა – ინგლისური და კომპიუტერიც იქვე ყოფილა. ასე რომ, მალე მთელი საქართველო ფარაჯას ჩაიცვამს, მაგრამ ერთი რამ მიკვირს: იმ კომბლეს ხომ არ ვგავართ, „ორი ცხვარი" კარგა ხანია უკვე, რომ წაართვეს და შეუჭამეს. ჩვენ კი ვთლით ამ კომბლებს და ჭერში ვაწყობთ. რა თავში სახლელად გვინდა ეს კომბლები, როცა ძალიან კარგად ვიცით, რომელი „მტაცებელ-მეზობლის კბილებშია ის ჩიჩია", მაგრამ მაინც ვამბობთ, მშვიდობიანი მოლაპარაკების მომხრენი ვართო...

კიდევ ერთი იდეოლოგიური რეკლამაა, ნამუსზე რომ აგაგდებს კაცს: გადაიხადე გადასახადები, თორემ ხვალ არც მე ვიქნები და არც შენო... შენი არ ვიცი და მე ყველაფერი თუ გადავიხადე (ჯერ საკითხავია, რით), ხვალამდე მართლა ვერ გავატან სულს...

კაი, ბატონო, მივალ მეზობელთან და ვესესხები, მაგრამ იმ საცოდავმა თავისი თუ გადაიხადა, ჩემთვის მოსაცემი საიდანღა დარჩება?! ამიტომ, ჭკუას რომ მარიგებ ტელევიზორიდან – შენი გადახდილი ფულით მე ხელფასს ვიღებ სახელმწიფო სამსახურშიო, – სადაური წესია?! სახელმწიფო სამსახურში შენ დაიჯგიმები და ხელფასი მე გადავიხადო?! არ აგიდგა გვერდები! მომეცი ფული და გადაგიხდი... არ მომცემ და, მიძახე რამდენიც გინდა, შენი გადახდილი ფულით ჩვენ ვხვდებით ბუშსო... ისე, სტუმრის დახვედრის სამზადისს რომ ვუყურებ, ბრეჟნევის ჩამოსვლა მახსენდება... მაინც კარგია, რომ ჩამოდის: პირველად მოდის ოჯახში და ხელცარიელი ხომ არ მოვა!..

P.S. სამსახურიდან მოსული ქმარი ცოლს შეეხმიანა:

– რა გვაქვს ვახშმად?

– არაფერი.

– რატომ? ხომ დაგიტოვე დილით ფული, ბუტერბროდები დამახვედრე-მეთქი?!

– იმ ფულით გადასახადები გადავიხადე და „ქვითარ-ბროდები" მოგიმზადე.

– ეგ რაღაა?

– იღებ სამი დღის პურის თხელ ნაჭერს და ზემოდან ადებ დენის ქვითარს, მერე გაზის ქვითარს, უმატებ წყლის ქვითარს გემოვნებით და მიირთმევ მომავალ ხელფასამდე.

პროვოკატორი

„ჩვენ მესამეხარისხოვანი ქვეყანა არ ვართ“

— საქართველოში აკრედიტებული საკონსულოებისა და საელჩოების წარმომადგენლებს ჩვენი მოქალაქეები უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ. ეს პრობლემა წლების განმავლობაში აქტუალური რჩება, მაგრამ ხელისუფლება სათანადო ზომების მიღებას არ ჩქარობს...

ბესო ჯულელი, *ფრაქცია „მაჟორიტარის“ თავმჯდომარე:*

— პარლამენტმა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა, შეისწავლოს საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებში ვიზების გაცემასთან დაკავშირებით შექმნილი მძიმე ვითარება. ამ დადგენილების შესაბამისად, არსებული პრობლემა საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობათა დონეზე უნდა გადაწყდეს. თქვენ რომ ნახოთ, რა ხდება საელჩოებში, საზღვარგარეთ წასვლის მსურველი ადამიანები გულწრფელად შეგეცოდებათ. ეს მათი ღირსებისა და უფლებების შელახვის უმაღლესი გამოვლინებაა. საკონსულოებში მისულ ადამიანებს დილის 6 საათიდან, მეორე დილამდე ხმის ამოუღებლად ფეხზე დგომა უწევთ. მათ პასუხსაც კი არავინ გასცემს, როდის მიაღწევენ დანიშნულების ადგილამდე. ჩვენს მოქალაქეებს ძირითადად, დაცვის წარმომადგენლებთან საუბარი შეუძლიათ, რადგან საელჩოს თანამშრომლები პასუხის ღირსადაც არ თვლიან. ხომ შეიძლება, ეს ყველაფერი უფრო ცივილიზებული ფორმით გაკეთდეს!.. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა საფრანგეთის, ისრაელის, ამერიკის საელჩოებთან. ამ დადგენილებით, ჩვენ მსოფლიოს ვაგრძნობინებთ, რომ არ ვართ მესამეხარისხოვანი ქვეყანა და ვალდებული არიან, საქართველოს მოქალაქეებს ღირსეულად მოექცნენ. უცხოეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების გამწვავებას არ ვაპირებთ, მაგრამ ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ სავიზო მომსახურება კორექტული გახდეს. ■

საქართველო ენერგოდამოუკიდებლობისთვის იბრძვის

— ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ექსპლუატაციისთვის მზად არის, შაჰ-დენიზის პროექტიც მალე ამუშავდება. კონკრეტულად რა თანხებს მიიღებს საქართველო მომდინარე წლიდან?

ნიკა გილაური, *ენერგეტიკის მინისტრი:*

— ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებით, საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოთაშორისი კომისია ბაქოში შეიკრიბა. შეხვედრას ესწრებოდა, აშშ-ის პრეზიდენტის წარმომადგენელი სტივენ მანიც. ყველა მხარემ დაადასტურა, რომ ნავთობის გამოსაშვებად მზად არიან. დადგენილია, რომ ბაქოდან ნავთობის გამოშვება 25 მაისს დაიწყება და ნოემბერში, თურქეთიდან გავა. საქართველო გატარების საფასურს ყოველწლიურად მიიღებს. ნავთობი წლეულსვე გაივლის, თანხა კი, მომავალი წლიდან გადმოირიცხება. ნავთობის გატარების საფასური თანდათან მოიმატებს და ეს თანხა დაახლოებით 50 მლნ დოლარს მიაღწევს. გადმორიცხული თანხის ოდენობა გატარებული ნავთობის ოდენობაზე იქნება დამოკიდებული. რაც შეეხება შაჰ-დენიზს — ამ პროექტით გაზის გატარება 2006 წლის ოქტომბერში დაიწყება. თუმცა, ამ შემთხვევაში, გატარების საფასური არცთუ ისე დიდი იქნება. 2010 წლისთვის, ამ პროექტიდან საქართველოს 800 მილიონი კუბ/მეტრი გაზი ექნება, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ საქართველოს, ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, უკვე 4-5 მლრდ კუბ/მეტრი დასჭირდება. პრობლემა იმაშია, რომ ამ პროექტში საქართველო, როგორც დერეფანი, ისეა დაფიქსირებული. ხომ შეიძლებოდა, კონტრაქტში საქართველოც ერთ-ერთი მყიდველი ქვეყნის სტატუსით გაფორმებულიყო! ამას გატარების წილიც დაემატებოდა და შაჰ-დენიზი ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი პროექტი იქნებოდა. დღეს, როცა კონტრაქტი გაფორმებულია და ფაქტობრივად, მშენებლობა დამთავრებულია, ძნელია, ვცადოთ პირობების შეცვლა და უფრო მეტის მიღება მოვითხოვოთ. მაგრამ არსებობს დამატებითი ვარიანტები ლავირებისთვის, რამაც გაზის მოწოდების ოდენობა უნდა გაზარდოს. ეს ჩვენი სახელმწიფოს ენერგოდამოუკიდებლობისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ■

რას ჩამოგვიტანს ბუში?

— როგორც ამბობენ, ამერიკის პრეზიდენტი საქართველოში არ ჩამოვიდოდა, ყველაზე პრობლემატური საკითხები გადაწყვეტილების ზღვრამდე რომ არ იყოს მისული. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბუში საქართველოში რუსეთის გავლით მოდის...

დავით უსუფაშვილი, *რესპუბლიკური პარტიის ლიდერი:*

— ბუშის ვიზიტის მომზადებასთან დაკავშირებით, სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს და მხოლოდ შენობების შეღებვით და გზების მოასფალტებით არავინ იფარგლება. რეალური მზადება დიპლომატიური არხებით ყოველწუთიერად, ყოველწამიერად მიმდინარეობს. ბუშის ჩამოსვლის შემდეგ, ბევრი საკითხი გადაიჭრება, ცალკეულ თემებს კი სერიოზული, ლოგიკური გაგრძელება მოჰყვება. საერთოდ, თუ გარკვეული პრობლემების გადაჭრა ქვეყანაში ლოგიკურ ფინალს არ უახლოვდება, როგორც წესი, ამერიკის პრეზიდენტი იმ ქვეყანაში არ ჩადის. როგორც ჩანს, ბაზების საკითხი ბუშის ვიზიტის დროს მოგვარებული იქნება ან ვადებზე შეთანხმება იქნება მიღწეული. არც ამერიკელი დიპლომატების აფხაზეთში ვიზიტი იყო შემთხვევითი. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საქართველოსთვის პირველხარისხოვანი ამოცანაა და ამერიკამ ამ პრობლემის მშვიდობიანად მოგვარებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს. განსახილველ თემათა შორის იქნება ენერგომატარებლებისა და გაზის ტრანსპორტირების საკითხები... ამ ვიზიტის რეალურ შედეგებს თვალნათლივ დავინახავთ, მათი წინაპირობა უკვე სახეზეა. ■

სტიქია, რომელიც საქართველოს რეგიონებს უკანასკნელ ხანს დაატყდა თავს ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა, მის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი კი უკვე ათეულ მილიონობით ლარს აჭარბებს. ჯერჯერობით, რიცხვებში მეტი სიცხადის შეტანა ვერ ხერხდება, რადგან მთავრობა ზარალს ჯერ კიდევ ითვლის. უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა თავს დაუმეწყრავ სოფლებს აფარებს და გამოდარებასავით ელოდება ხელისუფლების მიერ დაპირებულ დახმარებას. მთავრობის წევრებიდან თითქმის აღარავინ დარჩა, ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს სტიქიური უბედურების ზონა. თუმცა მათ მიერ გაწეული დახმარება ჯერ საალდგომო კვერცხსა და მოსახლეობაში შეგროვებულ სამოსს არ გასცილებია. რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით იმ 500-500 ლარს, რომელიც ქუთაისის მუნიციპალიტეტმა რამდენიმე დაზარალებულ ოჯახს გადასცა. უკვე ცნობილია, რომ საქართველოს დახმარების ხელი უცხოელმა მეგობრებმა გამოგვიწოდეს. მაგალითად, გერმანელები 50 ათას ევროს დაგვპირდნენ, ამერიკელებმა ამდენივე დოლარის გამოყოფა გადაწყვიტეს, ხოლო ჩინეთი 10 ათასი დოლარით დაგვეხმარება. რას გაიღებს დაზარალებულთათვის თავად ჩვენი სახელმწიფო და როგორ მოხდება შეგროვებული თანხების განკარგვა, ამის გარკვევას საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შევეცადეთ.

„იმ შემთხვევისთვის, თუ თანხები საკმარისი არ აღმოჩნდება...“

ემა ტუხიაშვილი

ლაშა გოცირიძე, *ფინანსთა მინისტრის მოადგილე:*

— უკვე მომზადებულია ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, რომელიც გულისხმობს 20 მილიონი ლარის გამოყოფას სტიქიის ზონებში სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. უფრო კონკრეტულად გეტყვით, რომ 15 მილიონი ლარი დაიხარჯება გზების შესაკეთებლად, ხიდების აღსადგენად და სხვა სახის კომუნიკაციების სარეაბილიტაციოდ, ხოლო დანარჩენი 5 მილიონით გაიზრდება მთავრობის სარეზერვო ფონდი და ამ თანხების განკარგვა მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც განისაზღვრება ზარალის ზუსტი რაოდენობა, მთავრობა ჩამოაყალიბებს დახმარების კონკრეტულ გეგმას, თუ ვის მიეცემა ფულადი კომპენსაცია, ვისთვის კი ხელისუფლება თავად შეიძენს სახლს და ა.შ.

— ის მაინც თუ არის ცნობილი, თუნდაც სავარაუდოდ, როდის დასრულდება მატერიალური ზარალის აღნუსხვა?

— ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და რაიონების ხელმძღვანელობაც დაინტერესებულნი არიან, რომ რაც შეიძლება მალე შეფასდეს ზარალი და დაისახოს სარეაბილიტაციო ღონისძიებათა გეგმა. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში წარმოადგინონ მათთვის საჭირო დახმარების პროგრამა.

— ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით გაიხსნა ანგარიში, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, მატერიალური მხარდაჭერა გამოხატოს დაზარალებული რეგიონების მიმართ. შეგიძლიათ გვითხრათ, რა თანხებია უკვე შემოსული ანგარიშზე?

— ანგარიში ეროვნულ ხაზინაში დაახლოებით ერთი კვირის წინ გაიხსნა, მაგრამ მოგეხსენებათ, ბოლო რამდენიმე დღე უქმე იყო, ამიტომ პირველი თანხების ჩარიცხვას ამ კვირაში უნდა ველოდეთ.

— ეი. ანგარიშზე ჯერ ერთი ლარიც არ დევს?

— დიახ, ასეა, თუმცა, ჰუმანიტარული დახმარება აღმოგვიჩინეს ნორვეგიელებმა (ან დანიელებმა, ზუსტად არ მახსოვს) — გამოგვიგზავნეს წყლის საქაჩი ტუმბოები. ახლახან გახდა ცნობილი, რომ ფულად დახმარებას გეგმავს აზერბაიჯანის რესპუბლიკა, წინასწარი მონაცემებით — 100 ათას დოლარამდე თანხას. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ სტიქიას გამოეხმაურა, გერმანია გახლდათ, თუმცა უქმეები ამ შემთხვევაშიც ხელის შემშლელი აღმოჩნდა, იმისთვის, რომ ფულადი დახმარება ხაზინის ანგარიშზე გადმოერიცხათ. ვფიქრობთ, რომ დახმარების ხელს გამოგვიწვდის ყველა ჩვენი მეგობარი ქვეყანა. გარდა ამისა, ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ მსოფლიო ბანკი გადაუდებელი დახმარების ფარგლებში, გარკვეულ თანხას გამონახავს საქართველოში სტიქიური ზონების სარეაბილიტაციოდ.

— ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია, რომ ზარალის საერთო რაოდენობაზე საუბარი გიჭირთ, მაგრამ იმის განსაზღვრა მაინც ხომ შესაძლებელია, თუ რა თანხით უნდა დაეხმაროთ ოჯახს, რომელიც ფაქტობრივად, ცარიელტარიელი დარჩა?

— თანხებზე საუბარი ჯერ ძალიან ნაადრევია, რადგან არ არის გამორიცხული, რომ ასეთ ოჯახებს თავად შევუძინოთ სახლები იმავე ან საქართველოს სხვა რეგიონებში. აღნიშნული პროცესი განხორციელდება ეკომიგრაციის პროგრამის ფარგლებში, რომელიც უკვე არის გათვალისწინებული 2005 წლის ბიუჯეტში და 2 მილიონი ლარის დახარჯვას გულისხმობს.

— თუ იზრუნებს სამომავლოდ სახელმწიფო იმ ღონისძიებების დაფინანსებაზე, რითიც სტიქიისგან თავის დაცვა და მას-



თან გამკლავება უნდა მოხერხდეს?

— შემიძლია გითხრათ, რომ დამატებითი თანხები იქნება გათვალისწინებული გარემოს დაცვის სამინისტროს და საგზაო დეპარტამენტის დაფინანსებაში, რათა მოხდეს, როგორც ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, ასევე გეოდეზიური კვლევების ჩატარება, რათა შემდგომში უფრო მომზადებულნი შევხვდეთ მსგავს პრობლემას.

— იმ შემთხვევისთვის, თუ თანხები, რომელთა მობილიზებასაც გეგმავთ, ზარალის დასაფარავად საკმარისი არ აღმოჩნდება, რა რეზერვებიდან მოხდება დეფიციტის შევსება?

— მოგეხსენებათ, რომ რესურსები ყოველთვის შეზღუდულია. იმ შემთხვევისთვის, თუ თანხები საკმარისი არ აღმოჩნდება, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების კიდევ უფრო ეფექტური მუშაობა იქნება საჭირო, რათა ბიუჯეტში გაცილებით მეტი სახსრების მობილიზება შევძლოთ.

P.S. ნომერი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც ფინანსთა სამინისტროდან გვაცნობეს, რომ სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე აზერბაიჯანის მთავრობამ, მილიმეჯლისის გადაწყვეტილებით, 100 ათასი დოლარი ჩარიცხა. ■



რუსების კომპრომისს 9 მაისს გაუვა ვადა?..

— რუსული მხარე ბაზების გაყვანის სამწლიან ვადაზე ისე დათანხმდა, რომ ფინანსური კომპენსაციაც არ უხსენებია. რა იყო ამ კომპრომისის მიზეზი და რაზე ისაუბრებენ სააკაშვილი და პუტინი 9 მაისს დაგეგმილ შეხვედრაზე?

სალომე ზურაბიშვილი, *საგარეო საქმეთა მინისტრი:*

— ვფიქრობ, რუსეთი მიხვდა, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან მუდმივი კონფრონტაცია მისთვის უარესი შედეგის მომტანია. ქართული საზოგადოების გაღიზიანებაც კულმინაციას უახლოვდებოდა. ამას დაერთო პარლამენტის პრინციპული გადაწყვეტილება ბაზების გაყვანის საკითხთან დაკავშირებით, ბუშის ვიზიტის მოლოდინი და აშშ-სა და რუსეთს შორის მოლაპარაკებები, სადაც საქართველოს პრობლემატიკა მუდმივად წინა პლანზეა წამოწეული. საბოლოო ჯამში, ამ წინმსწრებმა პროცესებმა განაპირობა ის, რომ რუსები ბაზების გასაყვანად, 15 წლის ნაცვლად, 3 წელს ითხოვენ და აღარც 500 მილიონის გადახდაზე ლაპარაკობენ... თუმცა შეიძლება, გარკვეული ჯგუფები 9 მაისამდე, პრობლემების შექმნას ერიდებიან და შემდეგ სცადონ, მიღწეული შეთანხმების ჩაშლა. მაგრამ ის დადებითი სიგნალები, რომლებიც მოსკოვიდან მოდის, იმედს მაძლევს, რომ პროვოკაციები აღარ იქნება. შეხვედრისას სააკაშვილი და პუტინი ბაზების საკითხზე ისაუბრებენ. განიხილავენ კონფლიქტების დარეგულირების, ანტიტერორისტული ცენტრის შექმნისა და სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხებს. ■

„აფხაზებს ინტერესებთ, რა ხდება საქართველოში“

— ბრიტანეთში გამართულ ქართულ-აფხაზურ სემინარზე, რომელსაც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები, კერძო პირების სტატუსით ესწრებოდნენ, თუ იყო საუბარი მოსკოვში სააკაშვილის, პუტინისა და ბაგაფშის პირისპირ შეხვედრაზე?

პაატა ზაქარეიშვილი, *პოლიტოლოგი:*

— მე, როგორც ამ სემინარის ერთ-ერთი მონაწილე, დავრწმუნდი, რომ აფხაზებს სტატუს კვოს შენარჩუნება არ უნდათ და ქართული მხარისგან, თანამშრომლობის ინიციატივას ელიან. აფხაზები შეხვედრისას მხოლოდ დადებით კონტექსტზე ლაპარაკობდნენ და ხაზს უსვამდნენ ჩვენ მიერ მათ არჩევნებში ჩაურევლობას. აფხაზებს აინტერესებთ, რა ხდება საქართველოში. ამ ეტაპზე, თუ ჩვენი ხელისუფლება აგრესიას არ გამოიჩენს და ყურადღებას სამშვიდობო პროცესზე გადაიტანს, ეს მნიშვნელოვან შედეგს გამოიღებს. სწორედ ამიტომ, ბაგაფშისა და სააკაშვილის პირისპირ შეხვედრა, გაცნობა, დაახლოება აუცილებელია. ისინი მხოლოდ ტელევიზიის საშუალებით არ უნდა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. საქართველოს პრეზიდენტი არ უნდა გაჯიუტდეს და არ უნდა წაუყენოს ულტიმატუმი, რომ თბილისის გარდა, მათი შეხვედრა სხვა ტერიტორიაზე არ შედგება. მოსკოვში შესაძლებელია, პუტინმა თავისთან ბაგაფში და კოკოითიც დაიბაროს. არ არის გამორიცხული, ბუშისა და პუტინის გარიგების შედეგად, სააკაშვილის, კოკოითისა და ბაგაფშის შეხვედრაც შედგეს... თუმცა, სააკაშვილი მათთან კონტაქტზე გასვლას აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტის გარეშეც უნდა ცდილობდეს. დარწმუნებული ვარ, დე ფაქტო ლიდერები მის ინიციატივას ელოდებიან. ■

მიშა ანდღულაძის „ბულკივით ქმარი“ — ვანო ჯავახიშვილი ცხოვრებაშიც ისეთივე წყნარი და მორიდებული აღმოჩნდა, როგორადაც სკეტჩებში, ქმრის როლში გვევლინება. ეს — ერთი შეხედვით, თორემ თურმე თავიდანვე ეტყობოდა, კოჭებში, რაც გამოვიდოდა: „პატარაობიდანვე ონავარი და „უბედურის ერთი“ ბავშვი ვიყავიო“, — მითხრა.

„ოჯახ სასურველი სასიძო ვარ, დიპლომიანი და ქმუშაობ“

ნინო ჯავახიშვილი

— გაკვეთილზე ისეთ რაღაცებს ვამბობდი, რომ კლასელებს ვაცინებდი, მასწავლებლებს კი ნერვებს ვუშლიდი. გაგდებასაც ვერ მიბედავდნენ, რადგან ძალიან ნიჭიერი ვიყავი და კარგად ვსწავლობდი. რუსულის მასწავლებელი გვყავდა, წივილ-კივილით იკლებდა იქაურობას. რომ აკივლდებოდა გაკვეთილზე, მე ვამშვიდებდი — დაწყნარდით, ქალბატონო, რა მოგივიდათ, რა მოხდა... უფრო ბრაზდებოდა ხოლმე..

— **შენზე და შენს ოჯახზე გვითხარი რამე?**

— გურჯაანში დავიბადე, დედა მყავს კახელი — ჩეკურიშვილი, წარმოშობით მცხეთის რაიონიდან ვართ, სოფელ სასხორიდან. პატარა სოფელია, ნიჩბისა და ძეგვს შორის. სკოლა თბილისში დავამთავრე და ამაჟამად ოჯახთან — დედასთან, ძმასთან და რძალთან ერთად ვცხოვრობ. 23 წლის ვარ და ჯერ-ჯერობით დაოჯახებას არ ვაპირებ.

— **სიყვარულისთვის დრო აღარ გრჩება თუ რაშია საქმე?**

— სიყვარულისთვის კი მრჩება დრო, მაგრამ ოჯახის შესაქმნელად ჯერ არ მცალია. ახლა რომ შევქმნა ოჯახი, დიდი შეცდომა იქნება.

— **რატომ, ხელფასი არ გეყოფა ოჯახის სარჩენად?**

— სხვათა შორის, იმდენი ხელფასი მაქვს, რომ ჩემთვისაც მყოფნის და ოჯახსაც ვეხმარები...

— **აბა, რაშია საქმე, ჯერ დიპლომი არ აგიღია, სასიმამროს თავი რომ მოაწონო?**

— რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მათემატიკოსი ვარ. ტექნიკური საგნები მიყვარდა და უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე, მაგრამ მალე ამ გზას გადავუხვიე, „კავეენმა“ გადამძლია და ამის გამო უნივერსიტეტში პრობლემებიც შემექმნა, მაგრამ მოვაგვარე და როგორც იქნა, დიპლომიც ავიღე. მოკლედ, უკვე სასურველი სასიძო ვარ — დიპლომიანი. ვმუშაობ, სხვა რაღა ვქნა?

— **რა ვიცი, მიშა კი გემდურება...**

— რაო, რატომ მემდურება?

— **სულ უკმაყოფილოა შენით...**

— *(შეშფოთებულია)* კი, მაგრამ ვინ თქვა?

— **ვანო, სკეტჩებს ვგულისხმობ...**

— აა, ჰოო... ისეთი ქმარი ნამდვილად არ ვიქნები, როგორიც სკეტჩებში ვარ, პირობას ვდებ, უფრო ჭკვიანი და განათლებული ვიქნები. ისეთი ქმრის როლს ვასახიერებ, რომელიც თავის სიმაღლეზე ვერ დგას. ყველანაირად ვეცდები, ჩემს ოჯახში მსგავს სიტუაციას ადგილი არ ჰქონდეს. სკეტჩში კი კარგი ტიპაჟია, მაგრამ ცხოვრებაში — ასეთი რომ ვიყო, რაღაც არა მგონია. „ე.ი. უნდა ვინერვიულო-მეთქი“, — არ ვიტყვი, პირდაპირ ვინერვიულებ.

— **თვითონ მიშას როგორ მოსწონს „მამალი“ ცოლის ამპლუაში ყოფნა? როლში ხომ არ შედის ხოლმე?**

— როდესაც ჩვეულებრივ ვსაუბრობთ, ზოგჯერ მართლაც ცოლ-ქმრის როლში შევდივართ — გვგონია, რომ მართლა ერთად უნდა ვიცხოვროთ. სანამ ტელეეთერში გავაკეთებდით ამ დუეტს, მანამდე „კავეენში“ გვქონდა ასეთი სკეტჩები, მაგრამ რატომღაც მხოლოდ უნივერსიტეტში იგებდნენ ჩვენს ხუმრობას, ფილარმონიაში — ვერა. ერთხელ მიშას ვუთხარი — ნეტავ, როდის მოვა ის დრო, როცა ჩვენს გაკეთებულ იუმორს ხალხი გაიგებს-მეთქი. ის დროც დადგა. ალბათ სახეებს შეჩვევა უნდა, მაყურებელს ეგრევე ტიპაჟები არ უნდა „აჯახო“. ჯერ კლასიკური იუმორი უნდა შესთავაზო და მერე თანდათანობით, ტიპაჟებსაც აღიქვამენ. რამდენიმე ახალი პერსონაჟი გვყავს იდეაში, შეიძლება მიშა მოხუცის როლში მოგევლინოთ.

— **რა გზა გაიარე იქამდე, ვიდრე ტელევიზიაში მოხვდებოდი?**

— უნივერსიტეტში მეგობარმა შემომთავაზა, ჩვენს ფაკულტეტს გონებამახვილთა და საზრიანთა გუნდი ჰყავს და ჩვენც გავერთიანდეთო. ნიკა გრიგოლია იქ გავიცანი, თავიდან ოცდახუთნი ვიყავით, ბოლოს კი სამნიღა დავრჩით — მე, ნიკა და ირაკლი ცქიტიშვილი, ვინც ახლა ფარულ კამერებს ამონტაჟებს. გუნდი უნივერსიტეტის სამგზის ჩემპიონი გახდა. მიშაც მაშინ გავიცანი, ოღონდ ის სხვა გუნდში იყო. შარშანწინ დათო გოგიჩაიშვილმა მონოლოგების ფესტივალი ჩაატარა. დათოს მე და მიშა მოვეწონეთ და სცენარისტებად აგვიყვანა. ვწერდით ხუმრობებს, ვეძებდით ჰედლაინებს. ახლა კი „შაბათის შოუში“ მსახიობობითაც დავკავდით.

— **რამდენად რთულია ხუმრობების მოგონება?**

— ამერიკული გადაცემა უფრო ტემპიანია, იქაური მაყურებელი — ნაკლებად პრეტენზიული. ჩვენი მაყურებელი კი იმ განწყობით გიყურებს — აბა, ერთი ვნახოთ, რით გაგვაცინებთო. ზუსტად უნდა გათვალო, ხალხს როგორი ხუმრობა მიაწოდო, რა მოეწონება და რაზე გაიცინებს. ხშირად მეუბნებიან ვიღაცები — ეს ბიჭი წაიყვანე, მაგრად ღადაობსო. ასე, გურიაში ყოველი მეორე კაცი მაგრად ღადაობს. სცენარისტობა — ხუმრობის წერა, იუმორის კეთება კი ძალზე რთულია.

— **იმიტომაც არის, რომ ზოგიერთი ხუმრობა...**

— არ ვარგა, არა? ზოჯერ ისეც ხდება, რომ არ იცი, რაზე უნდა გაიცინო, მაგრამ რა ვქნათ? შეიძლება, უცებ „გადაგეკეტოს“ გონება და ვეღარაფერი მოიფიქრო.

— **მსახიობობაზე რაღას იტყვი?**

— მსახიობური ნიჭით თავიდანვე გამოვირჩეოდი და ამიტომ დედა მეუბნებოდა, სამსახიობოზე უნდა ჩაგაბარებინოო. კარგი ვქენი, უნივერსიტეტში

რომ ჩავბარე. თეატრალური ინსტიტუტი რომ დამემთავრებინა, არც აქ ვიქნებოდი და არც იუმორს გავაკეთებდი. იუმორი რომ წერო, „კავეენის“ სკოლა უნდა გაიარო.

— ვანო, რომელმა როლმა გაგხადა პოპულარული და შენ თვითონ რომელი უფრო გიყვარს?

— ინკასატორის როლმა და რა თქმა უნდა, ქმრის როლმა, რომელიც უფრო მომწონს.

— ისე მოგწონს, რომ მგონი, მალე მხოლოდ როლს აღარ დასჯერდები...

— არა, ხომ გითხარი, ჯერ არ ვაპირებ ცოლის მოყვანას-მეთქი. ისე, ჩემი თურქული სპორტულები და მიშას ხალათიც ძალიან მომწონს.

— პოპულარობა თუ გსიამოვნებს?

— ზოგჯერ ვღიზიანდები, როდესაც ხმამაღლა გამოხატავენ თავიანთ ემოციებს და რაღაცებს ყვირიან. ნახე, ნახე „შაბათის შოუმ“ გაიარაო, — იტყვიან ხოლმე. ბავშვებმა თუ დამინახეს, მორჩა, წასულია ჩემი საქმე... ამას წინათ, ფილარმონიაში, „იუმორინაზე“, ვიყავი. ერთი ქალი მომიახლოვდა — თუ შეიძლება, ცოტა ხნით აქეთ მობრძანდითო. კი, ბატონო-მეთქი. ძალიან გთხოვთ, ჩემს შვილს აკოცეთო — გადავეხვიე და ვაკოცე. ისეთი ბედნიერები წავიდნენ, მეტი არ შეიძლება. ავტოგრაფებსაც მთხოვენ ხოლმე. ზოგი ქუჩაში მაჩერებს, ხელს ჩამომართმევს და მიდის, ამით ყველაფერი ნათქვამია. ხანში შესული ქალბატონებიც კი მაჩერებენ. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს, უფროსი თაობის ხალხს ჩვენი იუმორი რომ მოსწონს, ბებიაჩემიც კი დიდი ინტერესით ელოდება ყველა გადაცემას. მიხარია, რომ ჩვენი ფრაზები ხალხმა აიტაცა. „ვაკეს“ მგონი აღარავინ ამბობს — „ვეიკია“ უკვე. თუ სვეტი ხარ, უნდა თქვა „ვეიკში“ მივდივარო და თუ „ვაკე“ თქვი, ძაან გოიმი ხარ! მიხარია, ჩვენი აგორებული ფრაზებით ხალხი რომ ხალისობს.

— ხალხი კი ხალისობს, მაგრამ ჟურნალისტებს რას გვერჩოდით, რედაქტორისთვის მასალა ვეღარ მოგვიწონებია — ინტრიგა, ინტრიგაო, — გვეუბნება...

— ჩემნაირი ჟურნალისტები ხომ არ გყავთ რედაქციაში? არ გვეგონა თუ ეს სკეტჩი ასე გაამართლებდა. რეპეტიციაზე სულ სხვანაირი იყო. ვასოს ვუთხარით — სკეტჩი შენზეა დამოკიდებული, უნდა გამოხვიდე და ითამაშო-თქო. მართლაც, ვასომ „გაჩაქა“ მთლიანი სკეტჩი. სცენარში არ იყო „ინტრიგა, ინტრიგა“ და ჟესტი, რამაც ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა. ბევრი ხუმრობა იქვე, ჩაწერის დროს მოგვიფიქრებია, შეზღუდულები არ ვართ.

„ვაკეს“ მგონი აღარავინ ამბობს — „ვეიკია“ უკვე...

— გოგიჩაიშვილი არ გაკონტროლებთ?

— სრულ თავისუფლებას გვანიჭებს — რაც გინდათ, გააკეთეთო...

— თუ ეთანხმები გამოთქმას — „მხოლოდ სევდიანებმა იციან მხიარულების ფასი“?

— ე.ი. ვარ თუ არ სევდიანი? სევდიანი არა, მაგრამ ცხოვრებაში ბევრად უფრო მშვიდი და წყნარი ვარ. ისე ვიღლები სამუშაოთი, რომ ხუმრობისთვის აღარ მცხელა ხოლმე. მეგობრებს რომ ვხვდები, ვაფრთხილებ, სამსახურზე არაფერი მკითხოთ-მეთქი.

— რომელი ხუმრობა უფრო გიყვარს?

— ასეთი ძალიან ბევრია. საერთოდ, უცნაური ხუმრობები მომწონს, ისეთი ხალხს პირს რომ დააღებინებს და დაშოკავს. მაგალითად, ასეთი უცნაური ხუმრობა — გუშინ კომპრომისზე რომ უნდა წავსულიყავით, რატომ არ წამოხვედი? კი, მაგრამ ვინ მითხრა? აი, ასეთი სულელური ხუმრობა გვქონდა. ერთი ჩვენი ხუმრობა ანეკდოტადაც დადიოდა — ჩემს უბანში კაცი დადის და ის არა აქვსო. ეგ რა არის, ჩემს უბანში ის დადის და კაცი არა აქვსო...

— ეს მარტო შენ მოიფიქრე თუ ყველამ ერთად?

— *(იცინის)* არა, ყველამ ერთად არა, ნიკას მოფიქრებულია. მონოლოგებში მქონდა ასეთი ხუმრობა — ჩემმა ცოლმა მუშაობა დაიწყოო. სად დაიწყოო? ამბობს — ბორდელში დავიწყე და ისე ღმერთმა იცის, სად დადისო. ერთი ხუმრობა მომწონდა კიდევ, თამუნა ამონაშვილზე — ძალიან ნაწყენი ვარ თამუნა ამონაშვილზე, იუბილე ისე გადაიხადა, ერთი სიტყვითაც არ მითხრა, არადა, ცხონებული ბებიაჩემის ქორწილში კარგად შლიდა ხელებსო. თამუნას წლოვანება ხომ დაუდგენელია... ამ ხუმრობაზე დარბაზი დაინგრა.

— ვანო, „რადიო 105“-ში დიდი ხანია მუშაობ?

— მე და მიშა უკვე სამი წელია, რაც აქ ვმუშაობთ სცენარისტებად. რეკლამებს და სასაცილო არტებს ვაკეთებთ. კვირაში ორი დღე მოვდივართ და ბევრი სამუშაო არ გვაქვს. მინდა, ეს რადიოც შეუყვარდეს მსმენელს და მოუსმინონ.

— ამ ბოლო დროს პარასკევს „ღამის შოუს“ შემდეგ „შაბათის შოუდან“ საუკეთესო სკეტჩებს აჩვენებთ ხოლმე. ამბობენ, ქავთარაძეს „უჩალიჩებენო“...

— იცი, რა არის? რომ გითხრა, სპეციალურად „ჩავუსვით“-მეთქი, ასე არ არის. საღამოს სახლში რომ ბრუნდები, წინ შაბათ-კვირა გელის, საქმე არაფერი გაქვს და ვიფიქრეთ, კარგი იქნება თუ ამ დღეს კაცი ორ სასიამოვნო გასართობ გადაცემას უყურებს. გამიზნულად არ გაგვიკეთებია. ქავთარაძეს თავისი გადაცემა და თავის მაყურებელი ჰყავს, ჩვენ — ჩვენი. ასე რომ იყოს, ორშაბათსაც „ჩავუსვამდით“ „შაბათის შოუს“ სკეტჩებს. ისე, მაინც ჩვენ თუ გვიყურებს ხალხი, ძალიან კარგია.

— ზოგს ტელეეკრანიდან პროვინციული იუმორის მოსმენა აღიზიანებს, შენი აზრი ამის შესახებ?

— ჩვენთან პროვინციული იუმორის ელემენტები ნაკლებად არის და თუ არის, ისიც დაცინვის მიზნით — იმის ნიშნად, რომ ასეთი რამ არ უნდა კეთდებოდეს. ჩვენ ისეთ გადაცემას არ გავაკეთებთ, სადაც პროვინციული იუმორი გაიჟღერებს და სხვა ტელევიზიებს, რაც უნდათ, ის აკეთონ, ეს ჩვენ არ გვეხება.

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

ტელეკომპანია „202“-ში ახალი სახეები მომრავლდა. მისი ძველი „ოჯახის წევრები“ კი, თანდათან ტოვებენ (ან მათ ატოვებინებენ) სამსახურს. სულ ახლახან, არხზე კიდევ ერთი გაუმართლებელი პროექტი — სერიალი „დიდი სახლი“ დაიხურა და მისი მთავარი გმირები — ქრისტინე იმედაძე, თაკო გაჩეჩილაძე და ანი გიუნტერი თავიანთ ძირითად პროფესიებს დაუბრუნდნენ. რატომ ჩასვა შალვა რამიშვილმა, ერთ დროს მისთვის საამაყო გოგონების სურათები შავ ჩარჩოში, გახდება თუ არა ანი პროფესიონალი მსახიობი და რატომ უყვარს მას კომპლექსიანი მამაკაცი — ყოველივე ამაზე თავად ანი გიუნტერი გვესაუბრება.

რატომ ჩასვეს ანი გიუნტერის ფოტო შავ ჩარჩოში: „ეს მე ცოტა ვეჭიტა შევიტყვე...“

ნათია ქევიძე

— ანი, რა არის შენს შემოქმედებაში ახალი?

— როგორც სულ ახლახან შევიტყვე, სერიალი — „დიდი სახლი“ დაიხურა. ეს მე ტელევიზორის საშუალებით შევიტყვე. ამჯერად მაყურებლის ამპლუაში ვიყავი. გამოაცხადეს — კარგად ბრძანდებოდეთ, ეს ჩვენი ბოლო სერიაა. ეკრანზე კი, ჩვენი სურათები გამოჩნდა, შავ ჩარჩოში ჩასმული. ვიცოდი, რომ მკვდარი არ ვიყავი, შესაბამისად, მივხვდი — ეს სერიალის დახურვას ნიშნავდა. ამ ამბამდე, ერთი კვირის განმავლობაში, პირადი მიზეზების გამო გადაღებებზე არ დავდიოდი, ამიტომაც ამის შესახებ ინფორმაცია ეკრანიდან მივიღე.

— ეი. წინასწარ შალვა რამიშვილისგან არ იცოდი, რომ სერიალის დახურვას აპირებდა?

— არა, წინასწარ ამაზე არავის არაფერი უთქვამს. სერიალის დახურვის მიზეზი ახლაც არ ვიცი, რადგან შალვას არც ამის შემდეგ დაურეკავს ჩემთვის. რა თქმა უნდა, არც მე დავურეკე, რადგან თვითონ არ ჩათვალა საჭიროდ, საქმის კურსში ჩემი ჩაყენება. არ ვიცი, ალბათ სერიალი იმიტომ დაიხურა, რომ რაღაც ახალი დაიწყება. ეს სერიალი ისედაც ძალზე მიგდებული და უპატრონოდ მიტოვებული იყო, ტელევიზიაში ყურადღებას თითქმის აღარ აქცევდნენ.

— როგორ ფიქრობ — ამ რაღაც ახალში შენ მიიღებ მონაწილეობას?

— მაგაზე ახლა საუბარი არ მინდა, რადგან მე სულ სხვა გეგმები მაქვს: ჩემი პროფესიით, ორკესტრში სამუშაოდ უნდა მოვემზადო. ეს სერიალები ჩემთვის უბრალოდ, გართობა იყო. კიდევ აღვნიშნავ, რომ რაღაც ახალი შეიძლება დაიწყოს და ამის შესახებაც მე ისევ ისე, როგორც მაყურებელმა, შეიძლება შევიტყო.

— ქრისტინე იმედაძეცა და თაკო გაჩეჩილაძეც გაუშვეს სტუდიიდან?

— ქრისტინემ უკვე კარგა ხანია, შეწყვიტა თამაში ამ სერიალში. თაკოც ბოლო რამდენიმე ხნის განმავლობაში აღარ დადიოდა გადაღებებზე, რაღაც საქმეების გამო. ახლა რას აკეთებენ, არ ვიცი, მათთან ჯერ არ მილაპარაკია.

— გულახდილად მითხარი, შენ თვითონ მოგწონდა ეს სერიალი?

— გულახდილობა ამ შემთხვევაში, საჭირო არ არის, რადგან ეს ჩემი სამსახური იყო და მასზე ვერც ცუდს ვიტყვი და ვერც კარგს. კარგი იყო თუ ცუდი, ეს სულ მალე გამოჩნდება იმით, თუ რამდენად დასწყდება ხალხს გული სერიალის დახურვის გამო... თუმცა, ჯერჯერობით აჟიოტაჟი არ ატეხილა ამ ამბის გამო. საერთოდ, მე დღევანდელი დღით ვცხოვრობ. ზუსტად იმ დღეს, როცა სერიალის დახურვის შესახებ შევიტყვე, დამირეკეს და ახალი სამსახური შემომთავაზეს, რომელიც ჩემს პროფესიასთან არის დაკავშირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი ბედის ვარსკვლავზე ვარ დაბადებული. ასე რომ, ისე არ ვრჩები, ყოველთვის მიმართლებს.

ჯერჯერობით აჟიოტაჟი არ ატეხილა ამ ამბის გამო. საერთოდ, მე დღევანდელი დღით ვცხოვრობ...

— შენ თვითონ რომელ სერიალში უფრო კარგად გრძნობდი თავს — „მუსკულებში“ თუ „დიდ სახლში“?

— ამწუთას, არც ერთი ამ სერიალთაგანი აღარ არსებობს და მირჩევნია, ახლა ამის შესახებ არ ვილაპარაკო. ეს უკვე წიგნის გადაშლილი ფურცელია. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ „202“-ში გარკვეული გამოცდილება შევიძინე.

— როგორი ურთიერთობა გქონდა შალვასთან? საერთოდ, როგორი ადამიანი, მეგობარი და უფროსია?

— ჩვეულებრივი უფროსია. როგორც წესი, ყველა თანამშრომელი კმაყოფილია მისით. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, ძალზე ჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა. საერთოდ, მე ცოტა პრეტენზიული ადამიანი ვარ, თუმცა, მეც მაქვს ღირსებები, რომლებსაც ვერასოდეს გადავაბიჯებ. ახლა ჩემი ნებით არ წამოვსულვარ იქიდან...

— ნიკა ქავთარაძის გუნდთან ერთად რატომ არ წახვედი?

— მათ არ ჰქონდათ ისეთი პროექტი, რომელშიც გოგო დასჭირდებოდათ. ალბათ იცი, „ნიკას შოუს“ სტილი... თუ ახალ პროექტს გააკეთებენ და მიმიწვევენ, იციან, რომ დიდი სიხარულით დავთანხმდები. არ ვიცი, რა იქნება. მათ იციან ჩემი არსებობის შესახებ, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. ბიჭები სწორად მოიქცნენ, „202“-დან რომ წამოვიდნენ. მათთან ახლაც კარგი ურთიერთობა მაქვს, თუმცა ხშირად ვერ ვნახულობ.

— თუ არის მოსალოდნელი, რომ მსახიობის ამპლუაში განაგრძო კარიერა?

— თეატრალურში მინდოდა, ჩამებარე-

ბინა, მაგრამ წელს ვერ მოვახერხე, რადგან კონსერვატორია ახლა დავამთავრე და გადაღლილი ვიყავი. გაისად, აუცილებლად ჩავაბარებ, თუ არ დავბერდები – თუმცა, ისიც ვიცი – სწავლა სიბერემდეო... საერთოდ, აქტიური ადამიანი ვარ, ერთ რაღაცაზე ვერ ვჩერდები, სულ ახლის ძიებაში ვარ. ტელეკამერის წინ მუშაობა კი ძალზე მომწონს.

— სამსახურის თვალსაზრისით, საკმაოდ ბევრი სიახლე გაქვს. პირად ცხოვრებაში თუ გაქვს რაიმე ცვლილებები?

– არა. საზოგადოებისთვის უკვე ცნობილი ფაქტია, რომ შეყვარებული მყავს, რომლის სახელსა და გვარს ისევ არ გავამხელ. გეტყვი მხოლოდ იმას, რომ მეგონა, ჩემი სატელევიზიო საქმიანობის გამო, ტრადიციების მიმდევარ და კომპლექსიან მამაკაცს არ შევუყვარდებოდი, მაგრამ შევცდი – სწორედ ასეთი კაცი მყავს გვერდით. მასთან ბედნიერი ვარ... ოღონდ, კომპლექსში ცუდ რამეს კი არ ვგულისხმობ. ჩვენი სიყვარულის შესახებ ორივეს ოჯახებმა იციან, მაგრამ დაქორწინებას ჯერ არ ვაპირებთ.

— თავისუფალ დროს რას აკეთებ?

– განსაკუთრებულს არაფერს. ,,ფართებზე'' სიარული არ მიყვარს, თანაც, თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს: ახლა გოეთეს ინსტიტუტში დავდივარ, გერმანულ ენას ვხვეწ. როცა დრო მრჩება, წიგნს ვკითხულობ ან მეგობრებთან სტუმრად მივდივარ.

— გაზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებით, შენი გარდერობი თუ განაახლე?

– სამწუხაროდ, ჯერ არა, რადგან აქამდე, ამინდებმა არ მომცა ამის საშუალება. ახლა განვაახლებ. თან, ჩემი დაბადების დღე მოდის – 12 მაისი და ალბათ ახალ სამოსს ამ დღისთვის შევიძენ. ისე, ჭრელი ფერები მიყვარს ძალიან.

— დაბადების დღეზე საჩუქრად ყველაზე მეტად რა გაგახარებს?

– არ ვიცი. ჩემთვის ნებისმიერი საჩუქარი ძვირფასია.

— იქნებ, მობილური ტელეფონი, რომ ჟურნალისტები შენი ძებნით აღარ დავიღალოთ?..

– არა. ტელეფონი რომ მინდოდეს, მექნებოდა. ოთხი ,,კარტა'' და ამდენივე მობილურის აპარატი მაქვს გადაგდებული... ტელეფონი დისკომფორტს მიქმნის. არ მიყვარს, რომ მირეკავენ, მით უმეტეს – აბეზარი თაყვანისმცემლები. უტელეფონოდ გაცილებით მშვიდად და კარგად ვგრძნობ თავს. ■

დღევანდელი ქართული მწერლობის სკანდალური წარმომადგენელი ზაზა ბურჭულაძე შემდეგი წიგნების ავტორია: „ორი კანფეტი, ანუ ზვიადიმ გასცა ხურდა", „მესამე კანფეტი", „სულთათანა", „შენ", „წერილი დედას", „მინერალური ჯაზი" და „სახარება ვირისა". კრიტიკოსებმა და ინტელექტუალებმა მის ნაწარმოებებს ვირტუოზული უწოდეს, ხოლო „მინერალური ჯაზი" ბევრმა მათგანმა ბოლო ათწლეულის საუკეთესო წიგნად დაასახელა. ამავე დროს, მისმა სტილმა ბევრი მკითხველი შოკში ჩააგდო და თავგზა აუბნია.

„პიკა ეს, პიკნიკი თუ „პიკოვაია"? ანუ როგორ ვკრ...ებს ზაზა ბურჭულაძე

ნუცა თოფჩიშვილი

— საინტერესოა, როდესაც თქვენი სტილი შემოგქონდათ ქართულ ლიტერატურაში, არ გეშინოდათ მკითხველის კრიტიკისა? ანუ, როგორ თვლით, მზად არის ქართველი მკითხველი თქვენ ეს სკაბრეზული ლექსიკა რეაქციის გარეშე მიიღოს?

– ნუთუ? სიმართლე გითხრათ, აქამდე წარმოდგენა არ მქონდა, თუკი ჩემთავად რამე სტილი შემოვიტანე ქართულ ლიტერატურაში. აუცილებლად გავითვალისწინებ. ისე ბოდიში მომითხოვია, მაგრამ კოჭებში გეტყობათ, ,,ლიტერატურულ საქართველოს'', ,,მწერლის გაზეთს'' და კიდევ ამავე დონისა და წონის რამდენიმე ლიტერატურულ გამოცემას არ ეცნობით, თორემ დარწმუნებული იქნებოდით, რომ იქაურ ავტორებთან შედარებით, მე ძუძუმწოვარა ბავშვი ვარ ანუ, რომ იტყვიან, ჭუჭუა ჯერ კიდევ ჩიტი მგონია. მარტო რევაზ მიშველაძის ვოდევილები რად ღირს; ის სიტყვები კი, რომლებიც ჩემს წიგნებში აქა-იქ გვხვდება, ჩემი მოგონილი არ გახლავთ. ისინი იმ ენის ნაწილია, რომლის შვილებიც ჩვენა ვართ. ენისა, რომელზედაც ჩვენ დღეს ვსაუბრობთ და რომელიც ჩვენს იდენტობას ამტკიცებს, ანუ ამტკიცებს ჩვენს ქართველობას. ხალხურ ზეპირსიტყვიერებას ხომ სულ ერთიერთმანეთზე უკეთესი მარგალიტები შემოუნახავს. აი, მაგალითად, ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ შედგენილი, ,,ქართული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშებიდან'' ერთი ასეთი:

ამას ამბობს ჰელოაო:
ჩემთან ქალი ვერ მოვაო,
ქიშმიშივით მ.. მაქვს,
ცარიელი გემოაო,
მინდა ცხრა ვაჟს გავისტუმრებ,
სანამ დილით მზე მოაო...

ან ეს რადა ღირს (ესეც იმავე კრებულიდანაა):

ხვთისო: – შენს მ... გემოს ჩავატან,
როგორც რო ბალღი კისელსა.
დარეჯანი: – შენს მ... მ... ჩავ..,
სწორედ ვერ იჭერ კისერსა.

და ა.შ., და ა.შ. სხვა უამრავი ასევე ,,ყურისმომჭრელი'' სიტყვაც ქართულის ორგანული ნაწილია და ისინი ისევე აუცილებელია ენისათვის, როგორც, ვთქვათ, წამალი ავადმყოფისთვის. ასე რომ, მეშინია, მკითხველის კრიტიკის-მეთქი, რომ გითხრათ, მოგატყუებთ. რაც შეეხება ქართველ მკითხველს, არ ვიცი და სულ ფეხზე მკიდია, არის თუ არა ის რამისთვის მზად, და აქედან გამომდინარე, არც იმაზე ფიქრით ვიბურღავ ტვინს, ჩემს წიგნებს ვინ როგორ მიიღებს.

— თქვენს „მინერალურ ჯაზში" გრაფი პიერ ორლოვი ნაწარმოების პირველსავე გვერდზე კვდება. საინტერესოა, გრაფში ზოგადად რუსეთს ხომ არ გულისხმობდით?

– საინტერესოა? შეიძლება, მაგრამ სამწუხაროდ, მართლა არ მახსოვს, ორლოვში ვის ან რას ვგულისხმობდი... ყოველ შემთხვევაში, არც რუსეთი რომ არ მიგულისხმია და არც, ვთქვათ, სამხრეთ კორეა, ზუსტად ვიცი.

— „მინერალური ჯაზის" სატიტულო გვერდზე მითითებულია, რომ ეს ნაწარმოები ანტირომანია... რა არის ეს, მკითხველის მისაზიდად გათვლილი ტრიუკი?

– არა, რა თქმა უნდა, რადგან, ბევრიც ეცადო, არა მგონია, დღევანდელ ქართველთან, როგორც თქვენა ბრძანეთ, მსგავსმა ,,ტრიუკმა'' გაჭრას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გაუთავებლად თუ არ გაგვიმეორეს და ტვინში არ ჩაგვიბეჭდეს, რომ ჰიგიენური ტამპონი უთუოდ თვიურის დროს გამოიყენება, შეიძლება საქვეყნოდ შევრცხვეთ და ,,ფრთებიანი საფენით'' საზოგადოებაში ცხვირიც კი მოვიხოცოთ ანდა მარაოსავით სახეც კი დავინიავოთ...

თქვენ კიდევ მეკითხებით, მკითხველის მისაზიდად გათვლილი ტრიუკი ხომ არ იყო.

— თქვენს ზოგ ნაწარმოებში სკაბრეზი ზომიერადაა, ზოგან კი უწმაწური სიტყვების მთელი კორიანტელია დაყენებული. რა არის ეს, XXI საუკუნის დამახასიათებელი ნიშანი?

— არა მგონია, ეს მარტო ახალი საუკუნის ნიშანი იყოს. გავიხსენოთ, პულეუსი, პეტრონიუსი, ბოჩაკო, დე სადი, ბოლოს და ბოლოს, რაბლე ან უფრო ახლები, ჰენრი მილერი და სელინი, და ა.შ., და ა.შ. და, მიაქციეთ ყურადღება, ეს ის ავტორები არიან, რომელთა სახელებიც საუკუნეებია რაც ფარზე აქვთ მათ მშობლიურ ქვეყნებს დასვენებული. რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას, აქ ოდნავ სხვა სურათი გვაქვს. ჩვენში მხატვრული ლიტერატურა დიდი ხნის განმავლობაში ცალკე არსებობდა, სასაუბრო ენა — ცალკე, ითქოს ერთიერთმანეთთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდათ. დღეს ამ ორი ენის შერწყმა და შენივთება ხდება; მხატვრულ



რაც შეეხება ქართველ მკითხველს, არ ვიცი და სულ ფეხზე მკიდია, არის თუ არა ის რამისთვის მზად... (ფოტოხელოვან გურამ წიბასაშვილთან ერთად)

ლიტერატურას სცილდება იდუმალების ბურუსი, ხდება მისი განჯადოება ანუ, ვთქვათ ასე, ენა შიშვლდება, ამ სიტყვის სქოლასტიკური გაგებით. აქვე გასათვალისწინებელია ბაზარიც. ყოველგვარი ხელოვნება ხომ თავისი თავის გაყიდვას ცდილობს. ასე რომ, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, დღეს ბაზარზე არის ამის ანუ მსგავსი მეტყველების მოთხოვნილება.

— „მინერალურ ჯაზში“ აღნიშნავთ — მუზის მოლოდინში ვარ და შემოქმედებით კრიზისში ვიმყოფებიო... ამ წიგნში თქვენი თხრობის სტილი თავდაჯერებული და ამპარტავნულია ანუ, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაჯაზებულია“?

— რას გულისხმობთ, რომ ვაჯაზებ ანუ ვატ...? და, რა აქედან? ეს ხომ არახალია, ძველია. ზოგადად, რჩევის მიცემა არ მიყვარს, მაგრამ ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც თავის შეკავება დანაშაული იქნებოდა... მოკლედ, ყველას ვურჩევდი — გაატ..., სანამ ტრ... გაქვთ.

— თქვენზე ამბობენ, არც ერთ მწერლურ დაჯგუფებას არ მიეკუთვნებაო. როგორ ფიქრობთ, ჯერ კიდევ კომუნისტური მენტალიტეტის ქვეყანაში ნონკონფორმისტობა არ არის ძნელი? შიშველი სიმართლე ხომ არავის უყვარს? ცეცხლს ხომ არ ეთამაშებით? არ გეშინიათ, რომ მავანმა დასჭყვლოს, ჰკა მაგასო, და სხვებიც აჰყვნენ?

— მართლა ასე ამბობენ? ჰაი-ჰაი, მოსცლიათ რაღა! მე არ ვიცი, მართალია თუ არა ეს, მაგრამ თუკი ეს ასეა, მაშინ პირდაპირ სასაცილოა... ნუთუ ჩემზე ლაპარაკს არ ურჩევნიათ, ვთქვათ, ნაომი კემბელზე ილაპარაკონ? თუმცა ენას ძვალი არა აქვს. შიშველი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) სიმართლის, რამდენადაც მახსოვს, ქომაგი და მოჭირისუფლე „თვით კოტე“ გახლდათ. მაგრამ შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, ისიც კი იძულებული გახდა, ლიფტიორად დამდგარიყო. ნონკონფორმისტობა თუა ძნელი? ესეც სასაცილოა დღევანდელი გადასახედიდან. და კიდევ, ჩემი ნონკონფორმისტობა არ გაიშვას! საერთოდაც, კაცი ან მარგინალი ხარ, ან — არა, მესამე მდგომარეობა ერთობ იშვიათია. მცირე გამონაკლისის გარდა, ყველა ქართველ ნონკონფორმისტს თუ უფრო გულდასმით ჩააკვირდებით, მასში უთუოდ კარგად ან ცუდად შენიღბულ კონფორმისტს ამოიცნობთ. თანაც ისეთ კონფორმისტს, მეფესა და ტრა..ს ჭიას, რომ მტრისას! რაც შეეხება ცეცხლთან თამაშს, ჩვენს ასაკში, ვფიქრობ, დროულიცაა, რადგან, მგონი, სულ მალე მოგვიწევს ჯოჯოხეთის ალთან დამეგობრება. მავანმა კი, რაც უნდა, ის იჭყვლოს. მარტო ჭყივილით რომ საქმე კეთდებოდეს და სოფელი შენდებოდეს, მაშინ რომელიღაც გურამ შარაძე საქმოსანი, გნებავთ, პოპულარული ენითა ვთქვათ, ბიზნესმენი და სულ მცირე, სოფლის თავი მაინც იქნებოდა.

— შეუძლია თუ არა დღეს-დღეობით ავტორს, საქართველოში გამოქვეყნებული წიგნებით იცხოვროს?

— მარტო გამოქვეყნება ხომ არ არის მთავარი? მთავარია, წიგნის გაყიდვა. ასე რომ, ვფიქრობ, რომელიღაც მათგანს ალბათ, შეუძლია. უნდა შეეძლოთ. ოღონდ, ისიც, ალბათ, გაჭირვებით. დღეს სადმე ევროპაში რომ თქვათ, გაყიდული წიგნებიდან შემოსული თანხით ვცხოვრობო ან გიჟად ჩაგთვლიან, ან აფერისტად. ასე რომ, მწერლები, როგორც იქ, ისე ჩვენში, თავის გადასარჩენად იძულებულნი არიან, გარდა წიგნების წერისა და გამოქვეყნებისა (ცხადია, თუ ბედმაც და რედაქტორმაც გაუღიმათ) „პრესტიჟული“ ჟურნალებისთვის წერონ „კუხარკების“ გულის ასაჩვილებელი სერიალები ან, უკიდურეს შემთხვევაში, ლიტერატურული პერიოდიკისთვის კრიტიკული სტატიები და ა.შ., და ა.შ.

— როგორ ფიქრობთ, თქვენმა ნაწარმოებებმა რამდენად შეძლო მკითხველზე ზეგავლენის მოხდენა და შეცვალა თუ არა რაიმე მასში?

— ამაზე ვფიქრობ-მეთქი, რომ გითხრათ, მოგატყუებთ. რომც ვიფიქრო, რა შეიცვლება? ნუთუ ისეგვარად გამოქლიავებულის შთაბეჭდილებას ვახდენ, ვისაც სჯერა, რომ მისი რაგინდარა ნაწერი რაიმე ზეგავლენას მოახდენს მკითხველზე და ოდნავ მაინც შეცვლის მას — გააკეთილშობილებს და პატიოსნების გზაზე დააყენებს, ან გარყვნის და სულს დაუმახინჯებს? ამაზე ხომ ფიქრიც სისულელეა. დიდი სისულელე!

— საერთოდ, საკუთარი ნაწარმოებებით თუ ხარ კმაყოფილი? როგორ უყურებთ საკუთარ შემოქმედებას, ეს პიკია თუ დასაწყისი?

— აბა, ამდენი საიდან უნდა ვიცოდე? სამჭკუაშვილი ვარ, ქრისტე ღმერთი კი არა. აბა, რა ვიცი, პიკია ეს, პიკნიკი თუ „პიკოვიტი“? რაც შეეხება თვითკმაყოფილებას, არა მგონია, საკუთარი შემოქმედების ისეთი მეტკბე და მებუკე სხვაცა ნახოთ საამდღეო ქართულ ლიტერატურაში, მე რომ ვარ. ყველა მოქმედი მეფე, უფლისწული და ტრა...ის ჭია იქით იყოს, მეც თხასავით სულ „მეე, მეე“, მაკერია პირზე. ასე რომ, რა მნიშვნელობა აქვს, რა არის ეს — პიკი თუ დასაწყისი? ■

ინტიმური ტელეფონი

822-009-008
822-009-088
822-009-108

18 წლიდან
მომსახურება ფასიანია

გინდათ შედეგი? გააკეთეთ რეკლამა „გზაში“!

ორი თვე ინკუბატორში ანუ დღენაკლულთა გადარჩენის გზები

პატარა მარიამი ქვეყანას 21 აპრილს მოევლინა, დაახლოებით 4 თვით ადრე, ვიდრე მის დაბადებას მშობლები ელოდნენ. ჩვილი, რომელიც მხოლოდ 900 გრამს იწონის და საქართველოში დღეს ყველაზე მსუბუქ ახალშობილია, სპეციალურ პირობებში ჩაჩავას სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განაგრძობს ზრდას. ექიმების განმარტებით, პაწაწინა მარიამს დამოუკიდებელი გადაითარებისთვის კიდევ 2 თვე სჭირდება, მანამდე კი, სანამ ის საკუთარი ოჯახის სრულფასოვანი წევრი გახდება, მშობლები მის ზრდას ინკუბატორის შუშის მიღმა მიადევნებენ თვალყურს.



ემა ტუხიაშვილი

ია დავითაია, *ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ახალშობილთა განყოფილების გამგე:*

— ნაადრევი მშობიარობა დედის ვირუსული ინფექციით დაავადებამ გამოიწვია. მარიამი საკეისრო კვეთით ორსულობის მე-6 თვეზე გაჩნდა და მისი წონა მხოლოდ 900 გრ მია. ბავშვი ამჟამად სპეციალიზებულ რეჟიმში იმყოფება. გარემო, რომელშიც ის იმყოფება, მაქსიმალურად უახლოვდება მუცლადყოფნას. საკვები მიეწოდება პარენტერალური გზით, ხოლო ამ სითხის შემადგენლობაში შედის გლუკოზა, ფიზიოლოგიური ხსნარი და ცილოვანი ხსნარები. საკვების დოზირება ხდება მკაცრი გამოანგარიშებით, ჩვილის წონის მიხედვით. 2 თვე მაინც არის საჭირო იმისათვის, რომ მარიამმა

მარიამი საკეისრო კვეთით ორსულობის მე-6 თვეზე გაჩნდა და მისი წონა მხოლოდ 900 გრამია...

დამოუკიდებლად შეძლოს ჭამა და მისმა ორგანიზმმა დამოუკიდებლად მოახერხოს თერმორეგულაცია. იმის გამო, რომ ბავშვი ქირურგიული ჩარევით დაიბადა, დედას ჯერ კიდევ წოლითი რეჟიმი აქვს. სამაგიეროდ, მარიამს დროდადრო ბებია და მამა სტუმრობენ. მინდა გითხრათ, რომ ჩემს პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევა არ არის, ჩვენ 700-გრამიანი ბავშვებიც გაგვიზრდია. არის შემთხვევები, როდესაც უფრო მცირეწონიანი, 400-500-გრამიანი ბავშვები დაბადებულან, მაგრამ მათთვის სიცოცხლის შენარჩუნება ძალიან ჭირს. ასეთ შემთხვევაში, ზომაზე მეტად მნიშვნელოვან როლს გენეტიკური ფაქტორი თამაშობს. ამრიგად, ბავშვი შეიძლება, რამდენიმე კილოგრამს იწონიდეს, მაგრამ უმწიფარი იყოს მისი მორფოფუნქციური სისტემა. დღენაკლულთა პრობლემა ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც კი არსებობს, როგორებიცაა: ამერიკა და იაპონია. უმაღლესი ტექნოლოგიური მიღწევების მიუხედავად, მათაც უჭირთ მცირეწონიანი ჩვილების გამოზრდა. თუმცა, ცოტა ხნის წინ გახლდით ავსტრიაში, სადაც გაიმართა მსოფლიოს ნეონატოლოგთა კონგრესი და სწორედ იქ გახდა ცნობილი, რომ ამერიკელებმა შეძლეს 244-გრამიანი ბავშვის გადარჩენა და ეს მოვლენა გინესის რეკორდების წიგნში შევიდა. ამერიკელების მიერ გამოზრდილი ბავშვი ამჟამად 9 თვისაა. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, ცოტა რთულია, ილაპარაკო თუ რამდენად სრულყოფილი იქნება იგი, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ეს ბავშვი სიცოცხლისუნარიანია, ბევრ რამეზე მეტყველებს.

— ეი. ასეთ ბავშვებში გონებრივი დაქვეითების რისკი არსებობს?

— დღეს არსებული სტატისტიკით, მცირეწონიან ბავშვთა გარკვეული ნაწილი ინვალიდია, ზოგს შემდგომში, ცერებრალური დამბლა უვითარდება და ა.შ. ამიტომ ვერც იმას გეტყვით, რამდენად მიზანშეწონილია ასეთი ბავშვების გადარჩენა... ჩვენ ვალდებული ვართ, ავუხსნათ დედას, თუ რა რისკი შეიძლება არსებობდეს დღენაკლული ბავშვის გაზრდისას, მაგრამ გადაჭრით მაინც არაფრის თქმა არ შეიძლება. მაგალითად, ნუტონი 900-გრამიანი დაიბადა, მაგრამ გენიოსი აღმოჩნდა...

— თავად დედები როგორ იქცევიან ასეთ შემთხვევაში?

— როგორიც არ უნდა იყოს, შვილი ყველა ნორმალურ დედას უყვარს. ასეთი უსუსური ბავშვების მიმართ კი დედა, სიყვარულთან ერთად, სიბრალულსაც განიცდის... უნდა აღვნიშნო, რომ დღენაკლულ ბავშვთა პრობლემაზე სახელმწიფოც ზრუნავს. სახელმწიფო პროგრამაში უკვე 2005 წლიდან შევიდა სულფანქტანტის გამოყენება. მოგეხსენებათ, რომ დღენაკლული ბავშვის ფილტვი არ არის სრულფასოვნად განვითარებული და სუნთქვას აღნიშნული ნივთიერება უზრუნველყოფს. იმისათვის, რომ ფილტვი გაშალოს, სულფანქტანტი მცირეწონიანი ბავშვის ორგანოში ხელოვნურად შეგვყავს. იმედია, აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვნად გაზრდის ასეთი ჩვილების გადარჩენის შანსს.

— ძირითადად, რა იწვევს ნაადრევ მშობიარობას?

— ეკოლოგიურ და გენეტიკურ ფაქტორთან ერთად, ეს არის ვირუსული ინფექცია, ნერვული სტრესი, მექანიკური ტრავმა, პლაცენტის არასწორი მიმაგრება, რასაც თან სდევს ნაყოფის აცილება. მიზეზი მრავალი შეიძლება არსებობდეს, ამიტომ მოსახლეობის სამედიცინო განათლება პრიორიტეტად უნდა დავისახოთ. ნებისმიერმა ადამიანმა შეუღლებამდე აუცილებელია, გაიაროს გენეტიკური კვლევა, დარწმუნდეს, რომ აბსოლუტურად ჯანმრთელია და მხოლოდ შემდეგ დაგეგმოს შვილის გაჩენა.

— თუ არსებობს იმის საფუძველი, რომ ვთქვათ — ჩვილთა პათოლოგია გახშირებულია?

— პათოლოგია გაცილებით მეტი იყო ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შემდეგ. განსაკუთრებით ეს შესამჩნევი იყო დასავლეთ საქართველოში, რადგან ის უფრო ახლოს იყო რადიაციულ ზონასთან. იყო შემთხვევები, როდესაც ლეიკოზით მხოლოდ ბავშვები კი არა, მთელი ოჯახი იხოცებოდა. გახშირდა ონკოლოგიური დაავადება და სხვადასხვა სახის სიმახინჯე. დღეს კი პათოლოგიების გამომწვევ მიზეზად, მძიმე სოციალურ ყოფასთან ერთად, ეკოლოგიური გარემოც

შეიძლება ჩაითვალოს. მოგეხსენებათ, რომ ავტომობილების დიდი რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში გერმანიიდან შემოდის. უმეტესად, ეს არის ძველი, მოხმარებისთვის უვარგისი მანქანები, რომლებიც გერმანიაში სპეციალური ფილტრითაა აღჭურვილი, რომელიც იცავს გარემოს დაბინძურებისგან. ჩვენთან კი, საწვავის ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, ამ ფილტრს აცლიან. ამასთან ერთად, ჩვენში მწვავედ დგას უხარისხო საკვების პრობლემა და არის შემთხვევები, როდესაც დახლზე ვადაგასული და რამდენჯერმე გადამუშავებული პროდუქტები იყიდება.

— სამეცნიერო თვალსაზრისით, პათოლოგიის ყველაზე საინტერესო შემთხვევა თუ გახსენდებათ?

— მინდა გითხრათ, რომ ნებისმიერი დაავადება ყველა ინდივიდში თავისებურად ვლინდება, ამიტომ ამ თვალსაზრისით ყველა ცალკეული შემთხვევა საინტერესოა ჩვენთვის. მინახავს ახალშობილი, რომელსაც ცხვირი საერთოდ არ ჰქონდა; ბავშვი, რომელიც მხოლოდ ცალი თვალით დაიბადა; ხშირია შემთხვევა, როდესაც ზურგის ტვინის და თავის თიაქრით იბადებიან; იშვიათია, მაგრამ არსებობს ორთავიანი და უთავო ბავშვების დაბადების შემთხვევა. 4 წლის წინ, ჩვენს სამშობიაროში გაჩნდა ბავშვი, რომელსაც იდაყვს ქვემოთ ხელი საერთოდ არ ჰქონდა, სხვა მხრივ კი აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო. საბედნიეროდ, დღეს არსებობს ულტრაბგერითი კვლევის მეთოდი, რომლის საშუალებითაც, ბავშვის პათოლოგიის აღმოჩენა ორსულობის ადრეულ ეტაპზე ხდება და დედა იღებს გადაწყვეტილებას, დაიბადოს თუ არა ასეთი ბავშვი... ამდენი უარყოფითი ფაქტის ჩამოთვლის შემდეგ, მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო დროს, შობადობის მაჩვენებელი გაიზარდა, რაც რელიგიური ფაქტორითაც არის განპირობებული. თუ ადრე 2 შვილის ყოლაც იშვიათობას წარმოადგენდა, ახლა უკვე მესამე და მეოთხე შვილსაც აჩენენ.

— თქვენთან დაბადებული ყველაზე მძიმეწონიანი ჩვილი თუ გახსოვთ?

— გვყოლია ე.წ გიგანტური ახალშობილები — 5600 და 5800 გ წონის. გვქონდა შემთხვევა, როდესაც 3 ტყუპი დაიბადა და სამივე ჯანმრთელი გაიზარდა. მინდა მამაკაცებს ვთხოვო, რომ ანგარიში გაუწიონ ორსული ქალის ლაბილურ ფსიქიკას. თითოეული ემოცია ორსულისთვის სპაზმის გამომწვევია, ხოლო ყოველი სპაზმი — კიდევ ერთი იშემიაა, რომლის მიმართაც ძალზე მგრძნობიარეა ბავშვის თავის ტვინი. ამიტომ თუ მამაკაცებს სურთ, რომ ჯანმრთელი შთამომავლობა ჰყავდეთ, ხელისგულზე უნდა ატარონ ორსული ცოლი... ■

„ყინულზე დავუჯრდი და ბუკვიეს ინიციალიეთ ვისროლე“

განზრახ მკვლელობისთვის სასჯელმისჯილი თავს უდანაშაულოდ აცხადებს

განზრახ მკვლელობისთვის გასამართლებული დავით მსხალაძე სამსჯავროს წინაშე ხელახლა წარდგება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეებმა, რომელთა აზრითაც, მსჯავრდებულის მიმართ უკანონო განაჩენი იქნა გამოტანილი. ქარელის რაიონულმა სასამართლომ მსხალაძეს დემიანე ბუზიაშვილის აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მკვლელობისთვის ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა მოგვიანებით, საოლქო სასამართლომ მსჯავრდებულს სასჯელი დაუმძიმა და თავისუფლების აღკვეთის ვადა 9 წლამდე გაუზარდა. ამის მოტივად სააპელაციო პალატის მოსამართლეებმა ის დაასახელეს, რომ გამოძიების მასალების მიხედვით, მსხალაძემ დანაშაული ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, წინასწარი განზრახვით ჩაიდინა. მსხალაძე დაკავების დღიდან უარყოფდა მკვლელობის განზრახვას, აცხადებდა, რომ დემიანე ბუზიაშვილის სიკვდილი თოფიდან შემთხვევითმა გასროლამ განაპირობა...

მეგი ცანავა

მკვლელობა, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, 2002 წლის 9 დეკემბერს მოხდა. იმ დღეს დავით მსხალაძე თავის მეგობრებთან — ზვიად სულეიმანაშვილსა და ვაჟა სანდოძესთან ერთად, რესტორანში ქეიფობდა. ნასვამმა მსხალაძემ სუფრა საღამოს, დაახლოებით 10 საათისთვის დატოვა და მეგობრებთან ერთად, თავისი ავტომანქანით — „ნისანით“ ქარელში წავიდა. გზაში მოილაპარაკეს, რომ მეგობრის — ვლადიმერ აბესაძის სახლში შეივლიდნენ, რადგან მას დაბადების დღე ჰქონდა. ამ მიზნით მივიდნენ ნინოშვილის ქუჩაზე მცხოვრებ აბესაძეების ოჯახში და იქ გაშლილ სუფრასთან მსხდომ მეგობრებს შეუერთდნენ. მათი მისვლიდან რამდენიმე წუთში, აღნიშნულ ოჯახში აბესაძის მეგობარი — ქარელში მცხოვრები დემიანე ბუზიაშვილი მივიდა. სუფრასთან, მთვრალ მსხალაძესა და ბუზიაშვილს შორის შელაპარაკება მოხდა. ურთიერთობის გასარკვევად მათ გადაწყვიტეს, იმავე ღამეს შეხვედროდნენ ერთმანეთს. შეხვედრა ქარელის მეორე საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დანიშნეს. მართლაც, დაახლოებით ღამის 2 საათისთვის დემიანე ბუზიაშვილი უკვე დათქმულ ადგილზე იყო მისული. მას თან ახლდა თავისი ძმა — კობა ბუზიაშვილი და მეგობარი — გიორგი ჭიპაშვილი. სკოლასთან მსხალაძე თავისი მანქანით მივიდა. მას საქმის გასარჩევად სულეიმანაშვილი და სანდოძეც გაჰყვნენ. ურთიერთობის გარკვევის დროს, ძმები ბუზიაშვილები და მსხალაძე ისევ შეკამათდნენ. კამათი ჩხუბში გადაიზარდა. როგორც განაჩენშია აღნიშნული, დავით მსხალაძემ რაღაც მომენტში თავი დააღწია მასთან მოჩხუბარ ძმებს, მივიდა თავის მანქანასთან, იქიდან ამოიღო მასზე გაპიროვნებული გლუვლულიანი სანადირო თოფი, რომელშიც 6 ვაზნა იდო, იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და ჰაერში გაისროლა. სწორედ ამ დროს, კობა ბუზიაშვილი მივარდა მას და ჭიდაობა დაუწყო, რათა მისთვის მეორედ გასროლის საშუალება არ მიეცა. როგორც განაჩენში წერია, მსხალაძე დარწმუნდა, რომ ძმები ბუზიაშვილები მას თავს არ დაანებებდნენ და თოფი ისევ გადატენა. კობა ბუზიაშვილი ვეღარ ახერხებდა მისთვის იარაღის წართმევას, ამიტომაც ძმას — დემიანე ბუზიაშვილს დაუყვირა — გაიქეცი და თვითონაც გაიქცა. განაჩენის მიხედვით, მარტო დარჩენილმა და განაწყენებულმა მსხ-

ალაძემ, შურისძიების მოტივით და განზრახ მოკვლის მიზნით, გაქცეულ დემიანე ბუზიაშვილს იარაღი დაუმიზნა და ესროლა. დემიანე ბუზიაშვილს ტყვია ზურგში მოხვდა და მაშინვე ძირს დაეცა. განაჩენის თანახმად, მსხალაძე არც ამის შემდეგ გაჩერდა. თოფი კვლავ გადატენა და კიდევ ერთხელ ისროლა ჰაერში. მიუახლოვდა მიწაზე პირქვე დამხობილ დემიანე ბუზიაშვილს და როცა დარწმუნდა, რომ თავისი განზრახვა – მკვლელობა – სისრულეში მოიყვანა, შემთხვევის ადგილიდან წასვლა დააპირა. ამ დროს იქვე მდგომი გიორგი ჭიპაშვილი შენიშნა. იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ბუზიაშვილების მეგობარი იყო, მსხალაძემ მას სხეულის განზრახ დაზიანების მიზნით, თოფის კონდახი მოუქნია და სახეში მოარტყა. ჭიპაშვილმა იმავე წამს დაკარგა გრძნობა და დავარდა. ამის შემდეგ, როგორც განაჩენშია აღნიშნული, მსხალაძემ მოკლული ბუზიაშვილი და გრძნობადაკარგული ჭიპაშვილი იქვე მიატოვა და თავად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, დემიანე ბუზიაშვილმა სასიკვდილო ჭრილობა წელის მიდამოში მიიღო, ხოლო გიორგი ჭიპაშვილს სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება აღენიშნებოდა.

დავით მსხალაძემ წინასწარი გამოძიების პერიოდში, ისევე როგორც სასამართლო პროცესებზე, მკვლელობის განზრახვა კატეგორიულად უარყო. *„მანქანიდან თოფი მართლაც გადმოვიღე და ჰაერშიც გავისროლე ერთხელ. ეს ძმები ბუზიაშვილების დასაშინებლად გავაკეთე. მინდოდა, რომ მათ ჩემი ცემა შეეწყვიტათ. სწორედ ამ მომენტში მომვარდა კობა ბუზიაშვილი და ხელი მკრა. მე ყინულზე ფეხი დამიცურდა, წავიქეცი და აგურის კედლის ღობეს შევეჯახე. თოფიდან უნებლიე გასროლაც მაშინ მოხდა... ბუზიაშვილის მოკვლა არ მინდოდა, ყინულზე დავცურდი და ტყვიაც უნებლიეთ ვისროლე“*, – განაცხადა მან პროცესზე.

თუმცა, დაზარალებულის მხარე და პროკურატურა განსასჯელის ჩვენებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ. მსხალაძის სიტყვები არც საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ გაიზიარა და მოტივად მოკლულის ძმის – კობა ბუზიაშვილის ჩვენება დაასახელა. პალატის მოსამართლეების აზრით, საქმის მასალებში არსებული დაკითხვის ოქმიდან ჩანს, რომ მკვლელობა განზრახ არის ჩადენილი. აღნიშნულ ჩვენებაში კობა ბუზიაშვილი ადასტურებს, რომ მის მიერ ხელის კვრის შემდეგ მსხალაძე ფეხზე წამოდგა, თოფი მკერდთან მიიტანა და დამიზნებით ესროლა დემიანე ბუზიაშვილს.

საოლქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მსჯავრდებულის მხარემ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. ადვოკატის, თამარ ყრუაშვილის განმარტებით, არც პირველმა ინსტანციამ და არც სააპელაციო სასამართლომ ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. *„საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები სათანადოდ არ შეფასდა. დავით მსხალაძეს არანაირი განზრახვა და საფუძველი არ ჰქონდა, რომ მოეკლა დემიანე ბუზიაშვილი. ამ უკანასკნელის სიკვდილი თოფიდან შემთხვევითმა გასროლამ გამოიწვია. თოფიდან კი ტყვია მხოლოდ იმიტომ გავარდა, რომ კობა ბუზიაშვილი მივარდა მსხალაძეს და მის მიმართ ძალადობას მიმართავდა. საქმიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ მსხალაძე მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებდა. აქედან გამომდინარე, დამდგარი მძიმე შედეგი მას ბრალად არ უნდა შეერაცხოს“*, – განაცხადა ადვოკატმა პროცესზე.

რაც შეეხება პროკურატურასა და დაზარალებულის მხარეს, მათ საოლქო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება მოსთხოვეს. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, მასალების გამოკვლევის შემდეგ, სხვა გადაწყვეტილება მიიღო. პალატის მოსამართლეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ როგორც რაიონული, ისე საოლქო სასამართლო მასალები ზერელედ და არასრულყოფილად ჰქონდა გამოკვლეული. საკასაციო პალატამ აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეებს მუშაობა დაუწუნა და უგულისყურობაში დასდო მათ ბრალი.

„ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილის და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები, მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები. გულდასმით უნდა შემოწმდეს ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა თუ ნაკლები ბრალის თაობაზე. ეს საპროცესო კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნები გახლავთ. მსხალაძის საქმის განხილვისას კი მოსამართლეებმა ეს მოთხოვნები არ შეასრულეს. უფრო მეტიც, დადგენილი და გამოკვლეული ფაქტებიც კი სრულად და ობიექტურად არ ასახეს განაჩენში. მაგალითად, სასამართლოს არ გამოურკვევია, ვინ იყო ურთიერთობის გასარკვევად მეორე სკოლასთან შეხვედრის ინიციატორი – აწ გარდაცვლილი ბუზიაშვილი თუ ბრალდებული მსხალაძე. საქმის მასალებში გამოკვეთილია ის ფაქტიც, რომ მსხალაძეს ჩხუბისას სხეულზე ჩანგლით მიაყენეს დაზიანებები. გამოძიების მიერ კი არ გახლავთ გამოკვლეული, კონკრეტულად ვინ ჩაიდინა ეს. არ არის დადგენილი, რა მიზანს ემსახურებოდა მსხალაძის მიერ ჰაერში ნაწარმოები გასროლები – გამაფრთხილებელი იყო თუ კონკრეტული პირისადმი გახლდათ მიმართული. სასამართლოს არ გამოუკვლევია, რა ვითარებაში მოხდა საბედისწერო გასროლა. კერძოდ, დასადგენია, მკერდზე მიდებული თოფით, დამიზნებით სროლის შემთხვევაში მიიღებდა თუ არა ბუზიაშვილი ქვემოდან ზემოთ მიმართულ ჭრილობას, ან ყინულზე დაცურებისა და კედელზე შეჯახებისას შესაძლებელია თუ არა თოფიდან უნებლიე გასროლა? ამ საკითხების გარკვევის გარეშე საქმეზე სწორი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია,“ – განაცხადეს პალატის მოსამართლეებმა.

ყოველივე ამასთან ერთად, საკასაციო პალატის სხდომაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გამოიკვეთა, რაც, სხვათა შორის, საოლქო სასამართლოს განაჩენში აღნიშნული არ გახლავთ: წინასწარი გამოძიებისას მოწმეთა ჩვენების საფუძველზე უდავოდაა დადგენილი, რომ მას შემდეგ, რაც მსხალაძე დაჭრილ ბუზიაშვილს მიუახლოვდა და ჭიპაშვილს კონდახი ჩაარტყა, ჩაჯდა თავის ავტომანქანაში და იქიდან პირდაპირ საავადმყოფოში წავიდა. ბუზიაშვილის დასახმარებლად მან შემთხვევის ადგილზე მიიყვანა ექიმი და მედდა. სწორედ მათი დახმარებით ჩასვა დაჭრილი თავის მანქანაში და იგი საავადმყოფოში გადაიყვანა. მეორე დღეს კი, ბრალის აღიარებით, საკუთარი ნებით გამოცხადდა პროკურატურაში.

ამ ფაქტების საწინააღმდეგოდ პროკურატურის წარმომადგენელი და დაზარალებულის მხარე პროცესზე აღნიშნავდა, რომ მსხალაძეს მკვლელობა რომ არ ჰქონოდა განზრახული, მაშინ იარაღს ავტომანქანაში არ ჩაიდებდა. პროკურატურის არგუმენტების მიუხედავად, უზენაესმა სასამართლომ საოლქო სასამართლოს განაჩენი გააუქმა, იგი უკანონოდ გამოაცხადა და საქმე ხელახალი განხილვისთვის სააპელაციო პალატის სხვა შემადგენლობას გადასცა. აღსანიშნავია, რომ მსხალაძე ამჟამად 28 წლის გახლავთ, წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა, ამ დანაშაულთან დაკავშირებით კი პატიმრობაში 2002 წლის 12 დეკემბრიდან იმყოფება.

■

„დანაშაული არ ვაღიარე, რადგან, ასე ადვოკატმა მირჩია“, — განაცხადა პროცესზე ყაჩაღობისათვის მსჯავრდებულმა

პროკურატურის ინფორმაციით, 21 წლის ასაკში მან დაზარალებულებს 100 ათასამდე რუბლი წაართვა

მეგი ცანავა

10 წლის წინ ჩადენილ დანაშაულებში — ორგზის ჯგუფურ ყაჩაღურ თავდასხმებში ბრალდებული ბ. მწარიაშვილი სასამართლოს წინაშე მხოლოდ 2003 წლის აპრილში წარდგა. როგორც პროკურატურის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ის სამართალდამცავებს ემალებოდა. გამოძიება მწარიაშვილს ყაჩაღური თავდასხმის ორ ეპიზოდსა და დაზარალებულთათვის 100 ათასამდე რუბლისა და სხვა ძვირად ღირებული ნივთების წართმევას ედავებოდა. აღნიშნული ბრალდება სასამართლომაც დაადასტურა და ჩადენილი დანაშაულისთვის მწარიაშვილს სასჯელის ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. განაჩენით უკმაყოფილო მსჯავრდებული მოგვიანებით, საკასაციო პალატის წინაშეც წარდგა...

საქმის მასალების მიხედვით, 1995 წლის 11 სექტემბერს, 21 წლის ბ. მწარიაშვილმა გადაწყვიტა, ყაჩაღური გზით სხვის ავტომანქანას დაუფლებოდა. თავისი განზრახვა მან იმ დროს თბილისში მყოფ მეგობარს გაანდო და მასთან ერთად გეგმა შეიმუშავა. გაინაწილეს როლები და ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგნენ. როგორც შეთანხმდნენ, მწარიაშვილმა თბილისში, მეტროს სადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე კერძო ტაქსი — „ჟიგული“ აიყვანა, მანქანას თბილისელი ნ. თოფურია მართავდა. მწარიაშვილმა მას ყვარლის მიმართულებით წაყვანა სთხოვა. მეგობარი მწარიაშვილს გურჯაანის რაიონის ტერიტორიაზე, ე.წ. ყურყურას ბაზრობასთან ელოდებოდა. დაახლოებით დღის 11 საათისთვის მწარიაშვილი დათქმულ ადგილზე ჩავიდა, მეგობარიც ჩასვა ტაქსიში და ყვარლისკენ გზა მასთან ერთად გააგრძელა. მდინარე ალაზნის მიმდებარე ტერიტორიაზე მათ მძღოლს უთხრეს, მანქანა იქვე მდებარე რესტორნისკენ, გრუნტიან გზაზე გადაეყენებინა. დაახლოებით 100 მეტრი რომ გაიარეს, მძღოლს მანქანის გაჩერება უბრძანეს. მწარიაშვილი მძღოლის გვერდით იჯდა. ჯიბიდან დასაკეცი დანა ამოიღო და მისი დაშინება სცადა. მეორე ბოროტმოქმედი, როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით იყო შეიარაღებული. იარაღის დემონსტრირებით, მუქარითა და ძალადობით, მათ ნ. თოფურია დაიმორჩილეს. წაართვეს მას 2.000 დოლარად ღირებული „ჟიგული“, 120 ლარად ღირებული ოქროს ბეჭედი, 200-ლარიანი მაჯის საათი, ტყავის ქურთუკი, 70 ათასი რუბლი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

რამდენიმე დღეში მორიგი ყაჩაღობა მოხდა. ამჯერად მწარიაშვილი დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად ორ პირს — ომარაშვილსა და ნებუნიშვილს დაუკავშირდა. მათ მოელაპარაკა, თბილისში, მეტროს სადგურ „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორიიდან მოტყუებით წაეყვანათ მანქანა და ყაჩაღური გზით დაუფლებოდნენ მას. 1995 წლის 23 სექტემბერს, მან და ნებუნიშვილმა თბილისში მცხოვრები ა. კაცაძე, მისი კუთვნილი „ჟიგულით“ წაიყვანეს ყვარლის მიმართულებით. ომარაშვილი მათ გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში ელოდებოდა. სოფელში გამავალ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, ველისციხის აგრარული ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე გავლისას, მწარიაშვილმა და ნებუნიშვილმა მანქანაში ომარაშვილიც ჩასვეს. მდინარე ალაზანთან მიახლოებისას, დაახლოებით დღის 3 საათზე, მძღოლს ომარაშვილმა „ნაგანის“ რევოლვერი მიუშვირა, მწარიაშვილმა კი დასაკეცი დანა მიადო ნიკაპის არეში. ასეთი ძალადობითა და მოკვლის მუქარით, მძღოლს მათ საავტომობილო გზიდან გაადახვევინეს და მანქანის გაჩერება უბრძანეს. კაცაძეს ბოროტმოქმედებმა 2.000 დოლარად ღირებული „ჟიგული“, „ქემელის“ ფირმის 50-დოლარიანი მაჯის საათი და 27.000 რუბლი წაართვეს. ამის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

დანაშაულში ეჭვმიტანილთაგან სამართალდამცავებმა მწარიაშვილი დააკავეს, თუმცა, მან წარდგენილი ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ ყაჩაღობა არ ჩაუდენია... *„არც დანა მქონია და არც შეურაცხყოფა მიმიყენებია დაზარალებულებისთვის,“* — განუცხადა მან მოსამართლეს და აღნიშნა, რომ მხოლოდ დანაშაულის დაფარვაში ცნობს თავს დამნაშავედ. რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ, მან საჩივრით მიმართა საოლქო სასამართლოს საპელაციო პალატას, თუმცა განაჩენი მაინც უცვლელი დარჩა.

როგორც ჩანს, ამის შემდეგ მსჯავრდებულმა წარდგენილ ბრალდებაში გამართლების იმედი საბოლოოდ დაკარგა და მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებისთვის დაიწყო ბრძოლა. საკასაციო პალატის მოსამართლეებს მან განუცხადა, რომ მთლიანად ცნობს თავს დამნაშავედ. *„აქამდე დანაშაული არ ვაღიარე, რადგან ასე ადვოკატმა მირჩია. მან დაცვის ასეთი ტაქტიკა აირჩია და მეც დავემორჩილე. სინამდვილეში, მართლაც ჩავიდინე ყაჩაღობა, რასაც ამჟამად გულწრფელად ვინანიებ“*, — აღნიშნა მწარიაშვილმა. მოსამართლეებმა გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ მწარიაშვილი პირველად გახლდათ ნასამართლევი. ამას გარდა, დაზარალებულებისთვის მიყენებული მატერიალური ზარალი უკვე ანაზღაურებული იყო და დაზარალებულები არ ითხოვდნენ მის მკაცრად დასჯას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პალატამ მწარიაშვილს სასჯელი 2 წლით შეუმცირა და მას მოსახდელი მხოლოდ 4 წელი დარჩა.

■

მანქანის მართვისას ნაკლებად რისკიან ნინა წკრიალაშვილს თურმე, სულაც არ სიამოვნებს სწრაფად სიარული. პირველად საჭესთან 12 წლის ასაკში, მამის მეგობარმა დასვა და მას შემდეგ, მართვის სურვილი არ განელებია... ამჟამად ის „ბეემვეს“ მფლობელია, რომელიც მამამ უყიდა. მისი ნატვრაა, მრგვალმაშუქებიანი „მერსედესის“ კუპე, მაგრამ ისიც იცის, რომ ამ ნატვრის ახდენას ბევრი დრო დასჭირდება.

დაუვიწყარი „ნივა“, ტაოტიანი ხელები და ძმის ქორწილში მოგებული „გონკები“

ეკა მინდაძე

— მანქანის მართვის სურვილით 12 წლის ასაკში „მოვიწამლე“. 20 წლის რომ ვიყავი, დავიწყე ავტომობილის მართვის შემსწავლელ კურსებზე სიარული და საკმაოდ იოლად ავუღე ალღო ამ საქმეს. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან მსიამოვნებდა და მინდოდა, რაც შეიძლება მალე, საკუთარი ავტომობილი მყოლოდა. სულ 20 გაკვეთილი დამჭირდა იმისთვის, რომ პრაქტიკულად შემესწავლა მართვა. მოწმობის აღებისთანავე, ღამ-ღამობით გამოვდიოდი ჩემი მანქანით, მაშინ, როცა ნაკლები მოძრაობაა ქუჩებში და ნელ-ნელა დავდიოდი. 3-4 თვეში მივხვდი, რომ უკვე მზად ვიყავი, ქალაქში დამოუკიდებლად მევლო.

— ოდესმე თუ მოგიპარავს მანქანა შენი ოჯახის წევრებისთვის?

— კი. ერთხელ ბაბუას მოვპარე და იქვე, მეზობლის კედელს დავეჯახე და „მივულამაზე“ კიდეც მანქანა. მაგრამ „ნივა“ იყო და ბევრი არაფერი დასტყობია. იმდენად შევშინდი, რომ იმის შემდეგ, აღარასოდეს მომიპარავს მანქანა.

— ამჟამად რა მანქანა გყავს?

— მყავს „ბეემვე“, რომელსაც „ტროიკას“ ეძახიან. სულ ახალი არ არის. ერთი წლის წინ, მამამ მიყიდა 4.500 დოლარად. მანამდე, „ნივა“ მყავდა და ისიც, რა თქმა უნდა, მამის ნაჩუქარი იყო. მანქანა ძალიან მოულოდნელად გამოვცვალე: გავიგე, რომ „ბეემვეს“ პატრონს მისი გაყიდვა და „ნივის“ ყიდვა სურდა და სულ რაღაც 10 წუთში გადაწყდა ეს ამბავი, ის ჩემს „ნივაში“ გადმოვდა, მე კი — მის „ბეემვეში“. ფასში სხვაობის გადასახდელად 3 თვე მომცა და მართლაც, ძალიან უმტკივნეულოდ, ნელ-ნელა გადავიხადეთ ეს თანხა.

— პატრულთან რაიმე პრობლემა ხომ არ შეგქმნია?

— პატრულთან ორჯერ მქონდა სერიოზული პრობლემა და ორჯერვე მართალი ვიყავი... ერთ საღამოს, რუსთაველზე გაჩერებული მანქანიდან ვიღაცამ ნომრები მომიხსნა. მეორე დილით, ქალაქში უნომროდ მომიხდა გამოსვლა. პატრულმა ამის გამო ჩემი დაჯარიმება გადაწყვიტა. ვუთხარი — ნომერი გუშინ მომპარეს და დღეს შუადღეზე, უნდა გამოვიტანო-მეთქი, — მაგრამ მაინც წამართვა მართვის მოწმობა. მეორედ პატრულთან უთანხმოების მიზეზი, ქუჩაში მანქანის გაჩერება გახდა. იქვე მდგომ პატრულებს წინასწარ შევუთანხმდი — 2 წუთით გადავალ, ფოტოებს გამოვიტან და მაშინვე წავალ-მეთქი. ისინიც დამთანხმდნენ. მაგრამ რომ გამოვედი, უკვე საჯარიმო ქვითარი ჰქონდათ გამოწერილი. სხვათა შორის, ამაზე ისე გავბრაზდი, სასტიკად ვიჩხუბე კიდეც: რატომღა მთანხმდებოდნენ? ეთქვათ, რომ არ შეიძლებოდა და მეც სხვა ადგილას გავაჩერებდი... ბოლო დროს, გადაცემა „რეალური“ წყალობით, პატრულებთან ურთიერთობა გამომისწორდა. ხშირად, ქუჩაში გაჩერებული თუ დამინახეს, მაშინვე მოდიან და დახმარებას მთავაზობენ. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ, საწვავი გამითავდა და პატრული იმის ჩასხმაშიც კი დამეხმარა.

ყოფილა შემთხვევა, რომ გავჩერებულვარ, კაპოტი ამიხდია და იქიდან დამიქოქავს მანქანა

— გიყვარს ღამით ქუჩაში მანქანით „ხეტიალი“?

— ძალიან. განსაკუთრებით, როცა წვეულებიდან დაღლილი მოვდივარ, ჩავჯდები მანქანაში და ერთ-ორ წრეს შემოვარტყამ ქალაქს, რა თქმა უნდა, მუსიკის თანხლებით. ჩემთვის ეს განტვირთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

— ამბობენ, მანქანის მართვისას ქალს სწრაფი რეაქცია არ აქვსო. რას ფიქრობ ამის შესახებ?

— არ ვიცი, ამას ჩემს თავზე ვერ ვიტყვი. იმიტომ, რომ სამჯერ ისეთი სახიფათო სიტუაციაში შემომხვა, ძნელი იყო იქიდან „ჟამიერობამ“, მაგრამ მე საკმაოდ იოლად გავართვი თავი. მეშვიდე წელია, რაც საჭესთან ვზივარ და ვერ ვერკვერობით სერიოზული არაფერი მომსვლია.

— შორ მანძილზე თუ წასულხარ დამოუკიდებლად შენი მანქანით?

— კი, როგორ არა. ხშირად წავსულვარ გორში, მცხეთაშიც არაერთხელ ვყოფილვარ ჩემს მეგობრებთან ერთად — უცებ გადავწყვეტთ ხოლმე სალობიეში წასვლას... ბორჯომშიც ვყოფილვარ მანქანით და ბათუმშიც. თუმცა, მშობლებს ძალიან ეშინიათ ჩემი ბათუმში გაშვება. როცა ამ გზას დავადგები, მამა ყოველ ორ წუთში მირეკავს და მეკითხება: ახლა სად ხარო?.. ვეუბნები — შენ დამამტვრევ ხშირი რეკვით-მეთქი...

— ოდესმე თუ „გიგონკავია“?

— კი, როგორ არა. ბევრჯერ მქონია ასეთი შემთხვევა: ქუჩაში უცნობს ამოუყენებია ჩემ გვერდით მანქანა და გამოვუწვევივარ შეჯიბრებაში, მაგრამ მე მას არასოდეს ავყოლივარ. აი, ახლობლებთან კი, „მიგონკავია“. მახსოვს, ჩემი ძმის ქორწილში მისმა მეგობარმა ძალიან გამაწარა, მთელი გზა შეუსვენებლივ „მეგონკავებოდა,“ მაგრამ მაინც მე ვაჯობე.

— რამდენად მისაღებია შენთვის მანქანის სხვისთვის თხოვება?



რასაც კი მოტორი აქვს, ყველაფერი მომწონს, ბავშვობიდან...

— ძალიან არ მსიამოვნებს. არადა, ადრე ასე არ ვფიქრობდი. 2 წლის წინ, როცა საკუთარი მანქანა არ მყავდა, ჩემს ძმას და სიძეს ხშირად ვთხოვდი მანქანას და თუ არ მათხოვებდნენ, ძალიან მწყინდა. დღეს კი, როცა მე მთხოვს ვინმე, ამის გამო ნერვები მეშლება... ჩემი აზრით, მანქანის თხოვება არ შეიძლება, ისევე, როგორც პირადი ნივთის. ხშირად მითხოვებია მანქანა ჩემი ახლობლისთვის, მაგრამ სანამ უკან არ მოიყვანს, ძალიან ვნერვულობ ხოლმე.

— შენი ხელით თუ გაგირეცხავს მანქანა?

— კი, ზაფხულში. ეს პროცესი მსიამოვნებს კიდეც, რადგან მანქანის რეცხვისას მეც ვგრილდები... თუ მცალია, რა პრობლემა?!.

— მანქანის მოწყობილობაშიც ხომ არ ერკვევი?

— აბა რა! „ნივა“ რომ მყავდა, იმდენად კარგად ვერკვეოდი, ზეპირად ვიცოდი, სად რა ნაწილი აქვს. ყოველა შემთხვევა, რომ გაჭერებულვარ, კაპოტი ამიხდია და იქიდან დამიქოქავს მანქანა. „ნივა“ რომ მყავდა, თითქმის ყოველდღე, ტაოტიანი ხელებით დავდიოდი...

— საკუთარი ხელით თუ გამოგიცვლია საბურავი?

— მცდელობა ნამდვილად მქონია, მაგრამ იმის გამო, რომ „კლუჩს“ ერთ-ერთი კბილანა მოტეხილი ჰქონდა, ვერ მოვახერხე. რა უნდა მექნა? — ავდექი და დახმარებისთვის ჩემს ძმას დავურეკე.

— თუ გაქვს სურვილი, მანქანის გარდა, რომელიმე სხვა სატრანსპორტო საშუალება მართო?

— რასაც კი მოტორი აქვს, ყველაფერი მომწონს, ბავშვობიდან. ვგიჟდები მოტოციკლეტზე. მართალია, მისი მართვა არ ვიცი, მაგრამ უკანა სკამზე ბევრჯერ ვმჯდარვარ. ზღვაზე როცა ვარ, წყლის მოტოციკლეტიდან ვერ ჩამომიყვანს კაცი. ბაკურიანში კი, სულ „ბურანით“ დავსრიალებ. კიდევ, მომწონს ვერტმფრენით მგზავრობა. ამას წინათ, გადაღებისას ლუშეთში მომიწია ფრენამ და უდიდესი სიამოვნება მივიღე ამით. ასე რომ, საჭე რასაც აქვს, ყველაფერი მიყვარს.

— დაბოლოს, ორიოდე სიტყვა შენი საქმიანობის შესახებაც გვითხარი.

— ამჟამად ვმუშაობ მაია კაჭკაჭიშვილის სიმღერაზე — „ქუჩის ბიჭებთან“ ერთად დუეტს ვწერ. სულ მალე, დათო ფორჩხიძეც დაიწყებს ჩემს სიმღერაზე მუშაობას. ჩემს ხმის ჩამწერ სტუდიაში სერიოზული რეფორმები ჩავატარე და ჩემთან გადმოვიდნენ სერიოზული მუსიკოსები: დათო ფორჩხიძე, მაია კაჭკაჭიშვილი და ლევან ლაზარიშვილი. თვე-ნახევარში, ჩემი ალბომიც გამოვა. მომავალში მე, დათო და ლევანი ერთობლივ პროექტზე მუშაობას ვაპირებთ. მოკლედ, უამრავი გეგმა მაქვს. წინ ძალიან დაძაბული გაზაფხული და ზაფხული მელის. ■

სიახლე!

სახსრების ტკივილი გაწუხებთ?

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ტერმინი – **ქონდროპროტექტორი** – შემოიჭრა ტრადიციული თუ ალტერნატიული მედიცინის სფეროში, მაგრამ თავისი მნიშვნელობითა და მოქმედების უნიკალურობით მან უკვე შეძლო წამყვანი ადგილის დაკავება ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებათა თერაპიაში. დღეს იშვიათია საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისათვის განკუთვნილი წარმატებული პრეპარატი, რომლის ბაზისსაც არ წარმოადგენს **გლუკოზამინის ან/და ქონდროიტინის კომპლექსი.** და ეს ბუნებრივიცაა, რადგან წლების მანძილზე ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებათა თერაპიისათვის საჭირო პრეპარატებს უამრავი უკუჩვენება და გვერდითი მოვლენა გააჩნდათ, რითაც მათი გამოყენების შესაძლებლობა იზღუდებოდა. ამასთანავე, ეს პრეპარატები ახდენდნენ არა სახსრების ფუნქციისა და სტრუქტურის საფუძვლიან აღდგენას, არამედ უზრუნველყოფდნენ ტკივილის მხოლოდ მოცემულ მომენტში მოხსნას და იძლეოდნენ დროებით დადებით ეფექტს. ამიტომ, იქმნებოდა საჭიროება ახალი სამკურნალო მიდგომების შემუშავებისა. სწორედ ასეთ ალტერნატიულ საშუალებად გვევლინება **გლუკოზამინის ან/და ქონდროიტინის** შემცველი პრეპარატები, **ე.წ. ქონდროპროტექტორები,** რომლებსაც გააჩნიათ აღდგენითი თერაპიული ეფექტი. დღეს უკვე სპეციალისტებს შორის არანაირ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ნივთიერებები განაპირობებენ ხრტილისა და სინოვიალური სითხის რეგენარაციას და ამასთან, სახსრებს აუცილებელი „საშენი მასალითა“ და საკვები ნივთიერებების მიწოდებით უზრუნველყოფენ. დამტკიცებულია, რომ პაციენტთა 70%-ს, ვინც რეგულარულად იღებს **გლუკოზამინისა და ქონდროიტინის** ნაერთებს, დადებითი შედეგები აქვთ.

„მეგაპოლის კლასიკი“ გახლავთ ის კომპანია, რომელმაც პირველი ქონდროპროტექტორი, „ინოლტრა” განავრცო საქართველოს ბაზარზე. დღეს ეს კომპანია კიდევ ერთ რევოლუციურ ბიო-პრეპარატს, **„გლუკოზამინის და ქონდროიტინის კომპლექსი მსმ“-ით** გვთავაზობს, რომელმაც თავისი ეფექტურობით ძალზე სწრაფად დაიმკვიდრა თავი ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებათა თერაპიაში. **„გლუკოზამინის და ქონდროიტინის კომპლექსი მსმ“-ით:**

- **უზრუნველყოფს ხრტილის რეგენერაციას და ამცირებს ანთებით პროცესს;**
- **ხელს უწყობს სინოვიალური სითხის გამომუშავებასა და შეკავებას ხრტილში;**
- **ახასიათებს არასტეროიდული და სტეროიდული პრეპარატების მსგავსი ტკივილგამაყუჩებელი და ანტიანთებითი მოქმედება;**
- **მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძვლისა და შემაერთებელი ქსოვილის აღდგენის პროცესში; ამცირებს სახსრის ცვეთას;**
- **არასასურველი ფერმენტების ბლოკირების გზით იცავს სინოვიალურ გარსს დაზიანებისაგან.**



„გლუკოზამინისა და ქონდროიტინის კომპლექსი მსმ“-ით შეუნარჩუნებს თქვენს სახსრებს ჯანმრთელობას.

ნუ შეგაწუხებთ სახსრები, იცხოვრეთ ტკივილის გარეშე!

მეგაპოლის კლასიკი

თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 14 (მრგვალ გაღთან), ტელ: 94 33 92, 98 96 95, 22 05 32
10:00 – 18:00 სთ. (შაბათ-კვირის ჩათვლით)

პრეპარატები ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ "სამგორი-ფარმა"-ს საფთიაქო ქსელში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ჭკუასელი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც ქართული ცეკვა და სიმღერა საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანა და უამრავ უცხოელს ქართულად ამღერების დაუოკებელი სურვილი გაუჩინა... ამჯერად ბატონ ჯემალს, არა ანსამბლ „ერისიონის“ გეგმებზე, არამედ მისივე თაობის ღირსებებსა და თავისებურებებზე სასაუბროდ ვესტუმრეთ. მასპინძელი ჩვეული იუმორით შეეცადა, ამ თაობის განუმეორებლობაში დავერწმუნებინეთ. გასახსენებელიც ბევრი აღმოაჩნდა და მომდევნო თაობებთან სასაყვედუროც...

რატომ კაცობრიობა ჯაჯან ჭკუასელს

ფასდაუდებელი და რატომ იუნესკოს კოდექსტები აბლები

ლელა ჭანკოტაძე

— თაობას აერთიანებს არა ასაკი, არამედ აზროვნების წესი, ცხოვრებისეული პრინციპები,სულიერი სიახლოვე. როცა ასპარეზზე განსხვავებული გაგებისა და მენტალიტეტის ადამიანები გამოდიან, ეს ახალი თაობის გამოჩენას ნიშნავს. უკვე 70 წლის ვხდები. მყავს როგორც უფროსი ასაკის, ასევე ჩემზე ბევრად უმცროსი მეგობრები. მაგალითად, მე და მამუკა ხაზარაძე მეგობრები ვართ, ჩემი შვილები ასაკით მასზე ცოტათი უმცროსები არიან.

— რა განასხვავებს თქვენს თაობას სხვა თაობებისგან?

— ჩვენი თაობა არ ლაპარაკობდა ბევრ ისეთ რამეზე, რაზეც დღეს ლაპარაკობენ. იმის ხსენება, რაც ახლა, ლამისაა, ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ჩვენთვის სასირცხვილოდ ითვლებოდა... უფრო კულტურულებიც ვიყავით... სოფელში დავიბადე და გავიზარდე. წარუშლელია ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილება: „გამარჯობა, ჩემო ბატონო!“ — ჩემი ხნის კაცი ეტყოდა 10 წლის ყმაწვილს, — „როგორ ბრძანდებით, ჩემო ბატონო?“ სახლში რომ ვესტუმრებოდი, დედაჩემის მამა, ბატონი კონსტანტინე წამოდგებოდა და თავის სკამს დამითმობდა, ბუხართან საუკეთესო ადგილას დამსვამდა. კაცი მოვიდა, კაცი, თქვენ ეს ბალანა ხომ არ გგონიათო! — იტყოდა... არც არავის დააჩაგვრინო თავი და არც არავინ დაჩაგროო, — მარიგებდა... კარგი, ხალასი იუმორით სავსე ადამიანების გარემოცვაში ვიზრდებოდი. სამწუხაროდ, შეუდარებელი მშობლიური გარემოს დატოვება ჩემდა უნებურად, ადრე მომიხდა. მერე, როცა დამიგვიანდებოდა ხოლმე სოფელში ჩასვლა, იქაურები ასე გამკენწლავდნენ — წამოდი, დედაშენს და მამაშენს გაგაცნობთო... ან ასე — რეიზა ჩამოი, ჯემალი? ფული გაგითავდა თუ ფქვილიო?.. იუმორის გრძნობას არასდროს კარგავდნენ. ასეთი ადამიანებისგან ვიღებდით მაგალითს. ვიცოდით, რა ცომისგან ვიყავით მოზელილები. განა ეს ცოტაა!..

— კიდევ გაიხსენეთ რამე წინამორბედი თაობის წარმომადგენლებზე, რომელთაც ყოველთვის დადებითად ახასიათებთ.

— ერთი, ძალზე წარმატებული კონცერტის შემდეგ, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილი ხალხი იხსენებდა ცალკეულ ნომრებს და შემსრულებლებს. ცნობილმა ლოტბარმა არტემ ერქომაიშვილმა იმ დროს გაიარა, როცა მის სახელს ახსენებდნენ. შეჩერდა. უცნობი კაცი, რომელსაც არტემ ერქომაიშვილი მანამდე არ ენახა, ჯიუტად ამბობდა — მაგას სიმღერა მე ვასწავლე, გეყურებიენ?.. — მერე, ხომ არ შეგარცხვინე, ჩემო ბატონოო?.. — ტკბილად ჩაიღუღუნა მგალობელმა. აი, ასეთი ხალხისგან შედგებოდა ჩემზე უფროსი თაობა!.. მამაჩემი საოცრად მოწესრიგებული კაცი გახლდათ. მაგრამ ერთ დღეს, რეპეტიციაზე მაინც დააგვიანდა. 150 კაცისა და ქალისგან შემდგარი, ვარლამ სიმონიშვილის გუნდი ოზურგეთში იკრიბებოდა. სარკმელთან მდგარმა გუნდის წევრებმა დაინახეს, როგორ მიიჩქაროდა შერმადინი შხაპუნა წვიმაში ქოლგით ხელში. მოილაპარაკეს — შერმადინს მისალმებაზე პასუხი არ გავცეთ, ვითომ ვერ ვხედავთ, ვნახოთ, რას მოიმოქმედებსო... შერმადინი ყველას რიხიანად მიესალმა. დარბაზში ჩამიჩუმი არ ისმოდა. შერმადინი შებრუნდა, ქოლგა კუთხეში მიაყუდა, ქამარი შეიხსნა, შარვალი გაიხადა და გაწურა; მერე ქვედა საცვლის გახდა დაიწყო... ამის შემყურე, გუნდის წევრები აყვირდნენ. შერმადინი შებრუნდა მათკენ, ხელები გაშალა და იკითხა: „რავა, ხართ ვინმე აქანა?..“ ჩვენს სახლში (სოფელი წითელმთა) ცნობილი ლოტბარები და მომღერლები მოდიოდნენ ხოლმე სტუმრად. არასდროს აძლევდნენ თავს უფლებას, ზომაზე მეტი ღვინო დაელიათ. ისხდნენ, გალობდნენ და მომცრო ჭიქებით შეექცეოდნენ სასმელს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სუფრაზე ბევრი რამ მიუღებელია, ის მაინც აკადემიაა. უწინ ასე ვაფასებდით ერთმანეთს: როგორი ბიჭია, რამდენად სამართლიანია, როგორი მოსაუბრეა?.. მახსოვს, თბილისს ორ ნაწილად ვყოფდით — მტკვრის გაღმა და გამოღმა მხარედ. ვიცოდით, მტკვრის გაღმა მცხოვრებთაგან ვინ ხმარობდა დანას, ვინ იკადრებდა იმავეს, მტკვრის გამოღმელებს შორის. ჩხუბის დროს, გამოღმელები გაღმელებს შეუთვლიდნენ, — ის კაცი არ მოვიდესო — და პირიქით. უფრო ხშირად, ჩხუბი წინასწარ, ორი-სამი დღით ადრე იგეგმებოდა და უმეტეს შემთხვევაში, მთავრდებოდა ქეიფით და არა — „გეიფვით“...



„გამარჯობა, ჩემო ბატონო!“ — ჩემი ხნის კაცი ეტყოდა 10 წლის ყმაწვილს...

— მაშინ თუ იყვნენ თბილისში ცისფრები?

— რა თქმა უნდა, იყვნენ და ვიცოდით კიდეც ამის შესახებ. მათ მიმართ საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად უარყოფითი გახლდათ. მათთან მეგობრობა კაცს უარყ-

ოფითად ახასიათებდა. საერთოდ, უწინ, თუ ვინმეს დაუძახებდნენ — „ტუზიკ“, — ეს მისთვის უბედურება გახლდათ. როცა ახალგაზრდობის წლებს ვიგონებ, ყოველთვის სიამაყით მახსენდება ჩვენი განსაკუთრებული დამოკიდებულება ქალების მიმართ. თუ „ტუზიკას“ რუსთაველზე გავლა უნდოდა და შინ ქალი არ ჰყავდა, ვინმეს გააჩერებდა ქუჩაში და ეტყოდა: ჩემო დაიკო, გთხოვ, ეს ადგილი ჩემთან ხელკავით გაიაროო; მის გასალახად იქ ჩასაფრებული ბიჭები მაშინვე განზე გადგებოდნენ და იტყოდნენ: არა, ძმაო, ქალთან ერთად არის, თითს როგორ დავაკარებთო?!. ახლა უხარიათ, ქალთან რომ მიდის — იმ ქალსაც გალახავენ!.. მე ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი უკულტურობამ მოიტანა. ერთხელ, კულტურის მუშაკებს ედუარდ შევარდნაძესთან გვქონდა შეხვედრა. მან თქვა: სამწუხაროდ, არა გვაქვს საშუალება, კულტურას მივხედოთო. მე ვუპასუხე: მოდი, დავთვალოთ, რა უჯდება ქვეყანას კულტურა და რა დაუჯდება უკულტურობა-შეთქი. გაიცინა და არაფერი მიპასუხა... არადა, უკულტურობა ქვეყანას მართლა ძვირი უჯდება. ხომ ხედავთ — მომრავლდნენ ბავშვები, რომლებიც წებოს სუნთქავენ!..



სასამართლო პროცესი მალე განახლდება. მაგრამ აბსოლუტურად უსამართლოდ გვედავებიან... (ლევან ღვინჯილიასთან ერთად)

— როგორი იყო დამოკიდებულება მდიდრების მიმართ?

— მამაჩემის დედა ძველი თავადიშვილი, დიდიას ქალი გახლდათ. ის მეტყოდა ხოლმე: ი, კომუნისტები ამდენი არიან, არ ესმით — კაცს რომ ღმერთი სწამს, ეი. კარგი კაცია, რაღაცის რიდი აქვს, რაღაცის ეშინიაო... მდიდარია და რომ სდევნიან, სად წაიღებს იმ სიმდიდრესო?.. უწინ, ძირითადად, საკუთარი შრომით მდიდრდებოდნენ. თუ კაცი ბევრ ჩაის მოკრეფდა, მანქანას იყიდდა. ახლა, ხალხი რომ ხედავს, მოიპარა და ნაქურდლით გამდიდრდა, ცხადია, ღიზიანდება. მომრავლდა ხალხი, რომელსაც აქვს ორი — რომელიც ჭეშმარიტი, — მაგრამ უნდა ოთხი — რომელიც არ სჭირდება... საერთოდ, რაც უფრო მეტი მდიდარი ადამიანი იქნება ქვეყანაში, მით უკეთესია: ღარიბი კაცია ქვეყნისთვის ტრაგედია და უბედურება!.. მაგრამ მდიდარს უნდა ჰქონდეს იმის შეგნება, რომ მარტომ არ ჭამოს; ღარიბსაც რომ აქვს კუჭი, ეს არ უნდა დაავიწყდეს. ერთმა გურულმა მდიდარზე დაიჩივლა: მაგის ბაღნებს რომ აქვთ ყველაფერი, ჩემებს რეიზა არა აქვთო?! — შენ რაზომ იბოღმები-მეთქი? — ვკითხე. — რეიზა და ჩემს ბაღანას „დრუნჩი გაჭრილი“ რომ აქვს, კი არ დაცემულა და ქვაზე კი არ გოუხეთქია — ჭამა უნდაო...

— რამდენად პოპულარული იყო ქართული ცეკვა და სიმღერა თქვენს თაობაში?

— ჩემი ცხოვრების მანძილზე, ქართული ფოლკლორის მიმართ დამოკიდებულება რამდენჯერმე შეიცვალა. ისეთი დროც მახსოვს, როცა სირცხვილი იყო ხალხური სიმღერების შესრულება. მაშინ, საბჭოთა-სამეურნეო ინსტიტუტის ა. ბიტორიაში „შევძვრებოდით“ ხოლმე და ჩუმად ვმღეროდით...

— ცეკვას და სიმღერას თუ ეტყობა თაობათა ცვლა?

— სიმღერა და ცეკვა ერთმანეთისგან გაითიშა, რამაც ცეკვას დიდი ზიანი მიაყენა. ცეკვის დადგმა და მასზე სიმღერის მორგება დაიწყეს, რაც დიდი შეცდომაა. ნეტავ, ისეთი წარმატებული იყოს საქართველო, როგორი წარმატებულიც ჩვენი ფოლკლორია საზღვარგარეთ, რადგან ჯერჯერობით, მშობლიურ ნიადაგზე დგას. მთელი კალიფორნია „რქაწითელის“ ნერგებითაა მოფენილი. აბსოლუტურად განსხვავებული გემო აქვს და არაფერი აკავშირებს ჩვენებურ „რქაწითელთან“... თუმცა, არც დროს უნდა ჩამორჩე. დღეს არც ყანაში მღერიან, არც ურმებია და აღარც აბედს აკვესებენ. ფიზიკურად აღარ არსებობს ის ნიადაგი, რომელზეც ქართული ფოლკლორი აღმოცენდა. გმირული და მებრძოლი სული მაინც უნდა შევინარჩუნოთ. საბედნიეროდ, ჩვენ უნიჭიერესი ახალგაზრდობა გვყავს. მაგრამ ნიჭი, სასთუმლის ქვეშ ამოდებული ვის სჭირდება? ნიჭს გამომზეურება უნდა! თუ ნიჭიერებით შენი ქვეყნისთვის სარგებლობის მოტანა შეგიძლია, მაშინ არის ნიჭი გამოყენებული. ჩვენი კულტურის შენახვისა და მოვლის ნიჭი უნდა გამოვამზეუროთ, სხვანაირად ვერ გადავრჩებით. იუნესკომ ქართული ხალხური სიმღერა, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხურ შემოქმედებას შორის გამოარჩია და შედევრად აღიარა. ამას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

— როგორ დასრულდა სიმღერის — „შატილის ასული“ — გამო ატეხილი დავა?

— სასამართლო პროცესი მალე განახლდება. მაგრამ აბსოლუტურად უსამართლოდ გვედავებიან: ვისაც ავტორობაზე პრეტენზია აქვს, ამბობს — 1961 წელს დავწერეო; მაგრამ 1957 წელს, მე ამ სიმღერას უკვე ვმღეროდი... ვახუშტი კოტეტიშვილმა მითხრა: გახსოვს, ჯემალ, სპორტის სასახლის ირგვლივ დუქნები რომ იყო? იქ მღეროდნენ ამ სიმღერასო... ის დუქნები 1957 წელს დაინგრა... უწინ ამ სიმღერას „თუშური სატრფიალო“ ერქვა. მე ახლებურად მოვამზადე, მაგრამ ტექსტი იგივე დავტოვე. ჩემს თაობას კარგად ახსოვს ძველი ვარიანტი... ■



სამსახურებრივი რომანი

„6 სნაიპერს ჰყავდა მიზანში ამოღებული გულცივი „უფლისწული“...“

გამარჯობათ, ძვირფასო „გზის“ მკითხველებო. „ეთერშია“ რუბრიკა „გზავნილები“ და მისი წამყვანი მარი. შეგიძლიათ დაგვირეკოთ ან დაგვიმესიჯოთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ჩვენ ერთად ვიქნებით კიდევ სამნახევარი (ჰა-ჰა — 4) გვერდის მანძილზე... ნუ გაგიკვირდებათ ასეთი დასაწყისი და ნურც იმას იფიქრებთ, რომ რადიოს „დიჯეობაზე“ ვოცნებობ. ასეთ გუნებაზე ბევრი თქვენგანის მესიჯმა დამაყენა. მათი უმეტესობა სწორედ რადიოსთვის გაგზავნილს ჰგავს. „მარი, მინდა, მოკითხვა გადავცე ჩემს მეგობრებს, მაკოს, თიკოს, ნიკოს...“, „დაბადების დღეს ვულოცავ ყველა 5 მაისს დაბადებულს“ ან კიდევ — „ნანუკა, მიყვარხარ. გიო“... დასანანი მხოლოდ ის არის, რომ სიმღერის შეკვეთა არ შეგიძლიათ, მე კი — მისი აუღერება... მოკლედ, „გზა“ არ გახლავთ რადიო და ამიტომ, თუ ასეთ მესიჯებს ვერ გამოვაქვეყნებ, ნუ გეწყინებათ.

ახლა კი, დღევანდელ თემას მივხედოთ და სამსახურებრივ რომანებს გავეცნოთ. მაშ ასე, ჩვენი პირველი რესპონდენტი, საოცნებო საცოლეს გადაჰყრია და იმედი აქვს, ბედნიერად იცხოვრებს.

მარი ჯაფარიძე

„...დედაბერი შენ, ქონება – მე!“

„არ ვიცი, ჩემს რომანს შეიძლება თუ არა, სამსახურებრივი ვუწოდო, მაგრამ როდესაც ბოლომდე მოგიყვებით, თქვენ თვითონ განსაჯეთ. 27 წლის ვარ. ირაკლი მქვია, კარგა ხნის განმავლობაში უმუშევარი ვიყავი. მერე მე და ჩემმა ძმაკაცმა კობამ გადავწყვიტეთ, როგორღაც იმდენი ფული მოგვეგროვებინა, რომ უცხოური მანქანა გვეყიდა და „გვეტაქსავა“. ძლივძლივობით მოვაგროვეთ საჭირო თანხა და ერთ დღეს, წითელი „ოპელი“ ვიყიდეთ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სასწრაფოდ გავაკეთეთ ყველა საბუთი, ავიღეთ ლიცენზია და დავიწყეთ მუშაობა. ერთ დღეს, მე ვიჯექი საჭესთან, მეორე დღეს – კობა. მშვენივრად ავაწყვეთ საქმე. ერთ დღეს, მგზავრი მივიყვანე ვაკეში და უკან გამოვბრუნდი. ასაკოვანმა კაცმა გამაჩერა. ტაქსის მძღოლი აღმოჩნდა. – ერთი უცხოელი ქალბატონი ავლაბარში მიმყავდა, მაგრამ მანქანა გამიფუჭდა და შენთან გადმოვსვამო, – მთხოვა. დავთანხმდი. ასე, 60 წლის, ზედმეტად გაპრანჭული, ინგლისელი ლედი აღმოჩნდა ჩემი მგზავრი. გზაში თვითონ გამომელაპარაკა. შემდეგ ერთ ადგილზე მივედით, დაველოდე და უკანვე წამოვიყვანე. მთხოვა – ხვალ დილით ამა და ამ მისამართზე მოდი, თბილისის დათვალიერება მინდა და მთელი დღე ჩემთან იყავი, საღამოს 150 დოლარს გადაგიხდიო. მეორე დღეს კობას უნდა ემუშავა, მაგრამ ვთხოვე, კლიენტს ნუ დამაკარგვინებ, მე ვიმუშავებ, შენ კი 50 დოლარს შინ მოგართმევ-მეთქი. მოკლედ, მეორე დღეს მე და ლუიზამ მთელი თბილისი მოვიარეთ. თან ქალაქს ვათვალიერებინებდი, თან გიდობასაც ვუწევდი. შემდეგი დღეც ისევე გავატარეთ. მერე ქალბატონმა ლუიზამ „შოპინგი“ მოაწყო და საღამოს, ვაგზლის ბაზრობაზე ნაყიდი ათასი ხარახურით დატვირთული მივიყვანე სასტუმროში. შევთავაზე – ბარგის ატანაში მოგეხმარებით-მეთქი. საუცხოო ნომერში უცხოვრია... შემომთავაზა, ერთად ვივახშმოთო. კავალრობაზე უარი არ მითქვამს. ვახშმის შემდეგ კი, მასთან საწოლშიც აღმოვჩნდი... თავს მევლებოდა, საჩუქრებსა და ფულს არ ზოგავდა ჩემთვის. ორი კვირა უცებ გავიდა და ლუიზა სამშობლოში უნდა წასულიყო. თვალცრემლიანმა დატოვა თბილისი. ხშირად მირეკავდა, შემდეგ თავისთან მიმიწვია. მოვინახულე ლონდონი და ლივერპული. მერე თვითონ ჩამობრძანდა თბილისში. ახლა კი – ცოლად შემირთეო, – წამომიყენა ულტიმატუმი. მისმა სანანკო ანგარიშებმა სასწორის პინა მისკენ გადახარა. სულ მალე, საცხოვრებლად მასთან გადავალ. მანქანას კობას ვაჩუქებ, თუმცა ამბობს – რადგან საერთო მანქანამ გაპოვნინა, ეგ დედაბერიც შუაზე უნდა გავიყოთო. – კარგი, – დავთანხმდი მე, – დედაბერი – შენ, ქონება – მე-მეთქი, – მაგრამ ასეთი გაყოფა არ მოეწონა. არც დედაჩემს მოეწონება სარძლო. ამიტომ ოჯახში არ ვამხელ, საზღვარგარეთ ცოლის მოსაყვანად რომ მივდივარ. ადრე კობას შეყვარებულის დაქალი მომწონდა. რა თქმა უნდა, ჩემი „დაოჯახების“ ამბავი შეიტყო. მე დავამშვიდე – ნუ ნერვიულობ, მალე დავქვრივდები და მერე შენ შეგირთავ-მეთქი. – მაგ ბებრის ნახმარი და გამონაცვალი, ოქროც არ მინდა, ღმერთმა ტკბლად შეგაბეროთ ერთმანეთსო, – დამლოცა. აი, ასეთი ამბავი დამემართა და ახლა თქვენ განსაჯეთ, არის თუ არა ეს სამსახურებრივი რომანი“.

ოდესმე, სხვისი ცოლის სათხოვნელად მისულხართ?.. თუ მსგავსი რამ შეგმთხვევიათ, თქვენთვის უცხო არ იქნება ის შეგრძნებები, რომელიც შემდეგი მესიჯის გმირს გადახდა თავს. თუმცა მხოლოდ „სასიძოს“ ბრალიც არ არის – მესიჯის ავტორიც არანაკლებ სცოდავს. ალბათ თქვენც, ჩემსავით გაგახსენდებათ ეპიზოდი ფილმიდან „შერეკილები“, როცა ტრიფონი ამბობს – მაშ, ეს ერთი მათხოვარი ცოლის ხელსა მთხოვს, ეს მეორე მათხოვარი კი – მაჭანკალია, არა?..

ოჯახზე გულაცრუებული რძალი ანუ „მომათხოვეთ თქვენი ცოლი...“

„16 წლის გავთხოვდი. როგორც ჩანს, სწორედ პატარა ასაკის ბრალი იყო, რომ ვერც ქმარს შევეგუე და ვერც მის ოჯახს. თანაც, არც შვილი შეგვეძინა და 4 წელიწადში, ძალზე ავიცრუე ოჯახზე გული. ცუდად არ გაიგოთ ჩემი ნათქვამი. არც საყვარელი გამიჩენია და არც დედამთილი მიცემია. უბრალოდ, ძალზე შებოჭილად ვგრძნობდი თავს, მე კი ჩემი თანატოლი, გასათხოვარი გოგოებივით მინდოდა „ფრთების გაშლა“ და გულში გადაწყვეტილიც მქონდა ოჯახის დანგრევა, მაგრამ დრო მჭირდებოდა საიმისოდ, რომ ჩემი მშობლები შემემზადებინა ამ ამბისთვის. დავიწყე იმით, რომ მამას განვუცხადე – სასწრაფოდ სამსახური მიშოვე, თორემ შესაძლოა, შინ ვჯდომისგან

„დავუსტვინო“-მეთქი. მამაჩემიც მიდგა-მოდგა, შეაწუხა ხალხი და ერთ-ერთ დაწესებულებაში სარეკლამო მენეჯერად დავინიშნე. პირველი სამუშაო დღისთვის, ბუნებრივია, საგანგებოდ გამოვეწყვე და მამის თანხლებით გამოვცხადდი (მას ჩემს უფროსთან ჰქონდა საქმე). ვიგრძენი, როგორი ეფექტი მოვახდინე ყველაზე: მამაკაცები აღტაცებული მიმზერდნენ და თვალს ვერ მაშორებდნენ, ქალები – თბილი, სიყვარულით აღსავსე მზერით მადევნებდნენ თვალს, ხოლო ახალგაზრდა გოგონები – შურით... ძალიან მალე მოვიპოვე ყველას კეთილგანწყობა. მხიარული, კონტაქტური ადამიანი ვარ და უცებ შევაყვარე თავი ყველას. ყველაზე შურიანი და ბოღმიანი გოგონებიც კი კარგად განეწყვნენ ჩემ მიმართ და აღიარებდნენ, რომ საყვარელი, ლამაზი და „ჩასაყლაპი“ გოგო ვიყავი. ბუნებრივია ისიც, რომ ჩემი პირადი ცხოვრებაც ყველას აინტერესებდა. უფრო თამამები მეკითხებოდნენ, მერე კი დანარჩენებს უამბობდნენ ჩემ შესახებ. თითქმის არაფერი დამიმალავს მათთვის, გარდა იმისა, რომ გათხოვილი ვიყავი, რადგან მაინც ვაპირებდი ქმართან გაყრას და რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, რას ვეტყოდი?! თაყვანისმცემლებიც გამომიჩნდნენ, მაგრამ მე ქმარიც მობეზრებული მყავდა და მამაკაცი ჩემი ინტერესის სფეროში არ შედიოდა. ამიტომ ყურადღებას არავის ვაქცევდი. ერთ-ერთ მათგანს კი, ისე შევუყვარდი, რომ თანამშრომლებთანაც აღარ მალავდა თავის გრძნობებს. ხან კედლებზე პლაკატებს აკრავდა – ნუციკო, მიყვარხარო... ხან მაგიდაზე თაიგულს მიტოვებდა, ხან შეფს შესჩიოდა – მიშველეთ, მიყვარს, ის კი ყურადღებას არ მაქცევსო. ერთ დღეს მითხრა – მამაშენს შენი ხელი უნდა ვთხოვოო. – იქ მოსული არ დაგინახო, თორემ, კიბეზე დაგაგორებ-მეთქი, – შევპირდი. მე თუ არა, მამაჩემი დააგორებდა, გათხოვილი ქალიშვილის ხელს რომ სთხოვდა, აბა, რას იზამდა?! ამ სულელს, ჩემი მისამართი დაუდგენია და ერთ მშვენიერ დღეს, როცა სამსახურში ვიყავი (კიბეზე რომ არ დამეგორებინა), ჩემს ქმარსა და დედამთილ-მამამთილს მისდგომია კარს, ჩემი ხელის სათხოვნელად. ახლა წარმოიდგინეთ სცენა, რომელიც იქ გათამაშდა. ჩემი დედამთილი სამზარეულოში ფუსფუსებდა და თურმე, პიურეს ზელდა. ჩემი ქმარი ტელევიზორის წინ დივანზე წამოწოლილიყო და გაზეთს კითხულობდა, მამამთილი დაზიანებული კარადის შეკეთებით იყო გართული, კარზე კაკუნის ხმა გაისმა. გასაღებად მამამთილი წავიდა, იქ მორცხვად თავდახრილი ახალგაზრდა ბიჭი და ორი ქალი (დედა და დეიდა) შერჩა ხელში. – შეიძლება? – იკითხეს სტუმრებმა. – მობრძანდით, დაბრძანდითო, – შეიპატიჟა ოჯახის უფროსმა. ცოტა ხანში, ისინი ჩემი ქმრისა და მამამთილის პირისპირ ისხდნენ და მათ შორის აი, ასეთი დიალოგი გაიმართა:

– იცით, ძალზე მიჭირს საუბრის დაწყება... არც კი ვიცი, რა გითხრათ... ეს ჩემი ბიჭია... – ალაპარაკდა ჩემი „სადედამთილო“.

– გისმენთ, გისმენთ, მოსარიდებელი არაფერია, თქვით, რა გნებავთ – გაამხნევა ჩემმა მეუღლემ.

– ვასიკოს... ჩემს შვილს... აი, ამ ბიჭს თქვენი შვილი უყვარს – მიუბრუნდა „სადედამთილო“ ჩემს მამამთილს.

– ჩემი და? – გაოცებულმა იკითხა ისევ ჩემმა მეუღლემ. – მას ქმარშვილი ჰყავს... – რა იცოდა იმ უბედურმა, რომ დაზე კი არა, მის ცოლზე იყო საუბარი.

– არა, ნუციკო ხომ გათხოვილი არ არის, მე მინდა, ცოლად შევირთო და აქ იმიტომ მოვედი, რომ არ მინდოდა, თქვენ საქმის კურსში არ ყოფილიყავით, – ეს უკვე ჩემი „საქმროს“ სიტყვები იყო, რომელსაც, როგორც ჩანს, მოჰბეზრდა გაწელილი საუბარი და ყველაფერი ერთბაშად მიაყარა „სასიმამროს“.

– მოიცა, მოიცა, ვერ გავიგე, შენ აქ იმისთვის მოხვედი, რომ ნუციკოს ცოლად შერთვა გინდა და ჩემი ნებართვა გჭირდება? – ეს უკვე ჩემი დედამთილი გახლდათ.

– დიახ... – მორცხვად ჩაღუნა თავი „სასიძომ“ და სწორედ იმ ჩაღუნულ თავში მოხვდა პიურეს საზელი. მერე იქ ამბავი დატრიალებულა – მტრისას!.. შინ რომ დავბრუნდი, მეგონა, აღა-მაჰმად ხანის ჯარმა გაიარა ჩვენს ოთახებში-მეთქი. რომ გავიგე, რაც მოხდა, გულიანად ვიცინე. დაბოღმილი ოჯახის წევრებიც კი გაახალისა ჩემმა სიცილმა. ცოტა ხანში, ოთხივე გულიანად ვხარხარებდით ამ ამბავზე და თან, თვალცრემლიანები, დაწვრილებით მიყვებოდნენ, რაც ჩემი არყოფნის დროს მოხდა. ჩემი თაყვანისმცემელი იმ დღის შემდეგ სამსახურში აღარ გამოჩენილა. მე კი, ისევ ქმართან ვცხოვრობ. ვნახოთ, რა იქნება მომავალში. პატივისცემით, ნუციკო“.

შემდეგი ამბავი ტელეფონით მოვისმინე და კარგა გულიანადაც ვიცინე. სამსახურში თუ ქალები ჭარბობენ, მამაკაცის, თანაც სიმპათიური მამაკაცის გამოჩენა დიდ ალიაქოთს იწვევს ხოლმე. ჰოდა, ამბავი ერთ ჩვეულებრივ სამსახურს, ჩვეულებრივ ქალებსა და „არაჩვეულებრივ“ მამაკაცს ეხება. თანაც, ჩვენი რესპონდენტი გასახდომად საუკეთესო მეთოდს გვთავაზობს.

„...უსიტყვო ომი გავაჩაღეთ ამ ბიჭის გულის მოსაგებად“

„სამსახური რომ ვიშოვე, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, თანამშრომლებს კარგად შევეწყვე. სულ 20 ადამიანი ვმუშაობდით ფირმაში და ერთმანეთს მშვენივრად ვუგებდით. თანაც, ფირმა ახალი გახსნილი იყო, ყველამ ერთდროულად დავიწყეთ იქ მუშაობა, ერთმანეთისთვის სრულიად უცხონი ვიყავით და ჩვენ შორის თანაბარი ურთიერთობები დამყარდა, ჯგუფებად არ დავნაწილებულვართ. ერთიანი და შეკრული კოლექტივი ვიყავით. ყველაფერი მას შემდეგ აირ-დაირია, როცა ორი წლის შემდეგ, ახალი თანამშრომელი – ჩვენი კბილა, ძალზე კარგი გარეგნობის ბიჭი გამოგვეცხადა. გოგონები თითქოს ერთმანეთის მტრებად ვიქეცით და უსიტყვო ომი გავაჩაღეთ ამ ბიჭის გულის მოსაგებად. ის კი თავისთვის მიდი-მოდიოდა, ზევიდან მედიდურად დაგვყურებდა და თავისი ყურადღების ღირსად არავის თვლიდა. თუ ვინმეს გაუღიმებდა, კომპლიმენტს ეტყოდა, ორი წუთი საუბარს გაუბამდა, ის გოგო ყელმოღერებული დადიოდა და უკვე მის ცოლობაზე ოცნებობდა. ეს ყველაფერი ძალზე დამამცირებლად მეჩვენებოდა. ამიტომ შეჯიბრებას ძალზე მალე, რაღაც ორიოდე კვირაში გამოვეთიშე და გადავწყვიტე, შორიდან მედევნებინა თვალყური გოგონების მარათონისთვის. 20 თანამშრომლიდან, 7 – მამაკაცი გახლდათ, 3 – ასე, 50 წელს მიღწეული ქალბატონი, დარჩენილი 10-დან, 5 გათხოვილი, ახალგაზრდა გოგო, მაგრამ მათგან 2 – მზად იყო ქმრისთვის ელალატა და დათოს ჩასწოლოდა ლოგინში. მალე მეც გამოვეთიშე და დარჩა 6 გოგო, რაც იმას ნიშნავდა, რომ 6 სამტრო ბანაკი იყო ასეთ პატარა ოფისში... 6 სნაიპერს ჰყავდა მიზანში ამოღებული გულცივი „უფლისწული“ და რით დამთავრდებოდა ყოველივე, მხოლოდ ღმერთმა უწყოდა. ერთხელ, ერთმა გოგომ დილით ამაყად დააძრო ჩანთიდან რაღაც ფოტო, რომელიც დიდი სიფრთხილითა და რუდუნებით ჩასვა ჩარჩოში, თავისი საწერი მაგიდის მარჯვენა კუთხეში მიუჩინა ადგილი, ფეხი ფეხზე გადაიდო და კარგა ხანს, მოჭუტული, სიყვარულით აღსავსე თვალებით უცქირა. შემდეგ დემონსტრაციულად გავიდა ოთახიდან. ეს ყველაფერი ისე გააკეთა, რომ აშკარად ყველა დაგვაინტერესა, თუ რა ფოტო ჩასვა ჩარჩოში. გავიდა თუ არა, ერთდროულად წამოვხტით ჩვენ-ჩვენი სკამებიდან და მის მაგიდას მივცვივდით. ამ დროს, ისევ შემოაღო კარი და დაიძახა – „მაგ სურათზე

არავის პომადის კვალი არ დარჩეს, თორემ!..“ – და გავიდა. დავხედეთ სურათს და გაოცებისგან თვალები გაგვიფართოვდა: დათო და თვითონ, ხელგადახვეულები შემოგვცქეროდნენ ფოტოდან. მაშინვე დანარჩენებს გადავხედე. ზოგი გამწვანდა შურისგან, ზოგი – გალურჯდა, ზოგიერთი კი ბოღმამ ლამის დაახრჩო... იმ დღეს სამსახურში სიტუაცია ძალზე დაძაბული გახლდათ. მხოლოდ ფოტოს პატრონი დადიოდა ღიღინ-ღიღინით. ერთი კვირის შემდეგ, მეორე გოგომ მოიტანა ისეთივე ფოტო და მის მაგიდაზეც გაჩნდა ჩარჩოში ჩასმული სურათი. პირველი დაიბოღმა. სამაგიეროდ, ახლა მეორე დადიოდა ღიღინ-ღიღინით... კიდევ ერთი კვირის შემდეგ, მესამე მაგიდაზე გაჩნდა სურათი. მერე, ერთ-ერთმა გათხოვილმა გოგომ გამოიტანა ამბავი – ამ შაბათ-კვირას, დათოს შემთხვევით შევხვდი ქუჩაში და ყავაზე დამპატიჟა; მერე გული გადამიშალა და მითხრა – ვის მაგიდაზეც ჩემი სურათია, ყველასთან ვიწექი... მივხვდით, რომ მასთანაც იწვა, მაგრამ მას ოჯახური მდგომარეობა უშლიდა ხელს, სურათი რომ გადაეღო... დათოს მგონი, ჩვევად ექცა, ყოველ შაბათ-კვირას ახალ გოგოსთან შეხვედრა. ორშაბათობით ვის მაგიდაზეც სურათს ვნახავდით, ვხვდებოდით, რომ ისიც სიაში ჰყავდა ჩაწერილი... უკვე ნაძლევებს ვდებდით პარასკეობით – ვინ იქნებოდა შემდეგი?.. ამასობაში, ზაფხული დადგა. ვინაიდან გოგონები ერთმანეთზე ეჭვიანობდნენ, ერთ-ერთმა წინადადება წამოაყენა – ერთი თვით მაინც ვიხურებით, მოდი, ერთად წავიდეთ ზღვაზე, კარგ დროს გავატარებთო. გადაწყვეტილება მივიღეთ, მაგრამ გათხოვილები გამოგვაკლდნენ. 5 გოგო და ფირმის თანამშრომელი 4 მამაკაცი, მათ შორის დათოც, ერთად უნდა წავსულიყავით. ამასობაში, კიდევ ერთი პარასკევი დადგა. საღამოს, ჩემთან სახლში ტელეფონი აწკრიალდა, – ალო, თამუნა ხარ?.. დათო ვარ... – ჩემი რიგი მოვიდა?.. – ეს მხოლოდ გავიფიქრე, ხმამაღლა კი ვუთხარი: – ჰო, თამუნა ვარ, – და გავიტრუნე. ინტერესით ვკვდებოდი, რას მეტყოდა. – იცი, დავრწმუნდი, რომ შენ ყველაზე კარგი გოგო ხარ. შენთან საუბარი მინდა. ხვალ შევხვდეთ, საღამოს 8 საათზე, ბუკიას ბაღთან. – ისე იყო დარწმუნებული, რომ დავთანხმდებოდი, უკვე პაემანს მინიშნავდა. მე კი მტკიცე უარი ვუთხარი და ყურმილი დავუკიდე. თუმცა, გული უჩვეულოდ მიფეთქავდა... ნეტავ, იმათაც ასე ეუბნებოდა?.. თუ მართლა ჰგონია, რომ ყველაზე კარგი ვარ? – ვეკითხებოდი ჩემს თავს. გადავწყვიტე, ზღვაზე ყოფნის დროს გავრკვეულიყავი მის გრძნობებში და მისი მოხიბვლაც იმ დროისთვის გადავდე. მანამდე კი, მთელი 2 კვირა იყო დარჩენილი და საჭირო იყო, ფორმაში ჩავმდგარიყავი. ამისთვის მთელი 10 კილოს დაკლება გადავწყვიტე. თითქმის მთელი ღამე ცელოფანისგან შარვალსა და ზედა ჩასაცმელს ვკერავდი. დილით ჩავიცვი ეს ახალი სამოსი, ზევიდან სპორტული შემოვიცვი და სავარჯიშოდ წავედი; შუა ივლისი იყო. აი ამ სიცხეში, ცელოფანში გამოწყობილს, ლამის გული შემიწუხდა. ოფლი წურწურით მდიოდა. მეც სწორედ ეს მინდოდა. საღამოს სამზარეულოს კარი მოვიხურე, გაზის ოთხივე „კამფორკა“ და ღუმელი ავანთე, ცელოფანზე „შუბა“ შემოვიცვი, ყურებიანი ქუდიც დავიხურე და ცეცხლს მივეფიცხე. ჩემი და გავაფრთხილე – ოფლი უნდა მოვიდინო და არც ტელეფონის გამო დამიძახო, არც სტუმრის მოსვლა შემატყობინო, ვიდრე მე თვითონ არ გამოვალ-მეთქი. მერე ყურში პლეიერის „ნაუშნიკი“ გავირჭვე და მოთმინებით აღვიჭურვე. ისე ჩამოცხა, სამზარეულოში ალბათ 80 გრადუსამდე ავიდა ჰაერის ტემპერატურა. მე კი „შუბით“ ვოჯექი და ცეცხლს ვეფიცხებოდი... დათოს ჩემი ცივი უარი არ მოსწონებია და გადაუწყვეტია, ჩემთვის აზრი შეეცვლევინებინა. ამდგარა და შინ მწვევია. ჩემი და ცოტა ხანს ართობდა, მაგრამ რომ აღარ ეღირსა ჩემი გამოჩენა, დათოს გადაუწყვეტია, თავისი თვალით ენახა, რას ვაკეთებდი სამზარეულოში ისეთს, რომ სტუმარს ამდენ ხანს ვალოდინებდი. ჩემი და მეორე ოთახში გასულა, ის კი სამზარეულოში თავზე წამომდგა... ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო. როცა გავაცნობიერე, რომ ჩემ წინ დათო იდგა, მე კი ასეთ სასაცილო სიტუაციაში ვიმყოფებოდი, ლამის ტვინში სისხლი ჩამექცა. – რა არის, გცივარ? – მკითხა. – ჰო, ავად ვარ-მეთქი, – მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე. – ასე ხომ მოკვდებიო! – მითხრა და ძალით გამათრია ოთახში. იქ კი, როგორც ჩანს, ცელოფანში დაგროვილი ოფლი წურწურით ჩამომდიოდა და პარკეტზე კარგა დიდი „ტბა“ დავაყენე. დათომ დახედა გუბეს ჩემს ფეხებთან და ახლა ამაზე გაღაირია. შევვარდი საძინებელში, პირსახოცით გავიმშრალე ტანი, გამოვიცვალე სამოსი, მოვწესრიგდი და... დათო იქ აღარ დამხვდა. 10 კილოგრამი დავიკელი, ზღვაზეც წავედი, დათოც მოვხიბლე და ახლა ცოლ-ქმარიც ვართ. მე ისევ იქ ვმუშაობ, დათო კი – აღარ. ახლა მხოლოდ ჩემს მაგიდაზე დგას ჩარჩოში ჩასმული ფოტო, სადაც საპატარძლო კაბით ვარ, დათოსთან ერთად გადაღებული. აი, ასე...“

ჟურნალისტებმა სიტყვის თავისუფლების ფასი ვიცით, მაგრამ ეს თავისუფლება თურმე, ყველაზე „ტკბილი“ მაშინ ყოფილა, როცა მთელი ძალით მოქნეულ ჩაქუჩს ჩაირტყამ თითში. ახალი რომანის დასაწყისადაც შესაძლოა, „მტკივნეული“ შემთხვევითობა გახდეს საჭირო.

„...მოიხედა ანგელოზმა, მერე ნახევარი საათი სულს მიბერავდა გალურჯებულ თითზე...“

„ჩემი კაბინეტის კარი მუდამ ღიაა და დარეფნის კედელი მოჩანს. გადავწყვიტე, ლამაზი ნახატი შემეძინა და იმ კედელზე დამეკიდა. ასეც მოვიქეცი. ერთ მშვენიერ დღეს, დერეფანში კედელთან სკამი მივადგი და ლურსმნის მისაჭედებლად ზედ შევდექი. შემეძლო, სხვისთვის მეთხოვა, მაგრამ ასეთი საქმის კეთება თავად მსიამოვნებს. ამ დროს, დერეფნის ბოლოში, ერთი მაგარი ქალი შევნიშნე, რომელიც ჩვენს თანამშრომელ გოგოსთან მეგობრობდა და ხშირად აკითხავდა. ნელი ნაბიჯით მიახლოვდებოდა, მე კი ზევიდან დავყურებდი. საკმაოდ დეკოლტირებული მაისური ეცვა. როცა მომიახლოვდა, ლამის კისერი მომეგრიხა, ისე მივტრიალდი, რომ მის დეკოლტეში ჩამეჭყიტა. თან, ამ დროს, ლურსმანს ვაჭედებდი. არ მინდოდა, სიჩუმით მიმხვდარიყო ჩემს ეშმაკობას. ჰოდა, ეს მოქნეული ჩაქუჩი ისეთი ძალით ჩავირტყი თითში, რომ... აი, მაშინ მივხვდი, რა ტკბილია, სიტყვის თავისუფლება: ერთი გემრიელი გინება ქვეყნიერებას მერჩივნა იმ წუთში, მაგრამ რა უნდა მექნა? ამ ქალის გასაგონად ხომ ვერ შევიგინებოდი? სამაგიეროდ – ვაი, ვაი-მეთქი, – დავიძახე. მოიხედა ანგელოზმა, მერე ნახევარი საათი სულს მიბერავდა გალურჯებულ-გასივებულ თითზე. ამასობაში დავიმაკაცდით და... ჩემი სამსახურებრივი რომანიც იმ დღიდან დაიწყო“.

მომდევნო ამბავს შესავლად, ერთი „წვერიანი“ ანეკდოტი მოუხდება: ღრმად მოხუცებულ ბებიას შვილიშვილი ეკითხება – ბებო, შენ მთელი ცხოვრება ბაბუის ერთგული იყავი? – კი, – თავს უქნევს მოხუცი. – როგორ, ერთხელაც არ გიღალატია? – უკვირს შვილიშვილს. – უიმე, ჩემი სიკვდილი! – იკივლა ბებომ და გარდერობს მივარდა. კარი გამოაღო და... იქიდან ჩონჩხი გადმოვარდა... ჩვენი შემდეგი რესპონდენტის საყვარლისთვის დროზე რომ არ ეშველათ, სწორედ ასე დაემართებოდა.

„გავთხოვდი და სულ ერთი თვე ვიყავი ქმართან...“

„აბა, დასამალი რაღაა და მეც მოგიყვებით, რა გადამხდა თავს ჩემი სამსახურის გადამკიდეს. დავიწყებ იქიდან, რომ ძალზე მკაცრი ძმა მყავს. გასათხოვარი სწორედ მის გამო დავრჩი. თუ ვინმეს მოვეწონებო-

დი ან შევუყვარდებოდი, გაულახავს არ დატოვებდა. ბიჭები შიშით ჩემ გვერდით ვერ ჩნდებოდნენ ხოლმე. ასე იყო სკოლაში, ასე იყო ინსტიტუტშიც... მერე ცოლი მოიყვანა და ვიფიქრე – ახლა ამოვისუნთქავ-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ერთი წუთითაც არ მოუდუნებია ყურადღება. ისევ ძველებურად აგრძელებდა ჩემი თაყვანისმცემლების დატერორებას. გამაფრთხილა – 28 წლამდე გათხოვებაზე ხმა არ ამოიღოო! რატომ ამოიჩემა მაინცდამაინც ეს 28 წელი, ვერ გავიგე. თუმცა, ბოლოს გაირკვა – რატომაც და მერე თქვენც გეტყვით. სამსახურში ერთი ახალგაზრდა მამაკაცი გადამეკიდა, მიყვარხარო, მეუბნებოდა. იმდენი ქნა, მეც შემაყვარა თავი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცოლიანი ყოფილა. ისე მიყვარდა, ყველაფერზე თვალები დავხუჭე და ჩემი ქალწულობა ცოლიან კაცს ჩავაბარე. ჩვენი შეხვედრა ქალაქში გამორიცხული იყო. ჩემი ძმა ცომივით გააბრტყელებდა, სადაც ნახავდა. ამიტომ იძულებული ვიყავით, იქვე, სამსახურში მოგვეხერხებინა შეხვედრა. ამისთვის ხან რას ვიმიზეზებდით, ხან – რას, რომ გვიანობამდე ერთად შემოვრჩენილიყავით. ჩვენი უფროსი, მისი ძმაკაცი იყო, ყველაფერი იცოდა და სპეციალურად გვიანობამდე გვტოვებდა ხოლმე. გურამს მართლა ვუყვარდი, ამას ვგრძნობდი და ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ჩემი ძმა რომ გამახსენდებოდა და წარმოვიდგენდი, ჩვენი ურთიერთობის შესახებ რომ გაეგო, ამას რა მოჰყვებოდა, გულის წასვლამდე შემეშინდებოდა ხოლმე. თუმცა, გურამი მამშვიდებდა – ნუ გეშინია, მე მას იოლად გავუმკლავდებიო, – მაგრამ ხომ ვიცოდი, რა მუტრუკიც იყო ჩემი ძმა!.. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩემი დაბადების დღე იყო და 28 წლის გავხდი, ჩემმა ძმამ გამოაცხადა, სექტემბერში ნინო თხოვდებაო (დაბადების დღე ივლისში მაქვს). მოულოდნელობისგან შევხტი. თურმე, მეგობარი ჰყოლია, რომელსაც შეჰპირებია და კაცური სიტყვა მიუცია – ჩემს დას მოგათხოვებო. მაშინ ისინი 15 წლისანი ყოფილან, მე კი – მხოლოდ 11-ის, და ბავშვური ჭკუით, ძმაკაცობის გამყარება დანათესავებით უნდოდათ; მისი ძმაკაცი 19 წლის ასაკში დაუჭერიათ და 15 წელი მიუსჯიათ. ჩემი ძმა, ბუნებრივია, მეგობრის სანახავად ციხეში მიდიოდა ხოლმე. მას კი ჩემი ძმის მიერ ნათქვამი სიტყვა წლების განმავლობაში არ ავიწყდებოდა და სულ ეუბნებოდა – პირობა ხომ გახსოვსო?! ჩემი „საქმროს“ გამოსვლის დროს მე 28 წელი მისრულდებოდა და აი, რატომ მიფრთხილდებოდა ასე ჩემი ძმა... ალბათ თქვენც დაუჯერებლად მიგაჩნიათ. მეც ყურებს არ ვუჯერებდი, რომ ეს ამბავი სწორედ ჩემს თავს ხდებოდა... ერთ დღეს, სამსახურში გვიანობამდე შემოვრჩით. ერთმანეთის ალერსში გართულებს არც გაგვიგია, დრო როგორ გავიდა. მობილურზე ჩემმა ძმამ დამირეკა – რატომ აგვიანებო? – სამსახურში, საქმეს შევრჩი-მეთქი. – აქ ვარ, კართან გელოდები, შენთან ერთად ვინ არისო? – გულგახეთქილმა ვუპასუხე, – არავინ, მარტო ვარ და ახლავე ჩამოვალ-მეთქი. შემეშინდა, თვითონ არ ამოსულიყო ზევით. ამიტომ სასწრაფოდ გავემზადე და კიბეზე დავეშვი. გურამს კი ვუთხარი – იძულებული ვარ, ოფისში ჩაგკეტო, კარი ღია რომ დავტოვო, დაეჭვდება, ამიტომ ამაღამ აქ გაათენებ, დილით კი თანამშრომლები მოვლენ და მერე ჩიტივით თავისუფალი იქნები-მეთქი. ოთახში გამოვკეტე, მერე გარეთ, ცენტრალური შესასვლელიც ჩავკეტე, ობიექტი სიგნალიზაციაზე დავაყენე და ძმასთან ერთად შინ წავედი... მეორე დღეს რაღაც დღესასწაული ყოფილა და არ ვმუშაობდით. მე კი ეს სულ გადამავიწყდა. ამიტომ ჩემს სიყვარულს ორი დღე და ღამე, ერთ ოთახში გამოკეტილს ეძინა... ბოლოს და ბოლოს, ჩემი ძმის ძმაკაცი ციხიდან გამოვიდა, ექიმთან მივედი და ქალწულობა აღვიდგინე. გავთხოვდი და სულ ერთი თვე ვიყავი ქმართან, ის ახლა ისევ ციხეშია, მე კი – ისევ ჩემს ძველ სიყვარულთან სამსახურებრივი რომანი მაქვს გაჩაღებული“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„მგონი, ქმარი მღალატობს“

„სამსახურებრივი არა, მაგრამ სასკოლო რომანი კი მაქვს. 4 წელია, ყველასგან მალულად, ჩვენი სკოლის ყველაზე ლამაზ ბიჭს ვხვდები. თითქმის ყველა გოგოს გიორგი უყვარს და სწორედ ამის გამო ვერ ვამჟღავნებთ ჩვენს ურთიერთობას. რომ გაიგონ, გამპუტავენ. ერთხელ გოგონები დაეჭვდნენ, ტუალეტში შემათრიეს და ჩემი გრძელი და ლამაზი თმა შემჭრეს. მთელი 5 წელი ვიზრდიდი ამ თმას. მაგ შურიანების ჯიბრზე, შედეგი ისეთი კარგი გამოვიდა, რომ გიორგის მოკლე ვარცხნილობით უფრო მოვეწონე. გიხდება ავანგარდული „პრიჩოსკაო“, მითხრა და სხვადასხვა ფერის, „ნეოდიმკებისა“ და „წკაპების“ კომპლექტი მაჩუქა. მარი. 16 წლის“.

„მგონი, ქმარი მღალატობს. ჩემთან ძალიან ცივია. ერთხელაც არ უფიქრია, ცოტათი მაინც გამითბოს გული, მომეფეროს და დამიმტკიცოს, რომ საყვარელი არ ჰყავს. ძალზე ლამაზი ქმარი მყავს, მაგრამ განა მე ცუდი ვარ! ცოტა ორსულობის დროს გავსუქდი, მაგრამ ძალზე თბილი და ალერსიანი ვარ. არ ვიცი, ჩემს გასაჭირს რით ვუშველო“.

„სამსახურის დაწყებისთანავე, ჩემს თანამშრომელ ბიჭთან ვიჩხუბე და მერე გამუდმებით ვჩხუბობდით ხოლმე. ერთმანეთს ვერ ვიტანდით. ერთხელ ინტერნეტით ბიჭი გავიცანი. მასაც ლევანი ერქვა. 1 თვის შემდეგ შეხვედრა დავთქვით. სამსახურში ვთქვი – პაემანზე მივდივარ-მეთქი. ლევანმა გაიცინა – აუჰ, რა დამთხვევაო!.. იქ მისულმა ჩემი თანაშრომელი ლევანი რომ დავინახე, კინაღამ გავგიჟდი. მან კი მითხრა – თეონას ველოდებიო. ისეთი სიცილი ამიტყდა... ახლა რომანი გვაქვს და ზაფხულში დავქორწინდებით. თეო“.

„რეზო, როგორ ხარ? იმედია, გახსოვარ. მე შორენა ვარ, ფრანგი ნინონის მეგობარი, ურეკში რომ გაგიცანი. ძალიან მინდა შენი ნახვა. იმედია, შეხვედრაზე უარს არ მეტყვი. ძალიან გთხოვ, 12 მაისს, პირველ საათზე, (სად – ამას მარი გეტყვის, თუ დაუკავშირდები) შევხვდეთ. გთხოვ, მოდი“.

„მარი, შენი სეხნია ვარ. მაგრები ვართ ეს მარები. „გზავნილები“ ძალიან მიყვარს და მუდმივად ვკითხულობ. ძალიან მაინტერესებს, ვინაა ეს „საშლელი“, ასეთ ბრძნულ აზრებს რომ გამოთქვამს“.

„ღრუბლებით დაფარულ ზეცაზე დაგხატავ,/ მთებისგან ავიღებ სხვადასხვა მწვანე ფერს,/ მე უკვე გიპოვე და ველარ დაგკარგავ,/ დაგხატავ და მერე მოგიძღვნი ყველაფერს./ – ვკვდები უსაყვარულოდ!“

„სიყვარულს გაუმარჯოს, ჩუმსა და აუხსნელს,/ გული რომ გრძნობს და თვალები – გაუგებს,/ სიყვარულს გაუმარჯოს, ჯერ კიდევ აუხსნელს,/ ბიჭი რომ ვერ ამბობს და გოგო გაუგებს!/ – ეძღვნება ვაშლიჯვრელ ნათია ს-ს, რომელსაც ვერაფრით ვუმხელ ჩემს გრძნობას. მარი, იქნებ, პაწია ადგილი გამოძებნო ჩემი მესიჯისთვის. იცი, როგორ ძლიერ მიყვარს?!.“

„უთხარით ჟინვალში დროებით მცხოვრებ რაჭველ თემურს – მე მისი სიყვარულის „აქციები“ შევიძინე, მაგრამ „დივიდენდს“ ვერ ვიღებ!“

„ნინიკო სამსახურში გავიცანი. თავიდან ყველაფერი ხუმრობით დაიწყო, მაგრამ მერე მართლა სერიოზულად დავიწყე მასზე ფიქრი და ძალზე შემიყვარდა, მიუხედავად მიცემული პირობისა, რომ მეგობრებად დავრჩებოდით. ნინო, უზომოდ მიყვარხარ, მაგრამ ამით ნუ ისარგებლებ და თავს ნუ დაიფასებ. თანამშრომელი“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ – ქალის მოტაცება. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, როგორ მოიტაცეთ საყვარელი ადამიანი ან როგორ მოგიტაცეს თქვენ. გემშვიდობებით მომდევნო ხუთშაბათამდე.

■

ვლადიმერ გუცაევი: ფეხბურთის ფედერაციას არ გააჩნია იმის საშუალება, ჟირეს ამხელა ხელფასი უხადოს...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის საგარეჯლის გათავისუფლების შემდეგ, პირველი, ვინც მისი დაკავების სურვილი საჯაროდ გამოთქვა, ვლადიმერ გუცაევი გახლდათ. როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში „ნაციონალური მოძრაობის“ სიით მოხვედრილი ბატონი ვოვა, პარლამენტში ჯდომასა და კანონების მიღებას, საფეხბურთო ჩინოვნიკის რანგში ყოფნას ამჯობინებს. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ კარიერის დასრულების შემდეგ, ის ქართულ ფეხბურთს არ მოშორებია და საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე, მწვრთნელად მუშაობდა. თავის დროზე, იგი თბილისის „დინამოში“ დავით ყიფიანის თანაშემწეც გახლდათ, ხოლო დამოუკიდებელ საქართველოში, ახალგაზრდული და პირველი ნაკრებების თავკაცადაც მოგვევლინა. გუცაევისთვის არც ფეხბურთის ფედერაციაში მოღვაწეობაა უცხო, რადგან ამჟამადაც, აღმასკომის წევრია.

გიორგი ლანჩავა

— ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა რატომ გადაწყვიტეთ?

— სიმართლე გითხრათ, ასეთი ნაბიჯის გადადგმა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემი აზრით, ქართული ფეხბურთი არასწორი გზით ვითარდება. არადა, რეალურად ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი, რასაც ფეხბურთის წინსვლა მოჰყვება. ბუნებრივია, ცაში არ დავფრინავ და ვერ ვიტყვი, რომ თუ პრეზიდენტი გავხდი, მეორე დღესვე, ეროვნული ჩემპიონატი აღორძინდება ან საქართველოს ნაკრები დიდ შედეგს აჩვენებს. უბრალოდ, ქართველ საზოგადოებას ვპირდები, რომ საფეხბურთო მეურნეობას ერთ სისტემაში მოვიყვან და ეფექტურად იმუშავებს იმ შემთხვევაშიც, როცა ფედერაციის პრეზიდენტი სამუშაო ვიზიტით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაემგზავრება. პირველ რიგში, აღნიშნული სისტემა გამჭვირვალე უნდა იყოს, რათა ყველამ იცოდეს, თუ ქართულ ფეხბურთში რა კეთდება. მაგალითად, მიმაჩნია, რომ საზოგადოებისთვის არ არის საჭირო იმის დამალვა, თუ როგორი სახის კონტრაქტი აქვს ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ფედერაციასთან გაფორმებული და რამდენს შეადგენს მისი შრომის ანაზღაურება. საჭიროა ბავშვთა ფეხბურთის განვითარება და სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში სპორტის ამ სახეობის აღორძინება. როგორც გახსოვთ, ადრე ფეხბურთს მასობრივი ხასიათი ჰქონდა და სტუდენტებს შორის ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელი გაზრდილა. ავიღოთ თუნდაც, რევაზ ჩელებაძე, რომელიც 19 წლამდე, კალათბურთელი გახლდათ და ფეხბურთის თამაში მერე დაიწყო, მაგრამ საბოლოოდ, საქართველოს გამოადგა. აუცილებელია, მასობრივი ფეხბურთის განვითარება, რისთვისაც პატარა და დიდი მოედნები უნდა აშენდეს. აგრეთვე საჭიროა, დავეხმაროთ უმაღლესი ლიგის გუნდებს მოედნის საფრის მოწესრიგებაში, ხოლო ეროვნულ და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონებზე გაზონი ყოველთვის იდეალურ მდგომარეობაში უნდა იყოს. ახლა იქ ისეთი მდგომარეობაა, რომ უცხოელ კი არა, ქართველ ფეხბურთელსაც არ სურს თამაში.

— თუ არ ვცდები, თქვენ, დავით ყიფიანთან ერთად, ფედერაციაში მოსვლა წინა არჩევნებშიც გსურდათ, რასაც მაშინ, ბატონი დავითის ტრაგიკულმა დაღუპვამ შეუშალა ხელი...

— არ დაგიმალავთ, მე და დავით ყიფიანს ასეთი რამ მართლაც, გეგმაში გვქონდა. ორივე ვხედავდით, რომ ფედერაციას უკეთ შეეძლო მუშაობა და გვსურდა, ამაში საკუთარი გამოცდილება გამოგვეყენებინა. იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წარმართულიყო ფედერაციის საქმიანობა, ჩვენი შეხედულება გვქონდა და მის სათავეში მოსვლა ამიტომ გვინდოდა. მაშინ პრეზიდენტობაზე თავისი კანდიდატურის წამოყენებას დავით ყიფიანი აპირებდა, ხოლო მე, გენერალური მდივანი ვიქნებოდი. მაგრამ მომხდარმა ტრაგედიამ ამ ჩანაფიქრის განხორციელებას შეუშალა ხელი.

— ქართულ ფეხბურთში არსებული კრიზისიდან გამოსავალს რაში ხედავთ?

— აუცილებელია, ყველა საფეხბურთო რგოლი ერთ სისტემაში მოვაქციოთ

აუცილებელია, მასობრივი ფეხბურთის განვითარება, რისთვისაც პატარა და დიდი მოედნები უნდა აშენდეს

– ბავშვთა ფეხბურთით დაწყებული, რეგიონული, პირველი და უმაღლესი ლიგების გუნდებით დამთავრებული. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს მასობრივი ფეხბურთი. ვფიქრობ, უმაღლეს ლიგაში კლუბების რიცხვის ეტაპობრივად გაზრდაა საჭირო, რათა საბოლოოდ, 16-გუნდიანი ჩემპიონატი ჩავატაროთ, რაც საქართველოსთვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იქნება. ბევრი სკეპტიკოსი ამბობს, რომ ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის უმაღლეს ლიგაში 10 გუნდის ყოლა სრულიად საკმარისია. მაგრამ მხოლოდ თბილისით ხომ არ უნდა შემოვიფარგლოთ, რომელიც ამჟამად, უმაღლეს ლიგაში 4 გუნდითაა წარმოდგენილი! როგორ შეიძლება, ზუგდიდს უმაღლეს ლიგაში კლუბი არ ჰყავდეს ან არ ავაღორძინოთ ფეხბურთი კახეთში, სადაც სპორტის ეს სახეობა ფაქტობრივად, ჩამკვდარია. ასევე მისახედია გურია, სადაც ფეხბურთი ყოველთვის პოპულარული იყო – თუნდაც, ლანჩხუთის „გურიის“ გახსენებაა საკმარისი. დახმარება სჭირდება ბათუმს, ფოთს. არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე, ჭიათურა, ტყიბული, საჩხერე, სადაც ხალხს ფეხბურთი უყვარს. აქვე დავამატებ, რომ ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ყველაფერი სპორტული პრინციპების სრული დაცვით წარიმართება და უმაღლეს ლიგაში ითამაშებს ის კლუბი, რომელიც ამის ღირსი იქნება. ისე აღარ მოხდება, როგორც აქამდე იყო, როდესაც ფინანსურად კარგ მდგომარეობაში მყოფი გუნდის მეპატრონეები უმაღლეს ლიგაში ადგილს ყიდულობდნენ. ეს ხომ სიმახინჯეა! ვისაც ფეხბურთში ფულის ჩადება სურს, მან ნორმალური კლუბი უნდა შექმნას და უმაღლეს ლიგაში მოსახვედრად, რეგიონული ლიგიდან დაწყებული, ყველა საფეხურის გავლა მოუწევს.

— საკუთარი კანდიდატურა ვეტერანთა კავშირიდან რატომ წამოაყენეთ? წინა არჩევნებში, მერაბ ჟორდანიაც ასე მოიქცა...

– კანდიდატურა მხოლოდ „ვეტერანებიდან“ არ წამომიყენებია. ერთი კვირის წინ, შევხვდი მსაჯთა კორპუსს, რომლებმაც სრული შემადგენლობით დამიჭირეს მხარი. ეროვნული ნაკრების ბაზის საპრესკონფერენციო დარბაზში, მათთან საათნახევრიანი სერიოზული საუბარი მქონდა. მსაჯებს განვუცხადე, რომ თუ პრეზიდენტი გავხდები, ყველა პირობას შევუქმნი, რომ საკუთარი საქმე კარგად აკეთონ. თუმცა, არც ის დამვიწყებია მეთქვა, რომ ობიექტურობასა და წესიერებას მაქსიმალურად მოვითხოვ. დარბაზში მყოფმა 90-ივე არბიტრმა მადლობა გადამიხადა და მომავალ არჩევნებში საკუთარ კანდიდატად დამასახელა. გარდა ამისა, აფხაზეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის წევრები უჩემოდ შეიკრიბნენ და მათი კანდიდატიც მე გახლავართ. მოგეხსენებათ, მანამდე, თავის კანდიდატად მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა ფედერაციამ წამომაყენა.

— კონკურენტთა შესაძლებლობების შესახებ რას იტყვით?

– მომავალ არჩევნებში, თუ ვინმე კანდიდატურას წამოაყენებს, ნებისმიერ მათგანს საკუთარი თავის იმედი ექნება. გამორიცხულია, რომ ადამიანს პრეზიდენტობა სურდეს და არ იცოდეს, მომავალში რისი გაკეთება შეუძლია. ფედერაციის ხელმძღვანელობა, მხოლოდ სამსახურში მოსვლა და ყავის დალევა არ არის. ვფიქრობ, რომ პრეზიდენტს დილის ცხრის ნახევრიდან, საღამოს თერთმეტ საათამდე, იმდენი საქმე ექნება გასაკეთებელი, რომ ყავის დასალევად დრო არ დარჩება. მან ძალიან ხშირად, რეგიონებში უნდა იაროს და კლუბების მეპატრონეებთანაც მჭიდროდ ითანამშრომლოს. ფედერაციის პრეზიდენტმა საქართველოში ფეხბურთის პოპულარიზაციას უნდა შეუწყოს ხელი და რაც უფრო მეტი ბავშვი დაკავდება სპორტით, მით ნაკლები იქნება ქურდობა, ყაჩაღობა და ნარკომანობა. ჩემი აზრით, ნებისმიერ კანდიდატს ეს გაცნობიერებული ექნება და ფედერაციაში მოსვლას მხოლოდ იმიტომ არ დააპირებს, რომ ფიფასა და უეფას კონგრესებზე იაროს. საერთოდ, პრეზიდენტმა მეტი დრო საქართველოში უნდა გაატაროს და როგორც ფიფაში, ასევე უეფაში გენერალურ მდივანს თუ მიავლენს ხოლმე, ამით არაფერი დაშავდება.

— ფეხბურთის განვითარებას დიდი ფინანსური სახსრები სჭირდება. ინვესტიციების მოზიდვას საიდან აპირებთ?

– ფედერაციას აუცილებლად უნდა ჰყავდეს სოლიდური სპონსორები, რომელთა რიცხვიც რაც მეტი იქნება, მით უკეთესია. თუ არჩევნებში გავიმარჯვებთ, აუცილებლად ვითანამშრომლებთ როგორც ქართულ, ასევე უცხოურ კომპანიებთან, რომლებთანაც წინასწარი საუბარი უკვე გვქონდა. გარდა ამისა, ფიფასა და უეფაში ძალიან ბევრი პროგრამა არსებობს, რომელიც ჯერჯერობით ჩვენამდე არ აღწევს. საჭიროა სათანადო გზების მოძებნა, რომ ამ პროგრამებში ჩაგვრთონ. ფიფასა და უეფასთვის მთავარია, რომ მათ მიერ ფედერაციისთვის გამოყოფილი თანხები მიზანმიმართულად დაიხარჯოს. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ორგანიზაციები ყოველთვის დაგვეხმარებიან, რადგან მათთვის 2 მილიონი ან 5 მილიონი დოლარი დიდ თანხას არ წარმოადგენს.

— რამდენად მისაღებია თქვენთვის ალენ ჟირესი, როგორც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი?

– ბოლო დროს, ჟირესის მიმართ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოვთქვი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი წინააღმდეგი ვარ. უბრალოდ აღვნიშნე, რომ ფეხბურთის ფედერაციას არ გააჩნია იმის საშუალება, ჟირესს ამხელა

გუცაევი საფეხბურთო კლუბ „მცხეთის“ პრეზიდენტობისას

ხელფასი უხადოს... თან, ჩემი აზრით, ეროვნულ ნაკრებს უფრო მაღალი დონისა და კვალიფიკაციის მწვრთნელი სჭირდება. არჩევნებში თუ გავიმარჯვებ, ფედერაციაში აუცილებლად ჩამოყალიბდება მწვრთნელთა საბჭო, რომელშიც 10-მდე ავტორიტეტული პიროვნება შევა. ცხადია, ამ საბჭოს ფედერაციის პრეზიდენტი უხელმძღვანელებს. ის ეროვნული, ახალგაზრდული, 19 წლამდე ასაკისა და 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრებების მთავარ მწვრთნელთა კანდიდატურებს განიხილავს და შესაძლოა, მსჯელობა რამდენიმე კვირაც გაგრძელდეს, მაგრამ ჯობს, ამაზე დრო დავხარჯოთ და სწორი არჩევანი გავაკეთოთ, რომელიც შედეგს გამოიღებს. ჩემთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, რომ ნაკრები უცხოელმა გაწვრთნას, მაგრამ ის აუცილებლად ძლიერი სპეციალისტი უნდა იყოს...



ინანოსთან ერთად

მსახიობი ეკა ჩხეიძე დიდი სიამოვნებით იცხოვრებდა რომსა და პარიზში. მას უყვარს იტალიელები და საერთოდ, ევროპა. კომფორტულად მხოლოდ ჯინსში გრძნობს თავს. გამორჩეულად იზიდავს ცისფერი და კრემისფერი. არ უყვარს ბიჟუტერია, ძალიან მოსწონს დიდი ვერცხლის ბეჭდები, სათვალე და სურათების გადაღება. იტაცებს ფსიქოლოგიური ლიტერატურა. რაც შეეხება მამაკაცებს — ეკას აზრით, ყველაზე ღირსეული ისეთია, როგორიც მისი მეუღლე, ლევან მუშკუდიანია...

ეკა ჩხეიძე

საქმრის რომანტიკული საქციელი ფარაფრის ჩაცმენია

ეკა მინდაძე

— ეკა, შენი აზრით, რა ახდენს გავლენას ადამიანის გემოვნების ჩამოყალიბებაზე?

— პირველ რიგში, ალბათ, ოჯახი და გარემო. შეიძლება, გენეტიკურად გოიმი და უგემოვნო იყო, მაგრამ რადიკალურად შეგეცვალოს გემოვნება ვიღაცის და რაღაცის გავლენით. სამწუხაროა, მაგრამ დღეს ქვეყანაში გემოვნების ხარისხმა დაიწია, ადამიანებს უფრო მდარე გემოვნება გაუხდათ. ძალიან დაეცა დონე — ფილმების, ქართული ესტრადის, თეატრის, მხატვრობის და საერთოდ, ყველა სფეროში ერთი დონეა. არ ვიცი, თავად რეჟისორს რატომ მოსწონს 30 ერთნაირი სპექტაკლის დადგმა. მესმის, რომ საზოგადოებას, დრამას კომედიის ყურება ურჩევნია, რომ პრობლემებით სავსე ცხოვრებას ცოტა ხნით მაინც გამოეთიშოს. მაგრამ შეიძლება, დადგა კომედია, ოღონდ — ხარისხიანი და არა — პრიმიტიული. იგივე გვჭირს ესტრადაზეც. მაგრამ მსმენელი და მაყურებელი ამ ყველაფერს არ აკლდება და თავს რატომ მოიკლავენ?.. ასე ხომ მეც შემიძლია, მოვიქცე. პატრონობისა და ფულის წყალობით, ხმაც რომ არ მქონდეს, ისეთ რეკლამას გავიკეთებ, რომ მაყურებელს დავარწმუნებ ჩემს შესაძლებლობებში. მაგრამ ეს ხომ ტყუილი იქნება!.. ვინც ამ საქმის პროფესიონალია, ხომ ხვდება, რომ ცუდია და რატომ აკეთებს ამას? რატომ უნდა გაიზარდოს ახალი თაობა იმ უგემოვნო სპექტაკლებზე, მდარე ხარისხის ესტრადასა და ფილმებზე?..

— რამდენად მნიშვნელოვანია გემოვნების ჩამოსაყალიბებლად ლიტერატურის კითხვა?

— უმეტეს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია. ჩემი აზრით, რამდენი ადამიანიც არის, იმდენი გემოვნებაა. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ისეთი განწყობაა, რომ თითოეულ ჩვენგანს რატომღაც ერთნაირი გემოვნება უნდა გვქონდეს. რატომ უნდა მოეწონოს ყველას ერთი და იგივე, გინდა — წიგნი, გინდა — სპექტაკლი, სიმღერა თუ მხატვარი?.. ამას წინათ, ყველა, კოლეიოს კითხულობდა. მეც დამინტერესა, წავიკითხე და ყველა რომ ამბობდა — კარგიაო, — მე არ მომეწონა. რა ვქნა?.. სხვათა შორის, იცი, რამდენ ისეთ ადამიანს ვიცნობ, ვისაც არ მოეწონა, მაგრამ ხმამაღლა ამას არ ამბობს — იმიტომ, რომ ეს ცუდ ტონად ჩაეთვლება?.. კოლეიო ხომ მოდაშია და როგორ შეიძლება, არ მოგეწონოს? იქნებ, ვერ გაიგე?.. ამ დროს, ვერგასაგები რა არის?! მაგრამ მე თუ მარკესი მირჩევნია, რა ვქნა?.. რა აუცილებელია, ყველას ერთი და იგივე მოსწონდეს?!. ასევეა თეატრშიც. ცნობილი რეჟისორი რომ დადგამს სპექტაკლს, აუცილებელია, რომ დადებითად შეაფასო, იმიტომ, რომ ეს არის „ელიტური“ საზოგადოებისთვის... ამაშია ჩვენი ტრაგედია. ვიღაცა იტყვის, კარგიაო და ყველა მის ფეხის ხმას უნდა აჰყვეს...

— რა ჟანრის ნაწარმოებების კითხვა გიყვარს?

— ძალიან მიყვარს ფსიქოლოგიური ნაწარმოების კითხვა, რადგან ვფიქრობ, რომ ამ სახის ნაწარმოები სიმართლესთან უფრო ახლოს არის. არ მიყვარს ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებები.

— ეი. რეალისტი ხარ.

— კი, აბსოლუტური. მწარე სინამდვილე მირჩევნია ტკბილ ტყუილს.

— რა სტილის მუსიკას გამოარჩევ?

— მიყვარს კლასიკა. არასოდეს მომბეზრდება მოცარტის მოსმენა. ქართულ ესტრადას იშვიათად ვუსმენ. უცხოელი მომღერლებიდან, ძალიან მიყვარს სტინგი.

— რა ასაკიდან დაიწყე დამოუკიდებლად ჩაცმა?

— საკუთარი აზრი ჩაცმულობაზე მეცხრე კლასიდან მქონდა. შეიძლება, ძალიანაც მინდოდა, მოდურად ჩამეცვა, მაგრამ ამის საშუალება ხშირად, სამწუხაროდ, არ მქონია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გემოვნებიანად მეცვა. დღესაც კარგად მახსოვს, „მარწყვებიანი“ კაბა, რომელიც ბავშვობაში დედამ მომიქსოვა.

— თუ ერევი შენი ქალიშვილის ჩაცმულობაში?

— რა თქმა უნდა, ვერევი და ხშირად კამათიც მომდის ინანოსთან. ის და მისი მეგობრები იცვამენ ერთნაირად, იმისდა მიუხედავად, უხდებათ თუ არა. მათთვის მთავარია მოდა და არა ის, უხდება თუ არა ესა თუ ის სამოსი. მაგალითად, ჩემთვის მიუღებელია, რომ ყველას ჩაჩარული, თეძოზე ჩამოგდებული შარვალი ეცვას. როცა ინანოს ამის გამო შენიშვნას ვაძლევ, ასე მპასუხობს: გინდა, ისეთი შარვალი ჩავიცვა, რომ ნეკნებთან შევიკრაო?!. სხვათა შორის, ორი წლის წინ უფრო მიჯერებდა. ახლა კი, განსხვავებულად აზროვნებს. ყველაზე მეტად ის მაგიჟებს, რომ მასა და მის ყველა თანატოლს ერთნაირად აცვიათ. როგორ — ყველას ერთი და იგივე უხდება?! თითქმის ყველა, 15 წლის გოგოს, ათზე მეტი ნაქსოვი ბრასლეტი უკეთია, რომელიც ფერადი თოკებისგან არის მოქსოვილი... მოკლედ, ტინეიჯერები ერთმანეთს აყოლილნი არიან. მე კი, ხშირ შემთხვევაში, მასთან კამათისას, არაფერი გამომდის...

— შენ თვითონ რა სტილის სამოსს ამჯობინებ?

— ძალიან მიყვარს ჯინსი. სამხედრო ტიპის ჩექმასაც უხდება და მაღალქუსლიან ფეხსაცმელსაც. არ მომწონს მოკლე კაბები. მიყვარს ასიმეტრიულად აჭრილი, თავისუფალი ქვედაბოლოები.

— აქსესუარებიდან ყველაზე მეტად რა გიზიდავს?

არ მიყვარს ბიჟუტერია და არც არასოდეს მეკეთება უბრალო სამკაული (ვაჟიშვილთან, დათოსთან ერთად)

— არ მიყვარს ბიჟუტერია და არც არასოდეს მკეთებია უბრალო სამკაული. ძალიან მიყვარს ვერცხლი, განსაკუთრებით ვგიჟდები ვერცხლის დიდ ბეჭდებზე. მომწონს, თითზე რამდენიმე მასიური ბეჭდის წამოცმა. ბოლო დროს, რატომღაც შემიყვარდა ნეკა თითზე ვერცხლის ბეჭდის გაკეთება. აქსესუარებიდან, ძალიან მიყვარს ჩანთა და სათვალე. იმდენად მიყვარს სათვალე, რომ უამრავი ფორმისა და ზომის სათვალე მაქვს.

— მიგაჩნია თუ არა თავი მოდურ ადამიანად?

— მგონი, კი. ყოველ შემთხვევაში, ძველმოდურად არ ვიცვამ.

— როცა რაიმეს იძენ, ფასს ანიჭებ უპირატესობას თუ ხარისხს?

— რა თქმა უნდა, ხარისხს. ვჯობს, იყიდო ერთი, მაგრამ ხარისხიანი. ძუნწი ორჯერ მეტს იხდის — ეს საკუთარ თავზე გამოვცადე: ერთხელ, ვიყიდე იაფი ნივთი, მაგრამ იმდენად უხარისხო იყო, რომ არც მიხმარია. არ მერჩივნა, ძვირი დამჯდომოდა, მაგრამ ხარისხიანი ყოფილიყო?!. სხვათა შორის, ბაზრობის საქონელი არაერთხელ შემინიშნავს მაღაზიაშიც, ოღონდ — ბაზრობისაგან განსხვავებული, სამჯერ დიდი ფასი ედო. ამიტომაც, განსხვავებულ სამოსს ყოველთვის საზღვარგარეთ ვყიდულობ. მაღაზიაში იმიტომ ვიძენ კაბას, რომ მინდა, მარტო მე მეცვას. მაგრამ იმავე წვეულებაზე მისულმა, ვინმე ზუსტად ისეთსავე კაბით რომ ვნახო, შეიძლება, გავგიჟდე. არადა, ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან ხშირ შემთხვევაში, თითქმის ერთი და იგივე ნაწარმი იყიდება მაღაზიაში და ბაზრობაზე.

— შენი და შენი მეუღლის გემოვნება თუ ემთხვევა ერთმანეთს?

— ძირითადად კი. მაგრამ ხანდახან, „აცდენაც“ ხდება. ჩემს მეუღლეს უყვარს, როცა ბიჭურ სტილში მაცვია. მაგალითად, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ურჩევნია, „დრაგუნა“ ჩექმები მეცვას... დაბალქუსლიანი ყოველდღიურად ძალიან პრაქტიკულია, მაგრამ ხანდახან ქალსაც ხომ უნდა ჰგავდე!.. ამას წინათ, ავსტრიიდან „კურტკა“ ჩამომიტანა, რომელზეც იარლიყიც კი არ მომიხსნია: ის იმდენად სპორტულია, რომ მისი ჩამცმელი ნამდვილად არ ვარ...

— თავადაც ალბათ, სპორტული სტილი უყვარს, ხომ?

— რა თქმა უნდა. ცხოვრებაში არ უხმარია პიჯაკი და ჰალსტუხი და ალბათ, ვერც ვერასოდეს შეეგუება. ლევანი იმ ტიპის ადამიანი არ არის, რომ სარკესთან დადგეს და დიდი ყურადღება მიაქციოს საკუთარ ჩაცმულობას. წვეულებაზე წასვლის წინ, არაერთხელ მიმიცია რჩევა, მაგრამ მისი პასუხი ყოველთვის ასეთია: რა მნიშვნელობა აქვს, რას ჩავიცვამო?!. მისი აზრით, მამაკაცისთვის უმთავრესია, სუფთად ეცვას და არა — უკანასკნელი მოდის მიხედვით.

— ახლა ის მომიყევი, როგორ მოგხიბლა არქიტექტორმა ლევან მუშკუდიანმა? სად გაიცანით ერთმანეთი?

— მე და ჩემი მომავალი მეუღლე თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდით. მისი და, ჩემი თანაკლასელი იყო, ლევანი ჩვენზე ერთი წლით უფროსი გახლდათ. ჩემდამი გრძნობა იმ ავარიის შემდეგ გამოამჟღავნა, რომელშიც მოვყევი. ჩემთან საავადმყოფოში თითქმის ყოველდღე მოდიოდა ყვავილებით ხელდამშვენებული. ბოლოს მითხრა — არ შემიძლია უშენოდ ყოფნაო... ვეუბნებოდი — მოდი, რაღაც ჩავიდინოთ, მომიტაცე-მეთქი!.. მიპასუხა — არ არის საჭირო, რადგან შენს თავს მატანენ, უარს არავინ მეუბნებაო... ასე რომ, რომანტიკული საქციელი ვერ ჩავადენინე... ქორწილი შინაურულ წრეში, შინ გადავიხადეთ. იმ პერიოდს დაემთხვა, ჩემი ბებიის და ლევანის მამიდის გარდაცვალება, ამიტომ მოკრძალებული სუფრა გვქონდა. თაფლობისთვე ტალინში გავატარეთ.

— შენი აზრით, როგორი უნდა იყოს მამაკაცი?

— ისეთი, როგორიც ჩემი მეუღლეა — დინჯი, შრომისმოყვარე და არა პრანჭია.

— რა არის მთავარი იმისათვის, რომ ქალი ლამაზად და გემოვნებიანად გამოიყურებოდეს?

— მთავარია, ქალს გემოვნება შინაგანად ჰქონდეს. ხოლო თუ თვითონ არ ჰყოფნის ფანტაზია, ამისთვის არსებობს მოდის ჟურნალები, გადაშალოს და ნახოს, თუ რა არის მოდაში.

— ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენო. ეთანხმები ამ შეხედულებას?

— რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენნაირი გემოვნებაა. მაგალითად, სილიკონს არასოდეს გავიკეთებ. შეიძლება ამის შედეგად, უკეთესიც გავმხდარიყავი, მაგრამ ამას შეგნებულად არ ვიზამ. მე ჩემი ზომები მაკმაყოფილებს და ვისი აზრიც მაინტერესებს, იმასაც აკმაყოფილებს *(იცინის)*... ზოგი ამ საკითხზე სულ სხვანაირად ფიქრობს.

— შინ თუ გაქვს გამორჩეულად საყვარელი ადგილი?

— არა, ვინაიდან მე ჩემი ოჯახით დროებით დედასთან ვცხოვრობ, მანამდე, სანამ ჩვენი 6-ოთახიანი ბინა გარემონტდება. ასე რომ, „ჩემოდნებზე ვზივარ“ და წასასვლელად ვემზადები.

— ახალ ბინას შენი გემოვნებით აწყობ?



— აბა, რა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლე არქიტექტორია და ნახევარ თბილისს ის აპროექტებს, მე ისე აქტიურად და თავხედურად ვერევი ამ საქმეში, რომ ხანდახან თავადაც მიკვირს. მაგალითად, ლევანს უნდა, რომ სამზარეულო ცალკე არ არსებობდეს — ერთ დიდ ოთახს ჰქონდეს კედელი, რომელსაც სამზარეულოს ავეჯით გავაწყობთ, მე კი ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რადგან ჩემი აზრით, სამზარეულო უნდა იყოს იზოლირებული. შეიძლება, ვიზუალურად ძალიან ლამაზია, თუ რამდენიმე ოთახს გავაერთიანებთ, მაგრამ მე მაინც მირჩევნია, სამზარეულო ცალკე იყოს. ამას მე ქალური პრაქტიკულობიდან გამომდინარე ვუდგები, ის კი, დიზაინერის თვალით უყურებს.

— სახლში უამრავი ლამაზი ფოტო გაქვთ გამოფენილი. გიყვარს ფოტოხელოვნება?

— ძალიან. ერთი პერიოდი, იმდენად გამიტაცა ფოტოხელოვნებამ, რომ გამოფენის მოწყობაც კი მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. ახლა კი, ჩემმა შვილმა აიღო ფოტოაპარატი.

— დაასახელე ქვეყანა, სადაც სიამოვნებით იცხოვრებდი?

— დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი პარიზში ან რომში. ინგლისში ორჯერ ვარ ნამყოფი, კიდევ წავიდოდი, მაგრამ — არა საცხოვრებლად. ვერც გერმანიაში ვიცხოვრებდი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი და იქ იმყოფება. თანაც, ორივეგან ძალიან ცივი ხალხია. აი, იტალიელებზე სრულიად შეშლილი ვარ. რომში ყოფნისას, ისეთი შთაბეჭდილება დამეუფლა, თითქოს იქ არავინ არასოდეს ნერვიულობს და საერთოდ, არავინ არსად მუშაობს. ამან გამაგიჟა. იტალიელები მუდამ ხალისიანები და ლაღები არიან. თანაც, ისინიც და ჩვენც ერთნაირად ხმაურიანი ადამიანები ვართ... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. თხა სპარსეთში მოაშინაურეს.

2. ალ პაჩინოს ბაბუა კორლეონედან იყო წარმოშობით.

3. შალახო იუმორისტული ხასიათის სომხური ხალხური ცეკვაა.

4. „ვემი საკუთარი ეკიპაჟის ოფლში დაცურავს," — ამბობენ მეზღვაურები.

5. ადამიანი ცხოვრების განმავლობაში 65 ლიტრ ცრემლს გამოიმუშავებს.

6. ჯგუფ „ნირვანას" სოლისტმა, კურტ კობეინმა 1994 წელს მოიკლა თავი.

7. ბოტანიკის ნაწილს, რომელიც სოკოებს შეისწავლის, მიკოლოგია ეწოდება.

8. მომღერალი თეოდორ შალიაპინი ბავშვობაში მეწაღის თანაშემწედ მუშაობდა.

9. „პრი კამუნიზმე ოტხოჟიე მესტა ბუდემ დელატ იზ ზოლოტა," — ამბობდა ლენინი.

10. „იუმორის უშრეტი წყარო სიხარული კი არა, პრობლემებია," — ამბობდა მარკ ტვენი.

11. ფრანკოს, კიმერსენს, ჩან კაიშისა და სტალინს გენერალისიმუსების წოდება ჰქონდათ.

12. ერთ-ნახევარი დუიმი სამზე — ამ ზომის უნდა იყოს ინგლისელი ჯენტლმენის სავიზიტო ბარათი.

13. ადამიანი ხშირად შავი ჭირით ტრანსმისიური (რწყილებით) გზით მღრღნელებისაგან ავადდებოდა.

14. არასრულუფლებიან მოქალაქეს ძველ რომში, რომელიც პატრონატზე იყო დამოკიდებული კლიენტს ეძახდნენ.

15. დენთისგან დამზადებულ რაკეტებს სამხედრო მიზნებისათვის პირველად ჩინელები იყენებდნენ. შუა საუკუნეებში ამ იარაღით ისინი შიშის ზარს სცემდნენ მონღოლთა ჯარს.

16. ვინსენტ ვან გოგს ქვანახშირის მაღაროს ქრისტეს ეძახდნენ. იგი ბელგიის მაღაროელთა ქალაქში მოხალისე მქადაგებლად იყო წასული.

17. „პირველი ლექსი სამამულო ომის დროს, სამი წლის ასაკში დავწერე, — ყვება გელა ჩარკვიანი, — „უბივაია სეგოდნია ფრიცა, ზავტრა ნემცუ კაპუტიტსა".

18. ძველი რომაელები ბრძოლის დროს ფუტკრებს იყენებდნენ. ისინი ფუტკრის სკას ჭურვის მსგავსად მტრის მჭიდრო რიგებში ისროდნენ.

19. 1983 წელს ჰოლივუდში ბარბრა

რა თანხას შეადგენს თქვენი ოჯახის ბიუჯეტი? რაში იხარჯება ამ ბიუჯეტის დიდი ნაწილი? გსურთ თუ არა, იცოდეთ, რას ფიქრობს სახელმწიფო ცალკეული ოჯახის ბიუჯეტის საკითხზე? გიფიქრიათ იმაზე, თუ რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნებით?.. თუ ეს კითხვები თქვენთვის აქტუალურია, გამომყევით გზაზე, რომელიც თქვენთვის უცნობი ოჯახებიდან იწყება, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში გრძელდება და ისევ მკაცრ რეალობაში ინაცვლებს...

როგორ ნაწილდება ოჯახის ბიუჯეტი და რას ნიშნავს საშუალო ფენა

ლელა ჭანკოტაძე

წლების წინ, როცა საქართველოში ე.წ. რადიკალური რეფორმების გატარება დაიწყო, რასაც თითოეული ოჯახის ბიუჯეტის მკვეთრი ზრდა უნდა მოჰყოლოდა, ცხოვრების დონე თურმე, იმით განისაზღვრებოდა, თუ ვის შეეძლო ურიგოდ პური ყიდვა და ვის — არა... ასე ფიქრობენ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში. სწორედ მაშინ დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ქვეყანაში აუცილებელი იყო, საშუალო ფენა ჩამოყალიბებულიყო.

ამ ფენის არარსებობა ნათლად ჩანს მოსახლეობის სოციალური ფენების ქონებრივ ნუსხაში, რომელიც ასე გამოიყურება: რადიკალური რეფორმების დაწყებიდან მეორე — 1996 წლის დასაწყისში, საქართველოში მოსახლეობის უღარიბეს 20%-ზე, მთლიანი შემოსავლის მხოლოდ 1% მოდიოდა, ხოლო უმდიდრეს 20%-ზე — 65,5%. ყველაზე მაღალშემოსავლიანი ჯგუფის (10%) შემოსავალი ყველაზე ნაკლებშემოსავლიანი ჯგუფის (ასევე 10%) შემოსავალს 50-ჯერ სჭარბობდა...

ბოლო მონაცემებით, საქართველოში მდიდართა ფენის წილი მოსახლეობის 6-7%-ს შეადგენს; შეძლებულთა წილი ასევე მოსახლეობის 6-7%-ს უდრის. სპეციალისტთა გაანგარიშებით, ქვეყნის მოქალაქეთა ის ნაწილი, რომელიც საარსებო მინიმუმითაც კი არ არის უზრუნველყოფილი, 76-79%-ის ფარგლებს აღწევს. ამ ფონზე, ოჯახი, რომელსაც სტუმრად ვეწვიე, შეძლებულთა ფენას შეიძლება, მივაკუთვნოთ. ხუთსულიან ოჯახში სამ სრულწლოვან წევრს ჰყავს საკუთარი ავტომანქანა. ორი ბავშვი სწავლობს ე.წ. კერძო სკოლაში. ცხოვრობენ კომფორტულ ბინაში და თავს უფლებას აძლევენ, წელიწადში ერთხელ, დასასვენებლად კურორტზე გაემგზავრონ. არადა, ამ ოჯახის წევრები თავად არ მიიჩნევენ, რომ შეძლებულები არიან.

გია, *43 წლის:*

— მე დედისერთა ვარ, ასევე — ჩემი მეუღლეც. მაიას მშობლებმა უყიდეს ავტომანქანა, მე — საკუთარი ხელფასით შევიძინე. უკვე მეშვიდე წელია, ერთ-ერთ მაღაზიაში მძღოლად ვმუშაობ, ხელფასი 300 დოლარი მაქვს. ვფიქრობ, რომ ეს კარგი ხელფასია. მაიაც ყოველთვიურად 300 დოლარს იღებს, ის იმავე მაღაზიის გამყიდველია. დღესასწაულებზე დამატებით 200-200 დოლარს პრემიად ვიღებთ. მამაჩემი ბავშვებს გერმანულ ენას ასწავლის. მისი ყოველთვიური შემოსავალი 200 დოლარს შეადგენს.

— ეი. თქვენი ოჯახის ბიუჯეტში თვეში 800 დოლარი შედის?

— ზოგჯერ ეს თანხა 1.000 დოლარამდე იზრდება. განა შეიძლება, მდიდარი ოჯახის შემოსავალი მხოლოდ 1.000 დოლარი იყოს?.. თანაც, სად გინახავთ მდიდარი მძღოლი ან გამყიდველი?.. მართალია, კომფორტულ ბინაში ვცხოვრობთ, მაგრამ ის მეორე ბინის გაყიდვის ხარჯზე გავარემონტეთ. თემქაზე სამოთახიანი ბინა 14.000 დოლარად გავყიდეთ. კარგი რემონტის გასაკეთებლად სავსებით საკმარისი აღმოჩნდა... შარშან, მაიას მამა გარდაეცვალა. დედამისმა შემოგვთავაზა — თქვენთან ვიცხოვრებ, ბავშვების აღზრდაში მოგეხმარებითო. ახლა ქუთაისში თავის უზარმაზარ ბინას ყიდის და ჩვენთან ჩამოვა. ჩვენი ქონება კიდევ უფრო გაიზრდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მდიდრები ვართ. ხვალ რომ უმუშევრები დავრჩეთ, ბევრი სხვა ადამიანის მსგავსად, ოჯახიდან ნივთების გაყიდვა მოგვიწევს...

— ახლა ხარჯებზე ვისაუბროთ. რამდენს ხარჯავთ ყოველთვიურად?

მაია:

— თუნდაც, დღევანდელი დღის მაგალითი ავიღოთ. კვირაა და ყველანი ვისვენებთ. დილით ადრე ვიყიდე: პური, მაწონი, ფუნთუშები და რძე, გადავიხადე 6 ლარი. გიამ თავისთვის იყიდა სიგარეტი, მამამისისთვის — ლუდი და ამაში 3-4 ლარი

დახარჯა. საღამომდე 2 ლარს ბავშვები ნაყინში დახარჯავენ. სულ 11-12 ლარი გამოვიდა. თვეში მხოლოდ ასეთი, წვრილმანი ხარჯები 300 ლარზე მეტს შეადგენს. ყოველდღე, ვაბშმად მივირომეეთ: ძეხვს, წვენს, ყველს და ხილს. ამ ყველაფერს მე ვყიდულობ ხოლმე და 20 ლარამდე ვიხდი. თვეში 500-600 ლარი გამოდის. სახლში არ ვსადილობთ – მე და გია შუადღეზე, სამსახურში ვართ, ბავშვები – სკოლაში. სამაგიროდ, სასწავლებელში ვიხდით თვეში 150 ლარს. ამგვარად, სულ 1.000 ლარზე მეტი გამოდის. ამას ემატება 100 ლარი – ელექტროენერგიის, გაზისა და ტელეფონის გადასახადები. გარდა ამისა, ყველას გვაქვს მობილური ტელეფონი, რაც ასევე დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული.

— ტანსაცმელში რა თანხას ხარჯავთ?

– ჩვენ მდიდრები არა ვართ, ამიტომ თავს უფლებას ვერ მივცემთ, ხშირად ვიყიდოთ ტანსაცმელი. ვყიდულობთ იშვიათად, მაგრამ ხარისხიანს და გამძლეს. ბავშვის ხარისხიანი ფეხსაცმელი 60-70 ლარი ღირს, ზრდასრული ადამიანისა კი – 100-120 ლარი. ყოველთვის კარგ ფეხსაცმელს ვყიდულობთ. სამაგიროდ, მაისურებს, შარვლებს, ქურთუკებს ხშირად „სეკენდ-ჰენდში“ ვეძებ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ოჯახის ბიუჯეტი 800-1.000 დოლარამდეა, ეს საკმარისია იმისათვის, რომ კარგად გვეცვას, თანაც – არ დაგავიწყდეთ, რომ მე და გიას გვყავს მეგობრები და ნათესავები, რომლებიც ასეთ შემოსავალზე მხოლოდ ოცნებობენ. ისინი ღარიბები არიან და ვეხმარებით. ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ თუ მათთან სტუმრად მივალ, ბავშვებს 20-20 დოლარს მაინც ვაჩუქებ; თუ ისე გაუჭირდათ, რომ სახლში პურის ფული არა აქვთ და ეს შევიტყვე, დაახლოებით 100 ლარის პროდუქტს მანქანაში ჩავდებ და მივუტან. სხვანაირად ვერ ვიცხოვრებ. ჩემს შვილებს 30-ლარიან შოკოლადს თუ მივუტან, მათ იციან, რომ იმ დღეს, სტუმრად რომელიმე ღარიბი მეგობარი ან ნათესავი გვეყოლება, თავისი შვილებით... მრცხვენია, ასეთ წვრილმანებზე რომ ვლაპარაკობ, მაგრამ ცოტა არ იყო, თქვენმა კითხვამ გამაღიზიანა – რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნებითო? – რომ მკითხეთ: ჩვენ ჰაერში ასროლილი ფრანვითი ძირს დავეცემთ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა, რადგან არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ერთ დღეს, სამსახურს არ დავკარგავთ: კომერციულ სტრუქტურაში დაქირავებულ მუშაკს ზოგჯერ, უმიზეზოდაც ათავისუფლებენ. ასეთ შემთხვევაში, ჩვენც სიღარიბის ზღვარზე ცხოვრება მოგვიწევს...

უკიდურესად მყიფე და არასრულყოფილია თანამედროვე ქართული საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობა დაყოფილია მხოლოდ ორ, მკვეთრად პოლარიზებულ ფენად – მდიდრებად და ღარიბ-ღატაკებად, რომელთა შორის უფსკრული სულ უფრო იზრდება. არადა, საშუალო ფენა სახელმწიფოს დასაყრდენს წარმოადგენს. მის არსებობაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების მდგრადობა. რა ინფორმაციას ფლობს ჩვენი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესახებ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი? კითხვებზე დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ***ნოდარ კაპანაძე*** *გვიპასუხებს.*

– როცა ცხოვრების დონეზეა ლაპარაკი, უნდა გამოვყოთ 3 ჯგუფი – თბილისი, დანარჩენი ქალაქები და – სოფლები. 1996 წლიდან დღემდე არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავუკვირდებით, დიდ ქალაქებში სიღარიბე მცირდება, სოფლებში პირიქით – სიღარიბის მკვეთრი ზრდა შეინიშნება. მოსახლეობის 19-20% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. ეს ძირითადად, სოფლის მოსახლეობაა. 1992-93 წლებში, სოფელი ქალაქთან შედარებით უკეთ გამოიყურებოდა, იმიტომ, რომ სოფელს ჰქონდა საკვები. ახლა მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია. სოფლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ე.წ. სტრუქტურული სიღარიბე – ინფრასტრუქტურის ნაკლებობა წარმოადგენს. ამიტომაც დღემდე, ქართველი გლეხის კეთილდღეობა მხოლოდ კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული. თუ აპრილში ერთი ღამე ყინვამ იმძლავრა, გლეხი მთელი წელი მშიერი რჩება... სოფლად ყველა ადამიანი ღარიბია. სოციალურ ფენებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— ქალაქებში რა ხდება? თუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ქალაქად მაინც არსებობს საშუალო ფენა?

– საშუალო ფენა უნდა დავარქვათ იმ ხალხს, რომელიც დასაქმებულია და აქვს ისეთი შემოსავალი, რომელიც ღირსეულ ცხოვრებას უზრუნველყოფს. თუმცა ისიც საკამათოა, თუ რას ნიშნავს ღირსეული ცხოვრება, ამიტომ პირობითად ასეთ ჩამონათვალს ვაკეთებთ: როცა ადამიანს არ შია, არ სწყურია, აქვს ტანსაცმელი, შეუძლია დასასვენებლად წასვლა, შვილს აძლევს განათლებას და ა.შ. ამასთანავე, ფენაზე ლაპარაკი მაშინ შეიძლება, თუკი ის საზოგადოების დიდ, ძირითად ნაწილს აერთიანებს. სტატისტიკური მონაცემებით, ქართული ოჯახის 70-75%-ისთვის ძირითადი ხარჯი საკვებზე მოდის – ე.ი. ეს კატეგორია საშუალო ფენას არ მიეკუთვნება. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ადამიანები, რომლებიც არც მდიდრები არიან და არც ღარიბები, მდგრადი მდგომარეობით ვერ დაიკვეხნიან. მთელი საზოგადოება რისკის ჯგუფს წარმოადგენს: ნებისმიერი ასეთი ოჯახი, მისი რომელიმე წევრის მძიმედ დაავადების შემთხვევაში, სიღარიბეში ვარდება.

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

სტრეიზანდმა დადგა მიუზიკლი „იეტლი“. მაშინ ჰოლივუდში იგი ერთადერთი ქალი რეჟისორი იყო.

20. „დოლ ბოი“ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ინგლისური ხუთტონიანი ბომბი იყო, რომელიც ექვსი მეტრის სისქის ბეტონს ანგრევდა. ინგლისელები მას ფაშისტური მიწისქვეშა ბუნკერების გასანადგურებლად იყენებდნენ.

21. ესტონეთის სოფლებში ქორწილი რამდენიმე დღეს გრძელდება. როდესაც სახლში საჭმელ-სასმელი თავდება მასპინძელი დიასახლისი კისერზე ცარიელ ქვაბებსა და ტაფებს იკიდებს და ცეკვას იწყებს. ეს ცეკვა იმის მომასწავებელია, რომ სახლში საჭმელ-სასმელი აღარ დარჩა.

22. იაპონელებმა შექმნეს რობოტი, რომელიც ორკესტრს დირიჟორობს. მუსიკოსები თავდაპირველად უნდობლობას ამჟღავნებდნენ მის მიმართ, მაგრამ მერე ადვილად მიეჩვივნენ. რობოტი გამოირჩევა სიზუსტით, ჩვეულებრივი დირიჟორისგან განსხვავებით არასდროს ღელავს და არასდროს ილანძღება.

23. ალექსანდრე ყაზბეგი პატარაობისას გათამამებული ბავშვი გახლდათ. ერთხელ, როდესაც სოვდაგრებმა ხევზე აქლემების ქარავანი ჩაატარეს, მამამისს აუხირდა აქლემი მიყიდეთო. იმდენი იხვეწა და იტირა, რომ უყიდეს.

24. მერლინ მონროს სახის პლასტიკური ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული. მას ნიკაპში ნახევარმთვარის ფორმის ზღვის ღრუბელი ჰქონდა ჩაკერებული. ეს ოპერაცია მომღერალმა მანამ გაიკეთა, სანამ ცნობილი ადამიანი გახდებოდა და ამ ამბავს გულდასმით მალავდა.

25. 1938 წელს, როდესაც გერმანელებმა ავსტრიის დედაქალაქი აიღეს, ზიგმუნდ ფროიდმა ვენის დატოვებაზე უარი განაცხადა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გესტაპომ მისი სამუშაო კაბინეტი დაარბია, 1500 დოლარი წაიღო, ხოლო მისმა ქალიშვილმა კი გესტაპოში ერთი საზარელი ღამე გაატარა, ფროიდი ვენის დატოვებაზე დათანხმდა და ლონდონში გაემგზავრა. მის ოთხ დას არ მისცეს ქვეყნის დატოვების უფლება. ისინი საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპნენ.

ბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდება. დაცულობის დონე თითქმის არ არსებობს. ასეთ პირობებში, საშუალო ფენის არსებობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— რამდენი ლარი უნდა იყოს ოჯახის ბიუჯეტი, რომ ის ღარიბთა რიგს არ მივაკუთვნოთ?

— საარსებო მინიმუმი 3-4 სულისაგან შემდგარი ოჯახისთვის 350 ლარს შეადგენს. რაც შეეხება უკიდურესი სიღარიბის ზღვარს — 150-180 ლარია. თუ შემოსავალი ამაზე მცირეა, ეი. ოჯახი შიმშილობს. ეს თანხა იმდენად „მკაცრადაა" გამოანგარიშებული, რომ თითოეული ასეთი ოჯახისთვის ზედმეტი 5 თეთრის დახარჯვაც კი ბიუჯეტში დეფიციტს გამოიწვევს... მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში სიღარიბის მასშტაბი მცირდება, ზოგადი სურათი მაინც საკმაოდ მძიმეა. ბევრი ამბობს — ჩვენ არა ვართ ღარიბი ქვეყანა, ნახეთ, რა ხდება რესტორნებში, ცარიელ ადგილს ვერ ნახავთო!.. თბილისის რესტორნებში შეიძლება, მაქსიმუმ 100 ათასი კაცი დაეტიოს, თბილისში კი 300 ათას ოჯახზე მეტი ცხოვრობს. თუ დავუშვებთ, რომ თითოეული ოჯახიდან ერთ-ერთი წევრი რესტორანშია, დავრწმუნდებით, რომ 200 ათას ოჯახს — ეი. მოსახლეობის 66,6%-ს ასეთი ფუფუნების საშუალება არა აქვს. ხშირად იმასაც ამბობენ — თბილისი გაივსო უცხოური ავტომანქანებით, ყველგან საცობია, თქვენი სტატისტიკური მონაცემები კი არ იცვლებაო. ეს იმის შედეგია, რომ ქვეყანა ასიმეტრიულად ვითარდება — ყველაფერი დედაქალაქშია თავმოყრილი. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენს ბევრ სოფელში არც ერთ ოჯახს აღარ ჰყავს ავტომანქანა.

— თუ ქვეყნის განვითარება არსებული ტემპებით გაგრძელდება, რა ელის ქართულ ოჯახს?

— გაძლიერდება შიდამიგრაცია და შესაბამისად, სიღარიბე გაიზრდება. მაგრამ თუ შეიცვლება დასაქმების სტრუქტურა და საერთოდ, ეკონომიკური განვითარება მაღალი ტემპით წარიმართება, მოსახლეობა შეძლებს, თვითონ ამოვიდეს სიღარიბიდან. სწორედ ეს გახლავთ ერთადერთი გამოსავალი. ნათქვამიდან ასეთი რეზიუმეს გაკეთება შეიძლება: თუ გინდა, შენს მეზობელს ჰქონდეს თევზი, უყიდე მას ანკესი...

1999 წელს, ერთი საოჯახო ერთეულის საშუალო თვიური შემოსავალი 179,7 ლარს უდრიდა; ამ თანხიდან 54,1% — სურსათზე, 11,7% — საოჯახო მოხმარების ნაწარმზე, 6,5% — ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, 6,9% — ელექტროენერგიასა და სხვა გადახდებზე, 6,2% — სატრანსპორტო ხარჯებზე მოდიოდა; ჯანმრთელობის დაცვაზე გაღებული ხარჯები მხოლოდ 3,5%-ს, ხოლო განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე, ერთად აღებულზე — 2,9%-ს უდრიდა. ასეთია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ძველი მონაცემები. რა მდგომარეობაა ამჟამად? ბოლო წლებში არსებული მდგომარეობის ამსახველი, მსგავსი სტატისტიკა ჯერჯერობით არ არსებობს. იქნებ, ერთი ჩვეულებრივი ოჯახის ბიუჯეტის განხილვით შევძლოთ, წარმოვიდგინოთ, ასობით ოჯახის მატერიალური მდგომარეობა?..

ჩემი რესპონდენტები, ცოლ-ქმარი — 48 წლის მაია ნებიერიძე და 55 წლის ალექსანდრე გულაშვილი — გახლავთ. მათ ორი შვილი ჰყავთ. ბატონი ალექსანდრე დროებით უმუშევარია, ქალბატონი მაია — დიასახლისი. პარადოქსებით სავსე ქართული სინამდვილე მათი ოჯახის მაგალითზე ტრაგიკომედიადაც კი შეიძლება მოგეჩვენოთ...

ბ-ნი ალექსანდრე:

— უკვე 9 წელია, უმუშევარი ვარ. როცა სამსახურიდან გამათავისუფლეს, ოჯახში დანაზოგი 6.000 ლარი გვქონდა. ცხადია, კომპენსაციად არც 2-3 თვის ხელფასი მოუციათ. ჩემი მეუღლე ყოველთვის უმუშევარი იყო. რა უნდა გვექნა?.. მრცხვენოდა იმის თქმა, რომ უმუშევარი ვიყავი: ადრე ისეთ გარემოში ვცხოვრობდით, სადაც უმუშევრობა კანონით ისჯებოდა — საბჭოთა კავშირს ვგულისხმობ. ახალმა ცხოვრებამ არაჩვეულებრივი ტერმინი შექმნა — „დროებით უმუშევარი", რაც იმას ნიშნავს, რომ მუშაობა გინდა, უბრალოდ, დროებით ხარ უსამსახუროდ დარჩენილი და ძიების პროცესში იმყოფები. ასე რომ, სახელმწიფო, ადრინდელისგან განსხვავებით, უმუშევრებს მუქთახორებად და დამნაშავეებად აღარ მიიჩნევს. ამის გამო ბედნიერი ვარ. მაგრამ უბედური ვარ იმიტომ, რომ ჩემს ოჯახში ავეჯმა ფუნქცია შეიცვალა: მაგალითად, მაცივარი დამატებით სათავსად იქცა — იქ ზოგჯერ ჩემი შვილი თავის წიგნებსაც კი ინახავს. გასაცვებელი აღარაფერი გვაქვს და იმიტომ... ოჯახში მესამე უმუშევარიც გვყავს — ჩემი 28 წლის ვაჟი. მხოლოდ ჩვენი გოგონა მუშაობს.

ქ-ნი მაია:

— ჩვენს გოგონას ხელფასი 150 ლარი აქვს. ეს ჩვენი ოჯახის მთავარი შემოსავალია... სამზარეულოს კედელზე კიდია ფურცელი, რომელზეც ყველანი ვწერთ, რა გვჭირდება. მაგალითად, დღეს მე დავწერე: სარეცხის ფხვნილი, კბილის ჯაგრისი და 3 კვერცხი. დილას ფულს „კაპიკ-კაპიკ" დავთვლით და... ჩემი მეუღლე იყიდის ყველაფერს, რაც ამ ფურცელზე იქნება ჩამოწერილი. დღეში 2 პური გვყოფნის — ეს თვეში 24 ლარია. ვყიდულობთ 10 ლარის ცხიმს და 20 ლარის მაკარონს, ბრინჯს და წიწიბურას. ყოველთვე გვჭირდება ერთი ტომარა კარტოფილი. ოჯახში ყოველთვის გვაქვს წვნიანი. არ ვშიშობთ — განსხვავებით მეზობელი ოჯახისგან, რომელიც მხოლოდ პენსიაზე ცხოვრობს...

— საკვების გარდა, ხომ გჭირდებათ ტანსაცმელი, წამლები...

— მე ნამცხვრებს ვაცხობ და მაღაზიაში ვაბარებ. დიდი შემოსავალი არა მაქვს, მაგრამ წინა თვეში, ჩემი ხელობით იმდენი ავიღე, რომ შვილს შარვალი და ფეხსაცმელი ვუყიდე. ახალი თვე რომ დგება, მას ჩემი ოჯახის რომელიმე წევრის სახელს ვარქმევ — მაგალითად, მაისს ჩვენს ოჯახში ეკა ერქმევა: ეს იმას ნიშნავს, რომ რა თანხაც დაგვრჩება, იმით ეკა იყიდის ტანსაცმელს. ზოგჯერ 40-50 ლარიც გვრჩება...

ბ-ნი ალექსანდრე:

— აპრილში, მცირე ხარჯი გვქონდა. წამლის ყიდვა არ დაგვჭირდა. ისე მოხდა, რომ მხოლოდ საჭმელში დაიხარჯა ფული. მაგალითად, ნოემბერში, მაიას ვირუსი შეხვდა, მერე ეკასაც გადაედო. იმდენი წამალი ვიყიდეთ, რომ თვის ბოლოს, სანამ ეკა ხელფასს აიღებდა, პურიც ვეღარ ვიყიდეთ... არ იფიქროთ, რომ სტუმრის მიღება და გამასპინძლება არ შეგვიძლია. როგორც ნებისმიერ ბიუჯეტს, ჩვენი ოჯახის ბიუჯეტსაც „ლევი ხაზი" აქვს: მავთულებს ორიგინალურ ფორმას ვაძლევ, მერე ჩემი მეუღლე ზედ მძივებს აგებს... არაჩვეულებრივი სამკაულები გამოდის. ავანგარდული სამკაულების ოსტატები ვართ. მაღაზიაში ვაბარებთ ხოლმე და ამით თვეში იმდენს ვაგროვებთ, რომ დენისა და გაზის გადასახადებს ვფარავთ. ყოველთვიურად მცირე თანხას ვინახავ, ამ თანხის დახარჯვა ყველას ეკრძალება: გაჭირვებული კაცი კარზე რომ მომდგეს, 100 ლარი აღარ მქონდეს გადადებული, ხელი რომ გავუმართო?!. ამას წინათ, მეგობარს ძალიან ცუდად გაუხდა შვილიშვილი. დამირეკა. ჩემი ხელით გავუტანე 200 ლარი. სანამ პირში სული მიდგას, კაცი ვიქნები. ამას ვასწავლი ჩემს შვილებსაც...

ორი ოჯახი — ორი მაგალითი, რომელიც მკითხველთა უმეტესობისთვის საცნაურია. რომელ ფენას მიაკუთვნებთ ამ ოჯახებს? ალბათ ძნელია, თუნდაც პირველს, შეძლებული უწოდო ან მეორეს — საშუალო. იქნებ, სწორედ საშუალო ფენას მიეკუთვნება პირველი? მაშინ მეორე აშკარად ღარიბთა რიგშია და მხოლოდ ცოლ-ქმრისთვის დამახასიათებელი ოპტიმისტური მუხტი განგვაწყობს იმედიანად?.. კითხვა ულევია, რადგან დღევანდელი ქართული სინამდვილე, უამრავ სხვა გაჭირვებასთან ერთად, ცნებათა აღრევითაცაა დასნეულებული და, რაც მთავარია, ყოველგვარ სტაბილურობასა და სიმყარეს მოკლებლია: როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სამსახური ძალზე ადვილად შეიძლება დაკარგო ან — ღმერთმა ყველას გაშოროთ! — მძიმე ავადმყოფობა „დაგეტაკოს" და უმალ, იმ ავადსახსენებელ ზღვარს მიღმა „ჩაცურდები" და იმ საარსებო მინიმუმსაც დაკარგავ, რომლის თანხობრივი გამოხატულებაც კი კარგა ხანია, ყველასთვის უცნობ მაჩვენებლად ქცეულა... ■

ყველაფერს ვხედავ, ყველაფერი მესმის, მაგრამ... მიყვარხარ!

როგორც სოციოლოგიურმა გამოკითხვამ გვიჩვენა, ცოლიანი მამაკაცების 80% ოცნებობს, ჰქონდეს საკუთარი კაბინეტი დიდი საწერი მაგიდით, მძიმე, სინათლეგაუმტარი შტორებით, ტელევიზორითა და პატარა ტახტით, სადაც მშვიდად მოიკალათებს და უყურებს ფეხბურთს, ახალ ამბებს ან წაიკითხავს გაზეთს. ფსიქოლოგები იმასაც დასძენენ, რომ მამაკაცებს აქვთ თანდაყოლილი ლტოლვა მარტოობისკენ და აქვთ სურვილი, თავისი სამყარო შექმნან, სადაც ცოლს არაფერი ესაქმება. ეს კი ქალში, ხშირ შემთხვევაში ეჭვს ბადებს – რა ხდება კარს იქით? არადა, ქალის „პატარა საიდუმლოებანი" უფრო ვერაგულია, ვიდრე მამაკაცის. ქალმა შეიძლება შეინახოს ძველი თაყვანისმცემლის ინტიმური საჩუქარი, ფოტოსურათები, წერილები, თუმცა, თვითონაც არ იცის, რატომ ვერ ელევა. ქალის საიდუმლოსთან შედარებით, მამაკაცის საიდუმლო ისეთი „უმანკო" ჩანს, რომ შეიძლება მას „საიდუმლოც" ვერ ვუწოდოთ. უბრალოდ, ყოველ მათგანს აქვს სურვილი, ჰქონდეს ადგილი, სადაც შეუძლია ისე იოცნებოს, რომ ცოლმა არ ჰკითხოს: „რაზე ფიქრობ?" ან უფრო უარესი – „ვისზე ფიქრობ?"

მამაკაცი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სულაც არ არის მეოჯახე, იგი თავისუფალი, „უცოლო" პიროვნებაა. ფსიქოლოგების აზრით, იმისათვის, რომ მან საკუთარ თავთან თავად მიაღწიოს ჰარმონიას, აუცილებელია, თუნდაც მცირე დრო სრულ მარტოობაში გაატაროს. ამიტომ, თუკი მან ცხვირწინ მოგიხურათ კარი, ჩაკეტა უჯრა და არ გაგიზიარათ თავისი წარსულის „ტკბილი ცოდვები", ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას თქვენ არ უყვარხართ. თუ ქალი მაინც ცდილობს, ათქმევინოს ქმარს რაღაც ისეთი, რაც აქამდე მას არ უთქვამს, ის მისთვის აკრძალულ სამყაროში იჭრება. თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ მამაკაცს შეიძლება ისეთი საიდუმლოც ჰქონდეს, რომლის გამხელაც წყვილს შორის ურთიერთობას ნამდვილად არ გააუმჯობესებს. გულახდილობა, ზოგჯერ განხეთქილების მიზეზად იქცევა ხოლმე. თუმცა, ქალები ყოველთვის ამბობენ, რომ ურჩევნიათ, მოისმინონ თუნდაც მწარე სიმართლე, ვიდრე თავს მოტყუებულად გრძნობდნენ. „მე იგი მიყვარს და მსურს, მის შესახებ ყველაფერი ვიცოდე, რათა უკეთესად მესმოდეს მისი", – ამბობენ ქალები, მაგრამ „ერთ არსად" ყოფნის სურვილი მარტო ნაზი გრძნობებით არ არის ნაკარნახევი. ხშირად გაუაზრებლად მივილტვით იმისკენ, რომ მიღებული ცოდნა და ინფორმაცია საყვარელი ადამიანის მანიპულირებისთვის გამოვიყენოთ. ფსიქოლოგები, რომლებიც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებს იკვლევენ, მანდილოსნებს ერთ რჩევას აძლევენ: სანამ ქმარს თავისი საიდუმლოებებით „გაშიფრავდეთ", დაფიქრდით, გსურთ თუ არა, ახალი თავსატეხი გაიჩინოთ? და კიდევ ერთი: მაშინაც კი თუ ქმრის საიდუმლოს ფარდას ახდით, ჯობს თავი ისე დაიჭიროთ, თითქოს არაფერი იცით. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება ძნელია, მაგრამ რადგან სპეციალისტები გვირჩევენ, ესე იგი, ასე ჯობს! თუკი მამაკაცი ცდილობს, თქვენ რაღაც დაგიმალოთ, ეს უკვე მისი პრობლემაა და დაე, თვითონ გადაჭრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგიწევთ დიდხანს არკვიოთ ურთიერთობები, შემდეგ კი იმაზე იფიქროთ, როგორ გამოხვიდეთ შექმნილი სიტუაციიდან.

P.S. *ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის მთელი ფილოსოფია ის არის, რომ მათ ერთმანეთს დაუმტკიცონ: „ყველაფერს ვხედავ, ყველაფერი მესმის, მაგრამ არაფერს ვამბობ, რადგან მიყვარხარ!"*

■

პიკა ქათმითა და კარტოფილით

2 ს/კ საფუარი გახსენით თბილ წყალში და გააჩერეთ 10 წთ. დაამატეთ 2 ჩ/ჭ (500 გ) ფქვილი, 4 კბილი ნიორი, 100 გ გახეხილი ყველი, 2 კვერცხი, 1/4 ჩ/ჭ ზეთი და მოზილეთ რბილი ცომი.

ძვლებგამოცლილი ქათმის ხორცი შეწვით ზეითუნის ზეთში და მოაყარეთ გემოვნებით მარილი, წიწაკა და ნიორი. გაყავით ცომი 2 ნაწილად. გაბრტყელეთ. 1 მათგანი მოათავსეთ ფორმაში, მოასხით ტომატის სოუსი, დააწყვეთ ქათმის ხორცი, მრგვლად დაჭრილი, მოხარშული კარტოფილი, 500 გ გახეხილი ყველი და დააფარეთ ცომის მე-2 ფენა. გვერდები კარგად ამოუკეცეთ, ჩანგლით ჩაჩხვლიტეთ და შედგით ცხელ ჰაერღუმელში. აცხვეთ დაახლოებით 15-20 წუთი – მოყავისფრო ფერის მიღებამდე.

■

შოკოლადის კრემი

მასალად საჭიროა:

700 გ შაქრის ფხვნილი;
6 ს/კ კაკაო;
6 ს/კ ფქვილი;
1 ჩ/კ ხსნადი ყავა;
1 ლ რძე;
200 გ მარგარინი.

მომზადების წესი: ერთმანეთში კარგად არეული შაქრის ფხვნილი, კაკაო, ფქვილი და ხსნადი ყავა, გახსენით 1 ლ რძეში. დადგით ნელ ცეცხლზე, შეათბეთ, ჩაუმატეთ პატარ-პატარა ნაწილებად დაჭრილი მარგარინი და განუწყვეტელი მორევით მიიყვანეთ ადუღებამდე. ადუღეთ 3-5 წთ. გადმოღების შემდეგ დაამატეთ გემოვნებით ვანილი და წვრილად დაჭრილი, მოხალული ნიგოზი. ჩაასხით ჭიქებში და გააცივეთ.

■

თეთრი თიხა, ნიორი და ლიმონი – თქვენი თმის სიჯანსაღისთვის

ქალის მომხიბვლელობის მთავარი საიდუმლო, მოვლილი და ჯანსაღი თმაა. მანდილოსნებო, გახსოვდეთ, რომ მოვლილი თმა არა მარტო თქვენ განიჭებთ დიდ სიამოვნებას, არამედ გარშემო მყოფთაც არ რჩებათ შეუმჩნეველი. თუ გინდათ, ვარცხნილობისა და თმის ფერის შეცვლა, გირჩევთ, გაითვალისწინოთ პროფესიონალი სტილისტის რჩევები. ვესაუბრებით ერთ-ერთი პრესტიჟული სალონის ოსტატს საშა კოკოშაძეს:



ეკა მინდაძე

— როგორი ვარცხნილობაა დღეს მოდაში?

— მოდაშია გრძელი, ბუნებრივად აჭრილი თმა. მოკლე და სწორი ვარცხნილობა მოდაში აღარ არის. ტინეიჯერები უფრო მეტად, ავანგარდულ ვარცხნილობას ირჩევენ. გარდა ამისა, მოდაშია ბუნებრივად დახვეული თმა.

— ფერზე რას იტყვი? რომელია მოდაში?

— მოდაშია ქერა, ჩალისფერი თმა. ტინეიჯერები ფერფლისფრად ან უფრო ღიად იღებავენ.

— რას ურჩევდი ღამის კლუბებსა და წვეულებაზე წამსვლელებს?

— თუ ღამის კლუბსა და ბარში მიდიხართ, ჯობს, თავისუფალი ვარცხნილობა გქონდეთ. ამ დროს, ოპტიმალურია ბუნებრივად გაშლილი, „არეული“ თმა, რათა უფრო თავისუფლად იგრძნოთ თავი და ცეკვაშიც ხელი არ შეგიშალოთ. თუ წვეულებაზე მიდიხართ, ამ შემთხვევაში, უმჯობესია, აწეული ვარცხნილობა გქონდეთ.

— რატომ აირჩიე ეს ხელობა?

— რა ვიცი, ვერ გეტყვი. ალბათ ასე უნდა ყოფილიყო: ერთადერთი, ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი არჩევანით კმაყოფილი ვარ. თავიდან ოქრომჭედელი ვიყავი, ხოლო შემდეგ გადავწყვიტე, ქალბატონების სილამაზეზე მეზრუნა. ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

— შენი აზრით, ქალის სტილისტობა ვის უფრო კარგად გამოსდის — მამაკაცს თუ ქალს?

— ჩემი აზრით, მამაკაცს. ქალს რა მოუხდება, მამაკაცზე უკეთ არავინ იცის. სხვათა შორის, ქალებიც მამაკაცის გემოვნებას უფრო ენდობიან.

— ახლა ისევ რჩევებს დავუბრუნდეთ. რას ეტყვი მანდილოსნებს — როგორ მოუარონ თმას?

— თუ თმის შეღებვა შინ გირჩევნიათ, ეცადეთ, საღებავი 30 წუთზე მეტხანს არ გაიჩეროთ. საღებავი 3 დღის დაუბანელ თავზე უფრო კარგად მოქმედებს. კარგი იქნება, თუ თმის შეღებვიდან შეღებვამდე, 25-დღიან ინტერვალს გააკეთებთ. მაგრამ თუ ჭაღარა შეგაწუხებთ, შეგიძლიათ, 2 კვირაში ერთხელ შეიღებოთ — უფრო ხშირად თმის ღებვა ყოვლად დაუშვებელია. კარგი იქნება, თუ დაბანის შემდეგ, თმას ბუნებრივად გაიშრობთ. გირჩევთ, თმის შამპუნი ბაზრობაზე არ შეიძინოთ. უმჯობესი იქნება, თუ შამპუნს და ბალზამს სალონში იყიდით, რადგან სალონებს ნამდვილად აქვთ კონტაქტი ფირმებთან და ასეთ შემთხვევაში, თავიდან აიცილებთ ფალსიფიცირებული ნაწარმის შეძენას. რაც შეეხება იმას, თუ ვის რა შამპუნი მოუხდება, ეს ძალზე ინდივიდუალურია. იგივე ითქმის ბალზამზეც: გირჩევთ, ბალზამი თმაზე არ დაიტოვოთ, წაისვით მხოლოდ თმის დაბანის დროს, გაიჩერეთ 15 წუთი და ჩამიბანეთ. ბალზამმა და ჟელემ, თუ მას თმაზე გაიჩერებთ, შეიძლება, ქერტლი და თმის ცვენა გამოიწვიოს. თუ ქერტლი გაგიჩნდათ, გირჩევთ, თმაზე თეთრი მიწის ნიღაბი დაიდოთ. ეს ნიღაბი შამპუნის მაგივრად უნდა იხმაროთ. უბრალოდ აიღეთ თეთრი მიწა, შეიზილეთ თმაში, გაიჩერეთ 10 წუთი და შემდეგ ჩამიბანეთ. თუ თმის ცვენამ შეგაწუხათ, აიღეთ მაიონეზი და შამპუნის მაგივრად წაისვით, გაიჩერეთ 2 საათი და მერე, ჩვეულებრივად ჩამიბანეთ. თმის ცვენის შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ, აიღოთ რამდენიმე კბილი ნიორი, დანაყოთ და წაისვათ თავზე, ოღონდ, ეცადეთ, დიდხანს არ გაიჩეროთ — მისი დადება მხოლოდ 20 წუთით შეიძლება. თმის ცვენის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ავიტამინოზი, ამიტომ მიიღეთ რაც შეიძლება მეტი ხილი და ბოსტნეული. თუ ცხიმიანი თმა გაქვთ და თანაც გცვივათ, გირჩევთ, არყის ხის წვენის ლოსიონი გამოიყენოთ. ლოსიონი ასე მოამზადეთ: აიღეთ 2 ჩ/ჭ არყის ხის წვენი, დაამატეთ 1 ს/კ თაფლი, ერთი ჩ/კ სუფრის მარილი და ქილა კარგად შეაჯღრიეთ. ამის შემდეგ, გადასხით ბოთლებში, დაუმატეთ 1 ჩ/ჭ არაყი და კარგად მოხუფეთ. გამზადებული ხსნარი ბნელ ადგილას დადგით. ეს ლოსიონი თავის დაბანამდე უნდა შეიზილოთ თმაში და 2 საათის შემდეგ ჩამიბანოთ. დაბანის შემდეგ, კარგი იქნება, თუ თმაზე ძმარს ან ლიმონის წვენგარეულ წყალს გადაივლებთ. ეს პროცედურა 10-ჯერ გაიმეორეთ. თუ შეამჩნიეთ, რომ თქვენი თმის ღერი იყოფა, დაუყოვნებლივ უნდა შეიჭრათ. ყოველ შემთხვევაში, იმ ადგილამდე მაინც უნდა აიჭრათ თმა, სადამდეც თმის ღერი არ იყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თმის ღერის სტრუქტურის დარღვევა გაგრძელდება.

დაბოლოს: *არასოდეს შეიჭრათ თმა თქვენ თვითონ, რადგანაც მერე თითქმის მთელი წელი დასჭირდება იმას, რომ სტილისტმა მას რაიმე ფორმა მისცეს...*

■

საქართველოს საპორტო-საკურორტო ქალაქი	სოფელი თბილისთან	შუშა	ორიანი ნარდში	სიცილის განწყობილება სახეზე	„ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი	„გაიღიმეთ, ... კამერაა!“	... ჰო, ... არა	კავ... სიტყ...
ბ ა ტ უ მ ი	ნ ი ნ ო მ ი ნ ა ღ ე ლ ი	ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა	ს ა ხ ლ ი	ფ ა ს ი ნ ა ტ ი	ნ ი ნ ა	...	...
მომღერალი ... კრავეიშვილი	შლანგი ანუ..	ნადირთ „მეფე“	რბის პროდუქტი	რიცხვი ექვსი ნულით	ნადიმისათვის გამართული გრძელი კარავი	მცირე არხი	რკინიგზის ხ...

ვინ უფრო სწრაფია — ბიჭი თუ გოგონა?

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

საბავშო ბაღის აღმზრდელებმა და მრავალშვილიანმა დედებმა იციან: ბიჭები უფრო მეტხანს ანდომებენ კითხვისა და წერის შესწავლას, ვიდრე — გოგონები. დწყებითი სკოლის მასწავლებლებიც ამბობენ, რომ უმცროს კლასებში გოგონები უკეთ სწავლობენ. რატომ?

ბავშვები თავიდანვე სხვადასხვაგვარად ვითარდებიან. ბიჭები დაბადებისას გოგონებზე დიდები არიან, მათ დიდი ზომის თავი და მეტი წონაც აქვთ. სიარულს ვაჟები გოგონებთან შედარებით უფრო გვიან — დაახლოებით 2-3 თვით, ხოლო ლაპარაკს — 4-6 თვით გვიან იწყებენ.

8 წლამდე, **სმენის სიმახვილე** ბიჭებს უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე გოგონებს. ამ უკანასკნელთ კი, შედარებით ძლიერი აქვთ კანის მგრძნობელობა — მათ მეტად აღიზიანებთ სხეულის დისკომფორტი, მეტად რეაგირებენ შეხებასა და მოფერებაზე.

გოგონების **თამაში** ხშირად ახლომხედველობას ეყრდნობა: ისინი თავიანთ წინ, ერთ პატარა კუთხეში განალაგებენ ხოლმე მთელ საკუთარ ავლადიდებას — თოჯინებს, ქსოვილის ნაკურწებს, სხვა სათამაშოებს და შემოსაზღვრულ სივრცეში თამაშობენ. ბიჭუნების თამაში კი ხშირად, შორსმხედველობას ეყრდნობა: ისინი დარბიან, ერთმანეთს ესვრიან სხვადასხვა საგანს, მიზანში ტყორცნიან და მთელ სივრცეს ითვისებენ. ბიჭებს სრულფასოვანი ფიზიკური განვითარებისთვის საერთოდ, მეტი სივრცე სჭირდებათ, ვიდრე გოგონებს. თუ ჰორიზონტალური სიბრტყე მცირე აქვთ, ისინი ვერტიკალურს ითვისებენ: ადიან კარადებზე, დარბიან დივანის საზურგეებზე, კარზე ეკიდებიან...

ბიჭებისა და გოგონების **ნახატები** პირველი წლებიდანვე განსხვავებულია. გოგონები სახატავ რვეულებს „პრინცესებით", ყვავილებით, ავტოპორტრეტებით ავსებენ, ბიჭები კი — მანქანებით, სამხედრო იარაღითა და სხვადასხვა ტექნიკით.

ბუნების ჩანაფიქრი

რა განაპირობებს განსხვავებას ბიჭისა და გოგონას ფსიქიკას შორის? ეს ყველაფერი ევოლუციის კანონების შედეგია. ევოლუციური ტენდენციები აყალიბებს მამრობითსა და მდედრობით სქესს. ქალი გენეტიკურ მეხსიერებაში ინახავს ევოლუციის ყველა ღირებულ შენაძენს, მამაკაცი კი, პირიქით, იოლად კარგავს ძველს და იძენს ახალს. მდედრობითი სქესი ორიენტირებულია გადარჩენაზე, მამრობითი კი — პროგრესზე.



სახეობის გადასარჩენად, მდედრობითი სქესის ბევრი წარმომადგენელია საჭირო, ამიტომ ბუნება „უფრთხილდება" მათ. მამრობითი სქესი კი მას არ „ენანება".

მამრობითი სქესის წარმომადგენლებზე „გამომუშავდება" ევოლუციის ყველა სიახლე. მამაკაცებს შორის ბევრია სასარგებლო თუ მავნე მუტაცია. არსებობს მონაცემები, რომ ყოველ 100 ყრუ გოგონაზე 122 ყრუ ბიჭი მოდის. ასევე ჭარბობენ ვაჟები გოგონებს სიელმის, ენაბლუობის, დისლექსიის, ფსიქიკური განვითარების შეფერხების შემთხვევათა სიხშირით. ლოგოპედურ ჯგუფებშიც ვაჟი გაცილებით მეტია.

მამაკაცის ტვინი უფრო დიდი და უკეთ განვითარებულია, მაგრამ ნაკლებად საიმედოა და ადვილად ზიანდება. ყოველგვარ ბუნებრივ თუ სოციალურ ცვლილებას კაცები უფრო მეტად განიცდიან. თუმცა, ბუნებამ ისინი მაძიებელი ხასიათითაც დააჯილდოვა — მამაკაცები ეძებენ ისეთ ადგილს, სადაც უკეთ დანაყრდებიან და გათბებიან. ნებისმიერი ასაკის მამაკაცები მიდრეკილნი არიან ახალი სივრცის ათვისებისკენ, რისკიანი მოქმედებებისა და არატრადიციული გადაწყვეტილებების მიღებისკენ.

ვინ რაშია უფრო ძლიერი

როგორ აისახება მამაკაცის თავისებურებები ბიჭების სწავლის პროცესზე? სკოლამდელ და დაწყებით სასკოლო ასაკში, გოგონებს უკეთ აქვთ განვითარებული მეტყველება, მაგრამ ერთგვაროვანი აზროვნებით გამოირჩევიან. ბიჭები კი, როგორც წესი, არასტანდარტულად და საინტერესოდ აზროვნებენ. სწორედ ისინი გვევლინებიან განსხვავებული იდეებისა და პასუხების ავტორებად. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არც ერთ გოგონას არ შეუძლია ახალი იდეის წამოყენება. მაგრამ მაინც, პრინციპულად ახალ ამოცანებს უფრო უკეთ ბიჭები ხსნიან. ამოხსნის დახვეწილობასა და გაფორმების აკურატულობას კი ისინი მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ვაჟმა შეიძლება, მათემატიკური ამოცანის არასტანდარტული ამოხსნის გზა იპოვოს, მაგრამ

...ტიანი გოდორი	ყურძნის შაქარი	ბავშვის კბილი	ძლიერნი ... სოფლისანი	სახელმწიფო აზიამი	კედლის შანდალი	შავი ფერის საიუველირო ქვა
						
ბენოსიო ... ტორო	ესკიმოსების ყინულის ქოხ...	აქლემის ნაშიერი	პატარა წითელი მწერი შავი კოპლებით	ჯუჯა ცხენი	ყაჩაღი კუთხურად	ამერიკელი მსახიობი და მომღერალი ქალი

შეცდომა დაუშვას ელემენტარულ გამოთვლაში და შედეგად ორიანი მიიღოს. გოგონები კი, ყველა ქალის მსგავსად, უკეთ ასრულებენ ტიპურ, შაბლონურ დავალებებს.

გოგონების მეტყველება სწრაფია, ისინი სწრაფად კითხულობენ და სუფთად წერენ. მაგრამ სიტყვათა ასოციაციების შერჩევა, კროსვორდების შევსება ბიჭებს ეხერხებათ უკეთესად.

თუ თქვენი ვაჟი უფრო ნელა ითვისებს ახალ მასალას, ვიდრე ითვისებდა თქვენი უფროსი გოგონა, ცუდად ჰყვება და დაუდევრად წერს ასოებს, ნუ გაბრაზდებით – ეს მამაკაცური გონების თავისებურებების ბრალია. თანაც, ვაჟები ჩამორჩებიან გოგონებს განვითარებაში. მათი ბავშვობა უფრო დიდხანს გრძელდება. 7 წლის ბიჭუნა, თავისი ბიოლოგიური ასაკით, თანატოლ გოგონაზე ერთი წლით უმცროსია.

ბიჭებს ზრდა-განვითარების თავისებური გზა აქვთ. ისინი მეტად არიან ორიენტირებულნი ახალი ინფორმაციის ათვისებაზე (განსხვავებით გოგონებისგან, რომელთაც ადამიანებს შორის ურთიერთობები უფრო მეტად აინტერესებთ), ამიტომ მათ ინტელექტუალური განვითარების მეტი შესაძლებლობა აქვთ.

დაბოლოს:

● როცა ქალი ასწავლის ბიჭუნას, მას ნაკლებად გამოადგება საკუთარი ბავშვობის გამოცდილება – მასთან საკუთარი ბავშვობის შედარება არასწორი და უსარგებლო იქნება.

● როცა ვაჟს ეჩხუბებით, მოკლედ და ზუსტად ჩამოუყალიბეთ, რითი ხართ უკმაყოფილო. მას არ შეუძლია, ემოციური დატვირთვის ხანგრძლივად ატანა: მისი ტვინი თითქოს ითიშება და ბავშვი თქვენ აღარ გისმენთ.

გატეხილი გულის სინდრომი

ძლიერმა განცდებმა შესაძლოა, გულის მუშაობის დარღვევა გამოიწვიოს – იტყობინებიან ბალტიმორის (აშშ) ჯონ ჰოპკინსის ჰოსპიტლის მეცნიერები.

გატეხილი გულის სინდრომი ყველაზე ხშირად, 50 წელს გადაცილებულ ქალებს უვითარდებათ და ვლინდება ძლიერი ტკივილით (მკერდის ძვლის უკან), ქოშინით და რიტმის დარღვევით. თუმცა, ელექტროკარდიოგრამა და სხვა გამოკვლევები არ ადასტურებს ინფარქტის განვითარებას. რამდენიმე საათში, პაციენტის მდგომარეობა უმჯობესდება, ხოლო რამდენიმე დღეში – გულის მუშაობა მთლიანად აღდგება.

მეცნიერებმა, რომლებიც ცდილობდნენ, დაედგინათ დაავადების მიზეზი, ყველა პაციენტს ჩაუტარეს სისხლის გამოკვლევა და აღმოაჩინეს, რომ მათ 7-35-ჯერ აქვთ მომატებული ადრენალინი სისხლში. ჰორმონის ასეთი მაღალი კონცენტრაცია მკვეთრად აუარესებს გულის მუშაობის უნარიანობას. რატომ გამოიყოფა ნერვიულობისას ადრენალინი 30-ჯერადი დოზნით, ეს ჯერჯერობით უცნობია. ■

სისხლძარღვებს გამოცვლიან

ჰიუსტონის უნივერსიტეტის მეცნიერები ხელოვნურ სისხლძარღვთა შესაქმნელად მოდიფიცირებული პოლიურეთანის გამოყენებას გვთავაზობენ. სხვა მასალებისგან იგი იმით გამოირჩევა, რომ ადამიანის ორგანიზმში გამოყოფს აზოტის ოქსიდს, რომელიც დადებითად ზემოქმედებს სისხლძარღვებზე და ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას. გარდა ამისა, იგი ანელებს სისხლძარღვის კუნთოვანი კედლის ზრდას, რომელმაც შეიძლება, შეავიწროოს პროთეზი და დაარღვიოს სისხლის მიმოქცევა. ახალი მასალის წყალობით, შესაძლებელი გახდა, 6 მმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე სისხლძარღვთა პროთეზირება – უწინ ეს საშიში იყო, თრომბის წარმოქმნის მაღალი ალბათობის გამო. მცირე დოზებით აზოტის ოქსიდის, ორგანიზმზე რაიმე უარყოფითი მოქმედება დადგენილი არ არის. ■

ბრალი ედება ნაფთალინს

უკვე ოფიციალურად ცნეს კანცეროგენებად, რენტგენის გამოსხივება და ზოგიერთი საყოფაცხოვრებო ნივთიერება. მათ შეავსეს კანცეროგენების სია, რომელსაც 2 წელიწადში ერთხელ აქვეყნებს აშშ-ის გარემოს სანიტარული მდგომარეობის შესწავლის ნაციონალური ინსტიტუტი. რენტგენის სხივებიც მოხვდა ამ სიაში, რადგან ზუსტად დადგინდა, რომ ისინი რამდენიმე სახეობის ავთვისებიან წარმონაქმნთა განვითარებას იწვევს. სიის ბოლო ვერსიაში შევიდა აგრეთვე, ტყვია და მისგან წარმოებული, ზოგიერთი საღებავი (რომელიც საფეიქრო წარმოებაში გამოიყენება), მელანი, ტუში, ნაფთალინი და ჰაერის გამწმენდი საშუალებები. ■



ოპტიმისტური სიახლენი

● მეცნიერებმა სერიოზული ნაბიჯი გადადგეს ხელოვნული ბადურას შესაქმნელად.

● მოხარშული თევზი მოხუცებში ინსულტის განვითარების რისკს ამცირებს.

● შეიქმნა პრინტერი, რომელიც ერთდროულად ბეჭდავს როგორც ჩვეულებრივი ადამიანებისთვის, ისე უსინათლოებისთვისაც.

● შექმნილია მსოფლიოში პირველი რობოტი, რომელსაც „ცოცხალი“ კუნთები აქვს. ■

რა მნიშვნელობა აქვს სახლის კურთხევას?

ღვთისმსახურება წარმოადგენს, განწესებულ რიგზე დაწყობილ ლოცვებს და საღვთო მოქმედებებს, რომლებსაც აღასრულებს მღვდელი ან ეპისკოპოსი, ტაძარში ან მის მიღმა. არსებობს საზოგადო და კერძო ღვთისმსახურება. საზოგადო ღვთისმსახურება ყველა ქრისტიანისთვის, მაგალითად — მწუხრი, ცისკარი, წირვა და სხვა საზოგადო ღვთისმსახურებაა. კერძო ღვთისმსახურება კი სრულდება ერთი ან რამდენიმე პირისთვის. ერთ-ერთი, სახლის კურთხევაა... რა მნიშვნელობა აქვს სახლის კურთხევას? რა პერიოდულობით უნდა ვაკურთხებინოთ სახლი? — ამ და სხვა საკითხებს, ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ალეძი ადამაშვილი განგვიმარტავს.

შორენა მერკვილაძე

— სახლის კურთხევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იქ მცხოვრები ადამიანებისთვის, რადგან კურთხევის შემდეგ, ოჯახს უფლისგან მოვლინება მფარველი ანგელოზი, რომელიც დაიცავს და დაიფარავს მათ ყოველივე ბოროტისაგან.

— როგორ აღესრულება სახლის კურთხევა და როგორ შეიძლება მოიცვეს ადამიანი, როდესაც სახლის კურთხევის სურვილი აქვს?

— როდესაც ადამიანს სახლის კურთხევა სურს, წინასწარ უნდა შეუთანხმდეს ნებისმიერ ღვთისმსახურს, რომელიც მისთვის სასურველ დროს აღასრულებს ამ მსახურებას. მსახურების დაწყებამდე ხდება სახლის მომზადება კურთხევისთვის: ღვთისმსახური კედლებს სცხებს ნაკურთხ ზეთს (ნაკურთხი ზეთით გამოისახება ჯვრები), ანთებს სანთლებს და აღასრულებს სახლის კურთხევისთვის საჭირო სხვა წესებს. ამის შემდეგ იკითხება სპეციალური ლოცვები — „სახლის კურთხევისთვის“.

— შეიძლება თუ არა, რომ უფლისგან მოვლენილმა ანგელოზმა არ დაივანოს ნაკურთხ სახლში და დატოვოს იგი?

— როდესაც ადამიანი ხვდება ისეთ საზოგადოებაში, სადაც მისთვის მიუღებლად იქცევიან, შორდება იმ ადგილს; ასევე იქცევა უფლისგან მოვლენილი ანგელოზიც, როდესაც ნაკურთხ სახლში მცხოვრები ადამიანები ღვთისთვის მიუღებლად იქცევიან — არ იცავენ ქრისტიანულ წესებს. აქედან გამომდინარე, მფარველი ანგელოზი ბოროტი ძალის ზემოქმედებისგან და განსაცდელისგან დაგვიცავს და [illegible]ვიფარავს მხოლოდ ერთი პირობით — თუკი ცხოვრება ნაკურთხ სახლში ღვთისთვის სათნომყოფელი გზით წარიმართება, რადგან ღვთისგან მადლობის მიღება სწორედ უფლის წინაშე გამართლებული ცხოვრებითაა შესაძლებელი.

— რა პერიოდულობით უნდა ვაკურთხებინოთ სახლი?

— სახლის კურთხევა აუცილებელია წელიწადში ერთხელ, მაგრამ შესაძლებელია, ეს მოხდეს უფრო ხშირადაც, თუკი ოჯახის წევრები საჭიროდ მიიჩნევენ (მაგალითად, თუ შინ სექტანტები გვეწვევიან ან უჩვეულო მოვლენები ხდება და სხვა). ადამიანი წამალს სვამს მაშინ, როდესაც საჭიროა მისი მიღება, ასევეა სულიერი წამლობაც.

— განეშორება თუ არა უფლისგან მოვლენილი ანგელოზი ოჯახს, თუკი ნაწილი ოჯახის წევრებისა ცხოვრობს ეკლესიური წესების დაცვით, ნაწილი კი — არ იცავს ქრისტეს მცნებებს?

— ასეთ შემთხვევაში, უფლისგან მოვლენილი მფარველი ანგელოზი არ განეშორება ოჯახს. მაგრამ რწმენაში მყოფი ოჯახის წევრები უნდა იქცნენ მისაბაძ მაგალითად ურწმუნოთათვის, ეცადონ, გადაადგმევინონ ნაბიჯი ღვთისკენ მიმავალ გზაზე. ■

რატომ იხსენიება აღდგომის მომდევნო კვირა სხვადასხვა სახელით?

აღდგომის მომდევნო კვირიაკეს — ე.ი. კვირადღეს — სხვადასხვა სახელით იხსენიებენ: კვირაცხოვლობა, აღდგომის განახლება, თომას კვირა. ბუნებრივია, ყველა სახელს თავისი მნიშვნელობა აქვს.

„სიტყვა „ცხოველი“ ძველქართულად ნიშნავს ცოცხალს — ე.ი. კვირაცხოვლობა არის დღესასწაული სიცოცხლისა, კვირა ცხოვრებისა, კვირა სიცოცხლისა. ჩვენ ვიცით, რომ აღდგომამდე, შაბათი იყო დასვენების დღე, რომელსაც ღმერთს უძღვნიდნენ. აღდგომამ კი ერთშაბათი ანუ შვიდეულის პირველი დღე, გადააქცია კვირად ანუ წმინდა დღედ. კვირა დღის დაკანონება სწორედ აღდგომით მოხდა, რადგან უფალი სწორედ კვირა დილით აღსდგა. ამიტომ ყოველი კვირა აღდგომის მაუწყებელია“, — გვიქადაგებს ეპისკოპოსი სტეფანე. კვირაცხოვლობას კიდევ ერთხელ იხსენიება, თუ რა ხდებოდა აღდგომამდე და რა მოგვიტანა აღდგომამ, რომლის წყალობითაც დამარცხდა მარადიული სიკვდილის მეუფება, შეიმუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი, გაიხსნა სასუფევლის კარი და ადამიანებს მიეცათ საშუალება, იგემონ მარადიული, ნეტარი ცხოვრების სიტკბო, თუკი სინანულითა და ღვთის ერთგულების გზით ივლიან.

აღდგომის მომდევნო კვირადღეს, აღდგომის განახლებას იმიტომ ვუწოდებთ, რომ ამ დღეს, თავად უფალმა ინება და განაახლა აღდგომის სიხარული, როდესაც თავის მოწაფეებს აღდგომიდან მერვე დღეს კვლავ გამოეცხადა.

იოანეს „სახარების“ თანახმად, თავისი ბრწყინვალე აღდგომის დღეს, საღამო ჟამს, იესო ქრისტე გამოეცხადა თავის მოწაფეებს, რომლებიც იუდეველთა შიშის გამო, ერთ ოთახში იყვნენ შეკრებილნი და კარი დახშული ჰქონდათ. მათ შორის არ იმყოფებოდა თომა მოციქული. როდესაც ის მოციქულებთან დაბრუნდა, ახარეს, რომ მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტე იხილეს, მაგრამ თომამ განაცხადა: „თუ მის ხელებზე ნალურსმნევს არ ვნახავ და ნალურსმნევში საკუთარ თითს არ ჩავყოფ და მის ფერდში — საკუთარ ხელს, არ ვიწამებ!“

მერვე დღეს, უფალი კვლავ გამოეცხადა მოციქულებს. თომა მოციქულიც მათთან იყო. იესო ქრისტემ მიმართა თომას, უჩვენა ნალურსმნევი ადგილები და ნაჭრილობევ ადგილებში თითები ჩააყოფინა. განცვიფრებულმა თომა მოციქულმა წარმოთქვა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ უფალმა კი მიუგო: შენ მირწმუნე იმიტომ, რომ მიხილე, ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუნახივარ და სწამთ“. ასე და ამგვარად, სწორედ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომიდან მერვე დღეს ირწმუნა თომა მოციქულმა უფლის აღდგომა და ამიტომაც ეწოდა აღდგომის მომდევნო კვირას, თომას კვირა. ■

მარია იუფა ეროვნებით ჩინელი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილია. მამამისი ყმაწვილი ყოფილა, როცა აქ ჩამოსულა. ჩინელი ქალბატონი თავისი წარმომავლობით ამაყობს. მართალია, სომხური სისხლიც ურევია, მაგრამ ტიპურად ჩინური გარეგნობა აქვს. თუ გსურთ, მისი კეთილგანწყობა მოიპოვოთ, ეს ფაქტი უნდა აღნიშნოთ... მას დიდი კოლექცია აქვს — აგროვებს ყველაფერს (ნივთებს, წიგნებს, ფოტოსურათებს), რაც ჩინეთს უკავშირდება. უსაზღვროდ ბედნიერია, როცა ტელეგადაცემა მის ისტორიულ სამშობლოს ეხება. მარია იუფას ყველაზე დიდი ოცნებაა, მოინახულოს წინაპრების მიწა-წყალი. ის ხშირად ლაპარაკობს მამაზე. შეიძლება ითქვას, მამა მისთვის ნამდვილი იდეალია. თურმე, ამ კაცის საქართველოში ჩამოსვლა, რაღაც საიდუმლოს უკავშირდებოდა...

ჩინეთიდან გამოქცეულმა 15 წლის იუხუსძემ კაჭრეთში ჩაუშვა ფუზა

ელენე ხირსელი

— მამაჩემის ოჯახი პეკინში ცხოვრობდა. 1914 წელს, 15 წლის იუხუსძე (მამაჩემი) სახლიდან გამოიქცა და რკინიგზის სადგურში, ახალდაძრულ სატვირთო მატარებელს შეახტა. თან რამდენიმე მეგობარიც ახლდა. ბავშვებმა არ იცოდნენ, თუ რა მიმართულებით მიდიოდა მატარებელი. ამას მათთვის არც ჰქონდა მნიშვნელობა: იმ ასაკში იყვნენ, როცა ადამიანი მხოლოდ გრძნობებითა და იმპულსებით მოქმედებს... თავგადასავლის მაძიებლები, უცნობი მხარეების „დალაშქრას“ მიელტვოდნენ. მატარებელი ვლადივოსტოკში გაჩერებულა. იქ კი, პატარა მწანწალები სხვა მატარებელში გადამსხდარან. მერე გზაზე კიდევ რამდენჯერმე გამოუცვლიათ მატარებელი. მამა მიამბობდა ხოლმე: უსაშველოდ დიდი გზა რომ გავიარეთ, უეცრად, ჩვენ წინ ზღაპრული პეიზაჟი გადაიშალა: გვიანი გაზაფხული იყო, ისეთი ლამაზი და მშვენიერი იყო ირგვლივ ყველაფერი, ვფიქრეთ — აქ ცხოვრებაც ასეთივე საამური იქნება-თქო და გადავწყვიტეთ, „ლუზა ჩაგვეშვა“. ასე მოვხვდით ჩვენთვის სრულიად უცხო ქვეყანაში — საქართველოშიო!..

— როგორც ჩანს, იუხუსძე გაჭირვებას გამოექცა...

— მამას საფარელი გამოთქმა იყო: ყველგან კარგია, სადაც ჩვენ არა ვართო. ალბათ, მაშინაც ასე ფიქრობდა, როცა უკეთესი ცხოვრების საძიებლად სამშობლოდან ასე შორს აღმოჩნდა... იუხუსძე მშობლებთან და დამასთან ერთად ცხოვრობდა. ჩინეთში მაშინ გაუსაძლისი სიღატაკე სუფევდა. არც მისი ოჯახი იყო გამონაკლისი. თუმცა, ყმაწვილი მხოლოდ გაჭირვებას არ გაჰქცევია — მშობლებზეც იყო განაწყენებული. მოხდა მის ცხოვრებაში რაღაც, რისი დავიწყებაც სიცოცხლის ბოლომდე ვერ შეძლო. კონკრეტულად რა მოხდა, ამაზე სიტყვაც კი არასდროს დასცდენია, ეს საიდუმლო თან ჩაიტანა საფლავში...

— როგორ ააწყო ცხოვრება ახალგაზრდა ჩინელმა უცხო ქვეყანაში?

— ჩამოსვლისთანავე, გურჯაანის მახლობლად, სოფელ კაჭრეთში დასახლდა და ერთ მდიდარ ოჯახს მოჯამაგირედ დაუდგა. იმ დროს, საქართველოში მით უმეტეს — სოფლად, ჩინელი დიდი იშვიათობა იყო. ამიტომ იუხუსძეს თავიდან, როგორც სასწაულს, ისე უცქერდნენ: რომ დაინახავდნენ, თვალს აყოლებდნენ და ურცხვად ათვალიერებდნენ, მასზე დაუჯერებელ ამბებსაც ჰყვებოდნენ... მაგრამ ამ ადამიანის პატიოსნებისა და კეთილი ბუნების გამო, თანასოფლელებმა მალე შეიყვარეს. რადგან მისი სახელი ქართველებისთვის ძნელად წარმოსათქმელი იყო, ახალი სახელი — ივანე დაარქვეს. ჯანმრთელი, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა იყო, მიწას ამუშავებდა, ვენახს უვლიდა. ბატონი ძალიან კმაყოფილი იყო მისით, ამბობდა — ასეთი გამრჯე და კეთილსინდისიერი მუშა ჯერ არ მყოლიაო... 23 წლის იყო მამა, როდესაც მის მეზობლად სომხეთიდან ჩამოსული ოჯახი დასახლდა. მათ ულამაზესი ქალიშვილი ჰყავდათ. ახალგაზრდა ჩინელს შეუყვარდა მშვენიერი არაქსი და გადაწყვიტა, მისი ხელი ეთხოვა. როცა ბატონმა ამის შესახებ შეიტყო, მოჯამაგირე მკაცრად გააფრთხილა: სანამ მე მემსახურები, ქორწინებაზე არც იოცნებო — ყურადღებას თუ ოჯახზე გადაიტან, საქმეს თავს ვეღარ გაართმევო. მართალია, მამა წყნარი კაცი იყო, მაგრამ ამავე დროს, ამყიც გახლდათ და თავს არავის დაანაგვრინებდა. ამ სიტყვებმა ისე გაანაწყენა, დიდ კომპლექსს დაავლო ხელი და ბატონს გამოედევნა... ამ ინციდენტის გამო, ცხადია, მასთან ვეღარ იმუშავებდა, მაგრამ ივანე ამას სულაც არ შეუშინებია, რადგან უკვე საკუთარი სახლი და მიწა ჰქონდა, ამიტომაც ქალის ხელის სათხოვნელად თამამად მივიდა მის ოჯახში.

— როგორ მიიღეს არაქსის მშობლებმა ჩინელი სასიძო?

— თავიდან ძალიან არ მოეწონათ, შეურაცხყოფილადაც კი იგრძნეს თავი, რადგან ის მაინც უცხოტომელი იყო, განსხვავებული გარეგნობის, უცხო რელიგიისა და ტრადიციების მიმდევარი. მაგრამ იმ დროს, მათ ძალიან უჭირდათ, ივანე კი შეძლებული კაცი იყო, თანაც, სოფელში პატიოსანი, მშრომელი კაცის სახელით სარგებლობდა. ჰოდა, იძულებული გახდნენ, თანხმობა მიეცათ. თანაც, როგორც დედამ მითხრა, არც თვითონ ყოფილა გულგრილი, ჩინელი ვაჟკაცის მიმართ.

— როგორ შეეწყვნენ ერთმანეთს ორი განსხვავებული ერის წარმომადგენლები?

— მამა რბილი და დამთმობი კაცი გახლდათ, დედას უფრო მძიმე ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მშვენივრად უგებდნენ ერთმანეთს. ჩვენს ოჯახში ერთი ხმამაღლა ნათქვამი სიტყვაც კი არასდროს გამიგონია. მათ სათუთი, ნაზი გრძნობა აკავშირებდათ. მამას მეუღლისთვის არასდროს უღალატია, არ სვამდა, არ ეწეოდა. ამდენი წელი იცხოვრა აქ, მაგრამ მაინც ვერ შეეგუა ქართველი მამაკაცების ზნე-ჩვეულებას, საშინლად აღიზიანებდა, როცა ცოლებს ღალატობდნენ, თვრებოდნენ... ცხოვრებაში ერთხელაც არ უთქვამს ტყუილი; ქუჩაში ფული რომ ეპოვა, ხელს არ მოჰკიდებდა... ვფიქრობ, ასეთი პატიოსნება, გენეტიკურად განპირობებული, სისხლში გამჯდარი, ეროვნული თვისება იყო: ამბობდა, რომ ჩინეთში ადამიანებს უბრალო ტყუილისთვისაც კი სჯიდნენ, ქურდობისთვის კი, თუნდაც, მხოლოდ ერთი ვაშლი მოეპარათ — ხელს სჭრიდნენ... ოჯახის ბურჯი იყო, დღედაღამ იმაზე ფიქრობდა, რით ესიამოვნებინა ჩვენთვის. სხვათა შორის, მამა კარგი მზარეულიც იყო, ბრინჯისგან გემრიელ ჩინურ კერძებს ამზადებდა.

— ქალაქში საცხოვრებლად როდის გადმოხვედით?

მარია ქალიშვილთან და მეუღლესთან ერთად (დოდო ჭიჭინაძისა და გიორგი შავგულიძის ნაჩუქარი პერანგით)

— მე ხუთის, ჩემი ძმა — სამი წლის იყო, უმცროსი ძმა კი, უკვე თბილისში დაიბადა. მამა ჯერ ქარხანაში მღებავად მუშაობდა, მერე — იპოდრომზე, ცხენების მომვლელად. ჩვენც იქვე, „ბარაკებში“ ვცხოვრობდით.

— **მამამ ჩინური არ გასწავლათ?**

— ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სხვათა შორის, ჩვენც ვეცადეთ, მისთვის ქართული წერა-კითხვა გვესწავლებინა, მაგრამ რატომღაც არ მოინდომა. „დამტვრეული“ ქართულით ლაპარაკობდა, რუსული უკეთესად იცოდა, რაც დედის დამსახურება გახლდათ.

— **რომელ რელიგიას მისდევდა იუხუსძე-ივანე?**

— ბუდისტური რელიგია საერთოდ მივიწყა. არც ქრისტიანულად იყო მონათლული. თუმცა, ჩვენი ოჯახი ყველა ქრისტიანულ დღესასწაულს აღნიშნავდა. მამა ჩვენთან ერთად ეკლესიაშიც დადიოდა, ამბობდა — ღმერთი ყველასათვის ერთიაო...

— **სამშობლოს ნოსტალგია თუ ჰქონდა?**

— მართალია, ხმამაღლა არასდროს უთქვამს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნანობდა, სამშობლო რომ მიატოვა. არ იმჩნევდა, მაგრამ შინაგანად ძალიან განიცდიდა, ამიტომაც იყო ასეთი გულჩათხრობილი. სხვათა შორის, და-ძმასთან სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა მიმოწერა. ისინი ჩინურ ჟურნალ-გაზეთებს უგზავნიდნენ. როცა წერილს მიიღებდა, იმ დღეს, ჩვეულებრივზე მეტად სერიოზული იყო, სულ ჩაფიქრებული დადიოდა. ასეთ დღეებში ხშირად შემინიშნავს მის თვალზე ცრემლი; მამას ეს საშინლად არ სიამოვნებდა, ისეთ უხერხულობაში ვარდებოდა, მისი ცოდვით ვიწვოდი... მამა 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. ავად რომ გახდა, ამბობდა — სამშობლოში თუ წავალ, აუცილებლად გამოვჯანმრთელდებიო, გვემუდარებოდა — სახლში წამიყვანეთო...

— **ახლა თქვენზეც გვიამბეთ. რით იყო თქვენი ცხოვრება საინტერესო?**

— ერთ მშვენიერ დღეს (სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა), კინოსტუდიამ ჩვენი ოჯახი ფილმში — „ოქროს ბილიკი“ — გადასაღებად მიიწვია. ფილმში იყო რამდენიმე ეპიზოდი, სადაც ასახული იყო ჩინელი ხალხის ცხოვრება. 12 გადაღებადღე გვქონდა. მაშინ ძალზე ახალგაზრდა ვიყავი. ამ სამყარომ საოცრად მომხიბლა. გრიმიორს, გრიშა მხეიძეს ვუთხარი — რა ბედნიერი ვიქნებოდი, აქ რომ ვმუშაობდემეთქი. მას გაეღიმა და მიპასუხა — გინდა, გრიმის გაკეთებას გასწავლიო? — და ასე, ამ კაცის წყალობით, მარჯანიშვილის თეატრში გრიმიორად დავიწყე მუშაობა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო ხანა. თმას ვახვევდი, ვქსოვდი პარიკებს, ულვაშებს, წამწამებს... მომიწია ისეთ დიდ მსახიობებთან მუშაობამ, როგორებიც იყვნენ: აკაკი კვანტალიანი, გიორგი შავგულიძე, სანდრო ჟორჟოლიანი, ვერიკო ანჯაფარიძე, პიერ კობახიძე, დოდო ჭიჭინაძე, მედეა ჯაფარიძე. მთელი საქართველო მოვლილი გვქონდა გასტროლებით. ერთად ვჭამდით, ერთად ვსვამდით. მედეა ჯაფარიძე თამაშობდა სპექტაკლში — „ხეები ზეზეურად კვდებიან“. სცენაზე გასვლის წინ, მე ვახ-

მარიას ძმა (მარცნივ) მეგობართან ერთად

ურავდი პარიკს. მედეა საოცრად ნაზი და ქალური იყო, ამავე დროს — საკმაოდ ვაჟკაცური და სამართლიანი, პირფერობას ვერ იტანდა. სიმართლეს, რაც არ უნდა მწარე ყოფილიყო, პირდაპირ მოგახლიდა... საკმაოდ მკაცრი და თავისებური იყო ვერიკო ანჯაფარიძეც. სოფიკო მაშინ ბავშვი იყო და თეატრში დედასთან მოდიოდა ხოლმე. ცქვიტი, მოუსვენარი, საოცრად ცელქი გოგონა გახლდათ.

— **როგორც ვიცი, თქვენი ვაჟის ნათლიები, ცნობილი მსახიობები — გიორგი შავგულიძე და დოდო ჭიჭინაძე იყვნენ.**

— მე ამ ადამიანების საოცარმა თავმდაბლობამ და კეთილშობილებამ მომხიბლა. ისინი განსაკუთრებულად მიყვარდნენ, ამიტომ ვთხოვე, ჩემი ბიჭის ნათლიები გამხდარიყვნენ. ძალიან გაუხარდათ — ამაზე უარს როგორ გეტყვითო!.. არადა, მაშინ, ეკლესიურობის ნებისმიერი გამოვლინება, განსაკუთრებით — მათთვის, ვინც აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა, სახიფათოც კი იყო. გიორგი შავგულიძე კი იმ დროს, ეკლესიაშიც დადიოდა, სანთლებსაც ანთებდა და მკერდზე ჯვარსაც ატარებდა დაუფარავად... ნათლობა სიონის ეკლესიაში შედგა. მერე ჩემთან სახლში კარგად ვიქეიფეთ. სტუმრებს შორის, კვანტალიანი და ჟორჟოლიანიც იყვნენ. საკმაოდ მდიდრული სუფრა მქონდა გაშლილი — აბა, ასეთ ძვირფას სტუმრებს სხვანაირად როგორ მივიღებდი?!. მამაჩემი ჩინურ კერძებს ამზადებდა და ცხელ-ცხელი, სუფრაზე მოჰქონდა. კვანტალიანს ძალიან მოეწონა მისი ნახელავი. ამბობდა — ასეთი გემრიელი რამ ცხოვრებაში არ მიჭამიაო, — და მამას სთხოვდა, მისთვის რეცეპტი გაემხილა. იმ დღეს, ჩვენს სახლში დიდი მხიარულება იყო. ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ. ნათლიებმა ჩემს ბიჭს ველოსიპედი აჩუქეს, მეუღლეს კი — „დაკლეტკილი“ პერანგი, რომელსაც ცხოვრების ბოლომდე, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა... დოდო ჭიჭინაძესთან დღემდე მაქვს ურთიერთობა. მართალია, ხშირად ვერ ვნახულობ, მაგრამ ტელეფონით სულ ვკონტაქტობთ. ელენე ყიფშიძესთანაც მქონდა ახლო ურთიერთობა.

— **ახლა თქვენი ოჯახის შესახებ გვიამბეთ.**

— ყველაფერი ასე დაიწყო: ჩემს მეზობლად, ნათესავთან ერთად, ყაზბეგიდან ხევსური ბიჭი ჩამოდიოდა ხოლმე. ერთმანეთი დანახვისთანავე შეგვიყვარდა. როცა დავქორწინდით, ორივე 21 წლისანები ვიყავით. მეუღლე ავეჯის ქარხანაში მუშად მუშაობდა. მერე მარჯანიშვილის თეატრში დურგლად დავაწყებინე მუშაობა, შემდეგ კი — კინოსტუდიაში დეკორატორად... ქალ-ვაჟი შემეძინა. მეორე შვილი რომ მეყოლა, იძულებული გავხდი, საყვარელი სამუშაოსთვის თავი დამენებებინა. თეატრში სულ 8 წელი ვიმუშავე. შვილები რომ გავზარდე, ისევ დავიწყე მუშაობა, ოღონდ — განსხვავებულ სფეროში: წლების მანძილზე, პირველი სამშობიარო სახლის სანიტარი ვიყავი. სამსახურში მიღებისას, მთავარმა ექიმმა ჩემი შრომის წიგნაკი რომ გადაშალა, თავი გადააქნია — ასეთ ადგილას გიმუშავია და აქ რამ მოგიყვანაო?.. ახლა პენსიაზე ვარ, მაგრამ უსაქმოდ რა გამაჩერებს — მზესუმზირასა და სიგარეტს ვყიდი. ჩემი მეუღლე 13 წლის წინ გარდაიცვალა, ძალიან კარგი ადამიანი იყო, დღემდე მივტირი. სხვათა შორის, დედაჩემმა 100 წელი იცოცხლა, მისმა დამ — 105. ალბათ ეს გენეტიკურად მოგვდევს: მე ახლა 77 წლის ვარ, მაგრამ ისეთი ენერგია და ხალისი მაქვს, რომ ბევრ ახალგაზრდას შეშურდება. ვიმედოვნებ, საუკუნეს მაინც მივაღწევ... მყავს 2 შვილი, 5 შვილიშვილი და 6 შვილთაშვილი. ჩინელს მათ შორის, ყველაზე მეტად ჩემი ქალიშვილი ჰგავს. ისე კი, ყველა შთამომავალს აქვს გარეგნობაში რაღაც ჩინური, აღმოსავლური იერი დაჰკრავს. მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდით (ნამდვილი სასწაულია), თუ ამდენი თაობის შემდეგ, ჩემს ერთ-ერთ შვილთაშვილში ასე მკვეთრად გამოვლინდებოდა ჩინური გენი: ბავშვი გარეგნულად ნამდვილი ჩინელი — მამაჩემის ასლია. მამა რომ ამას მოსწრებოდა, ალბათ, ძალიან ბედნიერი იქნებოდა... ■

სერია A-ში დაქორწინებები იწყება

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ფრანჩესკო ტოტი თავის გელ-ფრენდ, ილარი ბლაზიზე დაქორწინებას აპირებს. დაოვკახება გადაუწყვეტია „სიენას“ ნახევარმცველ ფრანჩესკო

მანილა ნაცარო

კოცისაც, რომლის რჩეულიც, „მის იტალია-1997“, მანილა ნაცაროა. ცნობილია ქორწინების თარიღიც — 28 ივნისი. საქორწინო ცერემონია რეჯიო კალაბრიაში შედგება — ხიდზე, რომელიც სიცილიას დანარჩენ იტალიასთან აკავშირებს. სხვათა შორის, იტალიური საინფორმაციო საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში ნაცაროს არ დაუმალავს, რომ ერთი სული აქვს, როდის გახდება ფრანჩესკო კოცის ცოლი. „საქორწინო კაბა უკვე შევარჩიე. ამაში ჩემი მეგობარი დამეხმარა. მეტისმეტად ვღელავ, უბრალოდ, ვეღარ ვითმენ. ძალიან მინდა, რომ ეს დღე, რაც შეიძლება, მალე დადგეს“, — დასძინა ნაცარომ და ისიც დაამატა, რომ დღესაც, იტალიაში ყველაზე ლამაზ გოგონად მიიჩნევს თავს: „თავის დროზე, „მის იტალიად“ დამასახელეს. მაგრამ მერწმუნეთ, რომ ქალი მხოლოდ ერთი წლით კი არა, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზეა ლამაზი. ამიტომ, საკუთარ თავს დღესაც, იტალიაში ყველაზე ლამაზ გოგონად მივიჩნევ“. ■

ძიუდოს სამყაროში, იაპონელ იასუჰირო იამასიტაზე უფრო პოპულარული ადამიანი არ არსებობს. იასუჰიროს სახელი გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი, მისი შედეგები კი მართლაც, უნიკალურია. იამასიტა 1977-85 წლებში, ზედიზედ 9-ჯერ გახდა ამომავალი მზის ქვეყნის ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატებზე მან 4 ოქროს მედალი მოიპოვა; ამასთან, 1981 წელს, მაასტრიხტში ერთდროულად ორ წონით კატეგორიაში — მძიმესა და აბსოლუტურში გაიმარჯვა; 1984 წელს, ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ოქროც დაისაკუთრა. სხვათა შორის, იაპონელმა გოლიათმა 1978 წელს, თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზეც დაამახსოვრა თავი ძიუდოს „გურმანებს“ და ჩვენი სპორტის სასახლის ტატამზეც ასევე ორ წონაში მიაღწია პირველობას. რაც მთავარია, ამ ლეგენდარულმა ფალავანმა ზედიზედ 203 ორთაბრძოლაში გაიმარჯვა — ესეც გინესის რეკორდია. მაგრამ იამასიტა ერთხელ მაინც დამარცხდა და ისიც, ქართველ ძიუდოისტთან — თემურ ხუბულურთან ორთაბრძოლისას...

სულ ცოტა ხნის წინ, ორგზის მსოფლიო ჩემპიონს — **თემურ ხუბულურს** 50 წელი შეუსრულდა და ვინაიდან ქართველი გულშემატკივრებისთვის ნახსენები შეხვედრის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი, ჩვენს იუბილარსაც პირველ რიგში, სწორედ ამ ორთაბრძოლის გახსენება ვთხოვე.

ორთაბრძოლა დაუმარცხებელ იამასიტასთან და გატეხილი ნეკნით მოპოვებული ჩემპიონობა

გოგი ფრანგიშვილი

— არა, იმის თქმა, რომ თემურ ხუბულურმა იასუჰირო იამასიტა დაამარცხა, მთლად სწორი არ იქნება. თუმცა, ისიც სიმართლეა, რომ ვაჯობე... ეს იყო 1977 წელს. იასუჰირო სწორედ მაშინ გახდა იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი და ყველანი, ამომავალ ვარსკვლავს უწოდებდნენ. იმ პერიოდში, საბჭოთა კავშირის ნაკრები და მის შემადგენლობაში მეც, იაპონიაში საწვრთნელ შეკრებაზე ვიმყოფებოდით. ჩვენ და მასპინძლებს ერთდროულად გვქონდა ვარჯიშები. კოდოკანში (ძიუდოს სპეციალიზებული დარბაზი) ვარჯიშის დროს, თავად იამასიტამ შემომთავაზა სპარინგპარტნიორობა. მაშინ ნაღვლის ბუშტი მტკიოდა და სრულ დატვირთვებს ვერიდებოდი, მაგრამ იაპონელთა ჯილასთან საკუთარი ძალების მოსინჯვა მაინტერესებდა. ამასთან, ამ ვარჯიშს გარკვეული ინტრიგაც ახლდა და მეც დავთანხმდი. ჭიდაობა რომ დავიწყეთ, თავიდან ვფრთხილობდით, ვინაიდან ერთმანეთის მანერა არ ვიცოდით. ცოტა ხნის შემდეგ, უკვე გავხურდით და მეც ცერი გამოვკარი. იასუჰირო საკმაოდ მძიმე ფალავანი იყო და უეცრად, პირქვე რომ გაიშლართა, შევატყვე, შეცბა და ცოტათი გაბრაზდა კიდეც, მაგრამ ჩვეულებრივად წამოდგა და გავაგრძელეთ ჭიდაობა. მომდევნო ეპიზოდში ჩემი საყვარელი ილეთით — ქართული კისრულით ძლიერად წამოვიკიდე და ჰაერშიც ამოტრიალდა ამხელა კაცი... ამას კი აღარავინ ელოდა. ვხედავ, დარბაზში ვარჯიში შეწყდა, ყველა ჩვენ გვიყურებდა. არადა, იმ პერიოდში, მე არავინ მიცნობდა და ჩვენმა ორთაბრძოლამ სპეციალისტები გააოცა.. კიდევ დაახ-

ლოებით ერთი წუთი ვიჭიდავეთ მე და იასუჰიროომ. შევატყვე, უკვე ძალიან მაწვებოდა. კი ვუძლებდი, მაგრამ ვაი იმ გაძლებას!.. ამასობაში, ნაღვლის ბუშტიც ძალიან ამტკივდა და ჩემი წინადადებით, სპარინგი შევწყვიტეთ. მართლა სერიოზულად მტკიოდა და ვეღარც გავაგრძელე ვარჯიში... ასე და ამგვარად, ჩვენი შერკინება არაოფიციალური გახლდათ და იამასიტამაც, დაუმარცხებელმა დატოვა ტატამი. მაგრამ ის შერკინება იასუჰიროსთან ჩემთვის დაუვიწყარი დარჩა.

— ბატონო თემურ, ახლა თქვენი სპორტული ცხოვრების დასაწყისი გაიხსენეთ. როგორი იყო თქვენი ბავშვობა, როდის დაიწყეთ ვარჯიში?

— გორის მახლობლად, სოფელ სკრაში ვიზრდებოდი. ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა,

ისეთი, როგორიც სოფლელ ბიჭს შეეფერებოდა. ვთამაშობდით ლახტს, გრძელ ვირს, ფეხბურთს; მტკვარში ვცურავდით, ვჭიდაობდით და ვჩხუბობდით კიდეც. მართალია, ჩხუბისთავი არ ვყოფილვარ, მაგრამ მაინც მიხდებოდა მუშტების ქნევა... რა თქმა უნდა, ოჯახში მშობლებსაც ვეხმარებოდი. დიდი მამულები არ გვქონია, მაგრამ რაც იყო, იმასაც დამუშავება ხომ სჭირდებოდა. მამაჩემი მშრომელი კაცი იყო და შრომას მეც შემაჩვია. სხვათა შორის, ის თავის დროზე, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი ყოფილა. ერთხელ, სოფელში ვერხვი მოუჭრიათ და მის წამოსაღებად, ტრაქტორს ელოდებოდნენ. მამას უთქვამს — რად გინდათ ტრაქტორი? მე წამოვიღებო, — და მართლაც, მარტოს ჩამოუტანია ჩვენს ეზომდე. როგორც ჩანს, მამის გენი ჩემზეც გადმოვიდა...

— ძიუდოში როგორლა მოხვდით?

— მოგეხსენებათ, ქართული ჭიდაობა ყოველთვის პოპულარული იყო, ჩვენი სოფლის გუნდი კი, პრაქტიკულად, საუკეთესო გახლდათ გორის რაიონში. შაბათ-კვირას ხშირად იმართებოდა ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში. ჭიდაობდა მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი — შოთა ჩოჩიშვილიც. სპორტის ამ სახეობამ მეც გამიტაცა. სერიოზულად ძიუდოში ვარჯიში კი საკმაოდ გვიან დავიწყე — უკვე მეცხრე კლასში ვსწავლობდი, გორში საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან, გივი ზაუტაშვილთან რომ მივედი. აი, ამ ადამიანმა მასწავლა ჭიდაობა, თავადვე მეჭიდავებოდა და დიდხანს მუშაობდა ჩემთან. სხვათა შორის, ვერ ვიტყვი, რომ ტალანტი ვიყავი, მაგრამ ბევრს ვშრომობდი და პირველ წარმატებასაც საკმაოდ მალე — ასე, 4-5 თვეში მივაღწიე, როდესაც ჭაბუკებს შორის საქართველოს პირველობაზე გავიმარჯვე. მომდევნო სეზონში, უკვე საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ჩემპიონატშიც ოქროს მედალი დავისაკუთრე, ხოლო 1974 წელს, თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი რომ დავიკავე, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ და დიდების ნაკრებებშიც მიმიწვიეს. ასე რომ, ორივე ნაკრებში გამოვდიოდი.

— ქართველ ძიუდოისტებს შორის მსოფლიო აღიარება პირველად, შოთა ჩოჩიშვილმა მოიპოვა. უფრო მეტიც — ბატონი შოთა საბჭოთა ძიუდოისტთა შორის პირველი იყო, ვინც ოლიმპიური ოქრო აიღო. თქვენ ორივენი მძიმეწონისნები იყავით და თქვენ შორის არც ასაკითაა დიდი სხვაობა. თუ შეხვედრიხართ მას ტატამზე?

— 1972 წელს, როცა შოთა ჩოჩიშვილი მიუნხენში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, მთელი ჩვენი რაიონი ზეიმობდა: ის ხომ ჩემი მეზობელი სოფლიდანაა. მე მაშინ 17 წლის ვიყავი და ყველას, ჩემს თანატოლებსაც, გვინდოდა, მას დავმსგავსებოდით, მასავით გვეჭიდავა. რა თქმა უნდა, ჩემპიონობაზეც ვფიქრობდით. ის კი არა და, მასავით ჩაცმასაც ვცდილობდით... ბატონი შოთა უდავოდ, დიდი ძიუდოისტი იყო. ოფიციალურ შეჯიბრებებზე არასდროს შევხვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ ვარჯიშის დროს მისგან ბევრი რამ მისწავლია.

— თქვენი სპორტული კარიერის მანძილზე, ბევრი ძლიერი ძიუდოისტის პირისპირ მდგარხართ, მაგრამ განსაკუთრებული ურთიერთობა ბელგიელ რობერ ვან დე ვალესთან გქონდათ. იქნებ, გაიხსენოთ თქვენი ორთაბრძოლები.

— ვან დე ვალესთან გამორჩეული

ᲨᲤᲝᲗᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲢᲔᲕᲔᲡᲘ

ბრაზილიური „კორინთიანსისა“ და არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი, კარლოს ტევესი ნამდვილი ჩხუბისთავი ყოფილა. ცოტა ხნის წინ, თავისი გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე ტევესმა თანაგუნდელ, მარკინიოსთან იჩხუბა. სააგენტო „როიტერსი“ იუწყება, რომ მარკინიო არგენტინელ ფორვარდს მას შემდეგ დასხმია თავს, რაც ორივე მათგანს ბურთის დაუფლება უცდია. ამ მომენტში უხეშად უთამაშია ტევესს, რაც ცხადია,

მის კოლეგას სულაც არ მოსწონებია. „კორინთიანსის“ მცველი წაქცეულა, მაგრამ უმალვე ფეხზე წამომხტარა და მუშტებმოღერებულს კარლოსისკენ გაუწევია. თუმცა, არგენტინელი არ დაბნეულა და თავდამსხმელს ნამდვილი მოკრივესავით დახვედრია. ორთაბრძოლა მანამდე გრძელდებოდა, სანამ საქმეში „კორინთიანსის“ სხვა ფეხბურთელები არ ჩაერივნენ. ერთი სიტყვით, საწვრთნელ ბაზაზე ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა, რომელშიც მთელი გუნდი მონაწილეობდა. ამის შემხედვარე, „კორინთიანსის“ მთავარი მწვრთნელი, დანიელ პასარელა იძულებული გახდა, რომ ვარჯიში შეეწყვიტა. ინციდენტის შემდეგ, ფეხბურთის არგენტინელმა სპეციალისტმა კომენტარისგან თავი შეიკავა, მაგრამ მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ჩხუბისთავები დაავჯარიმა. აქვე გაცნობებთ, რომ შარშან დეკემბერში, „კორინთიანსის“ ხელმძღვანელობამ, კარლოს ტევესში, სამხრეთ ამერიკისთვის რეკორდული თანხა — 18 მილიონი დოლარი გადაიხადა. ■

ურთიერთობა მაშინაც მქონდა, როდესაც ტატამზე ვხვდებოდით ერთმანეთს და ახლაც, როდესაც ორივემ თავი დავანებეთ ძიუდოს. მაშინ იგი მეტოქე იყო, ახლა კი უკვე კარგა ხანია, მეგობრები ვართ. ბელგიელს პირველად კიევში, ევროპის ჩემპიონატზე 1976 წელს შევხვდი. კარგი ძიუდოისტი იყო და ისედაც, ცხოვრებაშიც სასიამოვნო ადამიანია. უკრაინის დედაქალაქში ჩვენი ორთაბრძოლა ჩემი გამარჯვებით დასრულდა და კონტინენტის ჩემპიონის ტიტულიც პირველად მე მოვიპოვე. 1979 წელს, ოთხჯერ დავუპირისპირდით ერთმანეთს და ოთხივე მე მოვუგე. ჯერ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მოგვიწია ჭიდაობამ ორჯერვე, შემდეგ – ბრიუსელში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ჩემპიონი ისევ მე გავხდი და ბოლოს – პარიზში, მსოფლიო ჩემპიონატზე. საფრანგეთის დედაქალაქში პირველსავე შეხვედრაზე ნეკნი გავიტეხე, მაგრამ გავაგრძელე ტურნირი და კიდევ სამი თუ ოთხი მეტოქე დავამარცხე. ფინალში რობერთან მელოდა გადამწყვეტი ორთაბრძოლა. ფინალამდე დაახლოებით საათი, საათ-ნახევარი მქონდა. გამოვედი დარბაზიდან, წამოვწექი სკამზე და ვცდილობდი, ტკივილი დამევიწყებინა... გამოვიდა ვანდე ვალეც. ჩემთან არ მოსულა, შორიდან გამიღიმა. თვალებით ვზვერავდით ერთმანეთს... ჩვენ შორის მტრული დამოკიდებულება არასოდეს ყოფილა, მაგრამ ფინალური ორთაბრძოლა რომ დაიწყო, ტატამზე ნამდვილი ომი გაჩაღდა. პირველი კოკა, ბელგიელმა ამართვა, შემდეგ, 3 ასეთივე ქულა მე მოვიპოვე და მსოფლიო ჩემპიონის პირველი ოქროს მედალიც დავიმსახურე. ეს ძნელი გამარჯვება იყო. რობერმა იცოდა ჩემი გატეხილი ნეკნის შესახებ. დაჯილდოების შემდეგ მითხრა: ასეთი ნეკნით, ბევრი ექიმთან წავიდოდა, შენ კი მაინც იჭიდავე, ნამდვილი ვაჟკაცი ხარ, ხოლო შენი უკანასკნელი ოლიმპიადის ფინალში ვიწვნიე – მოსკოვში, 1980 წელს. არავის ეგონა, რომ მე რობერთან წავაგებდი. ახლა რომ ვიხსენებ, ეს მარცხი ჩემი ბრალი იყო. ვიჩქარე – მინდოდა, ეფექტურად მომეგო, ისეთი ილეთი გამოვიყენე, რაც მანამდე არასდროს გამომიყენებია... ხომ გაგიგონიათ – ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო. როგორც ადრე ვჭიდაობდი, ისე უნდა მეჭიდავა, ნელ-ნელა, წყნარად, თანდათან მომემატებინა, ეს იყო ჩემი სტილი. მაშინ კი, რაღაც განსაკუთრებული მოვინდომე და დავმარცხდი... რას იზამ, სპორსარმა ჩემთვის პირდაპირ „სტიქიური უბედურებაა"; კარგად ვიფიქრებ, რა ვიღონო ამ ილეთის საწინააღმდეგოდ და შემდეგისთვის მოვემზადებიო.

ცხრაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ძიუდოისტთა ტატამზე ქართველი და ბელგიელი ფალავანი. ცხრიდან 8 ორთაბრძოლაში ჩვენებურმა იმარჯვა, მათ შორის – მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატზეც, სადაც ხუბულურმა ჩემპიონის ტიტული მეორედ მოიპოვა. მაგრამ თავისი კარიერის უმთავრეს ფინალში პირველობა მაინც სწორედ ვან დე ვალეს დაუთმო, თავად კი ვერცხლის მედალს დასჯერდა...

– სამწუხაროდ, ეს ერთადერთი მარცხი სწორედ ოლიმპიადის ფინალში ვიწვნიე – მოსკოვში, 1980 წელს. არავის ეგონა, რომ მე რობერთან წავაგებდი. ახლა რომ ვიხსენებ, ეს მარცხი ჩემი ბრალი იყო. ვიჩქარე – მინდოდა, ეფექტურად მომეგო, ისეთი ილეთი გამოვიყენე, რაც მანამდე არასდროს გამომიყენებია... ხომ გაგიგონიათ – ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო. როგორც ადრე ვჭიდაობდი, ისე უნდა მეჭიდავა, ნელ-ნელა, წყნარად, თანდათან მომემატებინა, ეს იყო ჩემი სტილი. მაშინ კი, რაღაც განსაკუთრებული მოვინდომე და დავმარცხდი... რას იზამ, სპორ-

„იუვეს" ფანები ერთმანეთსაც არ ინდობენ

საფეხბურთო კლუბების ქომაგთა შორის შეხლა-შემოხლა დღეს უკვე აღარავის უკვირს, მაგრამ ერთი და იმავე გუნდის გულშემატკივართა შორის დაპირისპირება ნამდვილად იშვიათი შემთხვევაა. ცოტა ხნის წინ, იტალიაში სწორედ ასეთი ინციდენტი მოხდა. „იუვენტუსის" სამი ფანი მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააპატიმრეს. თანაც, მათ არა „მილანის", „ინტერის" ან „ტორინოს", არამედ „იუვეს" 24 წლის ქომაგ, რაფაელ დე ვაირეზე მოაწყვეს თავდასხმა, რის შედეგადაც, ის საავადმყოფოში მოხვდა. მოგვიანებით, პოლიციელებმა Gazzetta dello Sport-ს განუცხადეს, რომ ინციდენტი ფანთა ორ დაჯგუფებას – Drughi-სა და Fighters-ს შორის დაპირისპირებას მოჰყვა. კერძოდ, ქომაგთა ორი ჯგუფი იმაზე ვერ შეთანხმებულა, თუ სად უნდა განეთავსებინათ თავიანთი ბანერები. საქმე ის გახლავთ, რომ წლეულს იანვარში, „იუვესა" და „პარმას" მატჩის მსვლელობისას, „დელე ალპიზე" შეხლა-შემოხლა მოხდა, რის გამოც Fighters-ის ავტორიტეტებს სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ეს დაჯგუფება მნიშვნელოვნად შესუსტდა, რითიც Drughi-ს წარმომადგენლებმა ისარგებლეს და „დელე ალპიზე" – იქ, სადაც მანამდე, Fighters-ის პლაკატები იყო გაჭიმული, – თავიანთი ბანერები გამოფინეს. როგორც ჩანს, სწორედ ამან გააღიზიანა Fighters-ის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც „იუვენტუსის" ფანთა მეორე დაჯგუფების წევრებს დაუპირისპირდა და სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო.

ტი სპორტია, სადაც გამარჯვებაა, იქ წაგებაც გიწევს კაცს. სამწუხაროა, რომ ეს მაინცდამაინც ოლიმპიურ ფინალში მოხდა... მიუხედავად ამისა, მე და ვან დე ვალე მაინც მეგობრებად დავრჩით. ისიც ხშირადაა ჩემს ოჯახში ნამყოფი და მეც რამდენჯერმე ვყოფილვარ მასთან ბელგიაში. ერთხელ, თბილისში ნასვამი მივუჯექი საჭეს და რობერი წავიყვანე სადღაც. ძალიან გაუკვირდა. ბელგიაში ასეთ რამეს პოლიციელი არ გაპატიებსო, — მითხრა. მაგრამ მთლად მასეც არ ყოფილა საქმე: 1983 წელს, რობერმა თავის სამშობლოში მიმიწვია და იქ შეიქმნა ანალოგიური სიტუაცია: ჩემი მასპინძელი ნასვამი მიუჯდა საჭეს. მაგრამ პოლიციელმა მაშინვე იცნო ვან დე ვალე და ჩვენთვის ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა... რობერი ძალიან პოპულარული იყო სამშობლოში.

— თუ არ ვცდები, 90-იანი წლების დასაწყისში, თქვენ ქართველ ძიუდოისტთა ნაკრებს ავარჯიშებდით.

— მართალი ბრძანდებით. დაახლოებით 3 წელი ვიმუშავე საქართველოს ნაკრებში და საკმაოდ კარგი შედეგებიც გვქონდა. ბარსელონის ოლიმპიადაზე გამარჯვების შემდეგ, 1993 წელს, დავით ხახალეიშვილმა კანადაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა; ბრინჯაოს პრიზიორი გახდა გიორგი ვაზაგაშვილიც; იმავე წელს, ათენში ევროპის ჩემპიონატზე დავითმა ორი ოქრო დაისაკუთრა, ერთიც — ვლადიმერ დგებუაძემ, ხოლო სოსო ლიპარტელიანს ვერცხლის ჯილდო ერგო. მიუხედავად ამისა, მაინც წამოვედი ნაკრებიდან.

— ბევრი პრობლემის მიუხედავად, დღესაც გვაქვს სატრაბახო: ბოლო ოლიმპიურ თამაშებზე ქართველმა ძიუდოისტებმა ორი მედალი მოიპოვეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ძიუდოს ჩვენებური სკოლა ისევ ანგარიშგასაწევი ძალაა...

— ქართული სკოლა რომ ძლიერია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ქართველები ძიუდოს ჭიდაობენ და ყოველთვის გვყავდა დიდი ოსტატები. ახლანდელმა თაობამაც ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა ევროპის გუნდურ ჩემპიონატში, კვლავაც გვყავს ევროპისა და მსოფლიო მასშტაბის ფალავნები. ათენშიც ზურაბ ზვიადაურმაც და ნესტორ ხერგიანმაც დამსახურებულად მოიპოვეს ოქრო და ვერცხლი. ის კი არა და, ზურაბი მანამდე, მსოფლიო ჩემპიონიც უნდა გამხდარიყო. რაც შეეხება ნესტორს — ის ძალიან მშრომელი კაცია და ცოტა იღბალი რომ ჰქონოდა, ოქროსაც აიღებდა.

— თქვენ თუ გწყალობდათ სპორტში ბედი?

— კი, ბატონო, მწყალობდა. ჩემს სპორტულ კარიერაში 5 ოლიმპიური ჩემპიონი მყავს დამარცხებული. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ქართველებს შორის ჯერჯერობით მხოლოდ მე გახლავართ. ასეთი შედეგების მისაღწევად, ნიჭსა და შრომისმოყვარეობასთან ერთად, ცოტა იღბალიცაა საჭირო... ■

ბეკენბაუერი საუკუნის ულამაზეს გერმანელთა ნუსხაში მოხვდა

მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა, ფრანც ბეკენბაუერმა გამოკითხვის შედეგად გამოვლენილ, ბოლო ასწლეულის ყველაზე ლამაზ 50 ადამიანს შორის, მეთერთმეტე ადგილი დაიკავა. გამოკითხვა ჩვენი მკითხველისთვის კარგად ცნობილმა ჟურნალმა — Bild ჩაატარა. ამ სიაში პირველ ადგილზე, აწ გარდაცვლილი მსახიობი ქალი, რომი შნაიდერია. ფრანც ბეკენბაუერი კი, რესპონდენტთა უმრავლესობამ დაახასიათა, როგორც „შარმის განსახიერება, ამ სიტყვის ყველაზე კარგი გაგებით“. თუმცა, ბეკენბაუერი ერთადერთი სპორტსმენი როდია, რომელიც გერმანიის 50 ყველაზე ლამაზ ადამიანს შორის აღმოჩნდა. მაგალითად, 27-ე ადგილი მოკრივემ, მაქს შმელინგმა დაიკავა. განსაკუთრებულად პოპულარული მელინგი XX საუკუნის 30-40-იან წლებში ყოფილა, როდესაც ის გერმანიის სექსსიმბოლოდაც კი აღიარეს. მოკრივე, ჩეხ მსახიობ ქალზე, ანი ონდრაზე იყო დაქორწინებული, რომელიც კინემატოგრაფიულ წრეებში ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აღსანიშნავია, რომ ამის გამო, შმელინგს ნაცისტურ ხელისუფლებასთან პრობლემებიც ჰქონდა... 36-ე ადგილზე ჩოგბურთელი, გოტფრიდ ფრაიხერ ვონ კრამი იმყოფება, რომელიც Bild-ის მკითხველთა აზრით, „ორთაბრძოლისას ელეგანტური სტილით გამოირჩეოდა და მოხდენილად უმკლავდებოდა მოწინააღმდეგეებს“. ფეხბურთელთაგან კი, 50 ლამაზ ადამიანთა შორის, ფრანც ბეკენბაუერის გარდა, გიუნტერ ნეცერიც მოხვდა, რომელმაც ბრწყინვალედ იასპარეზა 1972 წლის ევროპისა და 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატებზე. თუმცა, ნეცერი საკუთარ თავს სიმპათიურ ადამიანად არასოდეს მიიჩნევდა, პირიქით — ძალზე მორცხვობდა და სპეციალურად თმაც გაიზარდა, რათა დიდი ყურები დაემალა... ■

მოამგადა ალექსი რეხვიაშვილმა



მიხეილ იამვილი

(დასაწყისი „გზა“ №14-16)

იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით მოულოდნელად დაპატიმრებულ ჟურნალისტ ზურა მჭედლიძეს აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიან წინასწარ პატიმრობას შეუფარდებენ. მისი მეგობარი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ოთარ ცაგარეიშვილიც კი მხოლოდ იმას მოახერხებს, რომ ციხის საავადმყოფოში გადაიყვანოს. „რეზბალნიცაზე“ ზურას, ლეგენდად ქცეულ კანონიერ ქურდთან, გოგი ჩხეიძესთან ერთად მოათავსებენ პალატაში...

ზურას ადვოკატი შალვა საყვარელიძე ვარაუდობს, რომ ზურას იზოლირებით ვიღაც ბობოლა იყო დაინტერესებული. ეს ამბავი რაღაცნაირად დაკავშირებული უნდა იყოს პანკისის ხეობის თემასთან, რომელზეც ზურა რამდენიმე თვის წინ მუშაობდა. ჟურნალისტი იხსენებს, რომ საბჭოთა ჯარში გაცნობილი, ჩეჩენი მუსა, რომლის ლტოლვილი ოჯახი პანკისს შეეფარა, ინფორმაციის მიწოდებას ჰპირდებოდა გატაცებული ადამიანების შესახებ... შემდეგ მუსა კარგა ხნით გადაიკარგა, ზურას დაკავების წინადღეს კი, კარის მეზობელმა უთხრა — შინ რომ არ იყავი, ოციოდე წლის ყმაწვილმა რუსულად გიკითხაო... ბოლო შეხვედრისას, ადვოკატი ზურას ამცნობს, რომ მას რამდენიმე თვის წინ მომხდარ, ორი პოლიციელის მკვლელობაში ადანაშაულებენ, თან გაუზიარებს თავის გეგმას — პრესაში დეზინფორმაციას შევაგდებ, თითქოს ხელში რაღაც მაკომპრომეტირებელი დოკუმენტი ჩამივარდა, იქნებ, ის ბობოლა კონტაქტზე გამოვიდეს და გაგვაგებინოს, რა უნდაო... შალვა იმასაც ამცნობს ზურას, რომ მისი საცოლე ეკა პანკისში გამგზავრებას აპირებს — იქნებ, რაღაც ინფორმაცია მოვიპოვო, რომ ზურას გათავისუფლება დავაჩქაროო. ზურა იხსენებს, როგორ მოვიდა ეკა პირველად რედაქციაში, რა ბევრი დრო დასჭირდა საიმისოდ, რომ მას დაახლოებოდა და როგორ დაედევნა ბათუმში მატარებლით წასულ გოგოს თავისი მანქანით...

კრიმინალური ავტორიტეტი გოგი ჩხეიძე სთავაზობს ჟურნალისტს — რაც ათწლეულების მანძილზე პატიმრობაში მინახავს, მოგიყვები და შეიძლება, კარგი წიგნი დაწერო, რომელსაც ჩემი სიკვდილის შემდეგ გამოაქვეყნებო. მაგრამ ზურას გონება ახლა მხოლოდ საკუთარი მდგომარეობითა და გამოსავლის ძიებითაა დაკავებული. მას ორი გამომძიებელი ესტუმრება და უხეშად, დაუფარავი მუქარით „ურჩევს“, საკუთარი დანაშაული აღიაროს და „გულწრფელი“ ჩვენება მისცეს...

— რა იყო, მაგრად მოგაწვნენ? — საკანში დაბრუნებულს მკითხა გოგიმ.

— ისე, რა...

— ხელით ხომ არ შეგეხნენ?

— არა.

— შედი, შხაპი მიიღე. გიშველის. მერე თითო ჭიქა ჩავარტყათ და მთლად ჩიტივით გახდები...

14.

ტელევიზორს ვუყურებთ. საერთოდ, იშვიათად ვრთავთ ხოლმე. პირადად მე, ეკრანზე ტაშ-ფანდურს, მხიარულებასა და კარგ ცხოვრებას რომ ვუყურებ, ვღიზიანდები. ალბათ, გოგიც ასეა...

სულ ორი არხი გვაქვს, მეტს ვერ ვიჭერთ. ვახომ აგვიხსნა — ეგ იმიტომ, რომ ქარმა კრიშის ანტენა გააფუჭა, ციხის უფროსმა კი თქვა, არ გაუკეთოთ, რაც აქვთ, ისიც ბევრიაო...

ერთ არხზე მულტფილმებია, მეორეზე — ფანტასტიკა. მეორეს ვარჩევთ, თუმცა, ეს ჟანრი მაინცდამაინც არც ერთს არ მოგვწონს. უბრალოდ, მულტფილმებს სჯობია...

— ბატონო გოგი, არ გეგონოთ, რომ იმ დღეს თავი დავიფასე.

— რომელ დღეს, რას გულისხმობ?

— აი, თანამშრომლობა რომ შემომთავაზეთ. არ გეწყინოთ, მაგრამ სტატიების მეტი არაფერი დამიწერია და უარიც ძირითადად, ამიტომ გითხარით.

— არა, ძმობილო, ნამდვილად არ მწყენია. კაცია და გუნება. ჩემი წინადადებაც დაივიწყე, ისე გითხარი, რა... აქ კაცს იმდენი სისულელე მოგდის თავში...

— თუ გნებავთ, მაინც ვცადოთ. თქვენ ხომ მართლაც, ბევრი საინტერესო რამ უნდა იცოდეთ...

— ჰო, მაგრამ ახლა რომ ვფიქრობ, ვის რაში უნდა აინტერესებდეს ეგ ამბები? ხალხი კოსმოსში დაფრინავს, ოცდამეერთე საუკუნემ მოგვიკაკუნა, კომპიუტერი, ინტერნეტი, რამე... უნდათ ახლა მაგათ ბებერი რეციდივისტის ისტორიები? საერთოდაც, არაქურდულია ინტერვიუების მიცემა და მსგავსი რამერუმეები... თუ მაინც დაწერ, მე რომ აღარ ვიქნები, მაშინ გამოაქვეყნე.

— ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ ცოცხალი, ბატონო გოგი.

— გმადლობ, ზურიკო... რა არის, იცი? შავებსა და აქაურ სიტუაციებზე, ვისაც არ ეზარება, ყველა რაღაცას ჯღაბნის. აქედან თითო-ოროლა თუ არის ნაღდი, დანარჩენი ხლამია, მაკულატურა. ციხე შორიდან არ დაუნახავთ და დიდ მცოდნეებად მოაქვთ თავი... მოდი, ასე მოვიქცეთ. მე ამ საქმეში ჩაგახედებ, ჩვენს შეკრებებსაც დაგასწრებ, რაღაც-რაღაცებს გიამბობ კიდეც, შენ კი — როგორც გინდა. გამოვა — გამოვა, არა და, შენც კარგად იყავი და — მეც. რასაც გთავაზობ, ჩვენს სამყაროში მყოფი კაცისთვის არცთუ ისე შესაფერისი საქციელია, მაგრამ მართალი გითხრა, უკვე ყველაფერი ფეხებზე მკიდია.

— საიდან დავიწყოთ?

— ჩათვალე, რომ დაწყებული გვაქვს...

15.

საკანში რამდენიმე მამაკაცი შემოვიდა. ჩემდა უნებურად გადავთვალე — შვიდნი იყვნენ. გოგისგან ვიცოდი, პატიმარი ქურდები რომ იყვნენ, თორემ, გარეგნულად მექორწილეებს ან საოპერო წარმოდგენისთვის საგანგებოდ გამოპრანჭულ ხალხს უფრო ჰგავდნენ. ოთახი უმალ აივსო სხვადასხვა ძვირფასი ოდეკოლონის სურნელით.

საერთოდ, გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, ტუსაღთა უდიდესი ნაწილი გარეგნობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მუდამ სუფთად და

აკურატულად გამოიყურება. ბინძურებსა და სუნიანებს ვერც იქ იტანენ და მათ ზიზღით „ჩუშკებს“ უწოდებენ. დიდი ყურადღება ექცევა საკვების მიღების პროცესსაც და თუ კულტურულად არ მიირთმევ და სუფრასთან ღორივით იქცევი, ავტომატურად ხვდები „ჩუშკათა“ სიაში. ქურდები კი, როგორც წესი, პეწიანად ჩაცმულ-დახურულთა შორისაც გამოირჩევიან სიკოხტავით. ჩვენი სტუმრების ელეგანტური კოსტიუმები და მოდური ფეხსაცმელი ამის დასტური იყო. სამოსის ფერი მეტწილად, რა თქმა უნდა, შავია... და კიდევ: მასიური ბეჭდების, ცერისსისქე ყელსაბამებისა და სამაჯურების სახით, თითოეულს ალბათ, ნახევარი კილო ბაჯაღლო ოქრო მაინც ჰქონდა ზედ ასხმული.

მოგვესალმნენ, გოგის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდნენ, მაგრამ საქმეზე გადასვლას არ ჩქარობდნენ. აშკარა იყო, ჩემი იქ ყოფნა აფერხებდათ. სიცხე მქონდა, ვიფიქრე, ვიტყვი — ზედამხედველს უნდა ვთხოვო, ექიმთან გამიყვანოს-მეთქი, მაგრამ ჩხეიძემ დამასწრო:

— ეს ზურაა, მჭედლიძე — შინაური კაცი და ჩესტნი არესტანტი, თან მაღალი ტემპერატურა აქვს... — ანუ — ჩვენს თავყრილობას დაესწრება და ნუღარ აყოვნებთ, თქვით სათქმელიო. სხოდკაც მაშინვე დაიწყო.

შემოსულთაგან ერთ-ერთი, დაბალ ხმაზე, ჩემთვის უცნობი პირების ამბების მოყოლას შეუდგა — ესა და ეს, სხვა საკანში გადავაყვანინე, იმ კაცზე კარგი ქსივა მოვიდაო და ა.შ. შემდეგ მეორის რიგი მოვიდა და ასე, რიგრიგობით აბარებდნენ გოგის ანგარიშს.

მათი საუბარი არანაირად არ მაინტერესებდა. საწოლზე მიწოლილმა უკვე მერამდენედ, ეკას წერილების კითხვა დავიწყე. შიგადაშიგ მესმოდა, ციხეში არსებული პრობლემების გამო წუწუნებდნენ — რაც ის დამპალი მინისტრი მოვიდა, საქმე წახდა — გრევის შემოტანა ჭირს, სტავკებმა აიწია და მობილური ტელეფონებიც ჩამოგვართვესო. შემდეგ ვითარება მოულოდნელად დაიძაბა. ვიღაც ზაზას თაობაზე ცხარე კამათი გაჩაღდა. თავი არ წამომიწევია, ისე მივაყურადე. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა, ნარკომანისთვის დამახასიათებელი, მიკნავლებული ხმით ამბობდა:

— ...მაცალეთ, რა, ძმებო. ახლავე, ცვეტში გეტყვით, როგორც იყო. გუშინწინ ზაზას სეკაში რვაასი დოლარი მოვუგე. თავანი ხელად ჩამაბარა და — კიდევ ვითამაშოთო. ოქროს ცეპი და ჯვარიც გავაგდებინე. განაგლდა ბიჭი და — კიდევ მინდაო. ყველაფერი წააგე და რაღაზე ვითამაშოთ-მეთქი? კონში ჩემს თავს ჩამოვდივარო. ეგრე იყოს-მეთქი. მოვუგე და მოგებულის მიღებაც ვთხოვე. შანსი არაა, არ გავურაშოტებ, ჩემი დედა...

— მოიცა, ბიჭო, მოიცა, — გაისმა ჩხეიძის ხრინწიანი ხმა. — ხმას ნუ უწევ, ტყეში არ ხარ.

გოგი ზურგით ფანჯრის რაფას მიყრდნობოდა, ხელები მკერდზე ჰქონდა გადაჯვარედინებული. უკმაყოფილო ჩანდა, იმ ახალგაზრდა ნარკომანს ზიზღით უყურებდა. საკანში რამდენიმე წამით გამეფებული სიჩუმე ისევ ჩხეიძემ დაარღვია:

— გიგი, ძამიკო, ბევრჯერ მითქვამს შენთვის, რომ რაღაც-რაღაცები ხშირად გეშლებოდა. არ დამიჯერე და ახლა ყველაფერი შენს თავს დააბრალე. — მოხუცმა ხმას აუწია. — კარგად ვიცი, სანამ ამ ციხეზე გადმომიყვანდნენ, ოტელოსთვის, კოწია გორგაძისა და კატასთვის გითქვამს — არიქა, ძმებო, თავს უშველეთ, გოგი მოდის, გრეხებს გაგიხსენებთ და არაქურდებად დაგტოვებთო. ობშჩიაკიდან ფული მოგიხსნია და სამივე ნაბიჭვარი ხონის ზონაში გაგიქცევია. შენც და ისინიც იმდენად რეგვენები ხართ, რომ გეგონათ, იქ ვერ მივწვდებოდი... წავედით დალშე. ისიც ვიცი, მიტო გასოევთან ერთად რომ ყოფილხარ ხატაში და თითიც არ დაგიკარებია მისთვის, არადა, შარშან იმ მიტომ იბოზა და ძაღლების ზაკაზით, მძინარე დათო დაუშვილს წითელი პავიაზკა შეაბა ხელზე. არ მითხრა ახლა, ამაზე წარმოდგენაც არ მქონიაო. თუ გინდა, პირზე დაგაყენებ ხალხს. ყივჩაღა ბექა იყო იმ დღეს ჩემთან და მან მიამბო ყველაფერი... გავაგრძელოთ — კიდევ ის ვიცი, რომ ქურდული კატიოლი ფეხებზე გკიდია და მისი შევსებისთვის თავს არ იწუხებ. აქ, ჯიგარო, თვეში მილიონი შედის და გადის, მაგრამ ობშჩიაკს არაფერი ეტყობა და ეს, სხვათა შორის, ყველას გეხებათ... დაყენდით ახლა, ნუ აგეწვათ საჯდომები! სათქმელს მერე იტყვით! კაცმა რომ გკითხოთ, განაბებად მოგაქვთ თავი, ციხე კი დეზერტირების ბაზარს დაამსგავსეთ...

ჩხეიძემ პაუზა გააკეთა და ამჯერად ჩემ გვერდით სკამზე მჯდომ მელოტ კაცს შეუტია.

— აბა, ზახარიჩ, ხომ გაბარია სალარო? ჰოდა, ამოიღე რვეული და მაჩვენე ჩანაწერები, ბოლოს როდის შემოვიდა მაყუთი?.. აი, ხედავ, ორი კვირის წინ — ასი ლარი... ტაში, მაგარი ბიჭები ხართ! თქვენ ქურდობა კანფეტის ჭამა გგონიათ და ვერც კი ხვდებით, ნეხვში რომ ხართ ყელამდე. ღირსები ხართ, კაცმა სათითაოდ დაგაყენოთ და დაგშტიროთ...

თურმე, რა მცდარი ყოფილა ადამიანზე შექმნილი პირველი შთაბეჭდილება. შევყურებდი ჩემს თანასაკნელს და განცვიფრებული ვიყავი: სადღა იყო, ჩია ტანის, მოღიმარი და მორიდებული ბერიკაცი?!. ამჯერად ჩემ წინ იდგა კოპებშეყრილი, უაღრესად თავდაჯერებული და მრისხანე კანონიერი ქურდი, დამნაშავეთა სამყაროს აღიარებული ლიდერი, რომელიც შიშის ზარს სცემდა თვით ყველაზე თავზეხელაღებულ და მრავლისმნახველ ავაზაკებს...

ორი, შედარებით ასაკოვანი პატიმარი სკამებზე იჯდა, სხვები ციხის ყაიდაზე ჩაცუცქულიყვნენ და მონუსხულებივით, მორჩილად ითმენდნენ გოგისგან შეურაცხყოფას. არ ვიცი, შიშის, რიდისა თუ სხვა რამ მიზეზთა გამო, არც ერთი მათგანი თვალს არ უსწორებდა ჩხეიძეს.

სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი დასცქეროდა ქორივით. ხმაში ფოლადი გაერია, თითოეულ სიტყვას მტკიცედ, მკაფიოდ წარმოთქვამდა და თუკი უწინ მისგან მხოლოდ გამართული ქართული მესმოდა, ახლა ტექსტი მჭახე ქურდული სლენგით ჰქონდა გაჯერებული. ბევრი ჟარგონის მნიშვნელობა საერთოდ არ მესმოდა, ზოგისას მხოლოდ ვარაუდით ვხვდებოდი.

მართალი უთქვამს ზაზა ურუშაძეს — თითოეული პატიმარი ბრწყინვალე ფსიქოლოგია და რაც უფრო მეტ დროს ატარებს ციხე-კოლონიაში, მით უკეთ იცნობს ადამიანის ფსიქიკასო. ცხადი იყო, რომ საკანში მყოფთაგან, ამ მხრივ, სწორედ გოგის ჰქონდა ყველაზე დიდი სტაჟი, თუმცა ალბათ, მხოლოდ ეს ფაქტორი არ იყო



განმსაზღვრელი — სიტუაციის სრულ ბატონ-პატრონად ყოფნას, უპირველეს ყოვლისა, მისი განუზომელი ავტორიტეტი განაპირობებდა.

გოგი ჩხეიძე ისევ ბობოქრობდა:

— ეს გიგი რომ მარიაჟობს ახლა, გუშინწინ რვაასი დოლარი მოვიგეო, სად არის მერე თავანის ოცი პროცენტი, რატომ არ შეტანილა დავთარში? რა, არ უნდა ჩადებულიყო სალაროში თუ საძმოს კანონები დაივიწყეთ? — გოგიმ რვეული მელოტს მიუგდო. — გიგიმ მიქარა, მაგრამ თქვენ სად იყავით? ხედავთ, რომ ეს ტიპი უშნოდ გრეხის, კაიფისა და ბალამუტობის მეტს, არაფერს აკეთებს და იმის ნაცვლად, ყურები ააბიოთ, ხმასაც არ იღებთ! მერე უცოდველი სიფათებით მოდიხართ ჩემთან, თითქოს არც არაფერი მომხდარა... აქედან რომ გახვალთ, ის ზაზა დაიბარეთ, ამასთან თავი რომ წააგო და ცემით გაახეთქვინეთ. რა, ბაკბაყდევია ეგ ვირიშვილი და ცხრა თავი აბია? შენ კი, გიგივან, აი, რას გეტყვი — კაცი რომ საკუთარ თავს წააგებს, იმის უტვინო თავი რა ჩემს ფეხებად გინდა? ციხის უსტავში წერია, რომ პატიმრის სიკვდილის შემდეგ, მთავრობა მის ოჯახს 12 ლარს უხდის... ჰო, ეგრეა არესტანტი შეფასებული. აქედან ტანი და ხელ-ფეხი 7 ლარი მაინც ეღირება. დარჩა ხუთი. 20 პროცენტი ობშჩიაკისაა და დარჩება ოთხი. იმ ზაზას გადაეცით, ამას 4 ლარი მიაშავოს და მორჩეს ბაზარი...

— კაი, რა, გოგი, — ამოიკვნესა ლაფდასხმულმა ნარკომანმა. — ისე მელაპარაკები, თითქოს ვიღაც პაცანა ვიყო. ბოლო-ბოლო, მეც ქურდი ვარ!

— შენისთანა ქურდის დედაც მოვტყან! — 70 წელს გადაცილებული გოგი ჩხეიძე ადგილს მოსწყდა, კატის სიმარჯვით გადახტა წინ და ჩაცუცქულ გიგის სახეში წიხლი ჩააზილა. — დასცხეთ ამ ახვარს! მაგის დედა მოვტყან!

გაშეშებული ვუცქერდი, როგორ წამოიშალა ყველა. ძირს დაგდებულს ეცნენ და ფეხებით ჩაქოლვა დაუწყეს... გული რომ ოჯერეს, წრე გაიშალა და საშინელი სურათი ვიხილე: უმოწყალოდ ნაცემი ნარკომანი სისხლს არწყევდა, ტკივილისგან იკლაკნებოდა და არაადამიანურად ხროტინებდა. სულ ცოტა ხნის წინ ტანზე კოხტად მომჯდარი კოსტიუმი დაფხრეწოდა და ერთიანად ფეხსაცმლის ლანჩების კვალით ჰქონდა აჭრელებული...

შევნიშნე, როგორ გაიღო კარი. საკანში ვიღაცამ შემოიხედა.

— ვახო, დახურე! — ქოშინით გასძახა ჩხეიძემ. — ცოცხალია. ნუ გეშინია, არ მოკლავთ. ხუთ წუთში შემოდი, გაიყვანე და სახე მოსწმინდე. თუ ვინმემ გკითხოს, კიბეზე დაგორდა-თქო, უთხარი. გაფრთხილებ, ზედმეტი ხმაური არ ატყდეს, თორემ, იცი, რაც მოგივა!

კარი მაშინვე დაიკეტა.

— მიაგდეთ, ძმებო, ეს ჩათლახი კუთხეში და აქეთ მოდით, კიდევ რაღაც უნდა გითხრათ, — ბრძანება გასცა გოგიმ.

ერთ-ერთმა, გიგის ფეხში ჩაავლო ხელი და კართან მიათრია. სხოდკა განახლდა.

— დღესვე მოაწყვეთ პრაგონი და ყველას აცნობეთ ამის არაქურდობის ამბავი. მერე ობშჩიაკზე იჩალიჩეთ. როგორც წესი და რიგია, ისე აკრიბეთ ფული და პირველ რიგში, ციხის უფროსს ხელფასი გაუზარდეთ, საწყალ პატიმრებს სვიდანიებისა და პერედაჩების საშუალება მაინც რომ მისცეს.

— მართალი ხარ, გოგის ვენაცვალე, — გაბედა და ამოღერღა ქურდების სალაროს შემნახველმა, მელოტმა. — მაგ საქმეს აქამდეც ვაპირებდით, მარა ხომ იცი, რა ტისკებშიც მოგვაქციეს. ასეთი ნაჟიმი კომუნისტების დროსაც არ ყოფილა...

— საქმეს მიხედეთ, საქმეს, — შეუვალი იყო ჩემი თანასაკნელი, — და ხალხს თავს ნუ შეაჯავრებთ. ძველ დროში, ნაღდ ქურდს პადიეზდში ეძინა, ბუშლატა ეფარა, ბალიშის ნაცვლად, თავქვეშ აგური ედო და ამიტომ მეტად პატივსაცემი იყო. დღეს არესტანტი შიმშილით კვდება, თქვენ კი, სარკეში ჩაიხედეთ — კისერზე ქონი დაგედოთ. — და უცებ ტაში შემოჰკრა, — ვსიო, სულ ეგ იყო!

სტუმრები წავიდნენ. ნადზირატელმა ვახომ საკნის იატაკი ტილოთი მოწმინდა და დარეტიანებული გიგი რის ვაი-ვაგლახით გაათრია გარეთ. მე კვლავ გაუნძრევლად ვიჯექი. გოგი ჩხეიძემ ონკანი მოუშვა და ხელ-პირი დაიბანა.

— რას იზამ, ძმობილო, — მომმართა ხანგრძლივი სიჩუმის ბოლოს, — ასეთია ეს ცხოვრება... — და ირონიულად დაამატა: — ასეთია ქურდი კაცის ბედიც...

16.

გოგი ჩხეიძე ფრიად მოწესრიგებული ადამიანი ბრძანდებოდა. უთენია დგებოდა, ლოგინს კარგი დიასახლისივით ალაგებდა, შხაპს იღებდა, წვერს იპარსავდა და მუდამ პეწიანად გამოიყურებოდა. მის თითოეულ ნივთს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და მასთან ყოფნის მანძილზე, ერთხელაც არ მინახავს, რაიმე მიეფუჩეჩებინოს ან „ნირიახულად“ (აქაურ ტერმინებს თანდათან ვამუღამებ) მიეგდოს. კითხვა უყვარდა. საწოლის თავზე დაკიდებულ თაროზე ორმოცდაათამდე წიგნი ეწყო, ძირითადად — რუსული ლიტერატურა: დოსტოევსკი, ტოლსტოი, კუპრინი, ესენინი, ბულგაკოვი... ქართულიდან: „დათა თუთაშხია“, „გორა მბორგალი“, ვაჟა იოსელიანის რომანები და კონსტანტიტე გამსახურდიას რამდენიმე ტომი. გადმოიღებდა ხოლმე ერთ-ერთს, ცხვირზე მოდურ, მართკუთხამინებიან სათვალეს წამოიცვამდა, საწოლზე მოკალათდებოდა, საათობით ჰქონდა წიგნში თავი ჩარგული და თან განუყრელ კრიალოსანს მარცვლავდა. ვერაფრით წარმოვიდგენდი, ასე თუ უყვარდათ ქურდებს წიგნები, თუმცა, ეს კაცი შესაძლოა, გამონაკლისი იყო. არ ვიცი, სხვა ნაცნობი ქურდი არასოდეს მყოლია.

საუზმის წინ, რამდენიმე წუთი, გამამხნევებელ ვარჯიშს ასრულებდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიუჯდებოდა ხოლმე მაგიდას. არისტოკრატივით მიირთმევდა და ლამის ყოველი ლუკმის შემდეგ, ტუჩებთან ხელსახოცი მიჰქონდა. ამას, ასე ვთქვათ, ფასონისთვის, მეტიჩრულად არ აკეთებდა. რა ჰქონდა ჩემთან საფასონო?.. ასეთი მანერებით ოდესღაც, იქნებ, იწონებდა კიდეც თავს, შემდეგ კი, ეტყობა, ჩვევად ჩამოუყალიბდა.

საკანში უმეტესად, სპორტული ტანსაცმელი ეცვა. მაგრამ თუ სტუმარს ელოდებოდა, აუცილებლად საგანგებოდ გამოეწყობოდა: მის კარადაში ოთხი თუ ხუთი კოსტიუმი და ორი ამდენი პერანგი შევნიშნე. გასარეცხი ტანსაცმელი და თეთრეული ვახოს მიჰქონდა ხოლმე და გაქთქათებულ-დაუთოებულს აბრუნებდა.

საუბარი დინჯი იცოდა, ხშირად, როცა მარტონი ვრჩებოდით — ზედმეტად ლიტერატურულიც. იშვიათ სიტყვებს იყენებდა: რამეთუ, გეთაყვა, სახელდობრ, ვინძლო და ა.შ. თუმცა, ლაპარაკის ეშხში შესული, დროდადრო ქურდულ ჟარგონებსაც არ ერიდებოდა. არ ეწეოდა, თითქმის არ სვამდა.

ერთი სიტყვით, ძალიან უცნაური ქურდი გახლდათ და ადამიანს რომ არ სცოდნოდა, რა ხელობისა იყო, უთუოდ პროფესორი ეგონებოდა. მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ უნიკალური მეხსიერებითაც ყოფილა დაჯილდოებული.

17.

— ბატონო გოგი, დურუზე მიამბეთ, რა...

— რომელ დურუზე, ხურცილავაზე?

— დიახ.

— ეგ ქურდი არ ყოფილა. ერთი ნაგლი ბეზპრედელშჩიკი იყო.

— რა ვიცი, ლეგენდებს კი ჰყვებიან...

— მაინც რაო, რას ამბობენ?

— საოცარი ჯან-ღონის პატრონი იყო, ხელბორკილს ამტვრევდაო; ერთხელ საკნის კარი ჩამოგლიჯა, მხარზე მოიგდო და ციხის უფროსს კაბინეტში დაუდოო; დასახვრეტად ვერ გაჰყავდათ და კარმუშკიდანვე დახვრიტესო...

— ჰო... — გამაწყვეტინა მოხუცმა. — მსგავსი სისულელეები მეც გამიგონია. არ დაიჯერო, ძმობილო, ზღაპრებია ეგ ყველაფერი. მაგ დურუს მოხარშულს ვიც-

ნობდი, ხონის ზონაში ვიყავით ერთად. სადაც გასდიოდა, იქ ბალამუტობდა. ნადზირატელებთან ჰქონდა დიდი გული, თორემ ქურდებთან ყოველთვის მორიდებული იყო. ერთი, რაც მართლა ჰქონდა, ის იყო, რომ ადამიანებთან საკმაოდ იოლად ამყარებდა კონტაქტს, ორ წუთში აბამდა... ღონეს რაც შეეხება, ხონში ერთი-ორი მუჟიკი იჯდა, ამ შენს დურუს ცალი ხელით ერეოდნენ.

...სროკი რომ დაუმთავრდა, ოჩამჩირეში ერთი სომეხი მოკლა. მილიციამ შეუთვალა – ჩაგვბარდი და არ დაგხვრეტთო. დაუჯერა იმ შტერმა და თავისი ფეხით ეახლა... მერე აქ იჯდა, იზოლატორში... შენ რომ თქვი, მის სიძლიერეზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ, მსგავსი რამ ეტყობა, ციხის თანამშრომლებსაც გაეგოთ და მის დასახვრეტად გაყვანის წინ ჩაფიქრებულან – ვაითუ, ხურცილავამ ნეკნები ჩაგვილეწოსო, – და აფერა ჩაატარეს. ერთი პატიმრის ხელით დურუს, პროდუქტი და შაქრის ფხვნილი შეუგზავნეს, ვითომდაც ძველი ბიჭებისგან იყო ძღვენი. მეორე დღეს მიადგნენ და კარმუშკიდან უთხრეს – გუშინ პარკით რომ შაქარი მოგიტანეს, შიგ დანა ყოფილა და მოგვეციო. ტყუილია, არ მაქვს დანაო, – გამოსძახა ხურცილავამ, – თუ არ გჯერათ, შემოდით და აქაურობა დაშმონეთო. ჩხრეკის საბაბით, რამდენიმე ნადზირატელი კამერაში შევიდა. თავის უცოდველობაში დარწმუნებული დურუ მშვიდად ადევნებდა მათ თვალს. ამ დროს ორი კაცი უკნიდან წამოეპარა, ძირს დააგდო და ხელბორკილიც წამოაცვა. სიკვდილმისჯილს წინააღმდეგობა არ გაუწევია. ის ჯერ კომენდატურაში გადაიყვანეს, შემდეგ – სპეციალურ ოთახში... განაჩენის სისრულეში მოყვანა ყოველგვარი ხმაურისა და შეხლა-შემოხლის გარეშე მოხდა... ისე, თუ გაინტერესებს, ყველაზე ძლიერი და ზორბა ადამიანი, ვინც კი ოდესმე მინახავს, ჩართო ჩართოლანი იყო, სვანი ყაჩაღი. 60-იანი წლების დასაწყისში, ის მთელ სვანეთს შიშის ზარს სცემდა. წლების მანძილზე გახიზნულს, მთავრობა ვერაფერს აკლებდა. მაგრამ მერე ერთი ტანმორჩილი კაცი გამოჩნდა – სოზარ შელია. ავიდა სვანეთში, ადგილობრივ გამყოლთან ერთად ტყე-ღრეში ორი დღე იარა, შეხვდა ჩართოლანს და შეკერა – დანებებაზე დაიყოლია.

მახსოვს, საკანში რომ შემოიყვანეს, გაოცებისგან ყველა იქ მყოფი გავშეშდით. სიმაღლით – სულ მცირე, 210-215 სანტიმეტრი, უსაშველოდ განიერი მხარბეჭი, ღრმა იარებით დაფარული სახე ჰქონდა... ნაღდი ბაყბაყდევი იყო! თითქოს ზღაპრიდან პირდაპირ ჩვენს კამერაში გადმოხტაო... ეჰ, ეგ რომ სპორტს მიჰყოლოდა, მსოფლიოში ალბათ, ბადალი არ ეყოლებოდა...

„არსენა“ ხომ გახსოვს, ფილმი?... თითებით ვერცხლის თუმნიანს რომ ღუნავს... აი, ზუსტად ასე ღუნავდა ჩართოლანი რკინის მანეთიანებს და ეს დურუზე რომ ზღაპრებია, ის არ გეგონოს – საკუთარი თვალით მაქვს ნანახი.

– ალბათ, ხასიათიც შესაბამისი ექნებოდა, არა? მძვინვარე და დაუნდობელი...

– არა, კაცო! კეთილი და ბავშვივით მიამიტი იყო. თითისტოლა ბიჭები აცურებდნენ ხოლმე... მახსოვს, კამერაში მაგნიტით დატენილი კამათლები ჰქონდათ. ნარდის თამაშის დროს, დაფის ქვეშ ფარულად ბრტყელ მაგნიტს შეაცურებდნენ ხოლმე, მერე კამათლებს იმ ადგილისკენ გააგორებდნენ, სადაც მაგნიტი იყო და სულ შაშები და ბეშები მოსდიოდათ. თუ დაბლები სჭირდებოდათ, მაგნიტს ტექნიკურად ამოაბრუნებდნენ მინუსზე და დუ-იაქე ჯდებოდა... მთელმა საკანმა ვიცოდით ეს და გასართობად ვიყენებდით, ახალმოსულებს ვაბრიყვებდით. შაყირით, რა თქმა უნდა, თორემ, სერიოზულზე თამაში რა საკადრისი იყო!.. თუ შნო გაქვს, ნაღდად უნდა მოუგო და არა ასეთი ვირეშმაკობით... ჰოდა, დასვამდნენ ამ გოლიათს ნარზე დაგებულ რბილ ლეიბზე – დაფას რომ არაფერი დასტყობოდა – და მოაგებინებდნენ ცხრა ხელს. მერე აამუშავებდნენ სისტემას და ბრახ – ათით ცხრას უგებდნენ! გიჟდებოდა ჩართო – ეს რა მიყო, ამ შეჩვენებულმაო... მაგრამ, აზარტული კაცი იყო და ისევ და ისევ ჯდებოდა სათამაშოდ. სიცილით ვიხოცებოდით, მაგრამ ვერაფერს ხვდებოდა. კარგა ხანს აწვალეს ასე. ბოლოს შემეცოდა და ავუხსენი, что к чему... ბიჭებმაც ის ზარები უპადაგრევეს... ჯერ დაბღვერილი იჯდა, შემდეგ გაიბადრა – ვაჰ, ეს რა კაი რამე მაჩუქეთ, მესტიაში ერთი გაბო მყავს, ძმაკაცი, აქედან რომ გავალ, ამ კამათლებით სისხლს გავუშრობო...

– ბატონო გოგი, ვინ იყო ყველაზე ცნობილი ადამიანი, ვინც კი საპატიმროებში შეგხვედრიათ?

– საქართველოში თუ საერთოდ?

– საერთოდ.

– ახმაჯანი ადილოვი! – დაუფიქრებლად მომიგო.

– ეგ ვინ არის?

– ეგ არის, ვინც არის! უზბეკი მილიონერი, ორგზის საბჭოთა კავშირის შრომის გმირი, ბრეჟნევის ძმაკაცი და ა.შ. კარიერა ტრაქტორისტობით დაუწყია, მერე წავიდა და წავიდა... კომპარტია, დეპუტატობა, ნაცნობობა, ორდენები, სიმდიდრე... გაუთლელი

და უსწავლელი კაცი, 18-მილიონიანი უზბეკეთის ფაქტობრივი ხელმწიფე გახდა, არადა, თანამდებობით მხოლოდ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. ფერღანის ოლქის ერთ მიყრუებულ დაბაში, გურუმსარაიში იჯდა და მთელ რესპუბლიკას აკონტროლებდა. 500-მდე კაცი მხოლოდ საკუთარ სადაზვერვო აპარატში ჰყავდა. მათი საშუალებით უზბეკეთის ყველა ცნობილ პირზე ინფორმაციას აგროვებდა და ამ კომპრომატებით მერე, უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლების მოხსნასაც იოლად ახერხებდა. მისი დაბროს გარეშე რესპუბლიკაში მინისტრი ვერ ინიშნებოდა. რაშიდოვიც კი – უზბეკეთის ცეკას პირველი მდივანი – ახმაჯან ადილოვის ცუმბუშა იყო.

ამ კაცს საკუთარი ციხე, რამდენიმე სასახლე და ათასობით მონა ჰყავდა. ეს, არ დაგავიწყდეს, კომუნისტების დროს ხდება, როცა მათივე კანონებით, ადამიანს სამ ძროხაზე მეტის ყოლის უფლება არ ჰქონდა და კაი ბიჭი იყავი, აგარაკზე ჭერის სიმაღლე, სტანდარტულზე 230 სანტიმეტრზე მაღალი გქონოდა...

84-ში ახმაჯანას, კაგებეს სპეცნაზი დაეცა და გასკვანჩა... ლეფორტოვოს იზოლატორში ორი კვირა ერთად ვიჯექით. ბაყაყივით კაცი იყო, ტანდაბალი, გამხდარი, გამობზეკილი მუცლით, დიდი თავითა და გადმოკარკლული თვალებით. ალი-ბაბაზე მდიდარი ვარ და ათ მილიონ მანეთს მივცემ, ვინც აქედან გამიყვანსო, – მითხრა. ისიც რომ გადაეხადა, არაფერი ეშველებოდა: ყურებით ჰყავდათ დათრეული და მალე დახვრიტეს კიდეც...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მას მადმუაზელ სევდას სახელით მოიხსენიებდნენ. მაგრამ ფრანსუაზა საგანის ცხოვრებაში ამ გრძნობას ადგილი არ ჰქონდა. ის სვამდა ვისკის, იპყრობდა მამაკაცთა გულებს, ამსხვრევდა მანქანებს, მეგობრობდა მეამბოხე სულის ადამიანებთან და წერდა ყველაზე ლამაზ რომანებს სიყვარულზე...

მადმუაზელ სევდას ბოჰემური ცხოვრება

შემოვლითი გზები

ფრანსუაზა მარი ენ კუარეზი საფრანგეთის პატარა ქალაქ ლოტთან მდებარე, პურის ყანებით გარშემორტყმულ სოფელში დაიბადა. პარიზული ხმაურიანი ცხოვრებითა და გართობით გადაღლილი პაწია გოგონას მშობლები იმხანად მთელ ზაფხულს ქალაქგარეთ მდებარე საკუთარ სახლში ატარებდნენ. ოთხი წლის შემდეგაც, მათ სწორედ იქ მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა. ეს პერიოდი 4 წლის ფრანსუაზას მეხსიერებას თავშესაქცევი ვოდევილივით შემორჩა: გაქცევა სამხრეთით – თავდაპირველად, საზიდარში შებმული ბებერი ცხენით, შემდეგ – მოფახფახებული ავტომობილით; დედა, რომელიც პარიზში დატოვებული საკუთარი შლაპების კოლექციის გადასარჩენად მთელი საფრანგეთის ტერიტორიის გადასერვასაც არ შეუშინდა და დაბომბვის დროს, დამფრთხალი წრუწუნის დანახვაზე, გამუდმებით გული მისდიოდა...

გერმანელ დამპყრობლებს გარიდებულმა კუარეზთა ოჯახმა ესპანეთს შეაფარა თავი. 1945 წელს, ომის დამთავრების შემდეგ, მშობლების უმთავრეს საზრუნავად მოზარდი გოგონასთვის შესაფერისი პანსიონის შერჩევა იქცა. კეთილშობილ ქალთა არაერთ სასწავლებელში სწავლის შემდეგ, ფრანსუაზას იქიდან ერთობ უცნაური ჩვევები გამოჰყვა: ის ფრიად მოხერხებულად ეწეოდა სიგარეტს მშობლებისა და უფროსებისგან მალულად, სათანადოდ ერკვეოდა ვისკის ხარისხში და საოცრად უყვარდა კითხვა. 13 წლის ასაკში ფრანსუაზამ აღმოაჩინა ანდრე ჟიდი, 14-ისამ – კამიუ, 16-ისამ – რემბო, 17-ისამ კი – პრუსტი. ერთად აღებულმა, ყველა ამ მწერალმა გოგონაში რელიგიური აღზრდის ყოველგვარი კვალი წაშალა და ხელში კალმის აღებაც აიძულა.

ზაფხულის 32 დღის განმავლობაში, საბეჭდ მანქანაზე ორი თითით კაკუნის შემდეგ, 18 წლის ფრანსუაზა საგამომცემლო სახლის – Julliard-ის შესასვლელთან იდგა და მოკრძალებით ათვალიერებდა გამვლელებს. მან კარგად უწყოდა, თუ როგორ გამოიყურებოდა პარიზის მოდური რაიონი – სენ-ჟერმენ-დე-პრე ღამით: თამბაქოს კვამლით გაჟღენთილ სარდაფებში ის ხომ დილამდე ცეკვავდა ხოლმე „ბიბოპსა“ და „ბუგი-ბუგის“. აი, დილის სენ-ჟერმენის საქმიანი ატმოსფერო კი, მასში მოკრძალებას ბადებდა... ბოლოს, მან გამბედაობა მოიკრიბა, კარი შეაღო და ყვითელი საქაღალდე, რომელშიც 160 ნაბეჭდი გვერდი ეწყო, მდივნის მაგიდაზე დადო. რენე ჟიულიარი – „კადილაკების“ პარკისა და საკუთარი თვითმფრინავის იღბლიანი მფლობელი, გამომცემლობის მეპატრონეც გახლდათ. ის მთელი ღამის განმავლობაში, სულმოუთქმელად კითხულობდა რომანს, გათენებულზე კი, ძლივს დაელოდა 10 საათის შესრულებას და სასწრაფოდ, კუარეზების ტელეფონის ნომერი აკრიბა. „მადმუაზელი გამთენიისას დაბრუნდა და ახლა სძინავს. შუადღისთვის დარეკეთ“, – ხაზის მეორე ბოლოდან უპასუხა მოსამსახურემ. საღამოვდებოდა, როდესაც გამხდარმა და მხრებში აწურულმა ფრანსუაზამ ჟიულიარის კაბინეტის კარი შეაღო. გამომცემლობაში შესვლამდე კი გოგონამ იქვე, კუთხეში მდებარე ბარში შეიარა და გასამხნევებლად ვისკი დალია...

შეხვედრამ შესანიშნავად ჩაიარა – ფრანსუაზამ კონტრაქტი გააფორმა. რომანი საგანის ფსევდონიმით (ამ ფსევდონიმს ფრანსუაზამ, პრუსტის ნაწარმოებში მიაგნო) გამოვიდა. ახალგამოსულმა წიგნმა პარიზის ლიტერატურულ სამყაროზე სრულიად გამაოგნებელი ეფექტი მოახდინა.



სენ-ტროპეს პლაჟზე

სექსუალური რევოლუციის კატალიზატორი – ჩასახვის საწინააღმდეგო აბები იმხანად ჯერ კიდევ არ გახლდათ გამოგონებული და ქალს ერთადერთი გზა ჰქონდა – თეთრ, მაქმანებიან კაბაში გამოწყობილი, საკურთხევლის წინა უნდა წარმდგარიყო. საგანის რომანის გმირმა კი, ზაფხულის მოსაწყენი არდადეგებისას, ქალწულობა პლაჟზე, უსიყვარულოდ დაკარგა, თანაც („რაც უბრალოდ აღმაშფოთებელი იყო!“) – ყოველგვარი მოსალოდნელი შედეგის გარეშე: ამას არც სამარცხვინო ორსულობა მოჰყვა და არც ნაჩქარევი, იძულებითი გათხოვება. „სალამი, სევდავ!“ – ომის შემდგომი პერიოდის პირველ ბესტსელერად იქცა: მხოლოდ საფრანგეთში ერთი წლის განმავლობაში, ნახევარი მილიონი თხელყდიანი ეგზემპლარი გაიყიდა. თავად ფრანსუაზა საგანი კი, ჟურნალისტებისთვის გემრიელ ლუკმად გადაიქცა, რომლებიც ახალგაზრდა ქალბატონს „მადმუაზელ სევდას“, „შოდერლო დე ლაკოს შვილისა“ და „ლიტერატურის ბრიჟიტ ბარდოს“ სახელებით მოიხსენიებდნენ. გამომცემლობაში მკითხველთა გამოხმაურებები და იმდენი საგაზეთო და საჟურნალო სტატიის ამონაჭერი დაგროვდა, რომ ვეღარც კი ითვლიდნენ და აღრიცხვას წონით აწარმოებდნენ. გამოხმაურებების ზუსტმა წონამ 11 კგ და 400 გ შეადგინა.

„ცოტაოდენი მზე ცივ წყალში“

19 წლის ასაკში საგანმა მთელი მსოფლიო მის ფერხთით იხილა. ჰონორარის თანხას, რომელიც მის საბანკო ანგარიშზე იდო და გამუდმებით იზრდებოდა, უამრავი ნული ჰქონდა მიწერილი. გამოცდილმა და დაბრძენებულმა მამამ ქალიშვილს ურჩია: „ამდენი ფულის ქონა

შენს ასაკში ძალზე სახიფათოა. იქნებ, ფული ქარისთვის გაგეტანებინა?..“ ფრანსუაზამაც არ დააყოვნა და საოცნებო ავტომობილი – Jaguar XK 140 შეიძინა. მოკლე ხანში კი, ავტობუსსა და განათების ბოძს ერთდროულად შეასკდა. ბოლიდი ჯართად იქცა, მცირე ინფორმაცია საგანის შესახებ, ლიტერატურული კრიტიკისაგან სრულიად განსხვავებულ განყოფილებაში – „საგანგებო შემთხვევა“ – მოხვდა, თავად ფრანსუაზამ კი, თვალის დახამხამებაში, Aston Martin შეიძინა. ასე იწყებოდა მისი უზრუნველი „დოლჩე ვიტა“. საგანმა და მისმა მეგობრებმა ჯერ თავისთვის, ხოლო შემდგომ – მთელი საფრანგეთისთვის აღმოაჩინეს სენ-ტროპე, სადაც ჯერ კიდევ არ იყო მოდური რესტორნები, კლუბები და ბუტიკები, მაგრამ იყო სწრაფი რბოლა, ზღვა და თავისუფალი სიყვარული.

ვაჟიშვილ დენისთან ერთად (1965)

სტილის ნორჩი კანონმდებლისთვის ფეხის აწყობას რეპორტიორები ძლივძლივობით ახერხებდნენ: საგანი სენ-ტროპეში, საგანი პარიზის ღამის კლუბ „ლა კასტელში“, საგანი შიშველ ფეხს აჭერს აქსელერატორს... ის სვამდა ვისკის, ეწეოდა სიგარეტს და ყნოსავდა კოკაინს. ფრანსუაზასთვის ყველაზე საშინელი სალანძღავი სიტყვები – „დოყლაპია“ და „მოწყენილობა“ გახლდათ. თავის საყვარელ შოტლანდიურ ტერიერთან ერთად წვეულებაზე მისული ფრანსუაზა, მასპინძლებთან მისალმების შემდეგ, გეზს პირდაპირ საპირფარეშოსკენ იღებდა და ვიდრე გადაპრანჭული ქალბატონები იმაზე ბჭობდნენ – ახლა საგანი ცხვირს ბრინჯის პუდრით იფარავს თუ კოკაინითო? – ფრანსუაზა ამ მოსაწყენ თავყრილობას, სათადარიგო გასასვლელიდან ტოვებდა. მისი ერთ-ერთი მეგობარი ჰყვებოდა, თუ როტშილდების მიღებაზე მისული მწერალი როგორ ივჯდა საპირფარეშოს იატაკზე, როგორ ჭიმავდა ფეხშიშველ ფეხს – ფეხსაცმელი იქვე, კუთხეში ჰქონდა მიყრილი – და უჩვენებდა ირგვლივ მყოფთ, თუ როგორ უნდა „როდსტერიდან“ გაზის გამოშვება. „მას გასაოცარი ხიბლი ჰქონდა, ვინაიდან საკუთარ თავს სერიოზულად არ აღიქვამდა“, – იხსენებდა მისი მეგობარი.

ერთხელ, სამხრეთული სენ-ტროპე, ატლანტიკურ დოვილში გაცვალა, სადაც ოკეანიდან მონაბერი ცივი ქარი დამსვენებლებს კაზინოებისაკენ მიერეკებოდა და ფრანსუაზამაც საკუთარ თავში მოთამაშის აზარტი აღმოაჩინა...

თამაშობდა გატაცებით, თავდავიწყებით და უამრავ ფულს ფლანგავდა. საბოლოოდ, ბანკმა სასამართლოს წესით, მას ჩეკის წიგნაკი ჩამოართვა და სათამაშო დაწესებულებებთან მიახლოებაც კი აუკრძალა. მაგრამ მანამდე, ვიდრე ეს მოხდებოდა, ფრანსუაზამ მოულოდნელი დიდი მოგების წყალობით, ნორმანდიაში მდებარე ონფლერში იმ სახლის შეძენა მოასწრო, რომელსაც ოდესღაც, სარა ბერნარი და საშა გიტრი სტუმრობდნენ. ეს გახლდათ მშვენიერი ორსართულიანი ვილა, რომლისკენაც წიფლების თვალწარმტაცი ხეივანი მიემართებოდა. საგანი სიესტას აქ პირდაპირ მწვანე მოლზე იწყობდა, გვერდით კი, თავისი მძინარე, თბილი შოტლანდიური ტერიერები ეწვნენ. „ეს სახლი 8 მილიარდი მოგონება ღირს“, – ამბობდა მოგვიანებით ფრანსუაზა, როდესაც ვალების გამო იძულებული გახდა, ვილა გაეყიდა. მთელი ცხოვრების მანძილზე, ონფლერის ვილა, მის კერძო საკუთრებაში არსებული ერთადერთი თავშესაფარი გახლდათ მწერლისთვის, რომელიც დანარჩენ შემთხვევაში, ყოველთვის ერთი ნაქირავები ბინიდან მეორეში გადასვლას ამჯობინებდა. „არ მიყვარს ერთი და იმავე ღრუბლების ცქერა“, – ამბობდა ის.

სულზე დაჩნეული ნაკვალევი

„მამაკაცი, რომელსაც ფხიზელ მდგომარეობაში ძალზე ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ ადამიანად აღვიქვამდი, 3 ჭიქა ვისკის დალევის შემდეგ, შესანიშნავ, შეუდარებელ პიროვნებად მესახებოდა. სწორედ ამაში მდგომარეობს ალკოჰოლის უდიდესი ძალა – კლუბში არტურთან ერთად მივდიოდი, იქიდან კი, პოლთან ერთად გამოვდიოდი“, – გულახდილად ამბობდა საგანი. ერთდროულად რამდენიმე მამაკაცთან ურთიერთობას, გამოცდილი ჟონგლიორის ოსტატობით ახერხებდა, ზოგჯერ კი, ქალის გულისთვის, ყველას ერთბაშად მიატოვებდა. რომან]ი მომღერალ ჟულიეტ გრეკოსთან მოგვიანებით, თბილ მეგობრულ გრძნობაში გადაიზარდა და ამ ქალბატონების მეგობრობამ 40 წელს გასტანა.

„მშვენიერი პატარა ურჩხულის“ (როგორც ფრანსუა მორიაკი ოდესღაც უწოდებდა საგანს) წუთიერი საყვარლები, საკულტო ფიგურები იყვნენ, ქმრები კი – მდიდრები და საოცრად მიმტევებლები. ფრანსუაზა პირველად, 1958 წელს გათხოვდა. ის ცოლად გაჰყვა გავლენიან გამომცემელს – გი შელერს, რომელიც მეუღლეზე ბევრად უფროსი იყო და ამიტომ „სათანადოდ აფასებდა“ თანამეცხედრის თავისუფლებისმოყვარეობას. მიუხედავად ამისა, საგანმა ის 3 წელიწადში მიატოვა: უბრალოდ, ერთხელ, შემთხვევით დააფიქსირა, თუ რაოდენ სერიოზული გამომეტყველებით კითხულობდა მისი ქმარი „მონდს“ და სამუდამოდ გაიჯახუნა კარი... მეორე ქმარს, ამერიკელ სკულპტორ რობერტ უესტჰოფს მან ვაჟიშვილი – დენისი გაუჩინა. ამჯერად კარი უკვე რობერტმა გაიჯახუნა, როდესაც ცოლის მორიგი ღალატის შესახებ შეიტყო. საგანი მომხდარს ფილოსოფიურად მიუდგა და ქმრის სახლიდან წასვლა, მეგობრებთან ერთად ჭიქა შამპანურით აღნიშნა.

ამის შემდეგ ის აღარ გათხოვილა. სამაგიეროდ, 1979 წელს, ჟურნალ „ეგოისტში“ გამოქვეყნდა „ფრანსუაზა საგანის მიერ ჟან-პოლ სარტრისადმი მიძღვნილი სიყვარულის ახსნა“: „შეშლილი, არაადამიანური და გარყვნილი საუკუნე იდგა. თქვენ კი ისევ და ისევ ჭკვიან, ნაზ და მოუსყიდავ ადამიანად რჩებოდით“. ასეთი გულწრფელობით გულაჩუყებულმა სარტრმა, საგანი ვახშამზე მიიწვია. ფრანსუაზა მზრუნველობით უჭრიდა მას

თავისი „იაგუარის“ გვერდით (1955)

თეფშზე ხორცს, ჟან-პოლი კი უყვებოდა მას საკუთარ ცოლზე – სიმონე დე ბოვუარზე და კიდევ ასობით სხვა ქალზე, რომლებთანაც მას ღალატობდა. იმ საღამოს სარტრმა დღიურში შემდეგი სიტყვები ჩაწერა: „ჩვენ ვაგზალში შემთხ-

ვევით შეხვედრილი მგზავრებივით ვსაუბრობდით, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ერთმანეთს აღარასოდეს შეხვდებიან". მაგრამ სარტრის მოლოდინი არ გამართლდა. მოგვიანებით ისინი სისტემატურად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ამ შეხვედრებმა ერთგვარი რიტუალის სახეც მიიღო და მხოლოდ სარტრის გარდაცვალების შემდეგ შეწყდა. ყველანი, მათ შორის, საბრალო სიმონეც, მათი რომანის შესახებ ეჭვობდნენ.

კინემატოგრაფისტი ორსონ უელსი, საგანის კიდევ ერთი სისუსტე გახლდათ. მათ კანის ფესტივალზე საკმაოდ უჩვეულო სიტუაციაში გაიცნეს ერთმანეთი, მაშინ, როცა ხალხის მორევში მოხვედრილ მწერალს საფრთხე დაემუქრა. „ხალხის ტალღა ისე მაწვებოდა, რომ ცოტაც და დავეცემოდი და ვეღარაფერი მიშველიდა, რადგან ბრბო ფეხით გადამთელავდა. სწორედ ამ დროს, ვიღაცის ძლიერმა ხელმა ჯოჯოხეთიდან გამომიყვანა. ამ კინგ-კონგის ხეირიანად შეთვალიერება ვერც კი მოვასწარი, მაგრამ უეცრად, სიცილით ორსონ უელსი შევიცანი". ფრანსუაზა მოჯადოებულივით შესცქეროდა „მოქალაქე კეინს". როცა მან ვალპარაისოში გამგზავრება შესთავაზა, ქალი მზად იყო, მიეტოვებინა მეორე ქმარი, შვილი, ძაღლი, კატა... მაგრამ ისინი ზარმა გადაარჩინა – სატელეფონო საუბრის შემდეგ, ორსონი სასწრაფოდ ოკეანის გაღმა გაემგზავრა.

ჯაპიტულაციის სიგნალი

საგანი წინააღმდეგობრივი თვისებებით გამორჩეული პიროვნება გახლდათ. „ის ჩვეულებრივ, შეუთავსებლის შეთავსებას ახერხებდა. „უმჯობესია, „იაგუარში" იტირო, ვიდრე ავტობუსში", – აცხადებდა ის და ამასთანავე (რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ), მემარცხენეთა მრწამსის ერთგული რჩებოდა. მას შეეძლო, ყოფილიყო თავისუფალი და სხვების თავისუფლებისთვისაც ებრძოლა. მისი ხელმოწერა ფიქსირდება, როგორც ალჟირელი რევოლუციონერების გათავისუფლების მოთხოვნაზე, ასევე აბორტების ლეგალიზაციის მანიფესტზე. 1968 წლის მაისში, როცა პარიზელმა სტუდენტებმა ბარიკადები აღმართეს და ბურჟუაზიულობის ბურჯის – მდიდრული მაღაზიების ვიტრინების მსხვრევას შეუდგნენ, ბრბოს, ერთ-ერთი თავისი ბოლიდით საგანი მიუახლოვდა. „ამხანაგი საგანი რევოლუციის მოსახდენად „ფერარით" მოვიდა?! – გესლიანად შენიშნა ერთ-ერთმა მეამბოხემ. – მეგობარო, ეს „ფერარი" კი არა, „მაზერატია", – მშვიდად შეუსწორა საგანმა და მთელი ის დღე ბარიკადებზე გაატარა. ის ძვირად ღირებულ სიგარეტს ურიგებდა მეამბოხეებს და თავადაც მათთან ერთად აბოლებდა.

1957 წლის ავტოკატასტროფის შემდეგ

საგანი ასეთად რჩებოდა მაშინაც, როცა მისი პირველი მკითხველები უკვე დაბერდნენ. მან კომპიუტერით ბოლომდე არ შეცვალა თავისი „უნდერვუდი" (საბეჭდი მანქანის მარკა), უარს ამბობდა პრემიებზე, წოდებებზე, მათ შორის, ისეთ მაცდუნებელ შეთავაზებაზეც, როგორიც საფრანგეთის აკადემიის მწვანე მანტიის მოსხმის უფლება გახლდათ. სიცოცხლის დასასრულისთვის, მწერლის სახელმა საგაზეთო რუბრიკებიდან – „საგანგებო შემთხვევა" და „მაღალი საზოგადოების ცხოვრება" – სერიოზული სამართალდარღვევების განყოფილებაში გადაინაცვლა: საგანს ხან გადასახადების გადაუხდელობისთვის ასამართლებდნენ (ის სანავთობო კომპანია Elf-ის ფინანსურ მაქინაციებში აღმოჩნდა გარეული, რომელთანაც თავისი მეგობრის – ფრანსუა მიტერანის მეშვეობით ჰქონდა კავშირი), ხანაც – ნარკოტიკების მოხმარებისთვის. პირველმა პროცესმა ის გააკოტრა, მეორემ – აღაშფოთა: „თავისუფალი ადამიანის უფლებაა – საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება!" სიცოცხლის უკანასკნელი წლები უსახსროდ და უსახლკაროდ დარჩენილმა ფრანსუაზამ სხვის სახლში, კარჩაკეტილმა გაატარა.

ფრანსუაზა 1987 წელს

სიკვდილისათვის მოუხელთებელი საგანი

ფრანსუაზას არ ეშინოდა სიკვდილის, მიუხედავად იმისა, რომ არაერთგზის ჩაეხედა მისთვის თვალებში. 1957 წელს, ის ჩვეულებისამებრ, მანქანას ფეხშიშველი მართავდა, როცა 150 კმ/სთ სიჩქარით მიმავალი მისი „ასტონ მარტინი" მოულოდნელად ამოტრიალდა. ექიმებმა დაადასტურეს მისი გარდაცვალება და სანიტრებმა საგანის ცხედარი შავ ცელოფანში გაახვიეს. საბედნიეროდ, ფრანსუაზამ მანამ დაიწყო სუნთქვა, ვიდრე მის „უსულო" სხეულს მაცივრის კამერაში მოათავსებდნენ. ავარიის შედეგად საგანმა 11 ნეკნი მოიტეხა და თავის ქალის მძიმე ტრავმა მიიღო. 1970 წელს, 35 წლის ფრანსუაზას ექიმებმა დაუსვეს დიაგნოზი: „კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო – დაავადების შორს წასული ფორმით". ოპერაციის წინ, მან ქირურგს სთხოვა: „თუკი დარწმუნდებით, ჩემი მდგომარეობის უიმედობაში, ნარკოზიდან ნუ გამომიყვანთ". საფრთხემ ამჯერადაც გადაიარა. 1985 წელს, ჟურნალისტებმა საკუთარი დავთრებიდან კვლავ ამოქექეს მწერლის ნეკროლოგები: მიტერანთან ერთად ბოგოტაში ოფიციალური ვიზიტისას, საგანი კომაში ჩავარდა – 2650 მ სიმაღლეს ფილტვებმა ვერ გაუძლო; თვითმფრინავი, საკაცე, რეანიმაცია... ფრანსუაზა იმდენად ხშირად კვდებოდა, რომ ამ პროცესმა მისთვის ყოველგვარი რომანტიკული ელფერი დაკარგა. „გარწმუნებთ, – ამბობდა ის და თან, პირიდან სიგარეტის კვამლს გამჭოლ, წვრილ ზოლად უშვებდა, – იქ არ არის არავითარი დერეფანი, შორეული სინათლე და არც გარდაცვლილი ნაცნობ-მეგობრები იმყოფებიან. იქ წყვდიადი და მხოლოდ წყვდიადი სუფევს".

როცა საგანი 2004 წლის შემოდგომაზე, საავადმყოფოში მოხვდა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ის ამჯერადაც თავს დააღწევდა სიკვდილის კლანჭებს. მაგრამ სამწუხაროდ, გასული წლის 24 სექტემბერს, მწერალი ქალი გარდაიცვალა. ონფლერის სოფლის სასაფლაოზე, სადაც საგანი დაკრძალეს, საზოგადოება მთელ ეპოქას ეთხოვებოდა – ეს გახლდათ გამბედავი, თავისუფლებისმოყვარე და კადნიერი 60-იანები. ■

SAAB-ში ხეფორმები დაიწყება

უახლოეს ხანს, ამერიკული კორპორაცია „ჯენერალ მოტორსი“, მასში შემავალი შვედური კომპანია „სააბის“ რეფორმირების პროგრამას გამოამზეურებს. ქალაქ ტროლხეტანში მდებარე, ამ ფირმის სათავო ქარხანა, რომლის საწარმოო სიმძლავრე წელიწადში 240 ათასი ავტომობილის გამოშვებას ითვალისწინებს, დღესდღეობით მხოლოდ ორი მესამედითაა დატვირთული. ამჟამად იქ მოდელებს – SAAB 9-3-ს, 9-5-ს, 9-2x-ს („სუბარუსთან“ ერთადაა შექმნილი) და 9-7x-ს („შევროლეს“ ბაზაზე) აწარმოებენ. ბაზარზე სოლიდური შედეგების მისაღწევად ეს ყველაფერი საკმარისი არ გახლავთ, მით უმეტეს, რომ 9-5-ს უკვე 8 წელი შეუსრულდა.

ამჟამად მუშავდება SAAB 9-6 – ბიზნესკლასის ავტომანქანა, რომლის ბაზას „ჯენერალ მოტორსის“ კონსტრუქტორების მიერ შექმნილი, უკანაამძრავიანი პლატფორმა – Zeta წარმოადგენს. ის შეიძლება აღიჭურვოს 8-ცილინდრიანი ძრავებით და სრულამძრავიანი ვერსიითაც აწარმოონ. 9-6-ის შემუშავებაში მონაწილეობს აგრეთვე „ჯენერალ მოტორსის“ ავსტრალიური შვილობილი კომპანია Holden.

„სააბის“ მეორე პროექტს, სამოდელო ოჯახის – 9-3-ის მოდერნიზაცია წარმოადგენს. მის ტექნიკურ ბაზად, პლატფორმა Epsilon-2 მოგვევლინება, რომელსაც გამოიყენებენ აგრეთვე Opel Vectra-სა და კომპაქტური Cadillac-ის წარმოებისას. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, „სააბი“ უარს იტყვის კომპაქტური კლასის ავტომანქანის შექმნაზე და ამის ნაცვლად, სპორტული ყველგანმავლის პროექტის ინვესტირებას მოახდენს. მის პლატფორმად Chevrolet S3X-ს გამოიყენებენ. 2006 წლისთვის გათვალისწინებული ეს მანქანა უნიფიცირებული იქნება მომავალი თაობის Daewoo Theta-სა და Opel Frontera-სთან. ■

Brera მასობრივი უნდა გახდეს



იტალიურმა კომპანიამ – Alfa Romeo – გადაწყვიტა, სერიულ წარმოებაში ჩაუშვას Brera, რომელიც ჟენევის წლევანდელ ავტოსალონზე იქნა ნაჩვენები. სიახლეს, ამ სიტყვის სრული გაგებით, აღნიშნულ მოდელს ვერ უწოდებ: როგორც კონცეპტუალური მოდელი, ის ჯერ კიდევ 3 წლის წინ წარმოადგინეს იმავე ჟენევაში. მაშინ, ელეგანტური კუპე ყველას ძალზე მოეწონა. მისი დიზაინი ამ საქმის დიდოსტატს, სახელგანთქმულ ჯუჯაროს ეკუთვნის, რომელმაც კომპაქტურობისა და სოლიდურობის იშვიათ შერწყმას მიაღწია. კუპეს ერთ-ერთ ყველაზე მოხდენილ ნაწილს, გამჭვირვალე, პანორამული სახურავი წარმოადგენს. ავტომობილის სიგრძე – 4,41 მ-ს, სიგანე – 1,83 მ-ს, სიმაღლე – 1,37 მ-ს შეადგენს. „ბრერასთვის“ 3 ძრავაა გათვალისწინებული: 2 ბენზინის – 2,2 ლ სამუშაო მოცულობისა და 185 ცხ.ძ. სიმძლავრის და 3,2 ლ მოცულობისა და 260 ცხ.ძ. სიმძლავრის – და 200 ცხ.ძ-იანი ტურბოდიზელის აგრეგატი. ფირმა ამ მოდელის სრულამძრავიანი ვერსიის – Q4-ის წარმოებასაც აპირებს. ამ მანქანის რეალიზაციის დაწყება წლევანდელი წლის დამლევისთვის იგეგმება. ■

ხომელ მანქანას ჰა „სტკივა“

გერმანიის ტექნიკური კონტროლის კავშირმა ამ ცოტა ხნის წინ, ქვეყნის ავტოპარკის მდგომარეობის მონაცემები გამოაქვეყნა. სპეციალისტები 200 მოდელის 7,65 მლნ მანქანის შესწავლის შედეგებს ეყრდნობოდნენ და ერთობ საგანგაშო შედეგი დაფიქსირეს: გერმანიის ავტოპარკის თითქმის 18,7% არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. 1996 წელს, ეს მაჩვენებელი 11,6%-ს შეადგენდა.

ექსპერტებმა მანქანები 6 ჯგუფად დაყვეს. ყველაზე საიმედოდ – ისევე, როგორც წინა წლებში, – Toyota-ს მარკა ცნეს. 3 წლამდე კატეგორიის მანქანებში ყველაზე ცოტა ნაკლი Porsche Boxster-ს აღმოუჩინეს; მას მოჰყვება Mazda Demio და Audi A4. აუტსაიდერებს შორისაა: VW Sharan, Seat Alhambra, Chrysler Voyager. 4-5-წლიანთა ჯგუფში საუკეთესო აღმოჩნდა: Toyota Yaris, Mazda Demio და Toyota Rav4, აუტსაიდერი კი – Chrysler Voyager. ყველა ჯგუფში ხარვეზები დაფიქსირდა სამუხრუჭე სისტემასა და ელექტრობაში, უმეტესობას ზეთის ზედმეტი ხარჯვის პრობლემაც აღმოაჩნდა. ■

„გზის“ წინა ნომერში, გოდერძი კაციტაძის ინტერვიუ და მისი წიგნის ის ნაწყვეტი შემოგთავაზეთ, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ შეიტყო მან 40 წლის წინ, რომ დედით იტალიელი იყო: მამამ ეს ამბავი დაბადების დღეს, 20 წლის გოდერძის აუწყა და უამბო, რომ 1945 წელს, იტალიიდან ფრენის დროს, ცოლი — კლავდია მერონი მშობიარობას გადაჰყვა... ვაგრძელებთ წიგნის ფრაგმენტების ბეჭდვას. ამჯერად გთავაზობთ იმ მონაკვეთს, სადაც გოდერძი ჰყვება, თუ როგორ მოინახულა დედის საფლავი ბორჯომში და როგორ ესტუმრა თავის იტალიელ ბებიასა და ბიძებს მილანში.

„არ გაავცვლი მე ჩემს საბშოგლოს!“

ფრაგმენტები წიგნიდან

ლელა ჭანკოტაძე

...ბორჯომში რომ შევედით, ვგრძნობდი, როგორ მემატებოდა გულისცემა და ავფორიაქდი. გიური *(გოდერძის მეგობარი. – რედ.)* მამხნევებდა, აბა, შენ იცი, როგორი შემართებით შეხვდები დედაშენს, არ შეგვარცხვინო. ეტყობა, ეშინოდათ, მაშინდელივით რაიმე არ დამმართნოდა. ბორჯომში სასაფლაო შემაღლებულ გორაკზეა, ცენტრიდან არცთუ ისე შორს. მანქანით ავედით პატარა ეკლესიამდე, სადამდეც სამანქანო გზა მიდიოდა. მანქანის ხმაზე ეკლესიიდან მონაზონი გამოვიდა. უცხო პირები რომ დაგვინახა, გვკითხა, რამ შეგაწუხათო? მე ხმას ვერ ვიღებდი.

– აქ, ერთი უცხოელი ახალგაზრდა ქალის საფლავს ვეძებთ. იქნებ დაგვეხმაროთ? – მოკრძალებით სთხოვა გიურიმ და დაახლოებით ადგილმდებარეობა აუხსნა. მონაზონი დაფიქრდა, რაღაცა მოიგონა და გვითხრა, – ალბათ, იმ იტალიელი ქალის საფლავი გაინტერესებთ, ასე, ორი კვირის წინ ერთი შუახნის მამაკაცი რომ იყო მოსული და გაწმინდა, – თქვა და წაგვიძღვა. მივხვდით, რომ ეს მამაკაცი მამაჩემი იქნებოდა.

დედაოს უხმოდ გავყევით. წინ გიური მიდიოდა. ეკლესიიდან დაახლოებით ორმოცდაათი ნაბიჯის მოშორებით დედაო შეჩერდა და გიურის იქვე ერთ-ერთ საფლავზე მიუთითა. ამასობაში მე და კუკურიც *(გოდერძის მეგობარი. – რედ.)* მივადექით ჟანგიანი გისოსებით შემოღობილ ორადგილიან საფლავს.

გიურიმ ჩაჟანგული კარი გამოაღო. მის ჭრიალზე გულმა ბაგაბუგი დამიწყო. საფლავის ერთ მხარეს ბალახები ნახევარ მეტრამდე წამოზრდილიყო. მეორე მხარეს კი, სადაც მამაჩემს ბალახები გაეწმინდა, გრანიტის ოთხკუთხედი ქვა იდო, რომლის ზედა მხარეს ამობურცულ ფაიფურზე დედაჩემის, კლავდიას მოყავისფრო სურათი მოჩანდა. გიურიმ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სურათი გადაწმინდა. სურათის ქვეშ ქართულად ეწერა: კლავდია მერონი–კაციტაძე 1922–1945 წ.წ. ქ. მილანი.

ეს ის სურათი იყო, მამა და დედა ერთად რომ იყვნენ გადაღებული პარტიზანულ რაზმში.

ფეხებში სისუსტე ვიგრძენი, თითქოს მუხლები მეკეცებოდა. კუკურის ჩემზე ხელკავი ჰქონდა გაკეთებული. ერთხანს სამივე გარინდებული ვიდექით. სიჩუმე ისევ გიურიმ დაარღვია.

– აბა, ნუ დავიბნევით. კუკური, ჩვენ წავიდეთ, საჭმელი, სანთლები და ყვავილები ამოვიტანოთ, – და ბილიკით ქვევით დაეშვნენ.

დავრჩით მარტო მე და დედაჩემი.

– მოვედი შენი ოცი წლის უნახავი შვილი, – აღმომხდა აკანკალებული ხმით და თვალებზე ცრემლები მომადგა. საფლავთან მივიწიე. დავიჩოქე და დედაჩემს თვალი თვალში გავუყარე. მისი სახე მიცინოდა და თითქოს მეუბნებოდა: მადლობა ღმერთს, რომ მომნახე და ჩემთან მოხვედი, აწი არაფერი მიშავსო.

დავიხარე და სურათს დავეკონე. მომეჩვენა, რომ სურათი თბილი იყო, არა, კი არ მომეჩვენა, ნამდვილად თბილი იყო... მას ჩემი დედის გული ათბობდა.

– აბა, მარიო, ადექი, – მომესმა ამ დროს კუკურის ხმა. წამოვდექი, ბიჭებს ყველაფერი ამოეტანათ.

გიურიმ თაიგული და სანთლები მომცა. სანთლები დავანთე და თავის მხარეს მიწაში ჩავრგე, თაიგული კი გავშალე და ყვავილები სათითაოდ მთელ საფლავზე მოვაფინე, პირჯვარი სამჯერ გადავიწერე და გულში „მამაო ჩვენო“ ვთქვი.

როგორც ყოველთვის, აქაც პირველი ჭიქა გიურიმ ასწია და წარმოთქვა:

– ამ სასმისით იმ უბედური და დღეს მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქალბატონის – კლავდია მერონის ხსოვნის სადღეგრძელო იყოს, რომელიც ერთადერთ ღვიძლ შვილს ოცი წელიწადი ელოდებოდა და დღეს სურვილი აუსრულდა.

მერე კუკურიმაც რაღაცა თქვა, მე კი ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხე და მხოლოდ თავის დახრით შევსვი ის ჭიქა. კიდევ რამდენიმე სადღეგრძელო ითქვა, მათ შორის გამორჩეული ჩემი სადღეგრძელო, რომლის დროსაც გიურიმ პასპორტი გამომართვა, დედაჩემის სურათის გვერდით დადო და თქვა:

– ქალბატონო კლავდია, თქვენი ქალიშვილობის სურვილი ასრულებულია, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ (გოდერძიმ მარიო მერონად გადაიკეთა გვარ-სახელი)...

...გადავწყვიტე, დედაჩემისათვის ყველაფერი იმ საღამოსვე მეთქვა, რადგან მის გულში ვიხედებოდი და ვგრძნობდი, რა ტკივილსაც განიცდიდა.

ორივენი სამზარეულოში ისხდნენ. შევედი და დედას ყავის მომზადება ვთხოვე. იგი მაშინვე წამოდგა სკამიდან და წყალი დაადგა ასადუღებლად, მეც არ დავაყოვნე და მოჭრილად დავიწყე:

– გვეყოფა კუკუდამალობანას თამაში, ჯობია, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ, თქვენც დაისვენებთ და მეც. არც იმას დაგიმალავთ, რომ სახელი და გვარი გამოვიცვალე და დღეს ბორჯომში დედაჩემის საფლავზე ვიყავი. არ ვიცი, წინ რა მელოდება, მაგრამ როგორც არ უნდა წარიმართოს ჩემი ცხოვრება, ამაში ბრალი არავის მიგვიძღვის, განსაკუთრებით კი დედაჩემს. დედა, ერთი წუთითაც არ გაიფიქრო, რომ ყოველივე, რაც მოხდა, ჩემს შენდამი სიყვარულზე იქონიებს გავლენას. პირიქით, ახლა უფრო ძალიან მიყვარხარ, ვინაიდან ოცი წელი გავიდა და არ მიგრძნია, რომ შენი ნამდვილი შვილი არ ვიყავი, აფერუმ შენს ქალობას... მამა, შენში კი იმ კაცობას ვაფასებ, რაც აქამდე გაგიკეთებია. დღეიდან ჩვენი სამივეს ცხოვრება ისევ ისე გაგრძელდება, როგორც აქამდე იყო...

მამაჩემი ჩუმად იჯდა, ერთი კი თქვა, შვილო, მე და დედაშენი ისე მოვიქცევით, როგორც შენ გაგიხარდებაო...

...წერილებს იტალიიდან უკვე ჩემს სახელზე ვიღებდი. კონვერტს ჩემი სახელი და გვარი – მარიო მერონი ეწერა.

მე როგორც კი გვარი და სახელი შევიცვალე, მაშინვე შევატყობინე მილანში ბებია კანჩეტინოსა და ბიძებს.

...ბებია და ბიძები სიხარულს ვერ ფარავდნენ ჩემი ასეთი გადაწყვეტილების გამო და შემპირდნენ, რომ მიწვევას გამომიგზავნიდნენ. ზაფხულში იტალიას, დედულეთს უნდა ვწვეოდი.

ასეც მოხდა, მაისის ბოლოს მომივიდა ოფიციალური მიწვევა. ბებია კანჩეტინო თავის შვილიშვილს მილანში ეპატიჟებოდა სამი თვით. ეს ამბავი მაშინვე ჩემს ბიჭებს შევატყობინე.

იმ დროს ყველა ქვეყნის საელჩო და საკონსულო მოსკოვში იყო თავმოყრილი და თუ ვინმეს, რომელიმე რესპუბლიკიდან სადმე საზღვარგარეთ გასამგზავრებლად ვიზა ესაჭიროებოდა, მოსკოვში უნდა ჩასულიყო გასაუბრებაზე.

მე ტელეფონით დავუკავშირდი იტალიის საკონსულოს, სადაც ამიხსნეს, რომ უნდა შემეგროვებინა სხვადასხვა საბუთი და ნოტარიუსით დამოწმებულ პასპორტის ასლთან ერთად გამეგზავნა საკონსულოში, საიდანაც რამდენიმე დღეში გამომიძახებდნენ გასაუბრებაზე..

...10 ივნისს ზუსტად ათის ნახევარზე ვიყავით საკონსულოსთან. ხალხი არცთუ ისე ბევრი იყო, ჩვენ წინ ხუთიოდე კაცი იდგა რიგში.

ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ სულ ტყუილად. ჩემი დრო რომ მოვიდა, პასპორტი ფანჯარაში მივაწოდე. მითხრეს, დაბრძანდით და დაელოდეთო. ნახევარ საათში დაიძახეს – „მერონი!“. მე ჩაფიქრებული ვიჯექი და ვერც კი გავიგე, რომ ჩემს გვარს იძახდნენ. მხოლოდ ხელახალი გამოძახების შემდეგ მოვეგე გონს და ფანჯარასთან მივედი. ოფიცერმა გამიღიმა და პასპორტი მომაწოდა. გადავშალე, პასპორტში იტალიაში გასამგზავრებელი სამთვიანი ვიზა იყო ჩარტყმული.

– ბიჭია თუ გოგო? – შენობიდან გამოსვლისთანავე მომვარდა გიური.

– ბიჭია, ბიჭი! – ვუპასუხე. ახლა კუკური წაეტანა ჩემს პასპორტს, გადაშალა და დაათვალიერა.

– ძმაო, ბედი შენ გქონიაო, – მითხრა და ერთი მაგრად გადამკცნა, მერე გიურიმაც მომილოცა...

...რომში რეისები კვირაში მხოლოდ ორ დღეს სრულდებოდა, ოთხშაბათს და შაბათს. ბილეთი რეისზე მოსკოვი-რომი ივნისის ბოლო შაბათისათვის დავჯავშნე, ვიფიქრე, ჩემიანებს შევატყობინებ და რომში დამხვდებიან-მეთქი. ასეც მოვიქეცით.

თვითმფრინავი დილის რვა საათზე მიფრინავდა და რომში მოსკოვის დროით 10 საათზე ჩაფრინდებოდა, რადგან სხვაობა მოსკოვისა და რომის დროებს შორის 3 საათი იყო...

...ბორჯომში წასასვლელად ბიჭები აღარ შემიწუხებია. ელექტრიჩკით – „თბილისი-ბორჯომი“ დილაადრიან მარტო გავემგზავრე. მატარებელი ბორჯომამდე ოთხ საათს მოუნდა. გზად ბაზარი უნდა გამევლო, ყვავილები იქ ვიყიდე. იქვე სანთლებიც შევიძინე და ფეხით ავუყევი სასაფლაოს აღმართს. ნელა მივდიოდი.

ეკლესია დაკეტილი დამხვდა, ეტყობოდა, დედაო სადღაც იყო წასული. დედაჩემის საფლავზე ყვავილები დავაწყვე და სანთლები დავანთე. ვუყურებდი დედაჩემის სურათს, მეჩვენებოდა, რომ ფიქრით ხან აღმა დავქროდი და ხან – დაღმა. დედა ყველგან ჩემ გვერდით იყო და დამფარფატებდა. მივედი, ნაზად მივეფერე და ყურში ჩავჩურჩულე: დედა, შენს სამშობლოში მივდივარ. უშენოდ, მარტო, შენი დედიკო და ძმები უნდა ვნახო და გავიცნო, ხომ არაფერს დამავალებ, ძვირფასო-მეთქი. ჩემს დასმულ კითხვებს ისევ მე ვპასუხობდი: ვეტყვი, რომ ყველანი ძალიან, ძალიან გენატრებიან, იქნებ ვინმემ მოახერხოს იტალიიდან ერთი მუჭა მიწის ჩამოტანა და გულზე დაყრა.

სასაფლაოზე დაახლოებით ერთ საათს დავყავი, ცოტა მივალაგ-მოვალაგე, საფლავს სურათი გადავუღე, მერე ორი მუჭა მიწა ავიღე, პარკში ჩავყარე და დედაჩემს გამოვემშვიდობე...

...იტალიის დროით ათ საათზე ჩვენი თვითმფრინავი რომის აეროპორტში დაეშვა. მე ჩანთა სატვირთო განყოფილებაში არ ჩამიბარებია, რათა იქ, აეროპორტში, მის აღებაზე დრო არ დამეკარგა.

თვითმფრინავს ტრაპი მოადგა თუ არა, ავწრიალდი. თვალების ცეცება დავიწყე. თუმცა ძალიან კარგად ვიცოდი, აეროპორტის შენობამდე ჩემიანებს ვერ შეეხვდებოდი. თვითმფრინავის ტრაპთან მდგარ ავტობუსში მგზავრების პირველსავე ნაკადთან ერთად ავედი. ასვლით კი ავედი, მაგრამ აეროპორტის შენობას რომ მივაღწიეთ, თითქოს გული გამიჩერდა, მის ცემას ვეღარ ვგრძნობდი. ავტობუსიდან ყველაზე ბოლოს ჩამოვედი და ნელი ნაბიჯით შევედი ვესტიბიულში. ვგრძნობდი, რომ რეალურად დადგა ის წუთები, როდესაც ხელახლა დავიბადე.

კანჩეტინო და მარიო მერონები

უცებ ყურებში მესმის ქალის კივილის მაგვარი, გაოგნებული ხმა „მარიო, ჩემო მარიო!..“ და ჩემკენ დაიძრა ადამიანთა გუნდი, რომელსაც წინ შავ კაბაში გამოწყობილი, 70 წელს მიღწეული, დაბალი, წელში ოდნავ მოხრილი ქალი, ბებიაჩემი კანჩეტინო მოუძღოდა. მე ჩანთას ხელი გავუშვი და ინსტინტურად, ასევე ყვირილით „ბებია, ბებია!...“ მოხუცი ქალისაკენ გავიქეცი, წელზე ხელი შემოვხვიე, ჰაერში ავიტაცე და შემოვტრიალდი, არ ვიცი, ზუსტად რამდენი წუთი გრძელდებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ის კი მახსოვს, მას რომ ვერ მაცილებდნენ. ბებია იატაკზე ნელა ჩამოვსვი, მის მუხლებთან ჩავიკეცე და ხელები ფეხებზე შემოვეხვიე. ტიროდა ბებია, ვტიროდი მეც, ტიროდა ამ შეხვედრის ყველა შემსწრე.

უცებ ვიღაცამ ხელი შემაშველა და წამოვდექი.

– ბიძია ფილიპო! – წამოვიძახე და ახლა მას გადავეხვიე. შემდეგ ბიძია ალბერტო, მათი მეუღლეები, ჩემი ოთხი ბიძაშვილი გოგონა და ორი პატარა ბიძაშვილის შვილი... ყველას ვკოცნიდი და ყველა მკოცნიდა. ხელში პატარა გოგონა მეჭირა, გარს უამრავი ხალხი მეხვია, ყველა იცრემლებოდა.

სიტუაცია ისევ ბებია კანჩეტინომ განმუხტა, მკლავში ხელი გამიყარა, ხმამაღლა დაიძახა, გეყოფათო და გასასვლელისაკენ გაგვიძღვა. ბებიას ჩემთვის ხელი ისე მაგრად ჰქონდა ჩაჭიდებული, თითქოს პატარა შვილი გადასასვლელზე გადაჰყავს და ფიქრობს, არ გამექცესო.

ასე მივედით მანქანების სადგომამდე. წინ ბიძაჩემი ალბერტო წავიდა და რაღაცა ცხვირმოჭრილი მანქანის გვერდითი კარი გააღო. ეს იყო ჩვენი „რაფის“ მსგავსი მიკროავტობუსი. იქვე გვერდით თანამედროვე მოდელის „ფიატიც“ იდგა, იმის კარებიც გააღეს.

უცებ მომაგონდა და ჩანთა მოვიკითხე. იგი ბიძია ფილიპოს მოჰქონდა, ჩემს, ცოტა არ იყოს შეშფოთებულ შეკითხვაზე გაიცინა და თქვა, ჩვენთან, იტალიაში არაფერი იკარგებაო, არადა ფილმებიდან სწორედ სრულიად საპირისპირო ვიცოდი იტალიელების შესახებ.

მე და ბებია კანჩეტინო „ფიატის“ უკანა სავარძელში ჩაგვსვეს, წინ ბიძაშვილი, ლამაზი, შავგვრემანი გოგონა დაჯდა, საჭესთან კი ბიძია ფილიპო. დანარჩენები იმ ცხვირმოჭრილ მანქანაში მოთავსდნენ. ფილიპო ბიძიამ სარკეში გაიხედა და თქვა, ყველანი აღგილზე ვართ და წავედითო.

(გაგრძელება იქნება)

პაიპერ პერაბო — შესაძლოა, ეს სახელი თქვენთვის დღეს არაფრისმთქმელია. ეს გოგონა ამერიკის ფარგლებს გარეთ, ჯერჯერობით პოპულარული არ არის, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დანარჩენი მსოფლიოს კინომოყვარულები მის შესახებ სულ მალე შეიტყობენ.

პაიპერ პერაბო - პროვინციელი გოგონა, რომელმაც ჰოლივუდის დაპყრობა შეძლო

პაიპერი ნიუ-იორკის მიყრუებულ გარეუბან ნიუ-ჯერსიში 1977 წლის 31 ოქტომბერს დაიბადა. ასეთი ქალაქების ბინადართა უმრავლესობა დიდ მეგაპოლისში, მათი აზრით, წარმატებული და იღბლიანი ხალხის გვერდით ცხოვრებაზე ოცნებობს. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ ფილმში — „ბარი — „საძაგელი კოიოტი", რომელმაც პაიპერს დიდი ეკრანისაკენ მიმავალი გზა გაუკვალა, მან საკუთარი თავი განასახიერა. მისი გმირიც ხომ ნიუ-იორკის დაპყრობაზე მეოცნებე პროვინციელი გოგონაა. საზოგადოდ, პროვინციელი გოგონას ბედი, რომელიც პატიოსნებისა და კეთილი გულის წყალობით სანუკვარი ოცნების განხორციელებას შეძლებს — ტრადიციული ამერიკული თემა გახლავთ.

პაიპერის მშობლები პედაგოგები არიან. მამა ინგლისური ლიტერატურის პროფესორია, დედა კი, ჩვეულებრივი კოლეჯის მასწავლებელი. პაიპერი მათი პირველი შვილია. მის გარდა ოჯახში ორი უმცროსი ვაჟი — ადამი და ნოე იზრდებოდა. ყოფილი ჰიპები ქალიშვილისათვის ორიგინალურ სახელს დიდხანს არჩევდნენ. გოგონამ სახელი — პაიპერი — მშობლების კინოსადმი და კერძოდ, კინოკლასიკოსის, რეჟისორ ბლეიქ ედვარდსისადმი უდიდესი სიყვარულის წყალობით მიიღო, რომლის საყვარელი მსახიობი პაიპერ ლორი იყო. ეს ის მსახიობია, რომელმაც სტივენ კინგის ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულ ფილმში „კერი" (1976) და დევიდ ლინჩის სერიალში „ტვინ პიკსი" — ნათამაშები როლებით გაითქვა სახელი. პაიპერს ბედმა გაუღიმა, რომ მშობლებმა არჩევანი ამ სახელზე შეჩერეს, რადგან ოჯახურ თათბირზე სახელი — ინდია სტარიც — სერიოზულად განიხილებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში, მშობლებში ეროვნულმა საწყისმა და არცთუ ისე მდარე გემოვნებამ იმძლავრა და გოგონას საბოლოოდ, შედარებით ნორმალური სახელი შეურჩიეს. რაც შეეხება ეროვნებას, პაიპერი ნახევრად პორტუგალიელია, ნახევრად კი, ნორვეგიელი. ამ საინტერესო შეჯვარების წყალობით, ის განგებამ მგრძნობიარე და ამავდროულად, ოდნავ ცივი სილამაზით დააჯილდოვა. პატარა პაიპერი გულისხმიერი და გულღია ბავშვი იყო. კეთილი გულისა და მეგობრის დასახმარებლად მუდამ მზადყოფნის გამო, გოგონა ყველას უყვარდა. პაიპერი ბეჯითად სწავლობდა, ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის მხარდამჭერთა გუნდის მეთაური იყო და ამასთან ერთად, სასკოლო თეატრის დადგმებში ყველა მთავარ როლს თამაშობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, პაიპერმა სამსახიობო ოსტატობა ოჰაიოს უნივერსიტეტში შეისწავლა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი, ნიუ-იორკს მიაშურა, სადაც პატარა თეატრში — „ლამამ" — სტაჟიორად მუშაობდა. მშობლების დახმარება იმის საშუალებას აძლევდა, რომ ღამის კლუბებსა და სასადილოებში მუშაობისათვის თავი აერიდებინა და მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე რესტორნებში ემუშავა ოფიციანტად.

ერთი წლის შემდეგ, პერაბო ეკრანზე მოხვდა. პირველად მცირებიუჯეტიან სურათში — „მარტოსული სივრცე" ითამაშა, რასაც კიდევ რამდენიმე უმნიშვნელო როლი მოჰყვა, შემდეგ კი სურათში — „თეთრი ბიჭები" პაიპერმა მთავარი როლი მიიღო და რეპერობაზე მეოცნებე თეთრკანიანი ბიჭის შეყვარებული განასახიერა. ნორჩი მსახიობი პროდიუსერმა ჯერი ბრუკჰაიმერმა შეამჩნია და რომანტიკულ კომედიაში „ბარი — „საძაგელი კოიოტი" — მომღერლის კარიერაზე მეოცნებე ბარმენი გოგონას მთავარ როლზე მიიწვია. გადაღებების დაწყებამდე პაიპერმა ფორტეპიანოსა და გიტარაზე დაკვრა შეისწავლა, ცეკვისა და ვოკალის გაკვეთილებსაც იღებდა. სამწუხაროდ,

ფილმი ჩავარდა, მაგრამ პაიპერ პერაბომ ცნობილი ამერიკელი კრიტიკოსის როჯერ ებერტის ყურადღება მიიპყრო და მისი დახმარებით 60-იანი წლების პოპულარული მულტსერიალის – „როკისა და ბულვინკლის თავგადასავლის“ რიმეიკში როლი მიიღო. ამ პროექტში პაიპერ პერაბომ რობერტ დე ნიროსა და რენე რუსოს გაუწია პარტნიორობა. სულ მალე მსახიობმა სურათში – „ხელი შემოჰკარი, ის ხომ ფრანგია“, ფრანგი ქალიშვილი, ჟენევიევა, განასახიერა. ამ ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, პაიპერისთვის უკანალზე ხელის შემოკვრის სურვილი ამერიკელი მამაკაცების უდიდეს ნაწილს გაუჩნდა, ხოლო პაიპერ პერაბო კი ჰოლივუდის ვარსკვლავად იქცა. მაგრამ მისთვის სხეულზე ხელის შეხების უფლება მხოლოდ მსახიობის ბოიფრენდს ბრენდან ემერსონს აქვს, რომელთანაც პაიპერი სტუდენტობის წლებიდან მეგობრობს. ოჰაიოელი ფერმერის ვაჟიშვილი თავადაც ფერმერობაზე ოცნებობს, მაღალი საზოგადოების შეკრებებსა და პრემიერებზე შეყვარებულს კეთილსინდისიერად დაჰყვება და „დადებითი ამერიკელის“ როლს შესანიშნავად ასრულებს.

დღეს პაიპერ პერაბო ახალი თაობის სახეა. ის ამერიკელი ახალგაზრდობის იმ ჯანმრთელი ნაწილის სიმბოლოდ იქცა, რომელიც „პეპსის“, მინერალურ წყალს ამჯობინებს. პაიპერის სამაგალითო თვისებებზე განსაკუთრებულად მეტყველებს მისი, როგორც „უკანასკნელი ამერიკელი ქალწულის“ იმიჯი. ლამაზი სახის, ქერა თმისა და თანდაყოლილი ბუნებრიობის წყალობით, ჰოლივუდელი თანატოლებისაგან გამოირჩევა. მისი ბიოგრაფია კი, ამერიკელ მოსწავლეთა აღზრდის შესანიშნავ მაგალითად გამოდგებოდა, პაიპერის ზედმიწევნით დადებითი იმიჯი, ოდნავ შემაწუხებელი რომ არ იყოს. ყველაფერთან ერთად, პაიპერი ჭეშმარიტი ვეგეტარიანელიცაა. ის ჰოლივუდის სხვა ვარსკვლავების მსგავსად, ჰომოსექსუალისტებთან მეგობრობს. მაგალითად, ბარბრა სტრეიზენდის ვაჟთან, ჯოშ ბროლინთან, რომელიც თავის მხრივ, პაიპერის საავტომობილო რბოლებითა და სპორტის ექსტრემალური სახეობებით გატაცებას იზიარებს. პაიპერი ავტო და მოტორბოლების ფანია და სამხრეთ კალიფორნიის გარბენში მონაწილეობაზე ოცნებობს. შესაძლოა, ცისფერ ჯოშ ბროლინთან მეგობრობამ განაპირობა ისიც, რომ მსახიობმა კანადურ სურათში – „ვერ დაგეწევიან“, ლესბოსელი გოგონა განასახიერა.

2002 წელს პაიპერმა ითამაშა ფილმებში: „ყვავილები“ და „შიგნით ვარ“, 2003 წელს ეკრანებზე გამოვიდა მსხვილბიუჯეტიანი ოჯახური კომედია – „ბითუმად უფრო იაფია“, სადაც მსახიობმა თორმეტშვილიანი ოჯახის ერთ-ერთი ქალიშვილის როლი ითამაშა. 2004 წელს მაყურებელმა პაიპერ პერაბოს მონაწილეობით იხილა სურა-

თი – „ჩემი გულის ნაწილი“ და ზღაპარი – „ჯორჯი და დრაკონი“. სულ მალე ეკრანებზე გამოვა ახალი ტრილერი – „ედისონი“, რომელიც კორუმპირებული პოლიციელებისა და ახალგაზრდა ჟურნალისტის დაპირისპირებაზე მოგვითხრობს. ფილმში პაიპერ პერაბოსთან ერთად მონაწილეობენ ცნობილი ვარსკვლავები: კევინ სპეისი, დილან მაკდერმოტი, მორგან ფირიმანი, ესტრადის ვარსკვლავები ლ.ლ. კულ ჯეი და ჯასტინ ტიმბერლეიკი.

აი, რა განაცხადა პაიპერ პერამბომ ერთ-ერთ ინტერვიუში:

— შენ 26 წლის ხარ, მაგრამ კინოს სამყაროში დამწყებ მსახიობად ითვლები. რამდენი ხანია, რაც შენი შემოსავლის ძირითად წყაროდ მსახიობობა იქცა?

– ნიუ-იორკში გადასვლამდე ამისთვის არ მეცალა, რადგან ოჰაიოს უნივერსიტეტში ვსწავლობდი. სწავლის დასრულების შემდეგ, ნიუ-იორკში ჩავედი. იქ ოფიციანტად ვმუშაობდი და თან სინჯებზე დავდიოდი. სამსახური საკმაოდ მალე ვიშოვე: ფილმში – „თეთრი ბიჭები“, როლი ნიუ-იორკში ჩასვლის ერთი თვის თავზე მივიღე. იმ დროიდან მოყოლებული, თავს პროფესიონალ მსახიობად მივიჩნევ, მაგრამ ნორმალურ ანაზღაურებას მხოლოდ ბოლო ხანებში ვეღირსე. ჩემი ადრინდელი შემოსავლით მხოლოდ ელექტროენერგიის ხარჯებს თუ ვფარავდი. ამით, იმის თქმა მსურს, რომ დიდ ქალაქში მსახიობს მძიმე გამოცდა ელის. დამწყები მსახიობი საღამოობით ოფიციანტად მუშაობს, შინ დაქანცული და ძალაგამოლეული ბრუნდება, დილით კი, უთენია დგება და სინჯებისათვის ემზადება. ასე რომ... დასვენებისთვის დრო არ რჩება, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც სასიამოვნო მოსაგონარია.

— თავისუფალ დროს რითი ერთობი?

– უკანასკნელად, გადაღებებს შორის თავისუფალ დროს მეგობართან ერთად ჩვენს ქვეყანაში ვიმოგზაურე. მიყვარს, როდესაც ზურგჩანთამოკიდებული გამვლელ სატვირთო მანქანას შევახტები და სადმე მივემგზავრები. ნიუ-იორკი სწორედ იმიტომ მიყვარს, რომ ამ ქალაქში შეიძლება, ჩანთა მოიკიდო და ქალაქში იმოგზაურო, ისე, რომ წინასწარ ვერც კი წარმოიდგინო, თუ რას გადააწყდები. მე არ მივეკუთვნები მათ რიგს, ვისაც პლაჟებზე ნებივრობა უყვარს.

— მომავალში შენი კარიერა როგორ წარმოგიდგენია?

– იდეალური ვარიანტი იქნებოდა, რომ წელიწადში მხოლოდ ერთ ან ორ ფილმში მეთამაშა, დანარჩენი დრო კი ნიუ-იორკის თეატრში გამეტარებინა. უილემ დეფო ავანგარდულ თეატრსა და კინოში მუშაობს. ამაზე არც მე ვიტყოდი უარს. ■

რეჟისორი რიზ უიზერსპუნთან შემდგომ თანამშრომლობაზე უარს ამბობს

ფილმის – „ქერათმიანი ადვოკატი“ რეჟისორმა რობერტ ლუკეტიჩმა განაცხადა, რომ რიზ უიზერსპუნთან მუშაობა აღარ სურს. მან რიზი პირდაპირ გადასაღებ მოედანზე გაიცნო და მალე მიხვდა, რომ ჯენიფერ ლოპესთან და ჯეინ ფონდასთან მუშაობაც კი გაცილებით საინტერესო ყოფილა, ვიდრე რიზ უიზერსპუნთან. „ის ტრაილერიდან გამოდიოდა და კითხულობდა – „რაზე იცინით?“ ის ფილმზე მუშაობის პროცესს მეტისმეტად სერიოზულად ეკიდებოდა. რიზთან ვერაფრით დავამყარე ისეთი კონტაქტი, როგორიც ჯეი ლოსთან და ჯეინ ფონდასთან მქონდა. ამ ქალში არის რაღაც ამოუცნობი“, – დაიჩივლა ლუკეტიჩმა. შეკითხვაზე, მიიწვევს თუ არა რეჟისორი უიზერსპუნს ფილმის – „დალასი“ – გადაღებებზე, ლუკეტიჩმა განაცხადა: „არავითარ შემთხვევაში. ფილმის გადაღების პროცესი მხიარულად უნდა მიმდინარეობდეს!“. ■

მადონა ანტონიო მანდერასს „ჩექმებიანი კატის“ გასმოვანებაში დაეხმარება

ცნობილი გახდა, რომ მადონა ახალი მულტფილმის – „ჩექმებიანი კატა“ ერთ-ერთ პერსონაჟს გაახმოვანებს. ეს ანიმაციური ფილმი „შრეკი-2“-ის გაგრძელება იქნება და მასში მხიარული კაცი-ჭამია ანტონიო ბანდერასის ხმით ილაპარაკებს. „მადონას მისი ადრინდელი საქმიანობისაგან კარდინალურად განსხვავებული რამის გაკეთება სურდა და ეს პროექტი სწორედ შესაფერისი აღმოჩნდა“, – განაცხადა მადონას ერთ-ერთმა მეგობარმა გაზეთ The Sun-ისათვის მიცემულ ინტერვიუში და დასძინა, რომ მომღერალი შრეკით აღფრთოვანებულია და მთავარი გმირის ბანდერასის ხმით ალაპარაკების იდეა ძალიან მოსწონს. მალე მადონა მისივე ზღაპრის – „ინგლისური ვარდები“ – მოტივების მიხედვით გადაღებული მულტფილმის გახმოვანებაშიც მიიღებს მონაწილეობას. ■

ელიზაბეტ ჰარლი TV–სა და ლიფტის გარეშე ცხოვრების სიკეთე

ელიზაბეტ ჰარლი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, თითქოს ის დღეში მხოლოდ ერთხელ ჭამს. „ნაღვლის ბუშტში კენჭები მაქვს, ამასთან ერთად, სისხლში შაქრის დაბალი შემცველობაც მაწუხებს. დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ რომ ვიკვებებოდე, საავადმყოფოში მოხვედრა არ ამცდებოდა. საჭმლის გარეშე 4 საათსაც კი ვერ ვძლებ – მაშინვე ფიზიკური სისუტე მეუფლება“, – ამბობს მსახიობი. მისი შესანიშნავი აღნაგობის საიდუმლო კი ის გახლავთ, რომ მას: ა) არა აქვს ტელევიზორი; ბ) ბევრს დადის ფეხით; გ) გატაცებულია მებაღეობით; დ) თავად ასეირნებს ოთფეხა მეგობრებს; ე) შვილთან ერთად ყოველდღე დარბის; ვ) მეხუთე სართულზე ფეხით ადის და ა.შ. შემდგომი კომენტარები ზედმეტია! ■

ნაომი კემპბელი მრისხანემის მართვას სწავლობს

ბრიტანელი სუპერმოდელი ნაომი კემპბელი პოპულარული ინგლისური სუპერმარკეტთა ქსელი Tesco-ს სახე გახდა. ნაომის სარეკლამო კამპანიათა არსენალში H&M და Accessorize უკვე არის, მაგრამ ნაომი მათთვის მხოლოდ პოსტერებისა და ბილბორდებისთვის პოზირებდა და ახლა კი სარეკლამო რგოლი ტელევიზიისთვისაც მზადდებაა, რომელიც პრაიმ-ტაიმში გავა. ცნობილი შავკანიანი სუპერმოდელის მონაწილეობით გადაღებულ ახალ სარეკლამო ვიდეოკლიპში ასახულია, თუ როგორ მიდის ოტელში ნაომი, რომელსაც ტანთ პოპულარული იაფფასიანი ამერიკული ლეიბლის – Cherokee-ს სამოსი აცვია. ამ ლეიბლის ტანსაცმელს დიდ ბრიტანეთში სწორედ Tesco ავრცელებს. ხუთწამიან კლიპში ნაომი ერთიმეორის მიყოლებით განდევნის მხედველობის არეში აღმოცენებულ წარწერებს, რომლებშიც საუბარია იმაზე, რომ მას მოდის შეუფერებლად აცვია. რგოლის ავტორებმა ამგვარად გაათამაშეს ნაომის ამას წინანდელი მკურნალობის კურსი ნევროზების კლინიკაში, სადაც მოდელი მრისხანების მართვის კურსს გადიოდა. ეს Tesco-ს ახლანდელი კამპანიის მეორე კლიპია. ჯერჯერობით უცნობია, მიიღებს თუ არა ნაომი მონაწილეობას მომდევნო გადაღებებში. „ეს მარკა სახელოვანი კონკურენტების Gap-ისა და H&M-ის დონის სამოსს აწარმოებს, ამაზე პროდუქციის ხარისხი თავად მეტყველებს!“ – განაცხადა Cherokee-ს პრესმდივანმა. ■

ჭორები „ბედის ირონის“ სიკვლის გამო

რუსეთის ტელევიზიის „პირველი არხი“ ლეგენდარული სურათის – „ბედის ირონია ანუ გაამოთ“ – გაგრძელებას გადაიღებს. როგორც ცნობილი გახდა, „ბედის ირონია-2“-ს ელდარ რიაზანოვის ნაცვლად სუპერშემოსავლიანი ფილმის – „ღამის დაზვერვა“ რეჟისორი თემურ ბეკმამბეტოვი გადაიღებს. ამ ჭორებს „პირველი არხი“ ჯერჯერობით კომენტარის გარეშე ტოვებს, მაგრამ პრესაში უკვე გაჟონა ინფორმაციამ მომავალი ფილმის ბიუჯეტის შესახებ. სცენარის შინაარსი კი ასეთია: ექიმი ლუკაშინისა და ნადიას შეხვედრიდან ოცდაათმა წელმა განვლო. სიკველში მათი ვაჟი, რომელსაც მამასავით ჟენია ჰქვია და ისიც ექიმია, ახალი წლის წინ პიტერში მიემგზავრება, რათა ექიმ-მანუალისტთა კონფერენციაში მიიღოს მონაწილეობა. კონფერენციის შემდეგ ზომაზე მეტად შექეიფიანებული ჟენია მეგობრებთან ერთად თვითმფრინავში ჯდება და იძინებს. გამოღვიძების შემდეგ გადაწყვეტს, რომ თვითმფრინავი უკვე მოსკოვში ჩაფრინდა. ტაქსიში ჯდება და ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ მისამართზე გაემგზავრება, სადაც, რა თქმა უნდა, მამასავით ლოგინში წვება და იძინებს. მოგვიანებით ირკვევა,რომ ამ ბინაში იპოლიტის მომხიბვლელი ქალიშვილი – ნადეჟდა ცხოვრობს. გამოფხიზლებული ჟენია გოგონას გულს დაიპყრობს. იპოლიტი ისტერიკაში ვარდება, ლუკაშინებიც თავზარდაცემულნი არიან. ყველანი პეტერბურგში იკრიბებიან. იქვე არიან ნადიას მეგობარი ქალებიც. როგორც ვარაუდობენ, ფილმში მონაწილეობას მიიღებენ მსახიობები: ანდრეი მიაგკოვი, ბარბარა ბრილსკა, ალექსანდრ შირვინდტი, ალექსანდრ ბელიავსკი, კონსტანტინ ხაბენსკი და გოშა კუცენკო. იური იაკოვლევმა იპოლიტის როლზე უარი განაცხადა. „ორი-სამი თვის წინ იპოლიტის როლი შემომთავაზეს და სცენარი გამომიგზავნეს. სცენარის წაკითხვის შემდეგ, ამ ამბის მიმართ გულგრილი დავრჩი. იპოლიტს არ ვითამაშებ. ჩემი აზრით, „ბედის ირონია“ ის სურათია, რომელიც ერთადერთ ეგზემპლარში უნდა დარჩეს. ეს დასრულებული ამბავია და ჩვენ მასში ყველაფერი ვთქვით!“ – განაცხადა იური იაკოვლევმა. ვალენტინა ტალიზინამაც დაადასტურა, რომ სიკველის ავტორებმა მასაც მიმართეს. ტალიზინამ რაიაზანოვის სურათში ნადიას მეგობარი განასახიერა. „რეჟისორის ასისტენტმა დამირეკა და მითხრა, რომ სცენარს გამომიგზავნიდა, მაგრამ შემდეგ პროექტი რატომღაც გადაიდო“, – ამბობს მსახიობი. 1975 წელს გადაღებული ფილმი „ბედის ირონია ანუ გაამოთ“ ეკრანებიდან დღესაც არ ჩამოდის. მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელმა სურათი თითქმის ზეპირად იცის, ხალხი მას ყოველ ახალ წელს კვლავ და კვლავ სიამოვნებით უყურებს. ფილმის რეჟისორი ელდარ რიაზანოვი აღფრთოვანებულია ხალხით, რომელიც აგერ უკვე 30 წელია, ყოველ 31 დეკემბერს მის სურათს უყურებს. „საოცრად მსიამოვნებს, რომ ჩემი ნაწარმოები ჭეშმარიტად სახალხო ფილმი გახდა“, – აღიარა რეჟისორმა. ■

ჯეი ლო პაპარაცების შესახებ

მადონასა და მერაია კერის კვალდაკვალ, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა ჯენიფერ ლოპესმაც გადაწყვიტა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის საბავშვო ზღაპრების ნაცვლად, თავის წიგნში ვარსკვლავური ცხოვრების სირთულეებსა და აბეზარი პაპარაცებისგან თავის დაღწევის ხერხებზე მოგვითხრობს. ჯეი ლოს პაპარაცებთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება აქვს. მისი და ბენ აფლეკის რომანისადმი მიძღვნილმა და მასმედიაში ასახულმა სიუჟეტების რაოდენობამ ხომ ყველა რეკორდი მოხსნა და საბოლოოდ, ქორწილიც ჩაიშალა. „პოპულარობისა და სიმდიდრისგან წარმოქმნილ პრობლემებზე საქვეყნოდ წუწუნი მიღებული არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემები არ არსებობს. მათთან გასამკლავებელი სახელმძღვანელო კი არ არსებობს და ამიტომ, ასეთი წიგნის დაწერა თავად გადავწყვიტე“, – განაცხადა ჯენიფერ ლოპესმა. ■

„ამ აპარატს ტომიც კი აფარებს“, – ამბობს ტომ კრუზის მომსიმღერალი იტალიელი მეგობარი

ტომ კრუზის იტალიელ მეგობარს, ივონ შიოს სახლი ლოს-ანჯელესში აქვს, დანტისტთან კი ნიუ-იორკში დადის. Corriere della Sera-ს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ივონმა იმის შესახებ ილაპარაკა, თუ როგორ ზრუნავენ საკუთარ კბილებზე ჰოლივუდელი ვარსკვლავები. როგორც ივონ შიომ განაცხადა, მის ბოიფრენდს, ტომ კრუზს კბილებთან დაკავშირებული პრობლემა აწუხებს. ასაკის მატებასთან ერთად, ტომ კრუზის კბილები ადგილს იცვლიან და მათ გასასწორებლად ტომი იმ აპარატს ხმარობს, რომელიც კბილებს პირის ღრუში აფიქსირებს. ორი წლის წინ, „ოსკარების“ ცერემონიაზე ტომ კრუზი პირში ბრეკეტებით გამოცხადდა. კბილების სითეთრე ამერიკელთა იდე ფიქსია. თურმე, ჯენიფერ ლოპესი კბილების გასათეთრებლად სპეციალურ აპარატს იყენებს. შიომ აღიარა, რომ გერმანელი სუპერმოდელის, ჰაიდი კლუმის რჩევით, ამგვარ აპარატს თავადაც ხმარობს. აპარატი გამჭვირვალე პლასტიკატისაგან დამზადებულ თეჯირს წარმოადგენს და მოკრივეთა კბილების დამცავს წაგავს. თეთრი კბილების მოყვარული, ამ აპარატს მათეთრებლით ავსებს და 15 წუთის განმავლობაში კბილებზე იკეთებს. 10 დღის შემდეგ კი, მისი კბილები თეთრად ელვარებს. მაგრამ როგორც ივონმა განაცხადა, ამერიკელებს ყველაფერში გადამლაშება სჩვევიათ. ზოგიერთებს იმდენად ფითქინა კბილები აქვთ, რომ „მათ მუქი სათვალის გარეშე ვერ შეხედავთ. ხშირად მეუბნებიან, რომ ჩვენ, იტალიელებს ჩაყვითლებული კბილები გვაქვს. მათი აზრით, ჩვენ ქვის ხანის ადამიანები ვარ. სინამდვილეში კი თავად მეტისმეტი მოსდით. ზოგიერთი ამერიკელი, მათ შორის კრუზი, იმის შიშით, რომ კბილებზე ლაქები გაუჩნდება, ყავას სათოფეზეც კი არ ეკარება“, – განაცხადა შიომ და დასძინა, რომ კბილების სამკურნალოდ მუდამ ნიუ-იორკში დადის, რადგან იქ საუკეთესო თანამედროვე ტექნიკა და დაბალი ფასებია. ■

ერთი — გრძელი, მეორე — ვიწრო, მოდის მიდი... რა ხდება

გაზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებით ალბათ, ყველა ქალბატონი (და არა მხოლოდ ქალბატონები) გაცილებით მეტს ფიქრობენ იმაზე, თუ რა ჩაიცვან... ახალგაზრდა დიზაინერმა ნანა მელქაძემ ამას წინათ, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრში გამართა ჩვენება, რომელსაც „ცნობილი ქალბატონები“ ერქვა. როგორია მისი თვალით დანახული მოდა, ვინ მოიპარა მისი იდეა და რა სარგებლობა მოაქვს ნახმარ ჯინსს — ამ ყველაფერზე თავად ნანა გვესაუბრება.

ნათია ქივიძე

— თავდაპირველად, იმ შენს ჩვენებაზე მოგვიყევი, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიმართა. რომელი ქართველი ცნობილი ქალბატონები მონაწილეობდნენ მასში?

— საერთოდ, ჩემი მუშაობის პრაქტიკიდან გამომდინარე, ბევრ ცნობილ ქალბატონთან მიხდება მუშაობა და მოგეხსენებათ, რომ მანეკენებისგან განსხვავებით, მათ ტანზე სამოსის მორგება გაცილებით რთულია. თან, მათ საკმაოდ პრეტენზიული გემოვნება აქვთ. თუმცა, ჯერჯერობით, ჩემ მიერ შეკერილი კოსტიუმით უკმაყოფილო არავინ დარჩენილა, ზოგიერთ მათგანს ჩემ მიერ შექმნილი მთელი გარდერობი აქვს... ამ ჩვენებაში მონაწილეობდნენ: ლალი ტოტიკაშვილი, კრისტი ყიფშიძე, თამუნა ამონაშვილი, ნატო გელაშვილი, ირმა სოხაძე, თათია გიორგობიანი, მაია ბარათაშვილი, გულიკო ჭანტურია, მზია კვირიკაშვილი, ლიზა ვადაჭკორია, ნინო ტურაბელიძე, კატო კვიციანი, ქეთი წიკლაური, ვერიკო ტურაშვილი, ნინო ძოწენიძე, ნანა ცინცაძე, ხათუნა გვენეტაძე. ისინი ნაწილობრივ თავიანთ ამპლუაშიც იყვნენ, რადგან ყველა მათგანმა საკუთარი რეპერტუარი წარმოადგინა: მომღერლებმა იმღერეს, მზია კვირიკაშვილმა კი, თავისი სკეტჩებით გაგვამხიარულა. ჩვენებაში გამოყენებული იყო თეა მნათობლიშვილის ფეხსაცმლის კოლექცია. ასეთი ჩვენება საქართველოში ჩემამდე არავის მოუწყვია და ეს სიახლე იყო. თუმცა, ჩემ შემდეგ, ვიღაცას ალბათ მოეწონა ეს იდეა და მსგავსი სახის ჩვენება ჩაატარა... ეს ღონისძიება საქველმოქმედო იყო, კასპელ ინვალიდ ბავშვებს საჩუქრები გადავეცით. ჩვენების რეჟისორები იყვნენ არაჩვეულებრივი, ახალგაზრდა და უნიჭიერესი ბიჭები — დაჩი დარჩია და ბასა სამხარაძე.



— ნანა, ახლა დღევანდელ მოდაზე გვითხარი — რას ურჩევ მანდილოსნებს?

— დღეს ბევრს უნდა, რომ ძალიან მოდურად ეცვას და ეს ულტრათანამედროვე სტილი მის ინდივიდუალურობას ხაზს უსვამდეს. ამ მხრივ, დღევანდელი მოდა თავისი ტენდენციების, სტილისა თუ ფერების მხრივ, დიდი არჩევანის წინაშე გვაყენებს. ადრე თუ მოდა გვაიძულებდა, რაიმე კონკრეტული სამოსი ჩაგვეცვა, რომელიც იდეალური სხეულის ფორმას მოითხოვდა, დღეს თამამად შემიძლია ისეთი უჩვეულო რამ შევქმნა, რაც მის ნაკლს დაფარავს და ღირსებებს წარმოაჩენს. ამაშია მოდის მთელი საიდუმლოება — იყო ორიგინალური და საერთო ტენდენციების მიუხედავად, არავის ჰგავდე. ძალიან მომწონს ის ფაქტი, რომ მკაცრმა სტილმა უკანა პლანზე გადაიწია და აბსოლუტურად ქალური სილუეტები გახდა აქტუალური. ახლანდელ მოდაში ხშირად ამოიცნობთ თქვენი ბებიების დროინდელ პიჯაკებს, ქვედაბოლოებს და ა.შ. ყველა დიზაინერი ერთხმად აღიარებს, რომ ქალს ქალურობა უხდება და მეც ამ აზრს ვეთანხმები. ხოლო რაც შეეხება მამაკაცებს, ისინი ელეგანტურობით უნდა გამოირჩეოდნენ, რა პროფესიისაც არ უნდა იყვნენ. თუმცა, ეს ელეგანტურობა ზედმეტ სიმკაცრეს არ გულისხმობს.

— მაინც რა ტენდენციებია მოდაში?

— ნაკეცები, გოფრე, „დრაპი“, რელიეფური გვირისტი ამ სეზონზე ძალიან მოდურია. სეზონის მთავარი ფერია თეთრი და პასტელის ტონალობები. ასევე მოდაშია მხარზე გადასაკიდი ჩანთები, რომლებიც გაფორმებული იქნება ბახრამებით, ბისერებით, რგოლებით და მეტალის დეტალებით. ხოლო პიჯაკები — ორბორტიანი, ოდნავ წელში გამოყვანილი. XX საუკუნის 50-ანი წლების ფართო შარვალი, შერწყმულია 70-იანი წლების მოკლე შარვალთან. მნიშვნელოვნად ამაღლდა შარვლის წელის სიმაღლე. აფრიკული, ბოშური, მექსიკური და სხვა ხალხური მოტივები სუპერმოდურია. ასევე ძალიან მოდურია მოკლე ჟაკეტები, პიჯაკები და ფუშფუშარუშებიანი ქვედაბოლოები.

— ვისთან ერთად მუშაობ?

— მყავს მენეჯერი, თამუნა შალიკაშვილი, რომელიც ჩემი მარჯვენა ხელია და ყველაფერში მეხმარება. მიმაჩნია, რომ კოლექტივი, ჩემი ოჯახია. თანამშრომ-

„თუ ბიყვაჩს, უნდა დაუთმო“ – კაცს ყველაფერი ეპატიება?

ამჯერად ყველასათვის საყვარელი იუმორისტი მზია კვირიკაშვილი მოგვიყვება თავის სასიყვარულო ამბებს. ამ მხიარულ ქალბატონს სიყვარულში არ გაუმართლა. სამაგიეროდ, მას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, რომლებიც სიყვარულს წერილობით უხსნიან ხოლმე...

მერი კობიაშვილი

— სიყვარულით გამოწვეული პირველი სევდა და ცრემლები საბავშვო ბაღში ვიგემე. ჯგუფში ჩემთან ერთად, ლევანიკო დადიოდა, რომელიც ბავშვურად შემიყვარდა. თან, ისე ძლიერად, რომ ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, ჩემთვის ყველაზე სანატრელი და საყვარელი რამ — კისელი დამეთმო მისთვის. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ უნამუსომ არც კი შეხედა ჩემს საჩუქარს!.. მწარედ ავტირდი. თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი. საოცარი მიმტევებლობის გრძნობა მაქვს. ჩემი ეს თვისება ბავშვობაშივე გამომჟღავნდა. ლევანიკოსგან მოყენებული წყენა მეორე დღეს აღარც მახსოვდა და კისელი კვლავ დავუთმე. ამჯერად უარი არ უთქვამს. სულმოუთქმელად დალია. ოღონდ, არ ვიცი — რატომ: კისელი მოუნდა თუ მასაც მოვეწონე, დღემდე არ ვიცი. ჩემი აზრით, მასაც მოვწონდი, რადგან მოგვიანებით, ბაღის ზეიმზე ჩემთან ერთად ცეკვა მოინდომა.

— ალბათ, ლევანიკო სკოლაში მისვლის შემდეგ, მალევე დაგავიწყდათ?

— რა თქმა უნდა. მეხუთე კლასამდე, რუსულ სკოლაში ვსწავლობდი. დედაჩემს შეეშინდა, არ გავრუსებულიყავი და ქართულ სკოლაში გადამიყვანა, საღაც ჩემს მომდევნო სიყვარულის ობიექტს შევხვდი. ბავშვობიდან მიტაცებდა დასარტყამი ინსტრუმენტები. დღესაც, როგორც კი მათ ხმას გავიგონებ, ტინეიჯერებთან ერთად რომ ვიჯდე, ასაკი მავიწყდება და პირველი მე ვიწყებ ცეკვას... ახალ სკოლაში გადასულს, მე-9, მე-10 კლასელებისგან შემდგარი ანსამბლი დამხვდა. რაღა თქმა უნდა, პირველად თვალი დასარტყამი ინსტრუმენტისკენ გამექცა და ეს ინსტრუმენტიც და „დამრტყმელიც“ ერთნაირად შემიყვარდა. ის მეცხრეკლასელი იყო. ჩემს გრძნობას პირველი ვერაფრით გამოვამჟღავნებდი. თან გავიგე, რომ მას უკვე ჰყავდა შეყვარებული. სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი პირველი ტრაგედია და გულისტკივილი. გავიგე, ვიღაც რუსი გოგონა უყვარდა. ჩემი ტანჯვა ორი წელი გრძელდებოდა. ისიც არ ვიცოდი, როგორ უნდა მომეხერხებინა მისი გაცნობა. არადა, დღე და ღამე მასზე ვფიქრობდი. იმ პერიოდში, ძალიან მოდაში იყო ფილმ „მზიური ველის სერენადის“ სიმღერა — „ჩუჩუ“. იმ ბიჭის ტელეფონის ნომერი დიდი „პროტეჟებით“ გავიგე. საცოდავს ყოველდღე ვურეკავდი და „ჩუჩუს“ ვასმენინებდი. თან ხმას არ ვიღებდი. ჩემთვის ისიც საკმარისი იყო, რომ

ლების მიმართ შრომის კანონმდებლობას არ ვარღვევ, მხოლოდ საკუთარ თავს ვუსჯი დღე-ღამეში საშუალოდ, 18 საათს... მყავს ერთგული მეგობრების ვიწრო წრე, რომელთა მოსაზრებები და რჩევები ხშირად ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი საქმიანობისთვის.

— შენი, როგორც დიზაინერის აზრით, რატომ არის, რომ გოგონებს შარვლების ჩაცმა უფრო უყვართ, ვიდრე ქვედაბოლოების?

— ეს ალბათ, შარვლის პრაქტიკულობიდან გამომდინარეობს. ქალი შარვალში გაცილებით კომფორტულად გრძნობს თავს. თუმცა, ამ სეზონში, ქვედაბოლოები კვლავ მოდაშია. ბოშური და ესპანური სტილის რუშებიანი ქვედაბოლოები ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციაა დღეს, მსოფლიო მოდაში. მისი სიგრძე კი, არანაირად არ არის შეზღუდული. გნებავთ, მინი ჩაიცვით, გნებავთ — მიდი და გრძელი ქვედაბოლოებიც ძალზე აქტუალურია და არჩევანი იმაზეა დამოკიდებული, ვის რა უხდება.

— რაც შეეხება ტანსაცმლის ფერებს?

— შავი ფერი ბევრმა დიზაინერმა ამოაგდო კოლექციიდან. მხიარული ფერები უნდა ჩაიცვათ.

— როგორც წესი, ჯინსის სამოსი ყოველთვის მოდაშია. წელს როგორი სტილის ჯინსი უნდა ჩავიცვათ?

— წლევანდელი ჯინსი რაც შეიძლება „ნახმარვიდიანი“, გაქუცული, დახეული უნდა იყოს, თანაც — არასტანდარტულად შეკერილი ანუ ჯინსის შარვლის ერთი ტოტი უნდა იყოს განიერი, მეორე — ვიწრო, ერთი — გრძელი, მეორე — მოკლე და ა.შ. ასეთ შარვალს აუცილებლად სჭირდება რაც შეიძლება მეტი ფოლადით გაფორმებული ქამრები. ახლა მამლის წელია და რკინები, „ზმეიკები“ და „კნოპკები“ ძალზე მოდურია. მოკლედ, წელს, ე.წ. ზიზილ-პიპილოებს ფართო ასპარეზი ეძლევა.

— ყოველდღიურ სამოსად მე რას ჩამაცმევდი?

— საერთოდ, კლიენტის გემოვნებას ყოველთვის ვითვალისწინებ. ამ შემთხვევაში, შენ არაფერს გკითხავ და მხოლოდ საკუთარი გემოვნებით შეგმოსავ. ჩაგაცმევდი მხიარული ფერის ტოპმაისურს, დახეულ, გაქუცულ და არასტანდარტულ ჯინსის შარვალს, ბალთებიან ქამარს, მხარზე გადასაკიდ, დიდ ჯვალოს ჩანთას და ფეხზე ჩაგაცმევდი ასევე ჯვალოს „ბატინკებს“. ასეთი თვალით გხედავ მე შენ. ისე, ამ სეზონზე ძალიან მოდაშია ჯვალოს ანუ ტილოს ფეხსაცმელი, თანაც — ტანკეტკა ძირზე.

■

მისი ხმა მესმოდა. ეს ამბავი მთელი ექვსი თვე გაგრძელდა. საქმეში ლამის მილიცია ჩაერია. მთელ სკოლაში ეძებდნენ დამნაშავეს. ვიღაცამ ჩამიშვა და სიმართლე გამომჟღავნდა. ერთ მშვენიერ დღეს, ის ბიჭი მოვიდა და მკითხა: მზია, შენ მირეკავ ყოველდღეო? სულ წითელ-ყვითელმა ფერებმა გადამირბინა სახეზე. მგონი, მიკროინფარქტიც მივიღე. ცოცხალი ძლივს გადავრჩი...

ქალებს ვურჩევ, რაც შეიძლება მეტი დათმონ. კარგად მესმის, ჩემს ამ ნათქვამს ქალების პროტესტი რომ მოჰყვება, მაგრამ სიმართლეს ვერსად გავექცევით...

მერე, რა თქმა უნდა, აღარ ვურეკავდი. ასე წამერთვა მისი ხმის გაგონების ბედნიერება. მეათე კლასში ის და მისი შეყვარებული გაიპარნენ. მე ცოტა ხანს ვიდარდე, მერე ყველაფერი დამავიწყდა.

— პირველი პაემანი როგორ გახსენდებათ?

— თუ არ ვცდები, მერვე კლასში ვიყავი, როცა ორ ჩემს თანაკლასელს მოვეწონე. მე ერთის მიმართ გამიჩნდა სიმპათია. მაგრამ ერთხელ, მაწყენინა და სამაგიეროს გადახდის მიზნით, ორივე ჩემს თაყვანისმცემელს ერთსა და იმავე ადგილას და დროს დავუნიშნე პაემანი. ვიდექი და შორიდან ვუყურებდი, როგორ ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს. მზიას, გინდა თუ არა, მე ვუყვარვარო! — ერთმანეთს უმტკიცებდნენ... სხვა შემთხვევაში, ყოველთვის მეგობრებთან ერთად მივდიოდი პაემანზე. ასეთი რამ სკოლაში აკრძალული გვქონდა. რატომღაც ყველა გვეუბნებოდა, რომ სიყვარულის უფლება სკოლის მიღმა, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ გვქონდა. მაგრამ სიყვარულს ვინ უთანხმებს მოსვლის დღეს?.. კარზე როდის მოგიკაკუნებს, არავინ იცის. მაგრამ მისი კაკუნი თოვლის ბაბუის კაკუნს გაცილებით სჯობია. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულს ცრემლი, უძილობა და სევდა აუცილებლად მოჰყვება.

— ნამდვილი სიყვარული უფროსების რჩევის მიხედვით, სკოლის დამთავრების შემდეგ გეწვიათ?

— სკოლის მერე რომ სიყვარულმა მომიკაკუნა, გავთხოვდი კიდეც. მაგრამ ამ სიყვარულზე ნუ მალაპარაკებთ. ცუდი დასასრული ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ათი წლის მანძილზე, ბედნიერი ცოლ-ქმრის სახელი გვქონდა. ამ ქორწინებიდან შვილიც მყავს. მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, ამ თემაზე მეტ კითხვას ნუღარ დამისვამთ... სამაგიეროდ, ერთ ჩემს სტუდენტობის დროინდელ გატაცებაზე გიამბობთ. მაშინ ძალიან პოპულარული იყო ბუბა კიკაბიძე. ერთხელ, მის კონცერტზე გადაპრანჭული წავედი და პირველ რიგში მოვკალათდი. წინასწარ გამზადებული მქონდა წერილი, რომელიც ბუბასთვის სცენაზე უნდა მესროლა. ვწერდი — გთხოვთ, „უკანასკნელი მეფაიტონე“ იმღერეთ-მეთქი. იმდენად დავიბენი მისი ყურებით და მოსმენით, რომ წერილი ზუსტად იმ სიმღერის შესრულების შემდეგ ვესროლე. სცენისგან, საორკესტრო ორმო მაშორებდა. მე უბედურს, ბედი არაფერში მქონდა. ორმოში ჩასასვლელი კიბის კარს მივეყრდენი, რომელიც საუბედუროდ, დაკეტილი არ იყო. გადავეკიდე ამ კარზე და ვკონწიალობდი... ბუბა ხელებგამოწვდილი გამოქანდა ჩემკენ, არ დაეცესო. როგორც იქნა, ჩამომხსნეს იმ კარიდან და დამსვეს ჩემს ადგილას. რამდენიმე წლის შემდეგ, კინოსტუდია „ლენფილმში“ მე და ბუბა ერთად გადაგვიღეს. ერთხელ, ბუბას ვუთხარი — რაიმე კურიოზი გაიხსენე-მეთქი, — და ეს ამბავი მომიყვა. მაშინ გამოვუტყდი, რომ ის გადარეული გოგო მე ვიყავი. ამაზე ორივემ ბევრი ვიცინეთ.

— თქვენი იუმორით მოხიბლული თაყვანისმცემლების შესახებაც მოგვიყევით...

— თაყვანისმცემლების ყურადღებით დღემდე განებივრებული ვარ. ყველა ასაკის მამაკაცები მწერენ სასიყვარულო წერილებს. შეურაცხმყოფელი არც ერთი არ ყოფილა. მაგრამ საპასუხო გრძნობა არც ერთის მიმართ არ გამჩენია.

— ხანუმობა თუ გეხერხებათ?

— ხანუმობას ვერ დავიბრალებ, მაგრამ ბევრი შეყვარებული წყვილი შემირიგებია. ზოგი მათგანი დაქორწინდა კიდეც. სამი წყვილის მეჯვარეც კი ვიყავი.

— ალბათ შეყვარებულებს კარგ რჩევებს მისცემთ. პირველ პაემანზე როგორ უნდა მოიქცნენ?

— ჩაიცვას ისე, როგორც მის რჩეულს მოსწონს. თუ შეყვარებულს არ მოსწონს, ჟარგონით ნუ ილაპარაკებს. „შენ ვინ გეკითხებას“ პრინციპი, სიყვარულს არ უხდება.

— როგორ ფიქრობთ — არსებობს ოჯახის შენარჩუნების რეცეპტი?

— მე ოჯახი სიგიჟემდე მიყვარდა და ყველანაირად ვცდილობდი მის შენარჩუნებას, მაგრამ ბოლომდე ვერ გავძელი და წამოვედი. დღეს ვფიქრობ — ცოტაც რომ მომეთმინა, ოჯახს შევინარჩუნებდი-მეთქი. ამიტომ ქალებს ვურჩევ, რაც შეიძლება მეტი დათმონ. კარგად მესმის, ჩემს ამ ნათქვამს ქალების პროტესტი რომ მოჰყვება, მაგრამ სიმართლეს ვერსად გავექცევით: ჩვენს ქვეყანაში ოჯახში მთავარი ფიგურა მამაკაცია.

— ეი. კაცს ყველაფერი ეპატიება?

— რომ არ ეპატიება, იმიტომაც წამოვედი ოჯახიდან... მე დათმობაზე ვლაპარაკობ. ბევრჯერ გამიგონია — ოჯახი უბრალო გაბუტვის გამო დაანგრიესო. თუ გიყვარს, უნდა დაუთმო. შეიძლება, ერთი-ორი თვე იტირო და იდარდო, მაგრამ მერე აუცილებლად იტყვი — რა კარგად მოვიქეცი, რომ დავთმეო. სიყვარულს ძალიან უნდა მოუფრთხილდე და მოეფერო. არ ვიცი, შენთან როდის მოვა, მაგრამ თუ გესტუმრა, ჩათვალე, რომ უბედნიერესი ადამიანი ხარ.

■

ზოდიაქო და პროფესია

ძველთაგანვე მიიჩნევა, რომ ზოდიაქოს ნიშნებს გარკვეული პროფესიები შეესაბამება. აქედან გამომდინარე, კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი (ან ვისაც პირად ჰოროსკოპში პლანეტათა უმეტესობა ამ ზოდიაქოში აქვს) შესაბამის პროფესიაში უფრო ადვილად და ძალადაუტანებლად ავლენს საკუთარ ნიჭს და შესაძლებლობებს...

ვერძი — ნებისმიერი პროფესია, რომელიც საქმის დაწყებასთან არის კავშირში. ასევე მკვლევარი-აღმომჩენი, სამხედრო, პოლიციელი, სპორტსმენი, მძღოლი, კრიმინალი (განსაკუთრებით ძალადობრივი).

კურო — ნებისმიერი პროფესია, რომელიც რამის დაგროვებასთან არის დაკავშირებული. ასევე ბანკირი, ბროკერი, ბანკის მოხელე, სკულპტორი, მწერალი, მუსიკოსი, მომღერალი, მსახიობი, დიზაინერი, იუველირი, მქარგველი, პარფიუმერი, ბიოლოგი, ბოტანიკოსი.

მარჩხივი — ნებისმერი პროფესია, რომელიც გადაადგილებასთან არის კავშირში. ასევე მწერალი, ნოტარიუსი, ადვოკატი, მოვაჭრე, კომერციული აგენტი, დიქტორი, კომენტატორი, ჟურნალისტი, მდივანი, კურიერი, მოგზაური, ორატორი, ფილოსოფოსი, თაღლითი, ქურდი.

პირჩხიბი — ნებისმერი პროფესია, რომელიც სითხეებსა და წარსულს უკავშირდება. ასევე მეანი, მედდა, ლუდისმხდელი, ბიზნესმენი, მაღაროელი, მეზღვაური, პაროდისტი, ისტორიკოსი, პოეტი, წინასწარმეტყველი.

ლომი — ნებისმერი პროფესია, სადაც ხელმძღვანელის უნარის, ორგანიზატორული და შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენაა საჭირო. ასევე ბანკირი, ოქრომჭედელი, მხატვარი, დრამის რეჟისორი, მსახიობი, შოუმენი, მზარეული.

ძალწული — ნებისმერი პროფესია, რომელიც ანგარიშთან და ანალიზთან არის კავშირში. ასევე მასწავლებელი, რეპორტიორი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, ეკონომისტი, ბუღალტერი, ტიპოგრაფიაში მომუშავე, დიეტოლოგი, პოლიგლოტი, მესაათე.

სასწორი — ნებისმერი პროფესია, რომელიც პარტნიორობასთან და ხელოვნებასთან არის კავშირში. ასევე მუსიკოსი, მომღერალი, მსახიობი, იურისტი, ნოტარიუსი, შუამავალი, ელჩი.

ღრიანკალი — ნებისმერი პროფესია, რომელიც ცხოვრების იდუმალ მხარესთან არის კავშირში. ასევე ქირურგი, სამხედრო, ყასაბი, ჯალათი, ფიზიკოსი, აფთიაქარი, პარიკმახერი, მჭედელი, მეორადი საქონლით მოვაჭრე, ბიზნესმენი, მექანიკოსი, მაგი, მისტიკოსი.

მშვილდოსანი — ნებისმიერი პროფესია, რომელიც უმაღლეს ცოდნასთან, საგამომცემლო საქმიანობასთან და უცხოეთთან არის კავშირში. ასევე მოსამართლე, მინისტრი, იურისტი, პოლიტოლოგი, მოგზაური, თეოლოგი, მფრინავ-გამომცდელი.

თხის რქა — ნებისმერი პროფესია, რომელიც ნელ და მუდმივ წინსვლასთან არის კავშირში. ასევე პოლიტიკოსი, მენეჯერი, ფერმერი, მშენებელი, მწარმოებელი, ქანსმოლელი, ტაქსისტი, მეკუბოვე, მესფლავე, მეწყალე, მენაგვე.

მერწყული — ნებისმერი პროფესია, რომელიც ცხოვრების ჰუმანიტარულ მხარესთან არის კავშირში. ასევე მაძიებელი, ფსიქოლოგი, ასტრონომი, ასტროლოგი, მრჩეველი, კინორეჟისორი.

თევზები — ნებისმერი პროფესია, რომელიც ცხოვრების ფაქიზ და სულიერ შრეებთან არის კავშირში. ასევე მღვდელი, ქიმიკოსი, ფსიქიატრი, კომპოზიტორი, ჰიპნოზიორი, მედიუმი, ჯაშუში, ცირის, საავადმყოფოს და სათნოების სახლის მოსამსახურე, ქველმოქმედი. ■

თუ გინდათ, რომ ფული არასოდეს გაგიმეტოთ

(ხალხური ტრადიციების მიხედვით)

● მოერიდეთ ფულის საღამოს გაცემას (გასესხება-გაჩუქებას), ეს გააკეთეთ დილით — ფული არ გამოგელევათ.

● ნუ დადგამთ ცარიელ ჭურჭელს მაგიდაზე (მით უმეტეს, ბოთლს) — ფული შემოგაკლდებათ.

● ნუ დაჯდებით მაგიდაზე — მთელი ცხოვრება ღარიბი იქნებით.

● ნუ დადებთ მაგიდაზე გასაღებს, ფულს და ჭიდს — სახლში არასოდეს გექნებათ ფული.

● ნუ დაუსტვენთ სახლში — ფული გაგიფრინდებათ.

● ფრჩხილები მხოლოდ საშაბათსა და პარასკევს დაიჭერით — მდიდარი იქნებით.

● ფული ყოველთვის მარცხენა ხელით გაეცით, აიღეთ მარჯვენით.

● ნუ გასცემთ ფულს ორშაბათსა და საშაბათს — ვალში ჩავარდებით.

● ახალ მთვარეს ყოველთვის დაანახვეთ ფული (მონეტა) და დაუსტვინეთ — მომავალ თვეში „დაუგეგმავი“ ფული შემოგივათ.

● გუგულის პირველ „დაძახებაზე“ ჯიბეში ფული ააჩხრიალეთ — გამდიდრდებით.

● ნუ შეინახავთ სხვადასხვა ქვეყნის ფულს ერთად — ფული დაგეფანტებათ.

● სახლის დაგვის დროს, ნაგავს კარის წინ ნუ დაგროვებთ — ამ ნაგავს თქვენი ფულიც გაჰყვება.

● ნაგავი სახლის კუთხეში მიხვეტეთ და იქ აიღეთ — ახალი შემოსავლის წყარო გაგიჩნდებათ.

● ფული საღამოს არ გასცეთ, არ დაიბრუნოთ, არ დაითვალოთ — ფორტუნა ზურგს შეგაქცევთ.

● სავსემთვარეობისას აუცილებლად გაეცით ფული (ნებისმერი თანხა), იყავით ქველმოქმედი — მომავალ თვეში გაუთვალისწინებელი შემოსავლები გაგიჩნდებათ.

● ვალს ნუ გასცემთ მსხვილი კუპიურებით, გააკეთეთ ეს წვრილი კუპიურებით.

● ახალმთვარეობისას ნუ გასცემთ ვალს — მომავალ თვეში ფული გამოგელევათ.

● საფულეში ფულს არეულად ნუ შეინახავთ — გაგქურდავენ.

● ცოცხი ტარით ქვემოთ შეინახეთ — ფულს იპოვით ან მოიგებთ.

● ღამით ფულს მაგიდაზე ზემოდან ნუ დადებთ, ამოდეთ სუფრის ქვეშ — არ დაგეხარჯებათ.

● ნუ გადაწმენდთ მტვერს ქაღალდით ან ხელით — გაღარიბდებით.

● ნაგვის აღების დროს გულში თქვით: „რაც მეტი ნაგავია, მით მეტი ფული მქონდეს“.

● ნუ გექნებათ სახლში ორი ცოცხი — დანახარჯები გაგეზრდებათ.

● დილით (უზმოზე) და გზაჯვარედინზე ნაპოვნ ფულს ნუ აიღებთ — მას თქვენი ფულიც გაჰყვება. ■

მოამზადა რამაზ გიგაურმა

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(5 – 11 მაისი)

ვერძი – 21/III-20/IV

მოერიდეთ მარტო მოქმედებას (თუმცა, ეგოიზმი სწორედ ამისკენ გიბიძგებთ), სთხოვეთ დახმარება მეგობრებსა და კოლეგებს, ნუ დახარჯავთ ენერგიასა და დროს იმ საკითხებზე, რომლებიც ბევრი ადამიანის მოსაგვარებელია. შესაძლოა, შენიშვნა მიიღოთ ახლობლისაგან, ჯობს, ამ შენიშვნაზე რეაგირება მოახდინოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – მარჩბივსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები**: 5, 7, 9. **ნეგატიური დღეები**: 6, 11.

კუროს – 21/IV-21/V

ეს პერიოდი შემოქმედებითი აღმასვლისთვის ძალზე პოზიტიური იქნება. თუმცა, არც პირად ცხოვრებაშია „ჩავარდნები“ მოსალოდნელი, პირიქით – დიდი ალბათობაა იმისა, რომ სწორედ ახლა გაგიჩნდეთ რომანტიკული ნაცნობი, რომელიც ბევრ ისეთ საიდუმლოს გაგანდობთ, რომელზეც ადრე წარმოდგენა არ გქონდათ. ურთიერთობები პოზიტიურია თხის რქასა და თევზებთან, ნეგატიური – ლომსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები**: 6, 8, 10. **ნეგატიური დღეები**: 5, 11.

მარჩბივი – 22/V-21/VI

მოსალოდნელია, რომ თქვენმა პარტნიორმა თქვენი წილი პასუხისმგებლობაც საკუთარ თავზე აიღოს, რაც თქვენს მონაწილეობას ფირმის საქმიანობაში ერთიორად შეამცირებს. გარშემო მყოფები საეჭვო სიტუაციაში თქვენს ჩათრევას ეცდებიან და გარკვეული ცდუნებისა და საბედისწერო შეცდომის საშიშროების წინაშე დადგებით. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და სასწორთან, ნეგატიური – ღრიანკალსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები**: 7, 8, 9. **ნეგატიური დღეები**: 6, 10.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ამ პერიოდში თქვენი უმთავრესი საზრუნავი სიყვარული იქნება. გაგიჩნდებათ სურვილი, შეიცვალოთ პარტნიორი, გააბათ ახალი რომანტიკული ნაცნობობა, იმოგზაუროთ, თუმცა, რამდენად უმტკივნეულოდ მოახერხებთ ყოველივე ამას, ეს სულ სხვა საქმეა. ჯობს, ყველაფერი წინასწარ გათვალოთ და ისე იმოქმედოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – ვერძსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 5, 6, 10. **ნეგატიური დღეები**: 8, 9.

ლომი – 23/VII-23/VIII

თუ იქნებით ინიციატივიანი და საკუთარ თავზე აიღებთ პასუხისმგებლობას, მაშინ მოგიწევთ მასშტაბურ გეგმებსა თუ იდეებზე ფიქრი, შეხვედრები და საუბრები. მაგრამ ამ გეგმების უმეტესობა არაპრაქტიკული და განუხორციელებელი დარჩება, თუმცა, ეს პროცესი პოზიტიურ შედეგსაც მოგიტანთ – ახალ და საინტერესო ადამიანებს გაიცნობთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 5, 7, 10. **ნეგატიური დღეები**: 8, 11.

ქალწული – 24/VIII-23/IX

საქმეში წარმატება და თქვენი რეპუტაცია მთლიანად იქნება დამოკიდებული თქვენს შესაძლებლობებსა და გუნება-განწყობილებაზე. ნებისმიერ წარუმატებლობაში მთლიანად თავად იქნებით დამნაშავე. ამას ხელს შეუწყობს თქვენი ზედმეტი სწრაფვა თავისუფლებისკენ. თანამშრომლებთან და ხელქვეითებთან შესაძლოა, გაუგებრობები მოგიხდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და თხის რქასთან, ნეგატიური – ლომსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 7, 8, 9. **ნეგატიური დღეები**: 6, 10.

სასწორი – 24/IX-23/X

საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება და სარისკო ნაბიჯები უკუსვლას მოგიტანთ. განსაკუთრებული ყურადღება გმართებთ საქმიანი კომპანიონების, გადასახადების, შემოსავლის წყაროებთან დაკავშირებით. ეცადეთ, მაქსიმალურად შეინარჩუნოთ საღი აზრი და მოერიდოთ სარისკო გადაწყვეტილებებს. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და კირჩხიბთან, ნეგატიური – სასწორსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები**: 5, 9, 10. **ნეგატიური დღეები**: 6, 8.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

გაუფრთხილდით საკუთარ ავტორიტეტს, როგორც ხელმძღვანელებთან, ასევე ხელქვეითებთან ურთიერთობისას. გავლენიან პირებთან და ოფიციალურ ინსტანციებთან შეხვედრამ საეჭვოა, წარმატება მოგიტანოთ. თავი აარიდეთ მივლინებებს, უცხოელებთან კონტაქტებს; არ გირჩევთ, სახლში რემონტის დაწყებას. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – ვერძსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 6, 8, 11. **ნეგატიური დღეები**: 5, 7.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ამ კვირაში მაქსიმალური მომჭირნეობა გამოიჩინეთ, მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს, არ გირჩევთ, შენაძენის გაკეთებასაც, საჩუქრების მირთმევისგანაც თავი შეიკავეთ (გულუხვობის გამოჩენა მომავალი კვირისთვის გადადეთ), წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, სერიოზული მატერიალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და ლომთან, ნეგატიური – მერწყულსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 6, 8, 10. **ნეგატიური დღეები**: 5, 11.

თხის რქა – 22/XII-20/I

თქვენთვის მნიშვნელოვანი სიახლეა მოსალოდნელი. შეიძლება, ეს უკეთესი სამსახური ან ახალი საცხოვრებელი ბინა იყოს. თუ ზემდგომ ორგანოებთან შეხვედრამ და გასაუბრებამ მოგიწიათ, ნუ მოაჩვენებთ თავს ყოვლისშემძლედ და აღიარეთ მხოლოდ ის, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ქალწულთან, ნეგატიური – მარჩბივსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები**: 5, 7, 8. **ნეგატიური დღეები**: 6, 9.

მერწყული – 21/I-19/II

ისეთი შეგრძნება დაგეუფლებათ, რომ ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დგას და თქვენს მომავალს არავითარი საშიშროება არ ემუქრება. მაგრამ სინამდვილეში, გაორმაგებული შრომა გმართებთ საამისოდ, რომ წარმატებით გადაჭრათ ცხოვრებისეული პრობლემები. უნდა აამუშაოთ „მეორე სუნთქვა“, რათა ყველა საკითხის თქვენდა სასიკეთოდ გადაწყვეტა მოახერხოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მერწყულთან, ნეგატიური – კუროსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები**: 9, 10, 11. **ნეგატიური დღეები**: 5, 8.

თევზები – 20/II-20/III

საჭიროა, ამ პერიოდში ენთუზიაზმი შეინარჩუნოთ და ამაღლებული განწყობილება დიდი ხნის მანძილზე გაგყვეთ. ამას თქვენში პირველ რიგში, საწინააღმდეგო სქესის ადამიანები იგრძნობენ და თქვენი პერსონით დაინტერესდებიან. ეცადეთ, არ აჩქარდეთ და პირად ურთიერთობებში შეცდომები არ დაუშვათ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – მარჩბივსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები**: 8, 9, 11. **ნეგატიური დღეები**: 7, 10.

ერთგვარი სანადირო თოფი
ირმის ნაშიერი
თმის საშრობი მოწყობილობა
ვაშლის ღვინო
მაღაზიის განყოფილება
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული
რისამე ან ვისამე მოსპობა
მაგნიტი
კანონთა კრებული
თავბრუ
გახმურებული სამარცხვინო შეხვედრა
სახელმწიფო კრება ძვ. რუსეთში
ქონებრივი დანაკლისი
ფრანგი ფეხბურთელი
სამხედრო ფორმის ქურთუკი
... პაჩინო
ნარნარი ფრენა
ქიმიური ელემენტი
ფანჯიკიძის რომანი
ინსტრუქციული ქალი ფუ საბერძნეთში
ძვირფასი იშვიათი წიგნების შეგროვება
პატარა გემი
... პიტი
ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი
მარჯნის კუნძული
ავსტრიელი ექიმი და ფსიქოლოგი
ინდიელთა ბელადი
ციმბირული ირემი
1000^2
დაზღვევის მოწმობა
ბილიარდის ჯოხი
ზურგის ტვინის სითხე
შშვილდის ბაწარი
ზედა და ქვედა ყბა ერთად
ხმლის არამჭრელი მხარე
ხრიკი, დანდი
გადამდნარი ღორის ქონი
კაზაკთა ბანდის მეთაური

ანეკდოტები

***

მოსამართლე:

— ვინც ახლა სიჩუმეს დაარღვევს, ქუჩაში გავაგდებ!

ბრალდებული:

— ვაშაااااااა!..

***

რესტორანში:

— გარეული იხვი გაქვთ?

— არა, ბატონო, მარა სპეციალურად თქვენთვის შეგვიძლია შინაური გავატყიუროთ...

***

მეგობარი ეუბნება მეგობარს:

— გუშინ მეტროში გოგო დავინახე და მივხვდი, რომ ეს იყო ერთი ნახვით ლოგინი.

***

ახალი აქცია საგზაო პატრულისგან:

შეაგროვე ხუთი ცალი ათლარიანი და დაიბრუნე შენ „პრავა“ უკან.

***

ქმართან ერთად ბაზრობიდან შინ მიმავალი ეკა სტუდენტობის დროინდელ მეგობარს შეხვდება:

— ისე მიყვარს, როცა ჩემი ქმარი ჩემ გვერდითაა... ნიკო!.. გვერდით-მეთქი, ვის ვუთხარი!

***

ექიმი პაციენტ ქალს:

— ქალბატონო ყველაფერი რიგზეა, ოღონდ მაინც გირჩევთ, რომ ზაფხულობით სუფთა ჰაერზე ისეირნოთ, ხოლო ზამთარში თბილად ჩაიცვათ.

სახლში დაბრუნებულს ქმარი ეკითხება:

— რაო, რა გითხრა ექიმმა?

— რაო და, ზაფხულში კანარის კუნძულები და ზამთარში „ნორკის შუბაო...“

***

მსუქანი ქალი ტაქსის აჩერებს:

— სამშობიაროში!..

სამი წუთის შემდეგ:

— პატივცემულო, მასე ნუ მიაქროლებთ მანქანას, მე იქ უბრალოდ ვმუშაობ.

***

ქალი ციხეში ქმართან მივიდა და ეუბნება:

— ხვალ ერთი წელი გისრულდება, რაც ციხეში ზიხარ... მე და დედამ გადავწყვიტეთ, სახლში ეს თარიღი აღვნიშნოთ.

***

— ექიმო, რას მიწერთ? — მორიდებით ეკითხება პაციენტი იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ კახელ ექიმს.

— რას უნდა გიწერდე, ჯოო!.. ცნობას გარდაცვალების შესახებ!..

***

ორი 90 წლის ბებრუხანა პარკში სკამზე ზის. ერთ-ერთი თვითკმყოფილებით ეუბნება:

— როგორც ჩანს, სიკვდილმა დაგვივიწყა...

მეორე თითს ტუჩებთან მიიტანს:

— სუ-უ-უ, არ გაგვიგოს!

***

გაცოფებული ქმარი შინ შერბის და ცოლს უყვირის:

— მე უკვე ყველაფერი ვიცი!

ცოლი:

— ახლავე შევამოწმებ. რა სიგრძისაა მდინარე მტკვარი?

***

ცოლი ქმარს:

— ძვირფასო, საწოლი გაასწორე რა?

— როდის მოიღუნა, რო?!.

***

სასამართლოზე:

— გამოძიებამ დაადგინა რომ...

მიხა:

— გამოძიებამ კი არ დაადგინა, მიმბეგვეს მაგრათა და მე თვითონ ჩავუკაკლე ყველაფერი...

***

— გაიგეთ, ახალ ციხეს, რომელსაც ააკაშვილი აშენებს, ბარი ექნება.

— როგორ, დალევა შეიძლება?

— დალევა არა, მაგრამ... ოჯდები რამდენ ხანსაც გინდა და ჰიმნს მოუსმენ.

***

ჭიჭიკია:

— რა გჭირს, სახე დასისხლიანებული და დაჩხაპნილი გაქვს, თვალები ჩალურჯებული, წამო ერთი, სახლში მიგაცილებ.

— არ მინდა... იქიდან მოვდივარ.

***

ლოთი, რომელმაც სმას თავი დაანება, ტირის:

— ჩემი თავი ჯანდაბას, მარა... ღვიძლი... ღვიძლი მეცოდება — „ხალასტოიზე“ მუშაობს.

***

კარზე ზარია. პატარა ბიჭი აღებს კარს. იქ კი სტუმრები დგანან.

— დედიკო სახლშია?

— არა.

— მამიკო?

— არა... ისიც იმალება.

***

ბიბლიოთეკაში:

— ამ წიგნში ათი დოლარი ვიპოვე. ამავე ავტორის სხვა ნაწარმოები ხომ არ გაქვთ?

***

ფილოსოფოსი სვანის აზრები:

სინდისი — ეს ის პატარა ხმაა, რომელიც გთხოვს, არ ჩაიდინო ის, რაც სულ ახლახან ჩაიდინე.

***

— დედიკო, მამა გაგიჟდა, ყველაფერს ფანჯრიდან ისვრიიიიიიისს...

***

თუ დილით იღვიძებ და ცოლი არ გელაპარაკება, ესე იგი, წინა საღამო კარგად და სასიამოვნოდ გაგიტარებია...

***

სასწორზე შემდგარ ქალს სასწორის პატრონი მორიდებით ეუბნება:

— საერთოდ, ქალბატონო, წონა და სიმაღლე ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს.

— წესით, მე რამდენი უნდა ვიყო?

— ასე... 4 მეტრამდე...

კონსერვატორი ხართ თუ რადიკალი?

ნებისმიერ ადამიანში კონსერვატიზმიცა და რადიკალიზმიც სხვადასხვა ზომითაა შერწყმული. ერთნი ტრადიციებს ერთგულობენ და ყოველგვარ სიახლეს უარყოფენ, მაგრამ გამოდის, რომ ამით, მათთვის სასიკეთო პერსპექტივებზეც უარს ამბობენ. მეორენი მათ ირგვლივ ყოველივეს მკვეთრად შეცვლისაკენ ილტვიან და ამის გამო, წარსულის ფასდაუდებელი გამოცდილების გამოყენება არ ძალუძთ. ყველაზე ჭკვიანები კი, ორივე ტენდენციის შერწყმას შესანიშნავად ახერხებენ და უკიდურესობაში არასოდეს ვარდებიან, რომელ ტიპს მიეკუთვნებით თავად თქვენ? ამის გაგებაში ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ. ყოველი შეკითხვის პასუხად, შეარჩიეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი.

1. თქვენ, თქვენი მშობლების:

ა) უმცროსი შვილი ხართ;

ბ) შუათანა ან დედისერთა შვილი ხართ;

გ) უფროსი შვილი ხართ.

2. რამდენად კარგად გახსოვთ თქვენი ოჯახის მნიშვნელოვანი თარიღები?

ა) გულწრფელად რომ გითხრათ, თითქმის არ მახსოვს;

ბ) მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვანი თარიღების დასახელება შემიძლია;

გ) რა თქმა უნდა, მახსოვს და ამით ვამაყობ კიდეც.

3. ქვემოთ დასახელებული სამი ფერიდან, რომელი უფრო მოგწონთ?

ა) წითელი;

ბ) ყვითელი;

გ) ყავისფერი.

4. ვთქვათ, მრავალმილიონიანი კაპიტალის მფლობელი გახდით, როგორ მოიხმართ ამ ქონებას?

ა) ისეთ პერსპექტიულ პროექტებს დავაფინანსებ, რომლებიც ჩემი კაპიტალის შემდგომ გაზრდას შეუწყობს ხელს;

ბ) თანდათან დავხარჯავ და თავს, ჩემთვის მანამდე მიუწვდომელი სიამოვნებების განცდის საშუალებას მივცემ;

გ) ჩემს ხელთ არსებულ კაპიტალს უძრავ ქონებაში დავაბანდებ.

5. მზად ხართ თუ არა იმისათვის, რომ საკუთარი თავი ბევრ რამეში შეზღუდოთ, რათა მკაცრად დაიცვათ ახალი დიეტა, რომელიც ფანტასტიკურ შედეგებს გპირდებათ?

ა) ალბათ, კი;

ბ) შესაძლებელია, თუკი დიეტოლოგების დასკვნები დამაჯერებლად მოგეჩვენება;

გ) ორგანიზმის მექანიზმის მუშაობაში მკვეთრი ცვლილებების შეტანის სასტიკი წინააღმდეგი ვარ.

6. თქვენი აზრით, რა არის ის უმთავრესი თვისება, რაც ნებისმიერი სფეროს ჭეშმარიტ სპეციალისტს უნდა ახასიათებდეს?

ა) ეს გახლავთ – შემოქმედებითი „ნაპერწკალი“;

ბ) ეს გახლავთ – პროფესიონალური მომზადება;

გ) ეს გახლავთ – მუშაობის გამოცდილება.

7. გურმანები, ჩინური სამზარეულოს ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ დელიკატესად მიიჩნევენ კერძს — „ვეფხვის ბრძოლა დრაკონთან“, რომელიც კატისა და გველის ხორცისაგან მზადდება. თქვენც ხომ არ ისურვებდით ამ კერძის გასინჯვას?

ა) სიამოვნებით გავსინჯავდი! ვგიჟდები ეგზოტიკურ კერძებზე;

ბ) საეჭვოა, რომ გამესინჯა. მსგავსი რამეები ჩემს გემოვნებას ნაკლებად ესადაგება;

გ) არავითარ შემთხვევაში არ გავსინჯავდი! ამის გაფიქრებაც კი მზარავს.

8. შესაძლებლად მიიჩნევთ თუ არა დროში მოგზაურობას?

ა) დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში, სამეცნიერო პროგრესის მეშვეობით, ეს რეალობად იქცევა;

ბ) საეჭვოდ მეჩვენება, რომ ახლო მომავალში კაცობრიობამ ამის განხორციელება შეძლოს;

გ) ჩემი აზრით, ეს მხოლოდ სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროა და სხვა არაფერი.

დაანგარიშეთ ქულები: ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 1 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 2 ქულა, „გ“ ვარიანტში — 3 ქულა.

ტესტის შედეგები

8-12 — ქულა: საოცრად ენერგიული და მიზანსწრაფული ადამიანი ბრძანდებით და საკუთარი ნათელი მომავლისკენაც გაბედული ნაბიჯებით მიიწევთ. ენთუზიაზმით ხვდებით ცვლილებებს, მაგრამ ერთი რამ უნდა გაითვალისწინოთ: მკვეთრი ცვლილებები ხომ ძალზე იშვიათადაა სიკეთის მომტანი. უფრო მეტი წინდახედულებისა და დაკვირვებულობის გამოჩენა, ნამდვილად არ გაწყენდათ.

13-18 ქულა: ავანტიურიზმი ნამდვილად უცხოა თქვენთვის და ამიტომ შეიძლება თამამად ითქვას, რომ თქვენ ზომიერი შეხედულებების მქონე, გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით. გაქვთ უნარი გაითვალისწინოთ, როგორც საკუთარი, ასევე სხვისი მდიდარი გამოცდილება. პატივს სცემთ ტრადიციებს და ამასთანავე, გონივრული სიახლეებისმისაღებადაც მზად ხართ.

19-24 ქულა: თქვენ თავს არიდებთ სარისკო წამოწყებებს და დიდად აფასებთ სტაბილურობასა და სულიერ სიმშვიდეს. უფრო გჯობლავთ იმის გაფრთხილება და დაზოგვა რაც უკვე გაქვთ, ვიდრე რაიმის შოვნა და შეძენა. მაგრამ ერთი რამ ხომ უდავოდ ფაქტია, ადამიანს მხოლოდ იმის დაზოგვა და გაფრთხილება შეუძლია, რაც უკვე შეიძინა. რამის შესაძენად კი ნებისმიერ საქმეს უფრო მეტი მოქნილობითა და შემოქმედებითი ინიციატივით მიდგომა სჭირდება.

გერმანიაში გომბეშოები ფეთქდებიან

გერმანიაში, ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე, გაურკვეველი მიზეზის გამო, გომბეშოები ერთმანეთის მიყოლებით... ფეთქდებიან: ამფიბიები სწრაფად, ჯერ არნახულ ზომამდე იბერებიან და შემდეგ სკდებიან.

ჰამბურგის ბუნების დაცვის ასოციაციის წევრმა ვერნერ სმოლნიკმა აღნიშნული ფენომენი ფანტასტიკურ, საშინელებათა ფილმებს შეადარა.

„აქაც ხომ, ისევე როგორც ფილმებში, აფეთქებამდე, გომბეშოს სხეული ოთხჯერ მაინც იზრდება“, – თქვა მან.

მეცნიერ-ეკოლოგები და ვეტერინარები მომხდარის მიზეზად, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ ვერსიებს ასახელებენ. მათ შორისაა: უცნობი ვირუსი, წყლის მომწამვლელი შხამიანი სოკოები და თქვენ წარმოიდგინეთ, მტაცებელი ფრინველებიც კი, რომლებიც თურმე იმდენად აფრთხობენ გომბეშოებს, რომ ეს უკანასკნელნი შიშისგან ფეთქდებიან...

ჯერჯერობით, ჩამოთვლილ ვერსიათაგან არც ერთი არ დადასტურებულა და არც პრიორიტეტული გამხდარა რომელიმე.

■

ჩინელი აკრობატი რეკორდისთვის ემზადება

ჩინელი აკრობატი – აიზიკაერი ბაგირზე 37 დღის გატარებას აპირებს.

ის თავის აქციას აღმოსავლეთ ჩინეთის პროვინცია იანჯუში ჩაატარებს და ღამეს, ბაგირზე სპეციალურად მიმაგრებულ თაროზე გაათევს.

33 წლის აკრობატი უკვე მესამედ ცდილობს რეკორდის დამყარებას. ორი წლის წინ, მან ბაგირზე 26 დღე დაყო, მაგრამ რეკორდი არ ჩაუთვალეს, რადგან არავინ გამოჩნდა ისეთი, რომელიც შეძლებდა გინესის წიგნის წარმომადგენლებისთვის აიზიკაერის მიღწევა დაედასტურებინა. შარშან მან ახალი რეკორდის დამყარება გადაწყვიტა და ბაგირზე 27 დღის გატარებას შეეცადა, მაგრამ – უშედეგოდ.

დღესდღეობით აიზიკაერი მაყურებელს ბაგირზე ერთთვლიანი ველოსიპედით სიარულით ართობს და მომავალი რეკორდისთვის ემზადება.

ამჟამინდელი რეკორდი ჩინელ აკრობატს, სახელად ახდილს ეკუთვნის, რომელმაც ბაგირზე 25 დღე დაყო.

ინდოელმა ჯარისკაცმა ამხანაგს ცხვირი მოაჭამა

ინდოელ ჯარისკაცს სიჯიუტე საკუთარი ცხვირის ფასად დაუჯდა.

ინციდენტი ჯარისკაცებს შორის, გვიან საღამოს, ერთ-ერთი ქვედანაყოფის ბარაკში მოხდა. მათ შორის უთანხმოება შუქის ჩაქრობის თაობაზე წარმოიშვა, რომელიც ჩხუბში გადაიზარდა.

კპრალ ბხუპეშ რავამ, რომელსაც ღამის მორიგეობის შემდეგ გამოძინება სურდა, მეზობელს შუქის ჩაქრობა სთხოვა. მაგრამ დურგუ ლამამ ამხანაგის თხოვნა აინუნშიაც არ ჩააგდო და უპასუხა, – შუქს, როცა მომესურვება, მაშინ ჩავაქრობო. ამგვარმა პასუხმა რავა გააცეცხლა, ლამას ეცა, ცხვირში კბილები ჩაასო და უცაბედად, ცხვირის წვერი მოაკვნიტა.

ლამას ყვირილზე, მის დასახმარებლად, ბარაკში ხალხი შეცვივდა. დასისხლიანებული ჯარისკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, რავა კი დააპატიმრეს. მეორე დღეს დაზარალებულს ოპერაცია გაუკეთდა სახის დაზიანებული ნაწილების აღსადგენად. დამნაშავეს კი, როგორც ამბობენ, სამხედრო ტრიბუნალს გადასცემენ.

■

მერაია ქერი მწერლობაში მადონას ეჯიბრება

ამერიკული პოპმუსიკის ვარსკვლავი მერაია ქერი, ცნობილი მომღერლის – მადონას კვალდაკვალ, მწერლობაში ძალების მოსინჯვას აპირებს. 35 წლის მომღერალმა განაცხადა, რომ აპირებს გამოსცეს ილუსტრირებული საბავშვო წიგნების სერია, სახელწოდებით „ავტომატური პრინცესა“, რომელიც შერეული რასის ობოლი გოგონას მოგზაურობის შესახებ მოგვითხრობს.

MTB-ს ცნობით, ქერიმ პროექტზე მუშაობა გასულ ზაფხულს დაიწყო. ამჟამად, ქერის ალბომი – „მიმის ემანსიპაცია“ ამერიკული ჰიტ-აღლუმის პირველ გვერდს იკავებს.

■

ფოტოკუთხეები

უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

ბევრი რამ სისხლის შხამებზე... ანუ CO-ის მოწამვლის გაუცმაურებელი ფაქტები

შხამიანი მწერები და პარაზიტები

პოინტერი — ამაყი და ლამაზი მონადირე ძალლთა მეფე



იდეალურად დაგეგმილი კატასტროფა თუ უბედური შემთხვევა

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის